

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

18 მაისი 2012 №10(166)



ჩემი ენა ჩემი მხატვრობაა
შირლი ჯეკსონის ნოველები
ღვანლი რეზო ჭოხონელიძისა
ნიკოლოზ ჩხოტუა რომ ინატრებდა
როგორ იწერება საქართველოს ისტორია
ნანა დემეტრაშვილი და მესხეთის თეატრი
ნუციკო დეკანოზიშვილის ნამსხვრევები
ირენ გედევანიშვილის გახსენება
ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
ქართულ-აფხაზური ალბომი
რეზო ესაძის ლექსები

შინაარსი

წუთები და წლები	2	როსტომ ჩხეიძე რომა შინ ბრუნდება (ნიკოლოზ ჩხოტუა რომ ინატრებდა)
ერი და გადინწერა	4	გურამ ყორანაშვილი რომორ ინარიბა სპარტოველოს შკველესი და ძველი ისტორია
მსურს-ჩნებრვი	8	ვანო აბულაძე „საქმე ბოლომდე უნდა მიდიოდეს“ (მომზადა ნატა ვარადამ)
პროზა	9	ლაშა იმედაშვილი ჰალალი თბილისური ამბავი
ლიტერატურული სწორება	20	ანა გელაშვილი ტარიელ ხარხელაურის ახალი კრებული
პოეზია	21	რეზო ესაძე არცა რა იყო და სხვა ლექსები
პოეზის ერთი ლექსი	24	ნუციკო დეკანოზიშვილი ნამსწვრავები
აირველი შთაბეჭდილება	25	ემხვარ კახაძე გამარჯობა, ჩემო მემოგარო, ანუ ნანილ-ნანილ
სად წაიყვან სადაურსა	26	მზია ბაქრაძე „ვირასოდეს დავივიწყებ მამაჩემის სავდინ თვალებს და ვერც მის დანაბარებს“ (ირენ გედევანიშვილის გახსენება)
უსწოთის სწორებადან	30	რენე კალანდია შორეული ოცნების ახდენა და სხვა... (ალექსანდრს ჩაკსი)
ღიალოგი	32	ჩვენი ფსევები (თეონა ქურთაულს ესაუბრება თინა სოსანიძე)
კრიტიკა	33	ნონა კუბრეიშვილი „სიყვარულის გზავნილი“ — უადრესათო?! („ქართულ-აფხაზური ალბომის“ გამოცემის გამო)
რეპორტაჟი	37	ეკა ბუჯიაშვილი მისიონერი (ნანა დემეტრაშვილი და მესხეთის თეატრი)
მარადი ხალხუნება	41	მარინა ხონელიძე ღვინელი ქორეობრაფისა (რეზო ჭოხონელიძე)
ფიქრები	45	ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაბეჭდები
შტრისები პორტრეტისათვის	48	ქეთევან ტომარაძე ჩემი ენა ჩემი მხატვრობაა (ვლადიმერ კანდელაკი)
ლიტერატურული სწორება	54	ნინო დეკანოძე ნამდვილი ლიტერატურის მადლი (ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის საღამო)
სალალოკო	55	მურმან ბულათურქია ტკბილი და საამური კვამლი
უსწოური ნოველა	56	შირლი ჯუკსონი ორი ნოველა
ახალი წიგნები	62	ლუკა სალია მოცარტი — ღვთის საწუქარი
მოზიკა	63	ასა იყოფდენ ევროპას

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ილუსტრაცია ლაშა იმედაშვილის მოთხრობისა

„ჰალალი თბილისური ამბავი“, მხატვარი ნინო ზაალიშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 1 ივნისს



როსტომ ჩხეიძე

* * *

როცა უინ ბრუნდები

□

ნიკოლოზ ჩხოტუას რომ ინატრებდა

— კაცობრიობა დღეს ქვისა და გრანიტის ახალ მი-
რაჟს აშენებს. იგი ზეცისაკენ მიემართება და მზადაა,
მთელი სამყარო მოიცვას.

რომანის პერსონაჟი ამას რომ იტყვის, ახალი ბაბილო-
ნის გოდოლის გააზრებისას ძალდაუტანებლად გაიხსე-
ნებს კარლ მარქსს, რომლის ნაშრომიც გამობით გამობს სი-
ხარბეს, ოღონდ, ამის მიუხედავად, ზედმინევენით უნაყო-
ფო წიგნია, რადგანაც ცდილობს ცეცხლი შეაბრძოლოს
ცეცხლთან, სიხარბე სიხარბესთან, ძალადობა ძალადო-
ბასთან. და გამობს მატერიალურ ჩაგვრას, მაშინ, როდეს-
საც მატერიალიზმს ერთადერთ ანტითეზად აღიარებს.

მამ ხსნის გზა საით უნდა ვეძიოთ, თუკი მატერიალიზმს,
ამ საშიშსა და ბოროტ მსოფლმხედველობას, ვერ შეებრძო-
ლები მისივე ხერხებით — ძალადობითა და სისასტიკით?

პერსონაჟს ამაზე ბევრი უფიქრია და... სულიერ მისწ-
რაფებაზე უკეთესი ვერაფერი უპოვნია:

— ერთადერთი რამ, რაც წინ აღუდგება დროის სტიქი-
ას, ანუ მატერიალიზმის არსს — ეს მხოლოდ და მხოლოდ
მარადიული და ზეციური იარაღია. ნურასდროს მიენდობი
დროს... და ნურც ნურაფერს, რასაც იგი შეეხება. იგი ყვე-
ლაზე სწრაფად წარმავალია სხვა მირაჟებთან შედარე-
ბით, რადგან საათის ყოველი ჩამოკერა დღევანდელ დღეს
ხვალინდელად აქცევს და თან მხოლოდ სისასტიკესა და
სინანულს გიტოვებს... ეძიე ბედნიერება მარადიულობა-
ში, ხოლო სიმდიდრე — სამარადისო ჭეშმარიტებაში.

ეს შეგონება ხომ ისაა, რასაც ქრისტიანული რელიგია
გვიქადაგებს. და მამ პერსონაჟს, რომელიც ამ რწმენით
აღზრდილა, განსასჯელი და სათავშისაცემო არც არაფე-
რი ჰქონია — დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ამ რწმენას და
სხვათა — მათ შორის, შვილებსა თუ შვილიშვილებსაც
— ისევე გადასცემდა ამ გამოცდილებას, არც თვითონ
აიტკიებდა თავს და არც მათ ურჩევდა თავისმტვრევას.

ტრადიციის შენარჩუნება ტრადიციის შენარჩუნებად,
მაგრამ ესეც დაბეჯითებით უნყის, რომ ღვთის რწმენა თა-
ვისთავად არ გებოძება, თუ შენს სულიერ ქურაში არ გამო-
ატარებ, გულით არ ეზიარები და ქრისტიანულ შეგონებათა
არსსაც „შიგნიდან“ არ შეიგრძნობ. ახლა კი, სულიერ ჭი-
დილში გამოწონობილი, შენი გულის ემბაზში ამოვლებული
რწმენა უკვე ნამდვილია, შესისხლბორცებული და ძვირფა-
სი. და გზამკვლევადაც ამიტომ გარგია ყველაფერზე მეტად
დროის მსახვრალი დინების შუაგულში მოქცეულს.

ოღონდ მანამდე...

კახა ჯამბურია თამარ ჟურულთან საუბრისას, ლიტერა-
ტურულ დიალოგს საგულისხმო სათაურიც რომ ამშვენებს
„გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია“ („ლიტერატურული
გაზეთი“, 2011, 28 ოქტომბერი), უცხოურ ძეგლთა ქართუ-
ლი თარგმანების ირგვლივაც გამოთქვამს თავის მოსაზრე-
ბებს და არაჩვეულებრივ, კონვენიალურ ნიმუშთა შორის
რამდენიმეს დაასახელებს: ბაჩანა ბრეგვაძის მიგელ დე
სერვანტეს საავედრას, დავით ნერედიანის ფრანსუა ვიი-
ონს, მანანა გიგინეიშვილის ხუან რამონ ხიმენესსა და სხვა-
დასხვა დროსა და ხალხის მიერ შექმნილ ღვთის სადიდებელ
ჰიმნებს, დალი ფანჯიკიძის თომას მანსა თუ მაქს ფრიშს...

იგი, როგორც ჩანს, იზიარებს გერონტი ქიქოძისა და
ვახტანგ ჭელიძის შეხედულებას, უფრო სწორად, ყველა-
ზე მარჯვე საზომს თარგმანის შესაფასებლად: ისე უნდა
იკითხებოდეს, თითქოს უცხოელ მწერალს შენს მშობლი-
ურ ენაზე დაენეროსო. ეს მიღწევა გულისხმობს უზადო
ქართულს, ქართული ჟღერადობის შენარჩუნებას მთელს
ტექსტში, რათა არსად გაკრთეს ჩვენთვის უცხო კონსტ-
რუქციები, ხელოვნური ნყობა, კალკები.

და ეს პასაჟიც და მთელი დიალოგიც ამ აკორდით მთავ-
რდება:

— სამწუხაროა, რომ ასეთი თარგმანები ცოტაა და
მით უფრო საჭიროა, დავაფასოთ და ვიკითხოთ ის, რაც
ასეთ მაღალ დონეზეა შესრულებული.

ეს რამდენიმე ნიმუში თვალსაჩინოებისთვისაა მოხმო-
ბილი და გახსენება ზოგიერთი სხვა თხზულებებისაც შეიძ-
ლებოდა, ოღონდ მართლაც სამწუხაროა, რომ ამ მხრივ
მანაც შემოზღუდულნი ვართ და უზადო ქართულის ნიმუ-
შად მეტ-ნაკლებად რიგიან თარგმანებს შორის თითზე ჩა-
მოსათვლელ წიგნებს თუ მოვინიშნავთ.

ასეა თუ ისე რესპონდენტს კიდევ შეეძლო ჩამოთვლის
გაგრძელება, თუმც ერთ ნიმუშს თვალს მოარიდებდა, ვი-
თომ არც არსებულებოდა.

მაგრამ ჩვენც ნუ ავარდებთ თვალს ემიგრანტი ქართ-
ველი მწერლის ნიკოლოზ ჩხოტუას მიერ ინგლისურად
დაწერილი რომანის — „მარადიული“ — ქართულ ვერსი-
ას, გადმოვლებულს ირაკლი თოფურისასა და კახა ჯამბუ-
რიას მიერ და გამორჩეულს მხატვრული ღირსებებით,
უპირველესად კი სწორედ შესანიშნავი ქართულით.

თვითონ რომანიც უდავოდ თვალსაჩინო მოვლენაა
თავისი ეპიკური ხელოვნებით, პერსონაჟთა ხასიათებით,
სიუჟეტის მარჯვე და მახვილგონივრული აგებით, ფსიქო-
ლოგიზმით, ისტორიული ფონით, და აღარც ის გიკვირს,
თავის დროზე ინგლისელ მკითხველთა შორის საკმაო პო-
პულარობა რომ მოეპოვებინა, და აღარც ის, ძალდაუტა-
ნებლად რომ ჩაერთო ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში.

სტილური დახვეწილობითა და ენობრივი სისავსით გა-
მორჩეული თარგმანი რომ არის, ამიტომაც გითრევს თა-
ვის მდინარებაში და ქართული ენის ღირსებებს, მის შინა-
გან მელოდის სრულყოფილად განგაცდევინებს.

ჩაამთავრებ რომანს და... აღტაცებასთან ერთად გე-
უფლება საყვედურის განცდაც: ასე ღრმად იცოდე მშობ-
ლიური ენა, ასე ნიუანსობრივად წვდებოდე უცხო თხზუ-
ლების სტილისტურ თავისებურებებს და თარგმანს თარ-
გმანზე არ ახვავებდე?!

ირაკლი თოფურიას ან კახა ჯამბურიას პატარა საქმე კი არ აწევთ მხრებზე... ოღონდ ამჯერად კახა მინდოდა გამოძევა ცალკეებიანა.

საგანმანათლებლო ასპარეზზე მის მოღვაწეობას (სწორედაც მოღვაწეობას და არა საქმიანობას!) არავინ აკნინებს, მაგრამ თუ კიდევ გამოძევის დროს თარგმანისათვის, დიდად წაადგება ჩვენს ლიტერატურას. მისი დახვეწილი გემოვნება და ღრმა ერუდიცია, აგერ ქართულის იშვიათი ცოდნა ის ღირსებაა, მეტად რომ უნდა მიეცეს გასაქანი. ამიტომ უფლებაც კი გაქვს აიძულო ასეთი ადამიანი, როგორც უნდა, ისე გამოიხატოს დრო სათარგმნელად რთულად დასაძლევია თხზულებებისა — ნაკლებზე არც უნდა მოცდეს.

ლიტერატურის ისტორია სავსებით გაამართლებს ასეთ ძალდატანებას!..

ხომ გამართლებულია ასეთი საქციელი თვითონ კახა ჯამბურიასი, ვინც თავის დროზე გერმანიიდან ჩამოიტანდა გრიგოლ რობაქიძის რომანის — „ჩაკლული სული“ — გერმანულ ვერსიას და სწორედაც აიძულებდა ალექსანდრე კარტოზიას — რაც შეიძლება მალე გადმოელო ქართულად. თუკი არსებობდა ამ რომანის ქართული დედანი, იმუშად მიუწვდომელი გახლდათ და ჯერაც მიუკვლეველია, ამიტომაც დახანება ნამგებიანი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურისათვის (ვითომ ისედაც ცოტა გვეზარალოს!). ის ცდა წარმატებული აღმოჩნდებოდა და, თარგმანს ყველა რომ მოიწონებდა, კახას ისე უხაროდა ქების სიტყვების მოსმენა, თითქოს უშუალოდ მისი ნახელავი ყოფილიყო.

წილი კი ედო, საგრძნობი წილი!..

არაერთი კეთილი საქმის შემგულიანებელი და შთამაგონებელი რომ არის, გურამ დოჩანაშვილი ამიტომაც მიუძღვნიდა თავის რომანს „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლიუდი“, როგორც თანამდგომსა და თანაავტორს. საუკეთესო მკითხველის ზოგად სახეს კახა ჯამბურიად გაასიმბოლოებდა და მასთან ხშირ გასაუბრებებს სიუჟეტის მსვლელობაში ჩააფენდა.

ოდესღაც ასევე ჩაეფინა კრიტიკოსის სახელი ჯონათან სვიფტს თავის „კასრის ზღაპარში“, ოღონდ იმას — სატირული მიზნით, ცრუკრიტიკოსს რომ აითრევდა და აპამპულბდა მთელი რომანის მანძილზე.

გურამ დოჩანაშვილი კი მიძღვნაშიც და სიუჟეტის მსვლელობისას დითირამბს უძღვნიდა თავის გმირს, რომანის კომპოზიციურ აგებულებაში მონაწილეობის გამო პერსონაჟადაც რომ წარმოგვიდგება.

თანაავტორი — უშურველია გურამ დოჩანაშვილი მის მიმართ.

და გულს გაკლია, რომ ჯერჯერობით ცალკე წიგნად არ გამოცემულა კახა ჯამბურიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მიმოფანტული სამწერლო პერიოდიკაში.

გულს გაკლია გამოუცემლობა მისი მონოგრაფიული ნაშრომისაც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაზე“ — საკანდიდატო დისერტაციად დაცული (სხვათა შორის, პირველი დისერტაცია ჩვენს ტოლებში!), გადამეტებული პა-



სუხისმგებლობის გრძნობა რომ არ დაანებებდა საფუძვლიანი გადამუშავების გარეშე დასტამბვას, საფუძვლიანი რედაქციისათვის კი ვერა და ველარ მოიცლიდა.

ნიკოლოზ ჩხოტუას „მარადიულის“ ქართული ვერსიის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრად გრძნობ, რომ მისახედეა და წიგნებად ასაკინძი ის უსამართლოდ მიტოვებული ხელნაწერები, და შესავსებია კიდევ ახალი წიგნებით, რომელთა შორის ველოდებით იმ თარგმანებსაც, რომელთაც თვითონ თუ ყოველთვის მიჩქმალავს, მკითხველი წამოწევს, მისებური სულისა და გონების მკითხველი, და საფიქრებელია, სასკოლო ქრესტომათიეებშიც მიეჩინოს ადგილი ცალკეულ ფრაგმენტებს. აგერ „მარადიულიდან“ თუ შეირჩევა ესა თუ ის ადგილი ამ მიზნით, მხოლოდ წაადგებათ მოსწავლეებს.

— ტაია მიყვარდა მაშინაც, როდესაც დედამინას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმა და, სავსებით უკაცრიელი, უკუნეთ სიბნელებში ბრუნავდა. და მაშინაც მეყვარება, როდესაც დედამინა იქცევა უწყლო და უჰაერო ბურთად, რომელიც უაზროდ იტრიალებს ბნელ და მკვდარ უსასრულობაში.

მთავარი გმირის ამ სიტყვებს პიტერ ნეისმიტი მოიხმობდა თავის წინასიტყვაობაში, რათა დაემატებინა, რომ: ახლა, როცა რამდენიმე ათეული წელი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან, ხოლო სამოცი წელი — ამ სიტყვების დაწერიდან, მათ გარკვეული სიმწვავე კვლავ ახლავს. დღეს მწერალიცა და მისი სიყვარულიც ფიზიკურად სრულიად „უფორმო და ცარიელი“ არიან. მათთვის უკუნეთი ოკეანის ზედაპირზეა და დედამინაც უჰაერო და უსიცოცხლო სიცარიელეში ტრიალებს. მაგრამ ახლა მათი სიყვარული უეცრად გაცოცხლდა. ახლა, ამ რომანში, ცოცხლდება მათი წმინდა გრძნობები, განცდები, სიყვარულის მღალი სულიერება იმ დიდებული დღეების თბილისში, სამურზაყანოსა და პარიზში და ყველაფერი ეს უბრუნდება დედამინას. როგორც ავტორმა იწინასწარმეტყველა, ამ სიყვარულმა თავისებური მარადიულობა უკვე მოიპოვა.

ეგაა, ნიკოლოზ ჩხოტუა, ვინც სიკვდილამდე შეინარჩუნებდა შესანიშნავ ქართულ მეტყველებას, ინატრებდა, ნეტა წერაც ასევე შემეძლოს, ინგლისურის ნაცვლად ჩემს მშობლიურ ენაზე რომ შემექმნა „მარადიული“.

ამ ნატვრას ირაკლი თოფურია და კახა ჯამბურია აუხდენდნენ, სწორედ ისეთ სტილურ-ენობრივ სამოსელში რომ მოაქცევდნენ ამ რომანს, თითქოსდა გალალბული, მაგრამ სინამდვილეში დრამატული ბედის ემიგრანტს რაც ეოცნებებოდა.

სწორედ ასე დაწერდა, ქართულად წერის უნარიც რომ შეენარჩუნებინა, ასე, რადგანაც ენის მაღლს არ დაკარგავდა და მის მჩქეფარებასა და აქტუალობას ბოლომდე გამოამზეურებდა.

და თუ სანაწურად დარჩებოდა, წიგნი მაინც არ გაინიერებოდა და, მშობლიურ სანახებს დაბრუნებული, აღიდგენდა იმ სახეს, როგორც წესითა და კანონით უნდა დაბადებულიყო, მაგრამ ბედისწერის გამოისობით აქამდე ვერ ეღირსებოდა.

ეს მაღლი მაინც რა არის, ენის მაღლი!..

კაცობრიობა დღეს ქვისა და გრანიტის ახალ მირაჟს აშენებსო... დასავლურ ლიბერალიზმზე აღზრდილი შვილიშვილისათვის პაპის შეხედულებანი ცოტა არ იყოს უცნაური და უცხოა, თუმც არც ის შეუძლია, პატივისცემისა და აღფრთოვანების გარეშე იფიქროს პაპაზე, რადგანაც იცის, რომ მისი შეხედულებანი იმავდროულად გაჯერებულია ისეთი თვისებებით, როგორცაა კეთილშობილება, ერთგულება, პატიოსნება და შემწყნარებლობა. და ამიტომაც იხილება პაპის, ერთი შეხედვით, პარადოქსული უნარით — ულტრათანამედროვე აზროვნება შეერწყა იმასთან, რასაც შვილიშვილი ფეოდალურ რომანტიზმს ეძახდა.

რამხელა სიღრმითა და სიფაქიზითაა წარმოჩენილი თანადროულობის ერთი ფუნდამენტური პრობლემა — ჭიდილი ლიბერალიზმსა და ეროვნულობას, ყალბად გაგებულ კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმს შორის, და ეს მწვავე პრობლემა — თაობათა მონაცვლეობისა და პოლიტიკური და კულტურული აზროვნების ჭრილში.

ხოლო ღვთის რწმენა თავისთავად რომ არ გეზოძება, არც სამშობლოს სიყვარული ჩაგენერგება საიდანდაც, თუ შენს სულიერ ქურაში არ გამოატარებ და გულით არ ეზიარები ამ განცდას, თორემ ისეთივე დაშორებული და აბსტრაქტული დარჩება შენთვის, როგორც ცრუკოსმოპოლიტური იდეები.

რალა ცრუკოსმოპოლიტობა და რალა სამშობლოს მყიფე, გაუცნობიერებელი, მოჩვენებითი სიყვარული, ყოველნამს რომ შეიძლება ხელში შემოგემსხვრეს!..

ეს ყოველივეც ისე ღრმად, ისე ექსპრესიულადაა გამოთქმული რომანში.

ბავშვობისას, ვიდრე მთავარი გმირი შვეიცარიასში გაემგზავრებოდე, პაპამ ესეც უნდა დაარეგოს:

— ეს შენი სამშობლოა. დასაბრუნებლად მზად რომ იქნები, ექვსი თვის შემდეგ იქნება ეს თუ ექვსასი წლის შემდეგ, იცოდე — იგი მუდამ შენ გელოდება. ნუ იჩქარებ, კარგად შეიცანი სამყარო, მსურს დარწმუნდე, რომ დედამინის ზურგზე შენს სამშობლოზე უკეთესი ადგილი არ მოიძებნება.

ექვსასი წელი, ვითარცა ექვსი თვე, ექვსი დღე, ექვსი საათი, ექვსი წუთი თუ წამი.

მარადისობას, მოგეხსენებათ, თავისი განზომილება აქვს.

უდიდესი გამოცდილებით აღვსილი რომ დაუბრუნდები შენს მიწა-წყალს, სამშობლოს სიყვარული უკვე სულიერ ჭიდილში იქნება გამოწრთობილი, შენი გულის ემბაზში ამოვლებული და ამიტომაც „შიგნიდან“ შეგრძნობილი და დანახული.

და შინ დაბრუნება ამიტომაც შეიქნება სრულფასოვანი, და თუნდ წამიერად მოგეჩვენოს, რომ შენთვის ძვირფასი პიროვნების არსებაში ულტრათანამედროვე აზროვნება უცნაურად შერწყმია ფეოდალურ რომანტიზმს, ისტორიულ ფესვებს უკვე ველარაფერი მოგწყვეტს და ახალი ბაბილონის გოდოლის შემყურე აღტაცებული კი აღარ მიაჩრდები მის სწრაფვას ზეცისაკენ, არამედ თვალნათლივ განჭვრეტ მის მოჩვენებითობას და დროის სტიქიასაც წინ აღუდგები მარადიული და ზეციური იარაღით.

ნიკოლოზ ჩხოტუას რომანი „მარადიული“ არ არის დიდაქტიკური ყადისა, ის მხოლოდ ბრძნული და მომხიბლავი წიგნია, რომლის ქართულ ვერსიასაც ასე აბრწყინებს ენობრივი მადლი, გულის ემბაზში ამოვლებული.

გურამ ყორანაშვილი

როგორ ინერება საქართველოს უკველესი და ძველი ისტორია

საბჭოური წესწყობილების დროის ერთ-ერთი მითის თანახმად, შესაბამისი ისტორიოგრაფია საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის შემდგომ, განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა, რითაც თითქოს დიდად გაუსწრო დასავლურ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას. დღეს, ამ სოციალურპოლიტიკური სისტემის გადაგება-გადაშენების ჟამს, მოწმენი ვართ ამ მითის მსხვრევისა, რასაც რიგი ისტორიკოსებისა, როგორც იქნა, ამჟამად, წერილობითი სახითაც კი აღიარებს.

მართლაც, საბჭოური ისტორიოგრაფია, დაფუძნებული პრიმიტიულ, ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმზე, მთლიანობაში არ შეიძლება სერიოზული ფასეულობისა ყოფილიყო. ყველაზე ცხადად ეს გარემოება გამოჩნდა განზოგადებული ნაშრომების შექმნის სიძნელეში. რასაკვირველია, ემპირიულ დონეზე, საისტორიო წყაროების გამოვლენისა და შესწავლის, ახალი ფაქტების დადგენისა და ცალკეული საკითხების შესწავლაში პროგრესი ამჟამად იყო. რაც შეეხება საისტორიო სინთეზს, ამ მხრივ, ვიმეორებთ, უბადრუკი ვითარება სუფევდა. ჩვენი ცნობილი მოაზროვნე, დიდად ერუდირებული გეოგრაფი ქიქოძე წერდა: „ჩვენმა მკვლევარებმა — ვახუშტი ბატონიშვილმა, მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა არსებითად უკვე დაასრულეს ისტორიული მასალების ძიების და კრიტიკული შემოწმების საქმე. ახლა საჭიროა ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს ისტორიას ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეხედავს და ერთ მონუმენტურ მხატვრულ სურათს დახატავს“. ცხადია, უზუსტობა გახლავთ აზრი საისტორიო მასალების ძიება-შეკრების დასრულებაზე, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეულის შეუფასებლობა, მაგრამ რაც შეეხება შემდგომი პერიოდის ვითარებას, ამაში გერონტი ქიქოძე უთუოდ მართალი იყო. შეგახსენებთ ილიას დიდებულ აზრსაც: „შემოქმედობის ძალის ღონიერ-

რობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადას-
წვდება ხოლმე და მეორე კი — მარტო ნაწილსა“.

თუმცა, ცნობილ ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილს მი-
აჩნდა, რომ მრავალი ისტორიკოსის („ისტორიკოსთა ლე-
გიონის“) ძალისხმევით დაინერგებოდა საქართველოს ის-
ტორიის განმაზოგადებელი ნაშრომი — ახალი „საქართვე-
ლოს ცხოვრება“! 1970-80 წლებში მართლაც დაიბეჭდა
რვატომიანი (ვეებერთელა ფორმატისა) „საქართველოს
ისტორიის ნარკვევები“, რომლის შექმნაში 88 ავტორი მო-
წაწოდდა (ამათგან თექვსმეტს 1982 წელს მიენიჭა სა-
ხელმწიფო პრემია).

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წიგნის
პირველ ტომში მიტოვებულ იქნა დებულება ძველი საქარ-
თველოს მონათმფლობე-
ლური ხასიათის შესახებ
და იგი განხილულ იქნა
ე.წ. ადრეკლასობრივი სა-
ზოგადოების თვალსაზ-
რისით. ამდენად, აღდგა
აკად. სიმონ ჯანაშიას
1930-იანი წლების შეხე-
დულება. იყო ცდაც, მარ-
თალია, წარმატებული
არა, ახლებურად გააზრე-
ბულიყო ქართველთა ეთ-
ნოგენეზის საკითხი.

ჭეშმარიტად ახალი
განმაზოგადებელი საის-
ტორიო ნაშრომი უნდა
დაინერგოს ახლებურად,
სათანადო თეორიული აზ-
როვნებისა და ავტორთა
ფართო ერუდიციის ბაზა-
ზე. არადა, საქმე გვექნება

თითქმის იმავე სამეცნიერო ფასეულობის წიგნთან, რო-
გორსაც აღნიშნული რვატომიანი ნაშრომადგენს. ამ გა-
რემობას ათვალსაჩინოებს „საქართველოს ისტორიის“
ოთხტომიული, რომელიც წელს გამოქვეყნდა. იმის მაგივ-
რად რომ ავტორებს (სულ ცამეტს მოითვლიან) აეთვისე-
ბინათ სათანადო საისტორიო-სოციოლოგიური, ისტორი-
ული, ფილოსოფიური და ა.შ. მიდგომები, თეორიები და
მათს საფუძველზე ახლებურად დაემუშავენინათ ჩვენი
ისტორიული პროცესის რიგი მთავარი მომენტებისა, მათ
უკვე დატკეპნილ გზას მიმართეს.

ამჯერად შეეჩერდებით ახალი „საქართველოს ისტო-
რიის“ პირველ ტომზე, რომელიც უძველეს და ძველ პერი-
ოდებს (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხა-
დებამდე; სხვათა შორის, თარიღს არ ასახელებენ) გად-
მოსცემს. თუმცა ავტორები ამკარად არ გახაზავენ, მაგ-
რამ შეიმჩნევა, რომ მათს თეორიულ საფუძველს წარმო-
ადგენს ტრადიციული საბჭოური მარქსიზმ-ლენინიზმი.
თუმცა, ანთროპოგენეზის გვაროვნული წყობილების,
კერძოდ, სამხედრო დემოკრატიის, სახელმწიფოს წარმო-
შობის საკითხები ლუის მორგანისა და ფრიდრიხ ენგელ-
სის ნაშრომების გაგების გარეშე შეუძლებელია, არ ჩანს,
რომ ავტორები მათ სათანადოდ იცნობენ.

ერთ-ერთი მათგანი, დავით მუსხელიშვილი 129-ე
გვერდზე აღნიშნავს, რომ „მძღავრ ეკონომიკურ ბაზისს,
ბუნებრივია, შესაფერისი სოციალური და პოლიტიკური
ორგანიზაცია შეესატყვისებოდა“. უფრო ნაკლებად კატე-
გორიულია აკად. ოთარ ჯაფარიძე, როცა წერს: „აღლბათ,
ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებმა გარკვეული გავ-
ლენა მოახდინა ცხოვრების ხასიათზე“ (გვ. 56).


დასაწყისში მოკლედ არის გადმოცემული საქართვე-
ლოს გეოგრაფიული გარემო. ჩანს, ავტორს (დავით მუს-
ხელიშვილს) სათანადოდ არ აქვს გარკვეული საკითხის
თეორიული ასპექტი, სახელდობრ აღნიშნული ფაქტორის
როლი საზოგადოების განვითარებაში. მეორე ავტორის
(აკად. ოთარ ჯაფარიძის) მიხედვით, საქართველოს თავი-

სებური ფიზიკურ-გეოგ-
რაფიული გარემო თითქ-
მის (!?) ყოველთვის გან-
საზღვრავდა ქვეყნის ცხო-
ვრების ხასიათს (გვ. 99,
იხ. აგრეთვე გვ. 77). რო-
გორც ვხედავთ, საქმე
გვაქვს ტიპურ გეოგრაფი-
ულ დეტერმინიზმთან. ვი-
თარება სხვაგვარადაა და
წიგნის ავტორებს სათანა-
დო მონდომებისას შეეძ-
ლოთ უფრო სერიოზულ
პოზიციამდე დადგომა, თუნ-
დაც ქართული სამეცნიე-
რო აზროვნების საფუძ-
ველზე (ვგულისხმობთ კო-
ნსტანტინე კაპანელის, ნი-
კო ბერძენიშვილის და
სხვათა შრომებს).

წიგნის თითქმის ერთი

მესამედი არქეოლოგიური მასალების გადმოცემას წარ-
მოადგენს (ავტორები გახლავან: აკადემიკოსები ოთარ
ჯაფარიძე და ანდრია აფაქიძე). შესაბამისად, მკითხველს
თავი გაუსკდება ნივთების ლაბორინთის აღწერილობაში.
თანაც ავტორები (აკად. ანდრია აფაქიძის გამოკლებით)
ისე წარმოადგენენ, რომ შესაბამისი თავები ოდენ მათი
ძალისხმევით იყოს დანერილი. ასე რომ, თავების ბოლო-
საც კი არ არის მითითებული თუ რა საფუძველზე, რომე-
ლი ავტორების ნაშრომებზე დაყრდნობით დაინერა ისინი.

მთლიანობაშიც წიგნი ძალზე ძნელი წასაკითხია. ვიმე-
ორებთ, ეს ეხება განსაკუთრებით არქეოლოგიურ ნა-
წილს. თითოეული არქეოლოგიური პერიოდი ძალზე გავ-
რცობილად არის წარმოდგენილი. გვხვდება მრავალ-
სიტყვაობა და ხშირი განმეორებები. რაც უფრო მთავარი
გახლავთ, მთლიანობაში თხრობის შინაარსს ლოგიკურ,
რაციონალისტურ აზროვნებაზე ორიენტირებული მკით-
ხველი ვერ გაიგებს. ასე მაგალითად, წიგნში საისტორიო
ნაშრომისათვის შეუფერებლად ვრცლადაა მოთხრობი-
ლი, ადრეული, შუა, განვითარებული და გვიანდელი ბრინ-
ჯაოს ეპოქები, რომელთაგან თითოეული მათგანი ათას
წელს მოითვლის. შესაბამის თავებში ლაპარაკია ტექნი-
კურ, ეკონომიკურ და სოციალურ აღმავლობაზე. თუმცა



ვლადიმერ კანდელაკი

საგვარეულო ხე

გამოკვეთილი სახით მკითხველი ვერ შეძლებს გააცნობიეროს თუ როგორი გახლდათ ეს პროცესები. არადა, ურყევი ფაქტია, რომ საქართველოში ბრინჯაოს ეპოქის განმავლობაში, მრავალ ძველადმოსავლურ ცივილიზაციათაგან განსხვავებით, ცივილიზაცია ვერ განვითარდა. მიზეზი გასაგებია: ქვეყნის ხშირი ტყიანობა, მაგარი ნიადაგები, შედარებით მკაცრი ჰავა, რაც აძნელებდა ჭარბი პროდუქციის წარმოებას, რაც ცივილიზაციის განვითარების საფუძველი გახდებოდა. სიტუაცია შეიცვალა რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელების გამოისობით. რკინის იარაღებმა, განსაკუთრებით ცულმა და კავმა, შესაძლებელი გახადეს ჭარბი პროდუქტის თვალსაჩინო მასის წარმოება და ამით ცივილიზაციის, კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობა (სხვათა შორის, ამას აღიარებს აკად. ოთარ ჯაფარიძეც. იხ. გვ. 76, 91-92).

რაკი სიტყვა ცივილიზაციაზე ჩამოვარდა, თრიალეთის შუა ბრინჯაოს პერიოდის (ძვ.წ. 2000-1500 წწ.) თაობაზე ნიგნში ვკითხულობთ: „საზოგადოება განვითარების დონით მიუახლოვდა ცივილიზაციის ზღურბლს და თითქმის წინასახელმწიფოებრიობის ზღვარს მიაღწია, თუმცა პირველყოფილი თემური წყობილების დონეს ვერ გასცდა. ჩანს, საზოგადოების ელიტარული ნაწილის ხელთ იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკის სადავეები. ეტყობა, ქვეყნის (რა აზრით? — გ.ყ.) ბელადი უკვე დიდ ძლიერებას აღწევს. მაგრამ ცივილიზაციის ზღურბლამდე მისვლა, ჩანს, უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი გადალახვა და შემდეგ შენარჩუნება“ (გვ. 61-62). ამ, დიდად ბუნდოვან და ირაციონალისტურ დებულებას, ასეთი პასუხი ეცემა: „რა იყო ამის მიზეზი, ახლა გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ შესაძლოა ეს ძირითადად ეკონომიკური სისტემის თავისებურება ხასიათმა განაპირობა, რომელმაც თითქმის ცივილიზაციის დონემდე მისულ საზოგადოების უზრუნველყოფა ვერ შეძლო და ეს პროცესი ჩვენში კარგა ხნით გადაიდო“ (გვ. 62). დაგვეთანხმებით, რომ ვერაფერი ახსნა. ისე კი ეს ძნელი არ უნდა იყოს. ე.წ. თრიალეთურ კულტურას ჩანს, ნომადიზმის (სათანადო ბუნებრივ პირობებში მეცხოველეობის მაღალი განვითარების) პირობებში ჰქონდა ადგილი. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა საქონლის გადარეკვას საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულოზე და პირიქით. ერთი სიტყვით, შესაბამისი საზოგადოება ძირითადად მეურნეობის ამ დარგს ეფუძნებოდა. ცივილიზაციას ჩვენში კი, როგორც უკვე მივუთითებდით, სხვაგვარი ეკონომიკური, კერძოდ, ტექნიკური საფუძველი ესაჭიროებოდა. მისასაღმებელია, რომ 76-ე გვერდზე ავტორი რაციონალურად განმარტავს ამ სიტუაციას.

დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში მტკვარია-რაქის კულტურის გავრცელებას იგივე ავტორი ასე ხსნის: „ჩანს, კოლხეთის სუბტროპიკული გარემო ნაკლებად იზიდავდა ამ კულტურის მატარებელ ტომებს“ (გვ. 44). გაურკვეველია ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი, რომელსაც დავით მუსხელიშვილი გადმოსცემს. ჩანს, ძირითად ვინრო სპეციალობის — საისტორიო გეოგრაფიის სპეციალისტმა თავი ჩათვალა, რომ ამ პრობლემას შესჭიდებოდა. საკითხი სულ ოციოდე გვერდზეა გადმოცემული და ტექსტი წარმოადგენს სხვა ავტორთა

მოსაზრებებს, რაც, ცხადია, არ არის მითითებული. თუ რას ფიქრობს ამის თაობაზე თვითონ ავტორი, მწყობრი სახით ეს გაურკვეველი რჩება.

145-ე გვერდზე ვკითხულობთ: „როგორც გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მატარებელი, ისე ძველი კოლხური სამეფოს მოსახლეობა უმეტესად ქართველური ტომებისგან შედგებოდა. იგულისხმება, რასაკვირველია, კერძოდ, ქართველი (ვინრო გაგებით) ტომებიც. თუ ასეა, მაშინ ჩვენი წინარე სამშობლო ჭოროხის აუზში ყოფილა საძებნი და აქედან მომხდარა ქართველის მიგრაცია აღმოსავლეთისაკენ (გვიანბრინჯაოს ხანაში!). 162-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ არზრუმის ზეგანზე და ჭოროხის აუზში ცხოვრობდნენ კერძოდ ტაოელები (ქართველები?) და სასპერიმერებიც.

ვფიქრობთ, ბევრად უფრო საფუძველიანი და პერსპექტიული გახლავთ აკად. ოთარ ჯაფარიძის მოსაზრება მტკვარარაქის კულტურის თაობაზე: ეს კულტურა, ჩანს, ძირითადად კავკასიური წარმომავლობის ტომების კუთვნილება უნდა ყოფილიყო, უპირატესად ალბათ ხურიტული და ქართველურენოვანი მოსახლეობის. ქართველურ ტომებს ამ დროისთვის ძირითადად ალბათ ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია ეკავათ“ (გვ. 49).

მთლად გარკვეული არაა დიაოხის გაერთიანების ხასიათის საკითხი (გვ. 138). მაგრამ მთავარია ის, რომ შესაბამის მოსახლეობას აკად. გიორგი მელიქიშვილი და იგორ დიაკონოვი ხურიტულად მიიჩნევდნენ. ტოპონიმიკური, ანთროპონიმიკული ფაქტები, ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ ამ მოსაზრებას ამყარებენ. ამიტომაც უადგილოდ გვეჩვენება ძვ.წ. XII საუკუნესთან მიმართებით ტაოელთა დიდ გაერთიანებაზე ლაპარაკი (გვ. 127). „ტაო“, „ტაოელი“ და მისთ. ამ ხანისთვის აქ ჩვენ ეთნოსზე მიგვანიშნებს, რაც უსაფუძველოა. თუ ერთი მხრივ დიაოხი//ტაოს სახით ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობაა ხაზგასმული, მეორე მხრივ, ეს დაკავშირებულია რკინის მეტალურგიის ფართოდ ათვისებასთან ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან (გვ. 12). კარგია, რომ აკად. გიორგი მელიქიშვილი სასპერ//იბერების თაობაზე დაუბრუნდა ძველ, სიმონ ჯანაშიასგან მომდინარე თვალსაზრისს, ასევე აღნიშნავს ალექსანდრე სვანიძის მშვენიერ მიგნებებს. მაგრამ მსგავსი რამ თავისთავად როდი მომხდარა, რაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს ტომის რედაქტორს. ასევე მისასაღმებელი იქნებოდა საქართველოში მოღვაწე ურარტოლოგოსის პეტრე უმაკოვის რიგ მოსაზრებათა დამოწმებაც.

ნიგნში გამეორებულია სიმონ ჯანაშიასგან მომდინარე მითი — უკვე ძვ.წ. VI საუკუნისათვის კოლხეთში (რიონის აუზში) სახელმწიფოს არსებობა. ამასთანავე, თითქოს ძვ.წ. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) დასავლურქართული სახელმწიფო (გვ. 130). მაგრამ თუ მეცნიერების და არა მითოლოგიის საფუძველზე ვიდებთ, ფაქტია, რომ ჭოროხის აუზში მდებარე კოლხა//კულხას გაერთიანებაზე საუბარი შეიძლება ძვ.წ. VIII საუკუნის მიმართ (ურარტუელი საისტორიო წყაროების მიხედვით). მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ამ გაერთიანების ხასიათი: გასცდა თუ არა იგი ძირითადად ე.წ. სამ-

ხედრო დემოკრატიის ზღვარს. რაც შეეხება უფრო ჩრდილოეთით მდებარე ვითომდა კოლხეთის სამეფოს, მსგავსი მტიკიცებულება ეფუძნებოდა ე.წ. კოლხური თეთრის (ქართული ენით რომ იქნა „მონათლული“) მოჭრის ფაქტს. მაგრამ უკვე ქართველი არქეოლოგოსებიც კი მიიჩნევენ, რომ ეს ფული ფაზისში იჭრებოდა ბერძნული დასახლების მიერ. ხომ დიდად საოცარია: თითქოსდა არსებობდა სახელმწიფო, რომლის არც სამეფო დინასტია, არც დედაქალაქი, არც ქმედებანი (*res gestae*) არაა ცნობილი! დაბოლოს, აღნიშნული ტერიტორია ხომ ამ პერიოდისათვის მრავალტომიანობით იყო ცნობილი.

ხოლო რაც შეეხება კოლხებისა და იბერიის (ქართლის) საზოგადოებათა ეკონომიკური განვითარების დონეს, იგი ლამის ანტიკური ქვეყნების საბერძნეთისა და რომის მსგავსადაა წარმოდგენილი. სახელდობრ, წიგნში ლაპარაკია სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ალებ-მიცემობის საკმაოდ მაღალ დონეზე, ქალაქების ფართოდ გავრცელებაზე. მაგრამ ფაქტია, რომ ამ განვითარებას არ გამოუწვევია მინაზე კერძო საკუთრების, ე.ი. მიწის საქონლად გადაქცევა, რაც საფუძვლად დაედებოდა საზოგადოების თვალსაჩინო დინამიკას. გარდა ამისა, არ ჩანს, რომ ახალი, ფეოდალური ხანა ამგვარ საფუძველზე ყოფილიყოს დამყარებული. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი თითქოსდა მაღალი ეკონომიკური განვითარების დონე ახ.წ. IV-V საუკუნეებში დაპყრობებმა, ანდა ბარბაროსების შემოსევებმა დასცეს.

წიგნი სხვა, შედარებით ნაკლები ხასიათის შენიშვნებსაც იწვევს. რას ნიშნავს „ქართლის სამეფოს კერასული სტრუქტურა“ (გვ.7) დიდად საეჭვოა, რომ მეცხოველეობის განვითარების დროს საქონელზე საერთო საკუთრება არსებულებოდა (გვ. 34, 36, 43, 47). გაუგებარია, თუ რას უნდა ნიშნავდეს IV ათასწლეულის შუახანებში აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამინათმოქმედო კულტურის დასრულება (გვ. 41). რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: შიდა ქართლში გაუსაძლისი პირობები (გვ. 37) ანდა ლითონის კავები დომენებში (გვ. 53). დიდად საეჭვოა, რომ ქსენოფონტეს ლაშქრობისას (ძვ.წ. V ს-ის ბოლო) შვიზღვისპირეთის ქართველურ (სანურ თუ კოლხურ) ტომებში მეორეული გვაროვნული წყობილება არსებულებოდა (გვ. 156). გაუგებარია თუ რა აზრით არის ნახმარი ლეგენდარული ქუჯი (გვ. 209). რას ნიშნავს ცხენების სამარხი (გვ. 216)?

თუ ერთგან ვკითხულობთ, რომ ებრაელობა ნაბუქოდონოსორის (მეფობდა 604-562 წლებში) დროს გაჩნდა (გვ. 226), შემდგომ შესაბამის თარიღად ძვ.წ. 189 წელია ნაჩვენები. აშკარა შეცდომაა, თითქოს ტერმინი „გეორგია“ ბერძნული სიტყვიდან მოდის. დიდ გაურკვეველობას შეიცავს „ქართული კავკასიური ცივილიზაცია“ (გვ. 298). ანდა რას უნდა ნიშნავდეს „ალაზნისა და ივრის ხეობების ქალაქური ცივილიზაცია?“ (გვ. 301).

დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით ენობრივი ხასიათის ლაფსუსებსაც. ქართულად არასწორია „რედკოლეგიის“ ხმარება, ასევე შიდა ქართლის გაღმა მხარე (გვ. 10). ხომ ენობრივი ფაქტია „გალამხარი“? მიმთვისებლური მეურნეობის ერთ-ერთ დარგზე შეგროვება (გვ. 11, 14, 15) კი არ უნდა ვთქვათ ან დავნეროთ, არამედ — შემგროვებლობა. მთლად ალოგიკურია ასეთი მსჯელობა: „ზედა პალეოლი-

თის დროს კავკასიაში მკვეთრად იცვლება ბუნებრივი პირობები, საგრძნობლად აცივდა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა გარე სამყაროზე, ფლორაზე და ფაუნაზე. ზედაპალეოლითური ადამიანი უფრო თბილი კლიმატის პირობებში განაგრძობს (!) ცხოვრებას“ (გვ. 16). მცდარია სიტყვა „აღსდგაის“ ხმარება (გვ. 18). უხერხულია ვთქვათ: „ნაბინადარი ადგილი“ (გვ. 19). ხომ ძალიან ცუდი ქართულია ქვა და ხე მშენებლობაში თითქმის არ მონაწილეობს (გვ. 37)? ანდა „ცხენი სამხედრო საქმეში ჯერ კიდევ თითქმის არ მონაწილეობს“ (გვ. 82). არ უღერს ქართულად „ნახიჩევანი“ (გვ. 39).

46-ე გვერდზე აღნიშნულია: „ზოგიერთ ნამოსახლარებზე აღმოჩნდა კულტურული ვაზის მარცვლები“. ყურს ეწოთრება „კოლხეთის ველი“ (გვ. 50), „წესრიგის გარეშე ელაგა“ (გვ. 53). ქართულად „სერდოლიი“ (ხშირადაა) კი არ არის, არამედ — სარდიონი. ფრიად უხერხულია დავნეროთ: „საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალური სტრუქტურა“ (გვ. 75), „სტაციონარული დასახლებული ადგილები“ (გვ. 77). „რიონის ნალექის“ ნაცვლად (გვ. 100), ცხადია, უნდა იყოს შლამი. ძველბერძნული ენის ოდნავ მცოდნესაც კი ყურს მოსჭრის „ავტოქტონობა“ (გვ. 111, 112, 113, 114, 117, 118, 123, „აკტონ“ ძირი უკავშირდება კვლას). წიგნში ხან „ურარტული“, „ურარტული“ გვხვდება და ხანაც „ურარტელი“, „ურარტელები“. „მეხორბლობა“ (გვ. 155) ყურს ეხამუშება, აქ სჯობდა, რა თქმა უნდა, მარცვლეულის მეურნეობა. შეცდომაა დავნეროთ „ფარნავაზიანელთა დინასტია“ (გვ. 165), „მკაცრი მოსახლეობა“ (გვ. 187). ძველი სომხეთის დედაქალაქად ხან „არტაქსატა“ მოიხსენიება (გვ. 192, 194) და ხან — „არტაშატი“ (გვ. 193, 199). ძონი არ შედის ძვირფასი ქვების კატეგორიაში (გვ. 201). ბერძნული სიტყვა „ჰიეროდულები“ უნდა ითარგმნებოდეს არა „წმინდა მონებად“ (გვ. 220), არამედ — საღვთო მონებად. წიგნში ხან „აქტივობას“ ვხვდებით (გვ. 228) და ხან „აქტიურობას“. შეცდომაა „იმპერატორი ვალერიანი“ (გვ. 207). ენობრივი ლაფსუსია „სამთაბარო მეცხოველეობა“ (გვ. 236), იმხანისათვის უპრიანია გვარების და არა „საგვარეულოების“ ხმარება (იქ-რისა). „ღმერთკაცების“ მაგიერ უნდა იხმარებოდეს ღმერთები (გვ. 239). შეცდომას წარმოადგენს „კალიმაქსი“ (გვ. 286), „სანესო ჭურჭელი“ (გვ. 298).

ასეთი გახლავთ სარეცენზიო წიგნის პირველი ტომის სამეცნიერო ავლადიდება. კვლავ გავიმეორებთ, რომ იგი ძირითადად ავტორთა ძველი იდეებით არის დაწერილი, ახალი ფაქტების მოხმობა მხოლოდ სამკაულებად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც სარედაქციო კოლეგიის შესავლიდან ვგებულობთ, „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ჩანაფიქრის იდეა თვითონ ავტორთა მხრივ კი არ წამოსულა, არამედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უწინდელი პრეზიდენტისაგან. თავის მხრივ, კარგია, რომ მიუხედავად ასეთი დიდი ნაკლოვანებებისა, ოთხტომეული, როგორც ამბობენ, 4000-იანი ტირაჟით გამოვიდა და უკვე გაიყიდა. ასე რომ, მოსახლეობაში არის მოთხოვნილება მსგავსი შინაარსის წიგნზე. იქნებ ამ გარემოებამ უბიძგოს ქართველი ისტორიკოსების მომდევნო თაობებს შექმნან ახალ, სოლიდურ საფუძველზე გამართული საქართველოს ისტორია.

ვანო აბულაძე

„საქმა ბოლომდე უნდა მიდიოდეს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ე.წ. „პახმელია“, „ზაპოი“.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ზღვისპირა ქალაქში, სადაც სულ წვიმს.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სიყვარულის განცდა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დონ კისოტი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვინსენტ ვან გოგი, კლოდ მონე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ლალიძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ღირსებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— შინაგან მშვენიერებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სულგრძელობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კულინარია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ასეთ ადამიანს არ ვიცნობ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მოვერიო საქმეს სიყვარულით.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ბუტია ვარ ძალიან, სულ ფერებას ვითხოვ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— შემოქმედებითი და ადამიანური ჰარმონია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შემოქმედებითი და ადამიანური კრიზისი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ისეთი, როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ჯონჯოლი, აკაცია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— სირაქლემა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ერის მარია რემარკი. გიორგი ლეონიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, შანდორ პეტეფი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მარიტა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— სესილი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— თვითკმაყოფილებას, ფუქსავატობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— არისტრატე.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რეფორმა, რომელიც ეკუთვნის ჩვენს მაცხოვარს, იესო ქრისტეს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მინდა ვფლობდე აღმოსავლურ ორთაბრძოლებს.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მაქსიმალურად განწმენდილი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— არც ისე პესიმისტური.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— შეყვარებული ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომები.

— თქვენი დევიზი?

— ნებისმიერი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— გეპატია.



ლაშა იმედაშვილი

ჰალალი თბილისური ამბავი

მთვარე იყო ისეთი ახალგაზრდა და ლამაზი, რომ მისი მარტო გაშვება ბნელი ღამით გარკვეულ ხიფათთან გახლდათ დაკავშირებული. თბილისელთა უმეტესობას თავი მალლა აენია და ცას მიშტერებოდა. საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა, რომ მოქალაქენი ნამძინარევი მზერით მართლაც მნათობს აცილებდნენ, არადა სულ სხვა რამ კი ხდებოდა. ირგვლივ იდგა დამწერის სუნი, დაფარფატებდა ფერფლის ნაფლეთები და ჭირდა სუნთქვა. ძნელი მისახვედრი აღარ უნდა ყოფილიყო, რომ ქალაქში რაღაცას ცეცხლი ეკიდა, ეს რაღაც კი გახლდათ თბილისელთა სიამაყე ოპერის თეატრი.

ამ ადგილიდან მოშორებით, ბაღებში საქეიფოდ შეკრებილ საზოგადოებას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ ამბების შესახებ.

იმ დღეს თავად ჭავჭავაძის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას აღნიშნავდნენ.

დროსტარება.

ეს ბაღები თბილისელთა უსაყვარლესი თავშესაფარი გახლდათ ჩვენში გამეფებული ზაფხულის პაპანაქების დროს. ადგილი ეკუთვნოდა მოქალაქე ტერ შიმოვანოვს, რომელსაც თავის მხრივ ის ეყიდნა დოსიეთოს ფიცხელაურისგან. თუკი თბილისში ვინმე საპატიო სტუმარი ჩამობრძანდებოდა სუფრას სწორედ აქ უშლიდნენ, თანაც, დროადადრო, ამ სტუმრის გასახალისებლად, გასაოცარ რამეებს იგონებდნენ. შუა ქეიფში ნამოვიდოდა ნავი დასტით და მოქეიფების პირდაპირ დადგებოდა. მოთავე დასძახებდა, წმინდა სანთლები ანთეთო. აინთებოდა ნავის გარშემო სანთლები, მერე ისევ დასძახებდა, გაშალეთ სუფრაო, ამის შემდეგ მიართმევდნენ თეფშს ზედ ოთხი ჭიქით, შესვამდა ოთხივეს დიდის მოლხენით და თავის ამხანაგს გადაანვდიდა.

ასეთი ნავის ადმირალი, თითქმის ყოველთვის ბრძანდებოდა კუნძუა ყასაბი, რომელსაც ყოველდღიური სმა და დროსტარება ცხოვრების მთავარ საქმედ ჰქონდა გადაქცეული. სწორედ ამ კუნძუას შესცქეროდა შეკრებილი საზოგადოება და მის სიტყვას ელოდა. ოთხი ჭიქის დაღვევის შემდეგ კუნძუა ხელს შემართავდა, ეხლა მწვადები მოვიდესო. ამის გაგონებაზე ერთი მოქეიფე წყალში გადაეშვებოდა, ჯერ ჩაიკარგებოდა, მერე მძორივით ამოვარდებოდა ზედაპირზე, მოუსვამდა ვეება მკლავებს და ტიტველი ამოვიდოდა მიკიტნის დუქანთან. იქიდან ცხელ-ცხელ შამფურებს ცურვით მიიტანდა ნავამდე, ამხანაგებს გადააწოდებდა და ოთხ-ოთხი ჭიქის ჩამორიგებას თავიდან დაიწყებდა. ნაპირიდან გაგონილი მუსიკა მოქეიფეებზეც ძალიან მოქმედებდა, სვამდნენ და ხშირ-ხშირად იძახდნენ: ერთი კიდევ გეთაყვა, ჯანუმ, გიურზუმ.

თბილისური სუფრა თევზეულის გარეშე წარმოდგენილი რამ გახლდათ. ამ საქმეზე თბილისში საგანგებო კაცები ჰყავდათ მიჩენილები. ბადით, კონით, ფიცრით, ნემსკავით, საფიჩხურით, ოჩხით იჭერდნენ მეთევზეები თევზებს და პატრონებთან მოჰქონდათ.

სხვაც ბევრი რამ ელაგა სუფრაზე.

ყველანაირი ფლავი, ბრინჯი ხორცთან ერთად მოხარშული, სხვადასხვა ფერისა და გემოვნების, ყვითელი ფერის შაქრით, დარიჩინითა და ზაფრანით, წითელი ბრონეულის წვენი, თეთრი სხვადასხვა საკმაზით შეზავებული.

მერე მოჰქონდათ კუპატები, ყაურმა, მომჟავოდ მოხრაკული ხორცი და სხვა ამგვარი საჭმელი. ცალკე მოჰქონდათ სამღვდლოებისთვის თევზი, კვერცხი და მწვანილი.

სუფრაზე ელაგა ას ოცამდე ღვინის სასმისი, ბადიები, თასები, ყანწები, კულები, აზარფეშები. თავიდან ცოტას სვამდნენ, მხოლოდ მესამე თავი საჭმლის შემდეგ ხურდებოდნენ. ჩამოურიგებდნენ რვა კაცს ერთი ზომის თასებს, გაჰყოფდნენ შუაზე, თამადის აქეთ და თამადის იქით, მერე წამოდგებოდნენ ფეხზე და დასცილდნენ სასმისებს. ჯერ მარჯვენა ოთხეული დასძახებდა ალავერდი, შემდეგ მარცხენა უპასუხებდა იახშიოდ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდებოდნენ საკუთარ ადგილებს.

აბა პურის გარეშე რა ქეიფია. თბილისში საქმე ასარჩევადც კი იყო: მურასა, საგარეჯო, პირგაჭრილი, კაკალა, შოთის პური. პირველობა მაინც შოთის პურს ეჭირა, ეს კი თონეში ცხვებოდა. აქვე იყო სიფრიფანა ლავაში, რომელიც თბილისელთათვის საჭმელიც იყო, თეფშიც, საკვების გასახვევიც და ხელსახოციც.

შემოვიდნენ რუსები და გამართეს საკუთარი პურის საცხობი, იქვე, ერევნის მოედნის სიახლოვეს. ამას მოჰყვა ფრანგული ბულკები, რომელსაც თავიდან რუსი მეზულკე აცხობდა და ფრანგულად ასალებდა. ნამდვილი ფრანგები მერე გამოჩნდნენ, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, ცხობას ვერ აუდიოდნენ.

უცეცხლოდ, უფრო კი უნახშიროდ კერძი ვერ დამზადდებოდა.

დუქანში, სახელოსნოში, ტრაქტორში, ყავახანაში, ოჯახში, მოკლედ ყველგან იდგა ქურსი. მაყალზე თბილისელები სწვავდნენ უმთავრეს კერძს, სხვადასხვა მწვადსა და ნაირფერ ხორცის ნაჭრებს, ამ ყველაფერს კი ნახშირიც ბევრი უნდოდა. ზამთრობით ქალაქი ათას ტომრამდე ნახშირს მოიხმარდა. ეს ტომრები დაჰქონდათ სახედრებით, აქეთ-იქით გადაკიდებული ტომრებით, წონა ჰქონდა ერთი ფუთი, ხოლო ფასი იწყებოდა ოცდახუთი კაპიკიდან და ადიოდა ორმოც კაპიკამდე, ოლონდაც ვერცხლის ფულით.

მენახშირეები იკრიბებოდნენ ვირის მოედანზე, შუა ბაზრის მახლობლად. ცხოვრობდნენ თბილისის გარეუბ-



ნებში და, როცა არ ვაჭრობდნენ, ლოთობდნენ. ეს ხდებოდა ძირითადად საღამოთი, როდესაც გაუყიდავ ნახშირს სოლოლაკის მხარეს დააბინავებდნენ ნაცნობ-მეგობარ ხელოსანთა სათავსოებში.

ეს მუშა ხალხი იყვნენ დასავლეთ საქართველოდან გამოქცეული ყმები. შექმნილი ჰქონდათ პატარა ამხანაგობები, ხეებს სჭრიდნენ ქალაქიდან მოცილებით, იქვე თხრიდნენ ორმოებს, სწვავდნენ ნახშირს და ფულსაც თანაბრად იყოფდნენ. არც ტყის მეპატრონეს ივინყებდნენ, რომელსაც ერთ ორმოში ტომარა ნახშირს აძლევდნენ კვირაში.

გამოქცეული ყმებს, იგივე მენახშირეებს, რა თქმა უნდა, ეძებდნენ. ტყე-ღრეში მოხეტიალე ხალხის ძებნა ჭირდა, დავიდარაბა მაშინ იწყებოდა როდესაც ისინი ქალაქში გამოჩნდებოდნენ. ეს მუდამ გამურული, დაუბანელი ხალხი ნახევარი ცხოვრება ფულს აგროვებდა, რომ ოჯახს მოჰკიდებოდა. დავიდარაბაც აქედან იწყებოდა, შეიტყობდა მისი ბატონი და გამოსასყიდის მოთხოვნით თავზე დაადებოდა. მეტი რა გზა იყო, მენახშირე წვალებით ბატონს გაისტუმრებდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა, მალევე გამოჩნდებოდა მეორე, რომელსაც ეს მენახშირე სულაც არ ეკუთვნოდა, მაგრამ ისიც დაჟინებით ითხოვდა ფულს, თუმცა კი ვერაფერს ამტკიცებდა და ახირების გარდა საბუთი არაფერი გააჩნდა. ატყდებოდა ჩხუბი, დავა, პოლიციაში ჩივილი, მტკიცება, გამიშვი-გამატარე და ხშირად ხელის შემორტყმაც. მთავრობა ბატონის მხარეს იჭერდა და მენახშირეს ხელმეორედ უწევდა ფულის გადახდა.

მაგრამ მოქეიფე კაცი სხვისი ვარამით როდის შენუხებულა.

ასე იყო თბილისშიც.

ნელ-ნელა ქეიფის სიყვარული ბევრისთვის საყვარელ საქმედ და პროფესიად გადაიქცა. თბილისში ჩანგალი არ გახმაურდებოდა ამ ხალხის გარეშე, რომლებიც, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, სანაქებო სიტყვა-პასუხით, ლექსების მარაგითა და რუსული რომანსების ცოდნით გამოირჩეოდნენ. გიორგი მუხრანსკი, შახოვსკოი, მირსკი, ისაკა, ჯორჯაძე, სულთან გირეი და ალაღაროვი, ეს ის ხალხი იყო, რომლებიც თბილისის ისტორიას შემორჩნენ და დასაბამი დაუდეს იმ ხალხის დასტას, ვისაც თბილისში ცხოვრების გატანა მხოლოდ მოსწრებული საუბრითა და ჭიქა-ყანწის დაცლით შეეძლო.

იმდროინდელ თბილისში ყველას პირზე ეკერა გიგო ყარანგოზიშვილის სახელი. ეს იყო განთქმული მოქეიფე, დარდიმანდი, ლოთი-შფოთი კაცი, რომელიც, როგორც ამბობდნენ, სმაში ჭკუას არ ჰკარგავდა, მაგრამ ეს სმა თავისებური ფოკუსებით იცოდა. ჰყვებოდნენ ასეთ ამბავსაც, ღვინით სავსე ჭიქას დაიდგამდა ხელისგულზე, მერე ხელს ისე გადმოატრიალებდა, რომ ეს ხელისგული ზემოთ მოექცეოდა, ჭიქაც ზედ ედგა და არც ღვინო იღვრებოდა. ახლა ღვინო უნდა დაეღია, ეს საკმაოდ ძნელი საქმე გახლდათ, მაგრამ გიგო ამასაც ახერხებდა. მოხრიდა კისერს ძარღვების დაწყვეტამდე, იმდენად გადმოხრიდა წინ, რომ ნიკაპი თითქმის გულის ფიცარს იყო მიბჯენილი, ასე მიუახლოვდა ტუჩს ხელისგულზე მდგარ ჭიქას. ამის შემდეგ დაიწყებდა ღვინის ნელ-ნელა წრუპვას. სასმისს ნახევრამდე ჩაიყვანდა და ახლა უკვე კბილებით დასწვდებოდა ჭიქას, დარჩენილ სითხეს დასცლიდა და დაიწყებდა შუშის კვნეტას. აქაც დიდ ხელოვნებას იჩენდა, ისე ჰყრიდა პირიდან შუშის

ნამსხვრევებს, რომ ოდნავადაც არ გაიკანრავდა ტუჩებს, არც ზედას და არც ქვედას.

ღვინის გადამეტებულ სმასა და გაუთავებელ დროსტარებას ბევრი ჰყავდა გასულელებული. ერთი ასეთი კაცი ყოფილა, თბილისელთათვის კარგად ცნობილი, ქვემო ავჭალაში მცხოვრები, ზაალ გურამიშვილი, რომელსაც მოფერებით და ცოტა დაცინვით კიდევ ზალიკუნას ეძახდნენ. ზალიკუნა ოღლა გურამიშვილის ნახევარ ძმა ბრძანდებოდა. თადეოზს ოთხი შვილი ჰყოლია ორი ცოლისგან. ოღლა ილია ჭავჭავაძის მეუღლე იყო, მისი და, ეკატერინე გენერალ სტაროსელსკის გაჰყოლია ცოლადა. თადეოზს მეორე ქორწინებიდან ქალ-ვაჟი შეეძინა, ანიკო და ზაალი. თვითონ თადეოზი გამუდმებით საგურამოში ცხოვრობდა, ხოლო ქვემო ავჭალის სახლი ოჯახობას დაუთმო. სწორედ ამ სახლის წინ სცემდა ხოლმე ბოლთას ზალიკუნა და გამვლელ-გამომვლელს ღვინოზე ეპატიჟებოდა. ღვინის სმაში განსაკუთრებულ ნიჭს იჩენდა. იმდროინდელ ავჭალაში სავსე იყო დუქნები და დროის გასატარებელი ადგილები, ზალიკუნა კი ოსტატურ მელეკურედ ითვლებოდა. გაიგებდა თუ არა ზურნისა ან არღნის ხმას გაავარდებოდა და ჩამოუვლიდა ცეცხლთან ლეკურს. მოქეიფეები უკვე კარგად იცნობდნენ ზალიკუნას ან მხიარული შეძახილით ეგებებოდნენ.

— კნიაზჯან, მოდი ერთი ღვინო მიირთვი და კარგი ლეკური ჩამოუარე.

ზალიკუნას არ სჭირდებოდა დიდი ხვენწა, თვითონაც მუდამ მზად იყო საცეკვაოდ და სათამაშოდ.

თუ დუქნებთან არ დაეხეტებოდა, მაშინ, როგორც ითქვა, სახლის წინ იდგა და ქუჩაში მოხეტიალე ხალხს ეპატიჟებოდა, თუმცაღა ერთი დათქმით. ყველა ვერ ეღიროებოდა ღვინის დაღვევას, მსურველს გარკვეული პირობა უნდა შეესრულებინა. ჭიქას უნდა დასწვდებოდა და სადღეგრძელოს მაგივრად უნდა ეთქვა:

— გაგიმარჯოს, კნიაზო, შენს დედას ასე უყავი, შენს დას კიდევ ასეო.

ამისთვის უნდა დაეყოლებინა, რაც შეიძლება, ბილწი და უნმანური სიტყვები. ნამუსიანი ხალხი იუკადრისებდა ხოლმე ასეთ პატიჟს და იქაურობას გაეცლებოდა. ქალაქში გაქნილ და გაკინტოებულ ბიჭბუჭებს კი ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ და ადვილად ასრულებდნენ ღვინისგან ტვინგათხელებული ბატონიშვილის ახირებულ სურვილს. ზოგიერთს ამ სიტყვების ხმამაღლა თქმა ერიდებოდა და ჩუმად რალაცას ჩაიბუტბუტებდნენ, მაგრამ ზალიკუნა არ ტყუვდებოდა, მისი სურვილი იყო, რომ გინება რაც შეიძლება ხმამაღალი ყოფილიყო, რათა ბალკონზე ანდა ოთახში მჯდარ დედასა და დას კარგად გაეგოთ ყველაფერი. საბრალო ქალებს ესმოდათ და ამ უხერხულობის გამოსწორებას ცდილობდნენ. ამ დროს დედა გადმოსძახებდა ხოლმე შვილს:

— ზაალ, როგორ არ გრცხვენინან, ამოდი აქ!

მაგრამ ვინ იყო მსმენელი.

სწორედ ამის გამო იყო, რომ რუსები და ვაჭარ-ჩარჩები ბაზაზხანური ლათაიებით გვილაყებდნენ თავს და თვალეებს გვიბრმავებდნენ. საკმარისი იყო ქართველს რამე საქმე წამოეწყო, რომ წამსვე გამოჩნდებოდნენ ვითომდა კეთილისმსურველები, რომლებიც ლაზღანდარული კილოთი ჭკუის დარიგებას იწყებდნენ: ეჰ, ერთი თავი დაანებეთ, თქვენს გაზრდას, ვის გაუგონია ქართველის დუქანი, სომხის გუთანი? ვაჭრობა რა თქვენი საქმეა, ღმერთს თქვენთ-

ვის სხვა შნო და უნარი მოუცია, ლხინი, ქეიფი, ნადიმი, აბა ამაში ვინა გყავთ ტოლი და მოცილე? აფსუს, ამას თავი ანებეთ და რალაც წვრილმანი ვაჭრობისთვის მიგიყვიათ ხელი, რა თქვენი საკადრისია!

აი, ასეთებიც ხდებოდა.

იმ დღეს, უფრო სწორად, იმ ღამეს, როგორც უკვე ითქვა, თავად ჭავჭავაძეს სამხედრო სამსახურიდან აცილებდნენ. ამჯერად სუფრა ევროპულ ყაიდაზე გახლდათ განყოფილი. თავყრილობას ესწრებოდა ოთხმოციოდე კაცი, უმეტესად სამხედროები, სათანადოდ აღკაზმულები და გამონყობილები. სადილის საორგანიზაციო ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდათ გენერალ-მაიორ მარკოვს და პოლკოვნიკ რეიტერს. საჭმელების რუკა, იგივე მენიუ, მხატვრულად გაუფორმებია ვინმე ფრენს, რომელსაც ამ ქალაქში დაუტანია წმინდა გიორგის ჯვარი, ხოლო კუთხეებში სამხედროები გამოუსახავს, როგორც ქვეითები, ასევე ცხენოსნებიც. თვით საჭმელების სახელებიც ისე იყო შედგენილი, რომ კაცს უმალ გენერალ ჭავჭავაძის სანაქებო საბრძოლო წარსული გაახსენდებოდა და ის ადგილებიც ამოუტივტივებოდა გონებაში, სადაც გენერალი საბრძოლო კავკასიელებს ჟღერდა და ანიოკებდა.

ჩამონათვალი დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

არაყი ჩინჩაკი.

სულაკსკის თევზის წვნიანი.

ჟალკი და ბასსას თევზეული.

არვარტანის ფილე.

პუნშს გლასე-ბამ-კადიკლარი.

კიურუკ-დარის ფაზანები და ქათმები.

ალაჯინის ბრონეულები.

მშობლიური კავკასიის ხილ-ბოსტნეული.

ყავა და ჩაი.

იუბილარი სუფრაზე გენერალ-ლეიტენანტ გურჩინის თანხლებით გამოცხადდა. იქ უკვე იცდიდნენ მისი თანამებრძოლები და კორპუსის ახალი ხელმძღვანელი თავადი ამილახვარი. გენერალმა შერეშეტივემა ჭავჭავაძე დალოცა, რაც საერთო სიხარულსა და ვაშას ძახილში გადაიზარდა. ამის შემდეგ სიტყვა ამილახვარმა ითხოვა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, თავადო! მთელი კავკასიის ჯარის სახელით მინდა დაგლოცოთ და ჯანმრთელობა გისურვოთ. ამ მენიუსა და თქვენს სახელოვან საბრძოლო გზას ვერაფერს დავამატებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი, ასიოდე კერძი რომ დაემატოს ამ ჩამონათვალს, სრულს სურათს მაინც ვერ მივიღებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ახალ ადგილზე, ხელმწიფისა და ქვეყნის სამსახურში.

ამ სიტყვის შემდეგ ნაკითხულ იქნა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მთელი გულითა და სულით წარმოთქვა გენერალ-ლეიტენანტმა ჩარკოვსკიმ. ამას მოჰყვა ერთ მუშტად შეკრული ვაშას ძახილი და ძვირფასი სასმისების წკარუნი. როდესაც მზიარულება მეტ-ნაკლებად ჩაცხრა, სიტყვა თბილისის კომენდანტმა ერნსტმა ითხოვა და იუბილარს ბუხარის ემირის საჩუქარი გადასცა. თავად ემირი, მირ-სეიდ-აბდულ-ახად-ხანი, ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, მოკრძალებულ ბოდიშს იხდიდა და სამეფო ძღვენს აგზავნიდა, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ოქროს ასობით ამოქარგულ ფირმანსა და ამომავალი მზის ორდენში, რომელიც ძვირფასი ქვებით გახლდათ განწყობილი.

ამას კვლავ მოჰყვა ვაჟკაცური ვაშას ძახილი და ჭიქების წკარუნი.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც სამხედროებთან არაფერი ჰქონდა საერთო, თუმცა მაინც ესწრებოდა თავყრილობას, გახლდათ ჟურნალისტი სამსონ ბალახაშვილი, რომელსაც მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა მიცემული. კერძოდ, მას ზედმინევით ზუსტად უნდა აღენერა ხსენებული თავყრილობა და თბილისელთათვის ეცნობებინა, რა თქმა უნდა, გაზეთის მეშვეობით. ურთიერთობის ასეთი ფორმა, იგულისხმება სვეტსკი ხრონიკის ატდელი, ნელ-ნელა, როგორც იტყვიან, მოდამი შემოდოდა და თბილისელთა საყვარელი საკითხავი ხდებოდა, სამსონი კი ამ საქმის ნამდვილ ოსტატად ითვლებოდა.

ამბების მიტან-მოტანა.

სანამ გაზეთი შემოვიდოდა, სხვადასხვა საინტერესო ამბავი ზეპირი სახით ვრცელდებოდა. ამგვარი ადგილი თბილისშიც ყოფილა და სალაყბო რქმევია, ბევრი ლაპარაკისა და ყველასთვის ნაცნობი სიტყვის გამო. თვით ეს ადგილი განთავსებული იყო ერეკლეს სასახლის წინ, ყოფილ ეგზარხოსის მოედანზე. სკამების მაგივრად ელაგა ტივის მორები და ზედ ჩამომსხდარი მოსაუბრენი დაახლოებით ამგვარ დიალოგს მართავდნენ ერთმანეთში.

კნიაზო, დიმიტრი, შეიტყვე რა მიუქარავს განჯის ხანს?! რა მიუქარავს? არ შემიტყვია.

ჩვენს ბატონს გადასდგომია.

ეს მერამდენე ლალატია?! აი შეურცხვა თავი, შეურცხვა კაცობა, ფუი იმის წვერ-ულვაშს... შენ კი შეგიტყვია, კნიაზო ესავე, სარდლის სასახლეში რა მომხდარა? ნარდის თამაშობაში იოანე მდივანს გოგია მოუერთისთვის კამათლები პირში მიუყრია და იმასაც კომბალი თავში უსროლია.

ამგვარი და სხვა მსგავსი ამბავი მოეფინებოდა ქალაქს, შევიდოდა სახლებში, გაახალისებდა საზოგადოებას და კმაყოფილს სტოვებდა თბილისის მოსახლეობას, რომლისთვისაც ამბის მიტან-მოტანა მაშინაც და მის შემდეგაც მთავარი გასართობი იყო.

სალაყბოზე ითქმებოდა დღიურ ჭირ-ვარამზე გამოთქმული სხვადასხვა ლექსები, ზმები, პამფლეტები თუ შაირები.

კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისთვის თბილისიდან დომენიკელი პატრების გაძევების გამო, სალაყბოზე ასეთი სიმღერა გაისმა.

ქალაქში მოსულა თეთრი ბატები, იანვარში გარეკეს ფრანგის პატრები.

საქართველოს ეგზარხოს ისიდორეზე, რომელსაც მეტად თხელი წვერი ჰქონდა, სალაყბოზე ასე უთქვამთ.

ქალაქში მოსულა ახალი ქერი, ქართლის არქიერსა არა აქ წვერი.

თბილისის სომხის ეპარქიის უფროსს, ცალთვალა ეპისკოპოსს, სალაყბოს პოეტებმა დასაციინი სიმღერა უძღვნეს:

ქალაქში მოსულა ნითელი ბალი, სომხის არქიერსა არა აქვს თვალი.

დრო გავიდა და სალაყბოც ეგზარქოსის მოედნიდან ერევნის მოედანზე გადავიდა და თბილისელთათვის სამსახურივით შეიქნა. ყველა ცდილობდა დღის განმავლობაში ერთხელ მაინც შეეველო სალაყბოზე და ახალი თუ არა, ძველი ამბავი მაინც გაერჩია თუ გამოერკვია.

ორი ქართველის შეხვედრისას პირველი კითხვა იყო: რა ამბავია?

ორი სომხის: იჩნ ხაბარე?

ორი თურქის: ნე ხაბარ?

სწორედ ამიტომ ამ ინტერესიან თავყრილობას ხაბარები შეერქვა. მათი შეხვედრები საღამოს ხანს იწყებოდა. ნაირფერ სამოსში გამოწყობილები ისხდნენ ერევნის მოედანზე ხროვად დაყრილ მორებზე, მარცვლავდნენ კრიალოსანს და დაბალ ხმაზე უყვებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს.

ამ ხაბარების გამო ათასგვარ დაუჯერებელ ისტორიებს ჰყვებოდნენ:

ერთი საშუალო წოდების მოხელე დიდხანს ელოდა დანაპირებ ადგილს. ერთხელ ნაცნობ მოხუცს გადაეყარა, შესჩივლა და თავისი წუხილი გაუზიარა. მოხუცმა რჩევა მისცა, გაეგზავნა ვინმე საღამოს ჟამს ერევნის მოედანზე. გაგზავნილი მალე დაბრუნდა და სასიხარულო ამბავიც მოიტანა: მოედანზე ლაპარაკობენ შენი დანიშნულების შესახებო. მეორე დღეს იმ კაცს მართლაც მოსვლია სამსახურში დანიშვნის ოფიციალური ქაღალდი.

ძნელი დასაჯერებელი კი არის, მაგრამ როცა საქმე თბილისს ეხება, ეს ისტორია მაინც სარწმუნო უნდა იყოს.

დრომ და ვარაიმამ სალაყბოც მოშალა და თბილისური ამბების გაცნობა ტროტუარებს მიანდო. ერთმანეთში ირეოდა ნამდვილი და გამოწვავილი, აქ ნახავდით დარბაისელ თუ ჭკვიან ხალხს, ათასი ჯურის ჩინოვნიკს, სწორედ იმათგან გაიგებდით, სად რა მომხდარა, ვის რა უმოქმედია, რა უთქვამს, რომელ სასამართლოში როგორ გადაუწყვეტიათ საქმე, სამართლიანად თუ უსამართლოდ, აქვე შეიტყობდით მთავრობის ახალ განკარგულებებს, ჩინოვნიკების გამოცვლას და განწესებას. ასე რომ, თუ ახალი ამბის შეტყობა გსურდათ, დღეში ორი საათი მაინც ტროტუარზე უნდა გაგეტარებინათ, თორემ ახალი ამბავი თქვენამდე გვიან მოაღწევდა.

იყო სხვა ადგილებიც.

თბილისის არისტოკრატიის თავმჯდომარის ადგილი საფაროვის მაღაზია იყო.

ხელოსნები ბერუა ნალბანდის დუქანში იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ლაყბობდნენ, ვაჭრობდნენ და საქონელს სცვლიდნენ. ზოგჯერ წაეკიდებოდნენ ხოლმე, ამ დროს ბერუა ჩაერეოდა და დინჯი საუბრით ერთმანეთს გაჰყრიდა.

ერევნის მოედნის მახლობლად, ორბელიანთა აულში, თბილისის წარჩინებულ მანდილოსნებს თავიანთი სალაყბო ჰქონდათ. რა ითქმოდა ამ კრებაში, დღის ამბავი, ნიშნობა, ჯვრისწერა, ახალი სამოსი, მისვლა-მოსვლა და სხვადასხვა საიდუმლოება.

უგაზეთო თბილისში თითქმის ყოველდღე წააწყდებოდათ ამგვარ სურათს: კარგად ჩაცმული მევიზიტე ქალი მობრძანდა ფაეტონით სტუმრად, მოკითხვის შემდეგ პირველი სიტყვა უთუოდ ახალი ამბების შესახებ იქნება.

ახალი ამბავი ხომ არ მოგეხსენებათ?

არა, თქვენმა მზემ, გუშინდელი და დღევანდელი დღე, სწორედ მოგახსენო, მოწყენილი გახლავარ.

რა უბედურებაა, ერთი ქართული გაზეთი არ გვაქვს, მთელმა განათლებულმა ქვეყანამ შეიგნო საჭიროება და სარგებლობა გაზეთისა, ჩვენ კი, ჩვენ, არ იქნა, ვერ შევიგენით.

თუმცა გაზეთის გამოცემის რამდენიმე მცდელობა მაინც იყო. საუკუნის დასაწყისში იწყო გამოსვლა პირველმა ქართულმა გაზეთმა საქართველოს გაზეთის სახელით, რომელმაც სამიოდე წლის შემდეგ სული განუტევა. მოგვიანებით იწყო გამოსვლა რუსულენოვანმა ტიფლისკი ვედომოსტმა, რომლის ორეულები ასევე გამოდიოდნენ ქართულ და თათურულ ენებზე. შემდეგ სოლომონ დოდაშვილმა და იწყო თბილისის უწყებანის სალიტერატურო ნაწილის გამოცემა, სულ ხუთ ნომერს მოაბეს თავი და უსახსრობის გამო ისიც მალე დაიხურა. რამდენიმე წელი თბილისი უგაზეთოდ იყო და ძველებურად სალაყბოს ამბებით საზრდობდა. ჩანაფიქრი ბევრი იყო, მაგრამ განხორციელება ჭირდა ორი უმთავრესი მიზეზის გამო, უფულობა და რუსული ცენზურა, რომელიც ყოველგვარ ქართულს განსაკუთრებული მონდომებით ებრძოდა. ასე ჩაიშალა ჟურნალ სინათლეს გამოცემა, იგივე ბედი ეწია პეტერბურგში მოღვაწე ქართველი სტუდენტების ნაბეჭდ ორგანო არესაც. იმედის ნაპერწკალი გიორგი ერისთავმა გააჩინა თავისი ცისკრით, მაგრამ ამ ნაპერწკალმა მხოლოდ ორიოდე წელი გასძლო. ქართველებმა ხელი ჩაიქნეს.

სწორედ ამ უხერხულობის დაძლევის ცდილობდა სამსონ ბალახაშვილი, ოღონდ ჯერჯერობით რუსულ ენაზე. სამსონი ძლივს ასწრებდა შეხურებული მოქიფების სადღეგრძელოებისა თუ ხუმრობების დამახსოვრებას და ჩაწერას.

ამჯერად სიტყვა თავადმა ამილახვარმა ითხოვა, კვლავ დალოცა იუბილარი, ჯანმრთელობა უსურვა და გზა დაულოცა. გაისმა ვაჟკაცური ვაშა, ვაშას მოჰყვა საქებარი ლექსები და უკვე შემთვრალი საზოგადოების მხიარული შეძახილები.

ის იყო თავადს პირთან უნდა მიეტანა სასმისი, რომ ბოკალში ფერფლის მოზრდილი ნაფლეთი შენიშნა, რომელიც ნელ-ნელა დნებოდა. თავადმა ცას ახედა და სახტად დარჩა. გადაშავებული არემარე ყვავების თავყრილობას ჩამოგავდა, რომელიც ქალაქის დასაწყობად ემზადებოდა. გაურკვეველობას თუ დაბნეულობას ბოლო მალევე მოელო, ბიჭები მოცვიდნენ და ყველაფერს ნათელი მოეფინა. სუფრა აიშალა, ყველანი ერევნის მოედნისკენ გაცვივდნენ თითქოსდა ოპერის შენობის გადასარჩინად, უფრო კი ხანძრის სანახავად, რომელიც ყოველთვის ასე იზიდავდა ადამიანს, რა თქმა უნდა, მისი ბუნებიდან გამომდინარე.

ამ ხალხში ერია ჟურნალისტი სამსონ ბალახაშვილიც. აბა, რომელი მეგაზეთე გამოტოვებდა ამგვარ სანახაობას.

იმ დღეს თეატრში ნორმა მიდიოდა, თბილისელი თეატრალეების საყვარელი ოპერა, განსაკუთრებულ განცდას იწვევდა სპექტაკლის ის ადგილი, სადაც მსვლელობის მიხედვით ცოცხალი ადამიანი უნდა დამწვარიყო. წარმოდგენის დაწყებას ერთი საათი აკლდა, მსახიობები შესასვლელთან იკრიბებოდნენ, ტენორი ცუკი, როგორც ყოველთვის, ადრე მოსულიყო და უკვე მზად გახლდათ, პრიმადონა პაპინის კი შეაგვიანდა, ამიტომაც ჩქარობდა და საკუთარ საპირფარეოში ტანსაცმელს სწრაფად იხდიდა.

ამ დროს ყვირილი გაისმა.

ნახევრად შიშველი მსახიობი ქალი ქუჩაში გამოვარდა, მას თან გამოჰყვა რომაულად გამოწყობილი ტენორი, შეიქნა ჩოჩქოლი, არეულობა, დაბნეულობა და აქეთ-იქით უაზრო სირბილი. ცეცხლი ერთ-ერთ დუქანში აბრიალდა, საშინელი ძალით აიჭრა ზევით. სიახლოვეს განლაგებული სახანძრო რაზმი თეატრამდე მოსვლას ათ წუთს მოუნდა. რაზმის უფროსის განკარგულებაში ორად ორი კასრი და ორიც მილი იყო, აქედან ერთი გაფუჭებული, სახანძრო კიბე არსად ჩანდა. ამას დაემატა ისიც, რომ თეატრის წინ მდებარე შადრევანი, რომელიც მუდამ წყლით იყო სავსე, ამჯერად ცარიელი აღმოჩნდა. პოლიციამ მთელი თბილისის მეთულუხჩეები მორეკა ერევის მოედანზე, რომლებიც წყალს მდინარიდან ეზიდებოდნენ და ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდნენ, თუმცა-და უშედეგოდ. ცეცხლი თეატრის გულს მოედო, ყველა ცდილობდა რამე მაინც ესხნა. ორკესტრის მსახიობმა ფიდელიმ გადაარჩინა ნოტები და რამდენიმე საკრავი, მკერავებმა გარდერობის მცირე ნაწილი, დანარჩენი, დეკორაციები, ავეჯი, ბუტაფორია და თეატრის ბიბლიოთეკა მთლიანად დაიწვა.

მართალია, თბილისელები ამბობდნენ, ოპერის თეატრი სირცხვილით დაიწვაო, რაშიც ალბათ სუსტ საშემსრულებლო ხელოვნებას გულისხმობდნენ, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარკვეული ეჭვი მაინც გაუჩნდებოდა დაკვირვებულ ადამიანს. მითუმეტეს, რომ თეატრის დანვიდან მხოლოდ ვაჭარი თამამშვეი ხეირობდა, რომლის ქარვასლაშიც იყო განთავსებული აღნიშნული თეატრი და რომელსაც დაზღვევაც კი ჰქონდა სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

ასეთი ეჭვი გაუჩნდა სამსონ ბალახაშვილსაც, მაგრამ ამ სავალალო შემთხვევის გამო განსჯა თუ ფიქრი მეორე დღისთვის გადადო, რაც უნდა იყოს, ღამენათევი გახლდათ.

სისხამი.

თბილისი გაღვიძებულად მაშინ ითვლებოდა, როდესაც მთავარმართებლის სახლთან მბჯუტავ ორ ფარანს მეეზოვე კიბეს მიადგამდა და გულმოდგინედ ჩააქრობდა. ამის შემდეგ ყველანი გუნდ-გუნდად მიემურებოდნენ მოედნისკენ. ამ სვლაში მოჩანდნენ დურგლები, სტალრები, კალატოზები, თულუხჩეები, კურტნიანი მუშები, სოფლის დედაკაცები. ფეხმორთხმული ისხდნენ ეს ქალები და რალაცას მოუთხრობენ ერთმანეთს, ხმაბალა, ხელებისა და თავის ქნევით. ჩამოივლიდნენ სახედრები სხვადასხვა საქონლით დატვირთულები, შემით, ნახშირით, ხილით, მწვანილით, იმავ წუთს განდებოდნენ ხელზე მოვაჭრე გადამყიდველები, მედუქნეები, დიასახლისები და უსაქმოდ მოხეტიალე

ფალანშოკიებული მუშები, დაკვირვებული მონემები ნებისმიერი თავყრილობისა.

თბილისი იწყებდა გარჯას.

ქუჩაში, სახლებს შორის გაბმულ თოჯზე შრებოდა სარეცხი, იქვე ამზადებდნენ ქებას, სწავდნენ მწვადს, საამკარაოდ ჰკრეჭდნენ თმას და პარსავდნენ წვერს.

იხსნებოდა დუქნები.

ამ დუქნებში იშოვებოდა ყოველგვარი საქონელი თუ სურსათი. თვალი გარბოდა ქართული ან სპარსული ქსოვილებისკენ, ხალიჩებისკენ, შალებისკენ, აბრეშუმისკენ, ფირუზისკენ.

ზუზუნებდნენ სახელოსნოები.

ღია დუქნებში თოქმანები ნითელი სპილენძის ფურცლებიდან ქვაბებს ამზადებდნენ, თიხის ოსტატები სძერწავდნენ წყლისა და ღვინის კოკებს. ოქრომჭედლები სჭედავდნენ და გამოჰყავდათ ბეჭდები, საყურეები. მენალები, დერციკები, ჭონები ისხდნენ, ყვიროდნენ, ჰკერავდნენ, დამჯდარნი იღებდნენ შეკვეთებს, შეკერილს მუშტრებს აზომებდნენ.

მთავარმართებლის შენობასთან სამხედროები მიდი-მოდიოდნენ, კანცელარიაში მოხელეები ისხდნენ, სასამართლოსთან მომჩივანი იდგნენ და საქმის დაჩქარების მიზნით ნაცნობსა თუ მეგობარს ეძებდნენ. ზოგი საჭმელს ეძებდა, ზოგი კი ქეიფის თადარიგში იყო. სხვადასხვა სამოსი ირეო-

და თბილისის ქუჩებში, ვის არ წაანყდებოდათ — სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, გერმანელებს, ინგლისელებს, სომხებს, ქართველებს, რუსებს. რა ტრანსპორტს არ ნახავდით — ევროპულ ეტლებს, გერმანულ ფორშპანებს, ქართულ ურმებს, საპალნიან კამეჩებს, ხარებს, სახედრებს, აქლემებს.

დრო სრულიად შეუმჩნევლად მიედინებოდა ამ ორომტრიალში.

გაისმოდა ზარბაზნის ხმა, ამას მოჰყვებოდა შტაბის საათის რეკვა, ორივე კი შუადღის მაუწყებელი გახლდათ. ქალაქი რამდენიმე საათით სვლას წყვეტდა, ქუჩები ცარიელებოდნენ, ყველგან მტვერი და ბული იდგა. გაუსაძლის სიცხეს თბილისელები ჩვეული ხერხით ებრძოდნენ, გრილი სარდაფებითა და მომარაგებული ყინულით.

ნელ-ნელა იპარებოდა საღამო.

ღამაში ქალები დახშული ოთახებიდან გამოდიოდნენ. ყველანი ხმაურითა და მხიარული საუბრებით ბალებისკენ მიემართებოდნენ. ყველაზე მეტ მოსიერნეს იზიდავდა კათოლიკეთა ახალი სასაფლაო, რომელიც მოქალაქეებს სასიერნო ალაგად გადაეცემათ. ყველას სურდა ენახა სამხედრო ინჟინრის მონსინის გამოგზავნილი შირაზის ვარდები, რომელსაც, თავის მხრივ, კარგა ხანს ემუშავა ინდო-



მხატვარი კარლო ფაჩულია

ეთში და ყვავილების მოვლა-პატრონობა ნამდვილად არ ესწავლებოდა. თერთმეტ საათამდე გრძელდებოდა თბილისური მიდი-მოდის, შემდეგ კი მოსეირნები სახლებისკენ მიეშურებოდნენ. ამ დროს იწყებოდა ვიზიტები, ნადიმები, ბალები, განთიადიდან კი ყველაფერი ისევ მეორდებოდა.

მეორე დღით თბილისელებმა ჩვეულებას უღალატეს, ვაჭრობა-ხელოსნობაზე ხელი აიღეს და ყველანი ოპერის სანახავად გაემართნენ, უფრო სწორად, იმისკენ, რაც თბილისელთა საყვარელი შენობიდან ხანძრის შედეგად დარჩა. ყოველ ასეთ თავყრილობას, ჭირსა თუ ლხინს თბილისელები, განსაკუთრებით კი ქალები, საკუთარი სამოსის წარმოდგენისთვის იყენებდნენ. ასე იყო ყოველთვის.

გლენის ქალს ეცვა: კაბა გულისპირით, ჩიხტი-კოპი ქინძისთავით, კავებით და ლეჩაქით, სარტყელი.

მაღალი წოდების ქალი სხვაგვარ სამოსს ატარებდა: ქათიბი, ბაღდადი, ჩიხტი კავებით, კოპი, კაბა სარტყელ-გულისპირით, გულის სამკაული, თავლოხი, თავსაკრავი ქინძისთავით, ალითანის ყაბზა, ქისა, ახალოხი, სარტყელი, ქოშები, ამას ემატებოდა გარეთ გამოსული ქალისთვის თავსაბურავი.

რუსეთმა, სხვა ბევრ რამესთან ერთად, სამოსსაც უცვალა იერი, რამაც ქართველობა აღაშფოთა და გააგულისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქოშების მაგივრად ბათინკები შემოვიდა.

მთელ ქალაქს მოედო ასეთი ამბავი:

ერთხელ გრიგოლ ორბელიანი მისულა ივანე მალხაზიჩის, იგივე ანდრონიკოვის დედასთან, მარიამთან სულ სხვა საქმეზე, მაგრამ ქალს აღშფოთება ვერ დაუმალავს და ორბელიანისთვის საყვედურიც კი უთქვამს. ეს ის გრიგოლ ორბელიანი გახლავთ, რომელიც მთავრობისგან წარჩინებული იყო, ძველი თაობისგან მეტად გაზვიადებული და საკუთარ ლექსებზე მეტად სხვა რამით დაამახსოვრა თავი იმდროინდელ თბილისს.

საქმე ასე ყოფილა: თბილისში დიდი სიძვირე ჩამოვარდა, ქალაქში შემოსატან საქონელზე დიდი ბაჟები დანესდა, ხარჯები და გადასახადები გაიზარდა. ხალხი სამართალს ეძებდა, ლელავდა, უკმაყოფილებას გამოხატავდა, მაგრამ მსმენელი თუ გულშემმატიკვარი არსად ჩანდა. სხვა ღონე აღარ იყო, ხალხმა ძალას მიმართა. დუქნები და მაღაზიები დაიკეტა, ყველანი ქუჩაში გამოვიდნენ და მოთავეც გამოჩინდა, მეზაკე ვინმე მოსე კოლოტაშვილი. ძალადობამაც იჩინა თავი, ხალხი ბრალს სდებდა ქალაქის თავს, გვარად ბაჟბეუქ-მელიქოვს, ვითომ ის მალავდა ფქვილს და პურის გაძვირებაც მისი ბრალი იყო. აღელვებული ბრბო მიადგა და ნესებულებას და ქალაქის თავთან შეხვედრა მოითხოვა. მელიქოვი ადგილზე არ აღმოჩნდა, მაშინ გაეშურნენ კუკიაზე, ქალაქის თავის კუთვნილ ბინაზე. იქაც უარი უთხრეს, მაგრამ აღელვებულმა ხალხმა აღარ დაუჯერა შინაურებს და თავად შეუდგა სახლის ჩხრეკას. ცოტაოდენი ძებნის შემდეგ, ბანზე, სახურავის ქვეშ აღმოაჩინეს დამალული ქალაქის თავი. ამის შემსწრე ბრბო სულ გადაირია, ძალა იხმარა და მელიქოვი მეორე სართულის სიმაღლიდან ძირს გადმოავდო. დასახიჩრებულ-დამსხვრეულმა ქალაქის თავმა იქვე განუტევა სული. ხალხმა ეს არ იკმარა, მთელი სახლი აიღო, ყველაფერი მილენ-მოლენა და ოჯახობაც დაანოკა.

უფრო დიდი არეულობა ავლაბარში ხდებოდა და ამ არეულობას ხელმძღვანელობდა სწორედ ის მოსე. მთავრობამ ყური გამოიბერტყა და ავლაბარში ჯარი გაგზავნა, მაგრამ ჯარი ავლაბარში ვერ შევიდა, რადგან უბანში გადასასვლელი ხიდი შეკრული დაუხვდათ. შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად იფიქრეს ისეთი კაცის გაგზავნა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ენდობოდა. ასეთ კაცად ცნობილი იყო ირაკლი გრუზინსკი, უკანასკნელი მეფის, გიორგის უახლოესი შთამომავალი. ეს ირაკლი ხშირად დაიარებოდა ქართულ სამოსში გამონყობილი თბილისის ქუჩებში და თავი ისე ეჭირა, თითქოს ქართველების ერთგული მოსარჩლე იყო. მთავრობაც უფასებდა ამგვარ სამსახურს და გულის მოსაგებად საცხოვრებლად აბანო აჩუქეს, რომელსაც ადრე ერეკლეს აბანოს ეძახდნენ, რითაც სამუდამოდ უზრუნველყვეს მისი კეთილდღეობა. სწორედ ამ კეთილდღეობის გამო დაფრთხა ირაკლი, იმის შიშით, რომ ხელისუფლების წყალობას დაკარგავდა, პირი იბრუნა და სახლისკენ გაეშურა.

სასწრაფოდ მოძებნეს მეორე ქართველი და ეს ქართველი იყო გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც თავიდან ეშმაკური ხერხი იხმარა, ხალხს ტკბილი ენით დაუწყო საუბარი, შინ დაბრუნებისკენ მოუწოდა. ხალხი არ დაემორჩილა და მის ეშმაკობას სტვენა შეაგება. გენერალმა ეს ვეღარ მოითმინა, შეკრებილებს ჯარი მიუსია, გაფანტა, ავლაბარი აიღო და მეთაურებიც შეიპყრო, მათ შორის მოსეც. რა ბედი ეწეოდათ პატიმრებს, ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, მათ ელოდათ ციმბირი და ციხე-ბანაკებში ტანჯვით სიკვდილი.

აი, ასეთი ადამიანი ეწვია იმ ხსენებულ ოჯახს, მაგრამ საყვედური სულ სხვა რამის გამო მიიღო.

— რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა განყენინა?

— როგორ რამ გამაჯავრა, უი სირცხვილო, შვილო, გაგონილა? ოთარის ცოლს ქოშები გაუხდია და ბამაკები ჩაუცვამს.

ეს კიდევ არაფერი, ლეჩაქის ნაცვლად შემოდიოდა შლაპა, მოკლედ ტანსაცმელი იცვლებოდა და თბილისურ ურთიერთობასაც ცვლიდა. ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ამ პაექრობაში არც საკუთარ თავს ინდობდნენ და არც საკუთარ ქმრებს.

იმ დროის თბილისში ასეთ ტრაგიკულ ისტორიას ჰყვებოდნენ: ყოფილა ერთი სანყალი ხურო ლაზარე, ორმოცი წლის განმავლობაში მოუგროვებია წვალებით ათი თუმანი ფული, შეურთავს ცოლი და ეს ფული რასაკვირველია მიუბარებია ცოლისთვის. ხურო ლაზარე სულ შრომაში იყო, გადიოდა დღით და შემოდიოდა საღამოს. ქალაქში ხმა დაირხა, ახალი ფარჩა შემოსულა მოდათ და ყველანი ამ ფარჩას იკერავნო. ეს ამბავი გაუგია ხუროს ცოლს, საკუთარი თვალითაც უნახავს დიდგვაროვანი ქალის ტანზე ახალშემოდებული ფარჩა. მოეწონა, გაგიჟდა, გადაირია და კაბის შეკერვა გადაწყვიტა მიბარებული ფულის იმედად, თან ესეც იფიქრა, დავხარჯავ, ქმარი ჯერ არა მთხოვს, მერე ხელსაქმეს გავაკეთებ, შევავროვებ და ასე შევავსებო. გადაწყვიტა და აისრულა კიდევ. ორი კვირის თავზე ლაზარემ ტივები იყიდა, მეტივე შინ წამოიყვანა ფულის მისაცემად. აბა, რაღა ფულს მისცემდა, თქვენს მტერს, რაც დღე ხუროს ცოლს დაადგა, გაგულისებულმა ხურომ შლაპის

ხელი სტაცა და მოდნიცა ცოლს თავი გაუჩქეჩვა. ქალმა ჭირი მოგჭამათ, ხურო დააბატიმრეს, ხოლო მეტივე, როგორც ამ ტრაგიკული შემთხვევის შემსწრე თუ თვითმხილველი, მთავარ მოწმედ დაიბარეს სასამართლოში.

შემოვიდა ყოვლად უცნაური კაბა ხაბარდა, ნაჭრების უზარმაზარი გროვა, რომელიც გარშემო რვა ადლს იჭერდა. ასეთი კაბა სახიფათოც კი ყოფილა, განსაკუთრებით სანთლით განათებულ ოთახში, მიუხედავად ამისა მაღალი წრის ქალები ათას ხერხს ხმარობდნენ, რომ გამოერთმიათ ქმრებისთვის კაბის საყიდელი ფული. ხაბარდას შემოჰყვა ევროპული კორსეტი, თუმცა არც ამ ამბავს ჩაუვლია უმტკივნეულოდ.

ერთი დროული კაცი იგონებდა: თბილისის პირველ საზოგადოებაში, ბაღში ტანცაობის დროს, ერთი ქალი ტანცაობისას უცებ წაიქცა და მოკვდა. მეორე დღეს მთავრობამ იწვინა მისი გაჭრა, იმის გასაგებად თუ საიდან წარმოსდგა ეს უეცარი სიკვდილი. ჰაქიმებმა გასჭრეს და შეამომეს, ნახეს, რომ კარსეთებისგან იყო მკვდარი. თურმე, კარსეთების ძალიანის მოჭერთ, გულ-ღვიძლი შეინრობინა ისე, რომ დაიარაგებოდა. ეჰ, რამდენჯერ შევხვედრივარ სადღიოზე ზოგიერთ ქალს, რომელიცა მშობრივადგარა და ფერწასულს გაუწევია შინისკენ, რა არის მოდურად მორთული ვიყო და ჭამას ვინ დასდევსო.

ამაო იყო ამგვარი მსხვერპლი, ჩაცმის ახალი მოდა მაინც მოედო თბილისს. გაჩნდნენ მკერავებიც, ოდესიდან ჩამოსული რუარი და ჭრა-კერვის მასწავლებელი ველნერი. გაზეთი კავკაზი იუნწყებოდა:

ჩამოვიდა ბრესლავის მცხოვრები ველნერი, რომელიც მის მიერ გამოგონილი ახალი მეთოდით ასწავლის მანდილოსნებს უკანასკნელი მოდების ჭრა-კერვას და ქალთა სამოსის ყველა სახეობას: კაპოტებს, კაბებს, მოსასხამებს, კორსეტებს. სწავლის ხანგრძლივობა ოთხ-ხუთ საათს გრძელდება. ველნერს აქვს ალბომი, რომელიც აჭრელებულია მისი გერმანელი, ავსტრიელი, პოლონელი, პეტერბურგელი, მოსკოველი და ოდესელი მონაფეთა ქებითი ჩანაწერებით. ჭრა-კერვის შესწავლის პირობების გასაგებად შეგიძლიათ მიმართოთ პირადად ველნერს, მცხოვრებს ბარონის ქუჩაზე, ბაზილევჩის სახლში, სამების საყდრის პირდაპირ.

იცვლებოდა კაცების სამოსიც, ჩაკეცილმა ქუდმა გზა დაუთმო კატილოკს, ჩოხა, ქულაჯა, ყურთმაჯიანი შეცვალა მუნდირმა და კოსტუმმა. მხოლოდ ევროპულად ჩაცმა საქმეს წინ ვერ სწევდა, ქუჩაში კი დაიარებოდნენ გამოწყობილები, მაგრამ ფეხის გადადგამაში მაინც ეტყობოდათ, რომ თბილისელები იყვნენ.

სწორედ ამ სამოსის წარმოსაჩენად შეიკრიბნენ ნახანძრალის სანახავად თბილისელები, ვითომდა ოპერის დაწვით გულდათუთქულები, სინამდვილეში კი გაპრანჭვანარმოჩენით შეპყრობილები.

ყველანი ახლოს მისვლას ლამობდნენ, მაგრამ პოლიციას წრე ჰქონდა შეკრული და აბეზარ მეთვალყურეებს ნახანძრალთან არ უშვებდა, რითაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა. ეს ყველაფერი კი გამოიხატებოდა შეურაცხყოფელ შეძახილებში, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ პოლიციის მიმართ. ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, შეიქნა ჭყლეტა, ძვირფასი სამოსი ითვლებოდა, ერთ-ორ ადგილას ფხრენის ხმაც გაისმა, მოქალაქეები წესრიგის დამყარებას ითხოვდნენ.

წესრიგი.

თბილისის მმართველობას სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული მოურავი, რომლის თანამდებობაც მემკვიდრეობით გადადიოდა. მოურავი განაგებდა სამართლისა და საპოლიციო საქმეს, თუმცა სხვა საგანგებო დავალებებსაც ასრულებდა, თუკი ასეთის საჭიროება შეიქნებოდა. მოურავს გვერდით ჰყავდა მელიქ მამასახლისი, ნაცვალი, ქედხუდი, ასასბაში, ასასი, იასაული და სხვა წვრილმანი მითითების შემსრულებელი. ასე გრძელდებოდა სანამ რუსებმა, მთავარმართებელ გოლოვინის განკარგულებით, ქალაქის მთავრის ახალი წესი არ შემოიღეს. დაარსდა ექვსი ხმოსნის სათათბირო, იგივე უპრავა, ამ ხმოსნებიდან ორ ირჩევდნენ სახლების მესაკუთრენი, ორს ვაჭრები, ორსაც კიდევ ხელოსნები. თითოეული წოდება ირჩევდა ათ კაცს, რაც ჯამში ოცდაათ კაცს შეადგენდა, ამ ოცდაათი კაცის თანდასწრებით უნდა გაენაწილებინა ქალაქის სათათბიროს გადასახადები. სხვადასხვა გადანყვეტილების შესასრულებლად ეს სამი წოდება ირჩევდა კიდევ უსტაბაშებსა და მათ თანამემწეებს.

ქალაქში პოლიციაც არსებობდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლიცმანისტერი. ოთხ საპოლიციო ნაწილს თავისი უფროსი ჰყავდა, რომელსაც უფროსი ბოქაული ერქვა, მას ეხმარებოდნენ გამოძიებელ-ბოქაული და საქალაქო კომისარი, თავის მხრივ, ეს ყველაფერი თბილისის გუბერნატორს ემორჩილებოდა.

პოლიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ადგილის დაცვა კარგად მოახერხეს, მოქალაქეები, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ნახანძრალთან არ მიუშვეს, რითაც სამხილები თითქმის სრულად შეინარჩუნეს.

ხანძრის მიზეზი იმავე ღამეს დაადგინეს. თეატრის ბიბლიოთეკას ეკვროდა ვაჭარ ყაზაროვის, იგივე ლაზარევის დუქანი და ხანძარიც სწორედ ამ დუქნიდან დაწყებულა. წესით თეატრის დირექტორისთვისაც უნდა მოეთხოვათ პასუხი, თუმცა ზერელე გამოკითხვის იქით საქმე არ წასულა, არადა დირექციასთან, ანუ დირექტორ გენერალ ლიმონოვსკისთან ხელშეკრულებაც კი ჰქონია დადებული დასის ანტრეპრენიორს ვინმე იაბლოჩკინს, რომელშიც სიტყვა-სიტყვით ეწერა:

მოვალე ვარ სასტიკად ვადევნო თვალყური სახანძრო უშიშროებას წარმოდგენების დროს, ისე როგორც ეს აქამდე იყო. უნდა ვიქონიო ხელის სახანძრო მილები და მეხანძრეებისთვის დადგენილი გასამრჯელო საკუთარი სახსრებიდან გავიღო.

მართალია, არც მილები იყო და მეხანძრეების გასამრჯელოც შეჭმულ-მითვისებული გახლდათ ისევ და ისევ დირექტორის მიერ, ეს ხელშეკრულება მაინც არავის გახსენებია. ანკი რად უნდოდათ, დამნაშავე უკვე ნაპოვნი ჰყავდათ და ყაზაროვს სავარაუდოდ გაციმბრებაც არ ასცდებოდა, რომ არა ერთი გარემოება.

შუადღისთვის მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა, პოლიციელებმა კვამლით გაგუდულ სამ გვამს მიაკვლიეს. ერთი აღმოჩნდა მეხანძრე ვარდენ გოცირიძე, მეორე მკერავი ქალი, თეატრის თანამშრომელი, ქალბატონი კოლოსოვა, მესამე კი ქარხნის მეპატრონე ზეცერი. პირველი ორი საკუთარ მოვალეობას ასრულებდა და მათი თეატრში თუ

თეატრთან ყოფნა არანაირ ეჭვს არ იწვევდა, ზეცერის იქ ყოფნა კი მართლაც გასაკვირი გახლდათ, მითუმეტეს, წარმოდგენა ჯერ დაწყებული არ იყო და თანაც მის გვამს სამკერვალო ოთახში წაანყდნენ, რაც სრულიად გამორიცხავდა ზეცერის სპექტაკლით დაინტერესებას. ნათელი იყო, რომ ქარხნის მეპატრონე სულ სხვა მიზნით იმყოფებოდა აღნიშნულ ადგილას და ამ მიზეზის დადგენა პოლიციას წარმოუდგენელ საქმედ მიაჩნდა, განსაკუთრებით ზეცერის გარდაცვალების შემდეგ.

ძიება რამდენიმე დღით შეჩერდა, თბილისი მიცვალებულებს მარხავდა.

გლოვის წესი.

გაიგებდნენ თუ არა ვინმეს სიკვდილს, მაშინვე გროვდებოდნენ ნათესავები თუ ნაცნობები, ქვრივის საწუგუმებლად და სატირლად. ტირილით ყველას უნდა ეტირა, ამისთვის კი საგანგებოდ ქირაობდნენ მოტირლებს. ეს ყოველივე ხდებოდა ერთ ოთახში. იატაკზე იჯდა ძაძებში შემოსილი ქალი, დაუსრულებლად ტიროდა, თმებს იგლეჯდა, მკერდზე ხელს ირტყამდა, დასუსტებული ხმით ჰყვებოდა გარდაცვლილის ღირსეებს და საკუთარ უმწეო, უწუგუმო მდგომარეობას. გარშემო ქალები ეხვია, რომლებიც ასევე ტიროდნენ და ცდილობდნენ ჭირისუფლისთვის ნუგეშის მიცემას. დროდადრო შემოდოდნენ გარდაცვლილის ნათესავ-მეგობრები, უახლოვდებოდნენ ქვრივს, იჩოქებდნენ, აქებდნენ მიცვალებულს, ჰყვებოდნენ მის საარაკო ამბებს, ამბობდნენ, რომ საუკეთესო ადამიანი დაჰკარგეს, ამის შემდეგ იწყებდნენ ქვითინს, აჰყვებოდნენ ოთახში შეკრებილი ქალები და იქმნებოდა გულამაჩუყებელი წარმოდგენა.

დასაფლავებას მოჰყვებოდა ქელები, მიცვალებულის საცხონებელი პურის ჭამა. მამაკაცები შავ სამოსს ექვსი თვე ატარებდნენ, ქალები ხელმეორედ გათხოვებას ელოდებოდნენ, რათა სამგლოვიარო სამოსი გაეხადათ.

თბილისის ხელოსნებს დაობლებული ოჯახის დასახმარებლად ასეთი წესი ჰქონდათ: ქვრივს ყოველდღე მოსდიოდა ხორაგი და არავინ იცოდა თუ ვინ აგზავნიდა ამ ყველაფერს, ეს იყო უხმო დახმარება იმ ოჯახისადმი, რომლის პატრონიც ამქრის ნევრად ან რომელიმე ყარაჩოლის პირად მეგობრად ითვლებოდა. როდესაც ქვრივის ბავშვები დაიზრდებოდნენ, ვაჟებს სახელოსნოებში მიაბარებდნენ, ხოლო ასაკოვან ქალებს დახლიდან ეძლეოდათ გასამზიებელი თანხა, ამ ფულით კი დედა საკუთარ ასულს ადათით დანესებულ მზითევს უკერავდა.

წესი წესია და პოლიციამ ძიება განაგრძო.

დაიკითხა ქარხნის მეპატრონის ქვრივი, რომელიც საკუთარი მეუღლის თეატრში მისვლის მიზეზს გულმოდგინედ მალავდა, თუმცა პოლიციის რამდენიმესაათიან ზემოქმედებას ვეღარ გაუძლო და აღიარა, რომ მის ქმარს მკერავ კოლოსოვასთან სასიყვარულო კავშირი ჰქონდა, თუმცა ოჯახის მიტოვებას არ აპირებდა, რადგან ქარხანაც და სხვა ბევრი რამეც სწორედ მას, ქვრივს ეკუთვნოდა. კითხვაზე, თუ ვის შეეძლო მოეკლა მისი მეუღლე, ან ჰყავდა თუ არა მტრები, ქვრივმა დამაჯერებელი პასუხი გასცა და დასასახელა რამდენიმე გვარი. კერძოდ, ივანე ვერმიშაშვილი, ილია არუთინაშვილი, დარჩო სადალაშვილი, ივანე

პეპანაშვილი და მოსე როსტომაშვილი. ქვრივის სიტყვებით, დარჩო სადალაშვილი, მეგობრებთან ერთად, ზეცერს ქორწილის ფულს სთხოვდა, რომელიც თითქოსდა მიუბარებია მისთვის, რაც, ისევე და ისევე ქვრივის სიტყვებით, მტკნარი სიცრუე გახლდათ. მართალია, პოლიციამ ღიმილით გაისტუმრა ქვრივი და სხვა არაფერი უთხრა, მაგრამ მაინც დაეჭვდა, რადგან უკვე ცნობილი იყო, რომ ზეცერი ბანქოს მოთამაშე კაცი გახლდათ, ასეთ კაცს კი სრულიად ადვილად შეეძლო საკუთარი ფულის შეჭმა და სხვისი თანხის მითვისება.

ესეც რომ არ იყოს, თუ თბილისური ქორწილის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, მკვლელობის მოტივი ადვილი გასაგები გახდება.

ქორწილი.

გახდებოდა თუ არა ქალი სრულწლოვანი, მშობლები მის დაბინავებას ცდილობდნენ. უმზითვო ქალს არავინ თხოულობდა და ამიტომაც მზითვის მომზადება აკნიდან იწყებოდა. მოხერხებული მაჭანკალი საქმეს გაარიგებდა მაშინაც კი, როდესაც მომავალ მეუღლეებს ერთმანეთი ნაწახიც კი არ ჰყავდათ. სასიძო საცოლეს ბეჭედს გაუგზავნიდა, ეს იყო ქალის დანიშნვის ნიშანი. რამდენიმე დღეში საქმროც გამოჩნდებოდა, თან მოიტანდა საჩუქრებს, ქალის ოჯახი სადილს გაუმართავდა, რომელსაც ორჭამას ეძახდნენ. ქორწილის თადარიგის მოგვარება საქმროს ევალებოდა, ამ საქმეს, როგორც წესი, ან თავის მეგობარ მეჯვარეს მიანდობდნენ, ანდა ნათლიას. ხშირად ქორწილისთვის დარბაზსაც ქირაობდნენ. ასეთი ადგილი ყოფილა ფეთხანის უბნის ძირას, მენტუაშვილების სახლში, რომელსაც მენტუანთ დარბაზს ეძახდნენ.

ქორწილის წინ მეჯვარე ტოლ-ამხანაგებთან ერთად სასიძოს აბანოში წაიყვანდა გასაბან-გასაპარსად. საპატარძლო მეგობარ ქალებს მიჰყავდათ იმავე ადგილას.

თბილისში რამდენიმე აბანო იყო მეტ-ნაკლებად განთქმული: მეფე ირაკლის, იგივე დარიის, მეითარის, სიონის, ბებუთას, მელიქანთ, ციხის, ეინალის, გრილი და სხვა პატარ-პატარა. აბანოში დაგხვდებოდათ მექისე, რომელიც თბილისური ტრადიციის გათვალისწინებით, აუცილებლად თათარი უნდა ყოფილიყო. ეს მექისე დაანვენდა ადამიანს ქვის თლილ ტახტზე და დაუნყებდა სახულის სანიღების დაზღუდას, სახსრების დაჭიმვას თუ მუშტით ცემას. უცნაური კი არის, მაგრამ ასეთი მოქცევისგან აბანოში მისული ადამიანი შვებასა გრძნობდა, იმის მაგივრად, რომ ტკივილისგან ეკივლა. ამას მექისეც გრძნობდა და ეშში შედიოდა, ახტებოდა მხრებზე, ფეხით დასრიალებდა კისრიდან კოჭამდე და ბუქნაობდა ზურგზე. მერე იწყებდა მატყლის ქისით ხეხვას, წყლის გადავლებას და ბანვას ტილოს გაბერილი საპნიანი ბუშტით. ამის შემდეგ ადამიანი ჩადიოდა აბანანაში, რითაც სრულდებოდა ცერემონია.

ბანაობა, როგორც წესი, მთავრდებოდა ნახემსებით. იქვე, სიახლოვიდან გადმოიტანდნენ ქაბაბს, მწვადს, ლავაშს, მწვანილს და კახურ ღვინოს. იყო სხვანაირადაც, ბალში, დუქანსა თუ სახლში დანყებული ნადიმი ხშირად აბანოში გრძელდებოდა.

ქალები აბანოს კლუბით იყენებდნენ. მათი დასაბანი დღე იყო სამშაბათი და საკუთარი აბანოც კი ჰქონდათ: სიონისა. ისინი მთელი დღით რჩებოდნენ აბანოში, საუბრობ-

დნენ, აქეთურ-იქითურს ჰყვებოდნენ, ბოლჩით წამოღებულ სარეცხს რეცხავდნენ და საპონს ხარშავდნენ.

აბანოს განსაკუთრებული ფასი ქორწილის წინ დაედებოდა ხოლმე.

ჯვრისწერა ეწყობოდა საღამოთი. ჯვარდანიერლები ეკლესიიდან სიმღერით, მუსიკისა და სროლის ხმით გამოდიოდნენ, შემდეგ მიემართებოდნენ დარბაზში, სადაც ხვდებოდნენ მეჯვარეები გადაჭდობილი ხმლებით, სწორედ ამ ხმლების ქვეშ უნდა გაეელო ნეფე-პატარძალს. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ნადიმი. დედოფალს სამი დღე სახე პირბადით ჰქონდა დაფარული და ამის გამო სტუმრებს პირსანახავი მიჰქონდათ დედოფლისთვის. პატარძალი ამ დღეებში ერთთავად საბურველში იყო გახვეული, მორთული გახლდათ ძვირფასი ქვებითა თუ სამკაულებით. იჯდა ხალიჩაზე ჯვარედინად მოკეცილი ფეხებით და რჩებოდა ამ მდგომარეობაში მთელი ნადიმის განმავლობაში, არ ჭამდა, არ სვამდა და ხმასაც არ იღებდა. როგორც კი სასიძო შემოჰყავთ პატარძლის სახლში, ის ჯდებოდა თავისი ტურფა უცნობის გვერდით და თვითონაც ჩუმდებოდა. ქორწილის ცერემონიის დასასრულს პატარძალს ხსნიდნენ თავსაბურავს და ხშირად სიძე პირველად ხედავდა საკუთარი მეუღლის სახეს. გაივილიდა რამდენიმე დღე და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში დგებოდა, სიძე კვლავ მეგობრების წრეს უბრუნდებოდა, ცოლი კი შინ ჯდებოდა.

როდესაც ყველაფრის საზომი ფული შეიქნა, გაჭირდა მრავალდღიანი და მრავალსულიანი ქორწილების გადახდა. იმდროინდელ თბილისში ხშირად გაიგონებდით ამგვარ გულისტკივილს: მინამ ჯვარს დავინერდი, სულ იმას ვფიქრობდი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ ქვეყანა გავაკვიროვო-მეთქი. გავაკვირვე კიდევ, ისეთი გავაკეთე, რომ როდესაც სამი კვირის ღვინისა და შექცევის შემდგომ სტუმრები თავთავისკენ წავიდნენ, სულ თურმე მლანძღავდნენ და მათრევდნენ. ზოგი წუნს ღვინოსა სდებდა, ზოგი პურსა, ზოგი იძახდა, ცხენები მშიერი დაგვიწყვიტაო, ზოგიც მსახურების უყურადღებობას უჩიოდა. ვაი, იმის ბრალი რომელიც ასე ჩემსავით მამაპაპურ ჩვეულებაზე წავა, ერთს დაპატიჟებ, ოთხნი მოვლენ, ეს იცოდეთ, თუ ორასი სტუმრის ანგარიში გაქვთ, ექვსასი უთუოდ მოგივათ, მამ თითო კაცს რომ სამი მოსამსახურე მოჰყვება, ესენი კი სტუმრები არ არიან? ვაი ოჯახო დაქცეული, მტრის კარს, ახლა რამდენი რამ დაიკარგება?!

ვისაც მსახურები ჰყავდა, იმათ კიდევ არა უშავდა რა და ხალხმრავალი ნადიმის გამართვა დიდ უხერხულობას ვერ შეუქმნიდა. შეძლებულ ოჯახებში მსახურთა ასეთი რაოდენობა იყო:

მსლებელი ქალები — გამდელი, პირის ფარეში, მედოშაკე, მოლარე, გამდლის მოახლე და სხვა წვრილმანი დამხმარე.

მსლებელი კაცები — შათირი, მერიქიფე, მზარეული, თუშმალი, ხაბაზი, მოლარე, ფარეში, ზენდარი, სუფრაჯი და სხვა ასევე წვრილმანი ხელისშემწყობი.

შინაყმების უმეტესობას შეადგენდნენ დასავლეთ საქართველოდან გაყიდულ-გაცვილილ-გასაჩუქრებული გლეხები. ეს ყმები იყიდებოდა უმნიშვნელო ფასებში, ვალის გასტუმრებაც მათი მეშვეობით ხდებოდა, მევახშისთვის ბავშვის მიცემა ვალის ანგარიშში ჩვეულებრივი ამბავი იყო. ნააწყებობით ასეთ რამესაც:

ეს ნასყიდობის წიგნი მოგეც მე კიკოლა ბერიძემ და ნასყიდა ბერიძემ შენ მემანიშვილს გიორგის, ასე რომ შენი ცხრა ფრული თეთრი მემართა და მისი სარგებელი სამი მარჩილი ველარ შევეძელი, შენი თეთრი ვერ გადავიხადე და ჩემი შვილი მოგყიდე გოგო მარინა. ხელმოახლედ მომიცია, არას კაცი, არც მე და არც სხვა, აღარ გედაოთ და თუ ვინმე გედაოს შეჩვენებული იყოს.

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა, დიდ ქორწილებს მაინც იხდიდნენ იმის იმედად, რომ გვარის გამგრძელებელს მოესწრებოდნენ. მართლმაც იყვნენ, ქორწილს ხშირ შემთხვევაში მოჰყვებოდა ხოლმე ძეობა.

ქალი მშობიარობის მოახლოებას იგრძნობდა თუ არა, გზავნიდნენ ბიჭს მშობლების, ნათესავების და ახლობლების დასაძახებლად. ფეხმარდი შათირი, რა დრო და ამინდიც უნდა ყოფილიყო, დარბოდა თბილისის სხვადასხვა უბანში, აბრახუნებდა კარზე, მთელი ხმით იძახდა: ქალბატონს მუცელი სტკივა.

ამ ამბის გამგონე ქალები იკრიბებოდნენ მელოგინესთან, რომელსაც დარბაზის შუაში აწვენდნენ. მშობიარესთან იჯდა ბებიასი და ორი დამხმარე. ქალთა მარაქა დროს ჭამსა და ამბების მოყოლაში ატარებდა. როგორც კი გაისმოდა ახალშობილის ხმა, ქალები ღვინის იწყებდნენ, სწორედ ამ ღვინის ერქვა ძეობა. ქმარს არ ჰქონდა შესვლის უფლება მშობიარესთან, ბავშვის ნახვაც კი ეკრძალებოდა. ქალის დაბადება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და თითქმის გლოვის ტოლფასი გახლდათ. მამას არაფერს ეუბნებოდნენ, არც ულოცავდნენ ბავშვის დაბადებას, საბრალო სწორედ ამით ხვდებოდა, რომ ქალი შეეძინა. ვაჟის დაბადება სასიხარულო ამბავი იყო და ამ სიხარულს თოფის სროლით აღნიშნავდნენ. ამ ამბის მომტანი მოახლე ქალი ღებულობდა საჩუქარს, იგივე სამახარობლოს. სიხარული მთელი კვირა, ხშირად კი კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა, სტუმრები ბავშვის სანახავად დაიარებოდნენ, საჩუქრები მოჰქონდათ და ზოგჯერ ღამითაც რჩებოდნენ. მოგვიანებით ბავშვს გამზრდელს მიაბარებდნენ, ვაჟი სრულ თავისუფლებაში იზრდებოდა, ქალის აღზრდას კი დედა ხელმძღვანელობდა.

მაგრამ ამ ყველაფერს სევდაც ახლდა თან. განსაკუთრებულ მწუხარებაში უშვილო ქალები იყვნენ. იმდროინდელი წესის თანახმად გათხოვილ ქალს არ ჰქონდა უფლება დალაპარაკებოდა ქმრის მშობლებსა და ძმებს, ვიდრე ბავშვი არ ეყოლებოდა. სწორედ ამათი, ანუ ქალთა სამლოცველო იყო მთანმინდა. ხუთშაბათობით დილაადრიან მთელი თბილისის ქალები შეუდგებოდნენ ხოლმე მამადავითის აღმართს. ქალები შეუთქვამდნენ ფეხშიშველა ასვლას აღმართზე. სურვილებიც სხვადასხვაგვარი ჰქონდათ, გასათხოვარი შესაფერის საქმროს ნატრობდა, უშვილო შვილს, ფეხშიშვე ბედნიერ მშობიარობას, მიტოვებულები ახალ ბედნიერებას. ამ თხოვნას თავისი წესიც ჰქონდა, ქალები ეკლესიის ნესტიან კედელს პატარა კენჭს მიადებდნენ, თუ კენჭი გაჩერდებოდა, ნატვრას ასრულება ეწერა, თუ ჩამოვარდებოდა, მაშინ ყოველი იმედი ამაო იყო. ზოგიერთის უშვილობა რამდენიმე წელი გრძელდებოდა ხოლმე, სწორედ ისინი იკლავდნენ თავს მამადავითზე ლოცვით. სახელად ასეთ ქალებს ბერები ერქვათ, თეთრი სამოსი ეცვათ და თმაგაშლილი დაიარებოდნენ.

აღდგომის მეშვიდე ხუთშაბათს მთანმინდაზე მამადავითობა იმართებოდა. თბილისელები და ახლომახლო

მცხოვრებნი ფეხით, სახედრებით, ცხენებით, ურმებით ამოდოდნენ წმინდა მთაზე. ვაჭრები პატარა დუქნებს აწყობდნენ, ჩოხებში გამოწყობილი მამაკაცები ცხენებით დაჯირითობდნენ, ქალები ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ, უკრავდა ზურნა-დუდუკი, ისმოდა ტაშის ხმა, ცეკვავენდნენ ლეკურს, ქეიფობდნენ, ყორების ჭიდილს უცქერდნენ, მოკლედ, მხიარულობდნენ.

მამადავითზე ასვლას ერთმანეთს ასწრებდა თბილისის ყმანვილკაცობა, ოღონდაც ამჯერად ლოცვა არავის ახსოვდა, მათი გულის გუმანი სულ სხვა რამ იყო. ერთი დროული კაცი ასე იგონებდა იმ დღეებს:

ნახევარ მთაზე ჩიტის ბუდესავით ჰკიდია დავითის მონასტერი. მასში ამჟამად თავის ნებასურვილით ალკვეცილია უმშვენიერესი სოფიო. ქალი იმდენად ლამაზია, რომ უღვაშნამოზრდილი ჭაბუკები, საერთო სახელად სოფისტებად წოდებულნი, არბიან იქ, რომ დაუბრუნონ იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას სასიხარულო სიყვარულისთვის.

მოკლედ, თბილისი ლოცვაშიაც თბილისად რჩებოდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, იგულისხმება ქორწილი, ძეობა, ხარჯი და სხვა მისთანები, ქარხნის მეპატრონე ზეცერის მკვლელობა უფრო გასაგები ხდებოდა, მითუმეტეს, რომ ფულის მიბარების ფაქტს აღნიშნული პირები არ უარყოფდნენ. პირიქით, გაბრაზებულებიც კი იყვნენ და ზეცერს უშვერი სიტყვებით იხსენიებდნენ. პოლიციას რაღა უნდა ექნა, ადგა და დააპატიმრა მუშა-ხელოსნები, ბრალოც წაუყენა ოპერის დაწვასა და სამი ადამიანის მკვლელობაში. მოგვიანებით ყველანი გადაყვანილ იქნენ ავლაბრის ყაზარმებში, როგორც განსაკუთრებული პატიმრები. თავიდან ტუსალები სათითაოდ ჩასვეს ოთახებში, რათა ერთმანეთთან საუბრის საშუალება მოესპოთ, მითუმეტეს, რომ პაკროვსკის, იგივე ავლაბრის ყაზარმებში, მეტეხის ციხისგან განსხვავებით, ამის საშუალება იყო. მიუხედავად ამისა, პატიმრები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან კავშირის დამყარებას. ადრე, როცა ამავე საპყრობილეში ფარული საზოგადოების წევრები განაჩენს ელოდნენ, ახალ ამბებსა თუ გულისტყვილს წერილებით გადასცემდნენ ერთმანეთს. შეთქმულთა საქმეზე დაჭერილ მამუკა ორბელიანს ოხრანამ ჩხრეკისას ამოუღო ნახშირით დაწერილი ერთი წერილი, რომელიც თავად მას ტუალეტში ეპოვნა. აი, რა ეწერა ამ წერილში:

იაღშიოლ! ქეიფ იაღშიდურ? ბიჭო, რა დაგემართა, ამ ხაზებს ტყუილა რათ უსვამ. მე ვაპროსნი პუნქტების მეტი არა მიმიღია რა შენი და ხომ არ მოგიწერია რა ამის უკან? გამიგონე, სამნი ვილანიც გაუშვიათ, მე კი მგონია აი ვინა: ბარატოვი, კარაპეტა მღვდელი და მგონია მელნიკოვიც. შენ რა იცი? ვოობრაზი კომისიაში ვინ ვის ეარშიყებოდა. ყველა იციან ვის ულაყბია ეს გლუპოსტი, ჩორტ ზნაეტ იმისი თავი და ტანი. პეტრებუხში ქართველები სულ დაჭერილები არიან, ციხეში კი არა, სულ სახლებში სხედან. მაგას წაუკითხავს ობვინენი? ჩემი არაფერი ამბავია. რაც იცოდე, ყველა განაცხადე გულის წმინდითა, რომელიც დაგისხნის შენ ბაკინბარდებით დაკიდებისგანა. ადიო, ო პლეზირ დე ვუ ვუარ.

რადგან ოპერის საქმეზე დაპატიმრებული საზოგადოება წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათ, ბარათებს ერთმანეთს ვერაფრისიდეებით ვერ გადასცემდნენ, ამიტომაც საკუთარი ხერხი მოიფიქრეს და სიახლეებს სიმღერით,

თბილისური თათრულით გადასცემდნენ. ასე დიდი ხნით არ გაგრძელებულა, ერთ დილას რუსი კალატოზი შემოვიდა და სარკმელზე სქელი გაჯის ფენა წაუსვა. ამის შემდეგ ოთახში აღარც სიმღერის ხმა და აღარც სინათლის სხივი შემოდიოდა...

კვირის თავზე ტუსალებს სახლიდან საკვებისა და საცვლების მიღების ნება დართეს. ავლაბრის ყაზარმიდან კარგად ჩანდა თითქმის მთელი უბანი და პატიმრებს საკუთარი საცხოვრებლის შეთვალეირება შეეძლოთ. ასე დამართნია ერთ-ერთს, როდესაც სარკმელში დატოვებული ჭუჭრუტანიდან დედის დასაფლავებისთვის უცქერნია. საბრალო კარგად ხედავდა თუ როგორ მოასვენებდნენ მის კუბოს. როგორც ამბობენ, რამდენიმე დღე მშვიერი დაიარებოდა, ხმას არ იღებდა, ძილსაც არ იკარებდა და ქვად იქცა.

მიუხედავად ამისა, სტალრების საქმის ძიება, რაც იგივე ოპერის დანვის საქმე იყო, მონდომებით და გულმოდგინედ გრძელდებოდა.

მაინც ვინ იყვნენ სტალრები.

სტალრები დურგლებთან მიახლოებული მუშა-ხელოსნები იყვნენ, რომლებიც თითქოსდა დურგლების საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ მათი სამუშაო მაინც განსხვავებული იყო, რადგან სტოლიარი დურგლის საქმეს ადვილად გააკეთებს, ხოლო დურგალი სტოლიარისას ბევრს ვერაფერს გაუგებს.

თბილისში სტალრის ქარხნის უდიდესი ნაწილი ნემცებს ეკუთვნოდათ. ამ ქარხნების მუშათა რიცხვი ათას კაცამდე აღიოდა. აცხოვრებდნენ და ამუშავებდნენ ამ ხალხს არაადამიანურ პირობებში. ამის გამო ხშირი იყო სხვადასხვა სნეულება და უეცარი გარდაცვალება. ეს გასაკვირი ნამდვილადად არ იყო, თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ მუშათა სადგომი და ქუჩები უწმინდურობით იყო სავსე, ასე რომ, იქ მაცხოვრებელ ადამიანს სიკეთე ნამდვილად არ დაეყრებოდა. შუა ბაზარში, მოედნის უბანში, კლდის უბანში, შავ სოფელში, ძაღლის უბანში და სხვა ქუჩებში ჰყრიდნენ ნაგავს, აყროლებულ ტყავის ნაჭრებს, ქათმის ნაწლავებს, ღვრიან შარდს, აყენებდნენ ფაეტონებს, სხვა ბევრ ამგვარსაც აკეთებდნენ, რომლისგანაც ეს არემარე გაუსაძლისად ყარდა და გავლაც კი შეუძლებელია იყო.

ასეთ ქარხნებში ზამთარ-ზაფხულ გაჩერება თითქმის გაუსაძლისია. ზაფხულში იქაურობას ბული ასდის, ზამთარში კი ქარხნის კარი ერთთავად გამოლესილია, შიგნით ხარშავენ ნებოს, დღეში რამდენჯერმე აცხელებენ, ლამითაც იქ სძინავთ, რომელი დაზგაც თავისუფალი დარჩება, სანოლად იმას იყენებენ. ამგვარი აუტანელი პირობების გამო ხშირად ავადმყოფობენ და ცოტას ცოცხლობენ.

ასეთ ამბავს ჰყვებოდნენ: ერთი სტალერი ჯაფისგან მეტად დასნეულებული ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა, მისმა მოხუცებულმა დედამ მათხოვრობას მიჰყო ხელი და კარდაკარ სიარული დაიწყო. თეთრი ჩადრი პირზე ჰქონდა აფარებული და ეკლესიის კართან ხელგანვდილი იდგა. სირცხვილით ნახევარხმაზე გაიძახოდა, შემობრალეთ ღარიბი და მაჩუქეთ რამეო. ბევრს ესმოდა ეს სიტყვები, მაგრამ ჩუქებით ვერაფერი გაუმეტებია.

სწორედ ასეთი ხელმომჭირნეობით, უფრო კი სიძუნით გამოირჩეოდა ქარხნების მეპატრონე ზეცერი, რომელიც თავის მუშებს ოთხმოცი კაპიკიდან ორ აბაზამდე უხდიდა თითქმის მონურ შრომაში. დანარჩენ ფულს ზეცერი ითვი-

სებდა, რაც უტყუარად დაადგინა კიდევ ძიებამ დაკითხვა-გამოკითხვის შედეგად.

კერძოდ, ფაბრიკანტ ზეცერთან მუშაობდა მუშა-ხელოსანი ბეგიევი, რომლისთვისაც დაუფალბია უფროსს მეტად მძიმე საქმე, უზარმაზარი მაგიდების დამზადება. მოგვიანებით ზეცერმა მოსთხოვა მუშას ამ მაგიდების სარდაფში ჩატანა, ვითომდა იმ მიზეზით, ბევრ ადგილს იკავებსო, თანაც შეგნებულად არავინ დაახმარა. მუშამ კი შეასრულა დავალება, მაგრამ რამდენიმე დღეში ნეკნები ასტკივდა. მერე ლოგინად ჩავარდა და კვირაცხოვლობის მეორე დღეს გარდაიცვალა. მისი ამხანაგები ხაზინთან მივიდნენ და მოახსენეს: გიგოლა მოკვდაო, — და დასამარხი ფული მოითხოვეს, ის ფული, რომელიც გარდაცვლილს ისედაც ეკუთვნოდა. ზეცერმა გაიკვირვა და უარზე დადგა, მე იმისი არა მმართველი რაო.

დადგინდა მეორე შემთხვევა. ერთ მუშას ნების ხარშვა დაუნყია და ბუხარში ბევრი შეშა მოსვლია. ეს შეუმჩნევია ზეცერს და მუშისთვის ყვირილი დაუნყია, მერე კი კეტი აულია და თავში ჩაურტყამს. გარეთ გამოსულს სხვა მუშებისთვის უთქვამს: ეი, ტი, იდი ტვოი ბრატ საბაკა გრუზინ სდოხ, სტუპაი პამაგი ემუ. თავგაჩეხილი მუშა ძლივს გადაურჩენიათ, იქადნებოდა, უპრავაში საჩივარი უნდა შევიტანო, მაგრამ ამის შემდეგ აღარც მუშა გამოჩენილა და აღარც საჩივარი ატეხილა.

მოდებულ იქნა ძველი გაზეთიც, სადაც ზეცერის ვაჟე-ცობები იყო აღწერილი და სიტყვა-სიტყვით ასეთი რამ ეწერა:

ნემეცმა ზეცერმა მალე მოიხვეჭა სახელი და დიდება თბილისში, გაიკეთა დიდი და კარგი სახლები, ქარხანა, ბაღი, აბასთუმანში სახლები და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა და სხვა ამისთანები. შეგირდების ცემა-ტყეპა მუპატრონეს საუკეთესო საშუალებათ შემოულია ქარხანაში, უბრალო დანაშაულისთვის შეგირდს სასტიკად დასჯის, ჯერ სცემს და შემდეგ ბნელ ოთახში ჩააგდებს, ისიც მხოლოდ ღამით, რადგან ღამით თავისუფალია შეგირდი, დღისით კი თავის საქმეს არ მოაცდენს. ზეცერს საცემ იარაღად მიღებული აქვს ტყავის მათრახი, მაგრამ ხშირად კეტითა და ჯოხებითაც წაესევა საწყალ შეგირდებს. თავისი კარების ყარაულად ზეცერი შეგირდებს აყენებს. შეგირდს მთელი ღამის განმავლობაში სალდათის შინელი უნდა ეცვას, ჯოხი ხელში ეჭიროს და ისე იდგეს, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულის ღამეშიც. ამ უბედურ შეგირდებს ხშირად ორთქლის ქვაბებში ჩაჰყრის ხოლმე და არეცხინებს, რისგანაც ისეთნაირად იღლებიან და იჩაგრებიან ამ ქვაბებში, რომ სრულიად დავარდნილი და უფერულნი ამოდიან.

დადგინდა ისიც, რომ ზეცერს იმ დღეებში მართლაც ნაუგია კარტში დიდძალი ფული, ასე გამოდიოდა, რომ სტალრების მიერ მიზარებული ფულის ამბავი ნელ-ნელა უფრო სარწმუნო ხდებოდა.

ძიება გასაკვირად სწრაფად დასრულდა, თბილისი საჩვენებელი სასამართლოსთვის ემზადებოდა. რადგან სასამართლო, როგორც სხვა ყველაფერი თბილისში, ერთგვარ წარმოდგენას ჩამოგვადდა, სათანადო ჩაცმა-დახურვასა და თავის მონესრიგებას მოითხოვდა.

სადლაქოები.

ყოველ დროს თმის მოვლის თავისებური ყაიდა ჰქონდა, როგორც წესი იყო, ჩვენი წინაპრები წვერ-ულვაშს არ იპარსავდნენ, მიუხედავად ამისა, სამართველის ხელოვნე-

ბა ისე იყო განვითარებული, რომ ექსპორტიც წარმოებდა. ამას სათავეში ედგა ვინმე სლავიციკი, გენერალ ზუბოვის ადიუტანტი, რომლის დამზადებული სამართველები ღირდა ორი აბაზი და ევროპაში წარმოებულსაც კი უწევდა მეტოქეობას.

დრო იყო, როდესაც მამაკაცის უღვაშს სულ სხვა ფასი ედო. ხელმოკლე ადამიანი თავის კრედიტორს გიროდ უღვაშის ერთ ღერს დაუტოვებდა და ამით თავისუფლდებოდა ვექსილის რთული საბანკო ოპერაციისგან.

წვერის მოპარსვა და თმის დაბლა დაყენება ქართველებმა არუსებისგან გადმოიღეს. პირველი, ვინც ეს შეძლო, გახლდათ საბარათიანოს სარდალი ივანე ორბელიანი, რომელმაც იმპერიის ერთგულების ნიშნად, რუსულად გაიკეთა თმა და წვერ-ულვაში. როგორც ამბობდნენ, მისთვის სხვებსაც მიუბაძავთ და თმა-წვერით გატენილი ტომრები მტკვარში გადაუყრიათ.

როდესაც ნიკოლოზ პირველი საქართველოში ჩამობრძანდა, თავადაზნაურობას ძალით გაპარსეს წვერი, რითაც გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვიეს. სწორედ მაშინ უთქვამს სვიმონ მანაბელს ნაღვლიანად: ღმერთო, ეს რა დღეს მოვესწარით, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურავს, თუ ეს უღვაშები მასხია და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცო.

წვერის გაპარსვასთან ერთად თბილისში ქილვაშების, იგივე ბაკენბარდების ტარება დაიწყეს, ვისაც თმის გაზრდის მოთმინება არა ჰქონდა, ხელოვნურ ქილვაშს ატარებდა. აბანოში გასაბანად წასვლა და სამართველით გალამაზება ერთმანეთის ტოლფასი იყო. თბილისელი მექისე მექისეც იყო და დალაქიც, ამიტომაც, როგორც წესი, მას დალაქს ეძახდნენ. თბილისელთაგან სახელი ჰქონდა გავარდნილი ვინმე გრიქულას, რომელიც მოგვიანებით მეპარიკე გამხდარა და ოპერაში გადასულა სამუშაოდ. ჩამოსულთაგან პირველობას ამ საქმეში ვერავინ ეცილებოდა ფრანგ ბერლემონს.

ქალებს თავისი პარიკმახერები ჰყავდათ. ისინი მანდილოსნებს კავებს უკუულულებდნენ, თმებსა და თითებს ინით უღებავდნენ. როდესაც თბილისში პრიჩოსკა შემოვიდა, საპარიკმახეროებთან ქალებისთვის სპეციალური ოთახები გაიხსნა. ბლოტის განთქმული საპარიკმახერო განთავსებული იყო კეთხოფოვის სახლში. ჩანს, საქმე კარგად მიდიოდა, რადგან მალე სადალაქომ მისამართი შეიცვალა და ქალაქის ცენტრში, ზუბალოვის სახლში გადაბარგდა.

შეძლებულ თბილისელს ფეხით მოსიარულეს ვერავინ ნახავდა. ამას თავისი გასამართლებელი მიზეზიც ჰქონდა. წვიმების დროს ქალაქში ღამით ამოუსვრელად გავლა შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა — არ იყო ქვაფენილები, ოღროჩოლო გზაზე უზარმაზარი და ღრმა გუბეები დგებოდა, რაც მოძრაობას სახიფათოს ხდიდა, ამიტომაც გადაადგილება ძირითადად ცხენებით ხდებოდა. პირველი კარეტა თბილისში პეტერბურგიდან დაბრუნებულმა გარსევან ჭავჭავაძემ ჩამოიყვანა, ამას მოჰყვა კალიასკა, რომელიც ეკუთვნოდა ქალაქის სამხედრო გუბერნატორს ნიკოლოზ საპიაგინს, თბილისი ნელ-ნელა ემსგავსებოდა ევროპული ყაიდის ქალაქს. შემოვიდა დროჟკები და ეკიპაჟები, ასეთი სულ რამდენიმე ყოფილა, ერთი ჰყოლია თეკლა ბატონიშვილს, მეორე გრიგოლ სარაჯიშვილს, თბილისელ ვაჭარს, კიდევ ორი — გიორგი ერისთავსა და გიორგი თუმანიშ-

ვილს. ამას ემატებოდა ისიც, რომ გაუნათებელ ქუჩებში გადაადგილება სახიფათოც კი იყო და ამგვარი ტრანსპორტით მოძრაობა თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. გამოჩნდნენ ბირჟის ეტლები და პირველი მეეტლეები, განსაკუთრებით სახელი ჰქონია გავარდნილი ვინმე ციკანას, რომელიც ამ საქმის შეუდარებელ ოსტატად ითვლებოდა. ამათი სადგომი იყო მადათოვის მოედანზე, სადაც კლიენტს ელოდებოდნენ და ერთმანეთში ლაზღანდარობით ირთობდნენ თავს. დაქროდნენ ძალიან სწრაფად, რის გამოც შიგ ჩაჯდომა სახიფათოც კი იყო. თბილისელ ქალებს ოსტატური ხერხიც კი ჰქონდათ მოფიქრებული წონასწორობის შესანარჩუნებლად: ორი ჯდებოდა ერთმანეთის პირისპირ, ორი თავსდებოდა მარცხნივ და მარჯვნივ, თავიანთი ამხანაგების მუხლებზე, რომლებიც ხელზე ხელს შემოხვევდნენ, ამ პირამიდის წყალობით ტრანსპორტი მდგრადობას ინარჩუნებდა. კომპოზიციას ამთავრებდა დროუკის ლერძზე შემომჯდარი პატარა ბიჭი, რომლის გარეშეც იმდროინდელი ქართველი ქალი ქუჩაში არ გამოდიოდა.

მიუხედავად სხვადასხვა ხერხისა, უბედური შემთხვევები მაინც ხდებოდა, სწორედ სწრაფი სიარულის დროს გადმოვარდა დროუკიდან ლუარსაბ ორბელიანი და ცხვირი გაიტეხა. აღინაჩების შემოტანამ ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო გაამრავლა, რამდენიმე სიკვდილითაც კი დასრულდა. თბილისში დიდხანს იგონებდნენ ერთ სევდიან ამბავს:

აღექსანდრე ჭავჭავაძე დილის ათი საათისთვის გაემგზავრა ვორონცოვთან შესახვედრათ, რაღაც დღეობა იყო და მილოცვას აპირებდა, რაც, თავის მხრივ, მეუღლემ ურჩია. ქუჩერმა დროუკაში ჯიშიანი ყარაბაღული ცხენი შეაბა და საზეიმოდ მორთული დღევანდელი ჭავჭავაძის ქუჩით ქვევით დაეშვა. ის იყო, გოლოვინის პროსპექტზე უნდა გასულიყვნენ, რომ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა ზედ დროუკის წინ. ცხენი დაფრთხა, ქუჩერს თავი წაართვა და აქეთ-იქით მიანყდა. ქუჩერმა დაიძახა: კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო. კნიაზს უფიქრია, ქუჩერს მივეხმარები, აღვირზე ხელს მოუფიქრებ და ცხენის ჭენებას შევაჩერებო, ამიტომაც წამომდგარა ფეხზე, მაგრამ აღვირს ველარ მიწვდენია. მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა ბორბალს ჩაუთრევია და ფეხზე წამომდგარი კნიაზი ძირს გადმოუგდია, ეს გადმოვარდნა კი სასიკვდილო გამხდარა.

მიუხედავად ამგვარი სავალალო შემთხვევებისა, თბილისელები ამ ტრანსპორტის შეძენის საურვილს მაინც ვერ აკლავდნენ და იმის ნატვრაში ათენალამებდნენ, როდის იქნება კალიასკით ვვიზიტობდეთო.

ასეა თუ ისე, სადღაპოებში გალამაზებული და დროუკა-კალიასკა-ადინოჩკაზე ამხედრებული თბილისელები სასამართლო შენობისკენ გაემართნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

ანა გელაშვილი

„სანთელიც მე ვარ, საკმეილიც“



„წუთისოფლის სიმფონია“ — ამ სახელწოდებით გამოიცა ტარიელ ხარხელაურის ზედიზედ მესამე კრებული, რომლის წარდგინებასაც 24 მარტს საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა უმასპინძლა.

ამ კრებულის გამოცემას წინ უსწრებდა ორი წიგნი — „აქ ბინდისფერი გასრულდა ჭალა“ და „მინდვის ფსალმუნები“. ახალ კრებულში ბოლო სამი წლის მანძილზე შექმნილი 240 ლექსია შეტანილი. ასევე, თარგმანები. მთარგმნელები არიან: მექა ხანგოშვილი (ჩეჩნურად), გვანცა ჯობავა (ინგლისურად) და თამარ პაპალაშვილი (რუსულად).

კრებული დაამშვენა მწერალთა, ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილებმა: მიტროპოლიტი თადეოზის, ნოდარ ტაბიძის, როსტომ ჩხეიძის, ამირან არაბულის, ერეკლე საღლიანის, თემურ ჩალაბაშვილის, მექა ხანგოშვილის, ომარ ქუცნაშვილის, ბაბუა ალუდაურის, გელა დაიაურის... პოეტს წერილებით ესმინებოდა მეგობრები და რიგითი მკითხველები, ისინი, რომელთაც სამაგიდო წიგნებზე დასახებთ ტარიელ ხარხელაურის კრებულები.

წიგნის რედაქტორია ლიტერატორი, პოეტის მეუღლე მარინა ხარხელაურია, მხატვარი — მაია ქინქლაძე. ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელი გიორგი ფარეშოშვილი ღონისძიების ორგანიზატორი იყო და სადამოსაც ის უძღვებოდა. დარბაზში საყვარელი პოეტის მოსასმენად უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. იგი კი ჩვეული მოკრძალებით წარუდგა საზოგადოებას და უხვსიტყვაობას ამჯერადაც ლექსით საუბარი არჩია...

საზოგადოებამ კიდევ ერთხელ მოისმინა კარგად ნაცნობი, მკითხველისათვის საყვარელი „არაგველები“, „ვერკვლის ციხე ვარ“, „დახურეთ ზეცა“, „ხმელო ფოთოლო“... და ახალი ლექსები.

ტარიელ ხარხელაურს ახალი კრებულის გამოსვლა მიულოცეს: თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა, ერეკლე საღლიანმა, საგანგებოდ ამ დღისთვის ინგლისიდან ჩამოსულმა პოეტის სიძემ — მაიკლ რობელმა, ქართულ კულტურაზე უზომოდ შეყვარებულმა ქართველების სიძემ — ნორვეგიელმა სვენ ვააგემ.

სადამოს ამშვენებდა ტარიელ ხარხელაურის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, რომელთა შორის ქართველი მსმენელისათვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი „დილაო ავდრიაანო“ გამხდარა, პოეტი ამ ლექსის პოპულარობას სიმღერის ავტორისა და შემსრულებლის — თეონა ქუმსიაშვილის — დამსახურებად მიიჩნევს, ვისმა ტრავიკულმა ბედისწერამაც დრამატიზმითა და მოუშუშებელი ტკივილებით დამუხტა ლექსი.

ანსამბლების: „არხოტი“, „პოპური“, „ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლი“, სოლისტების — ეკა ბაიაშვილისა და თამუნა ალადაშვილის შესრულებით აჟღერდა ახალი სიმღერები: „დილას მთებს დასძინებით“, „მთებო, სადაა პატარა გოგო“.

ისეთი ემოცია მოდიოდა პოეტისაგან, რომ მსმენელის „გული ასაფრენად იწვევდა“.



რეზო ესაძე

არცა რა იყო

აქ შემოდგომა დამდგარიყო შენი საუბრის, —
ფერმინავლული ფერი და წამი.
აქ, არ იყო არაფერი გარდა სევდისა:
სკამს იქით, სკამის სიშორეზე კვლავ იდგა სკამი
და იმის იქით ფოთლის მეტი
არცა რა იყო...

სამუშაოს

იშლება ყორე და ჩაღბა ნისლი,
ამინდებია მძიმე და ჭრელი.
სახლებში ისევ ტირილი ისმის
და ბავშვი ისევ ლუკმა-პურს ელის.

ო, საქართველოვ, ჭრილობავ გულის,
გამშრალი ცრემლის კვალო ნათელო,
მგელი ყმუის და კედლებს გარს უვლის
რამდენი იყავ, დარჩი რამდენი.

კვლავ გმინავს, გმინავს ის ძველი ნიში
და სისხლის დენით ვუმზერ მომავალს,
გულში გაივლის ან წაშლის ნიშნით
და შიშით ვუცქერ ბილიკს აღმავალს.

დილა, დილემა და ჩირგვი ეკლის
ღამე — ნუხილი და გულისტკენა...
გათენებისას სიკვდილი მელის,
შენყდება სუნთქვა და გულისცემა.

ამაოდ დავშრი, ბევრი ვეცაღდე,
ვობლობდი, ოლონდ შენ დამრჩენოდი.
ო, საფიცარო სისხლის ნვეთამდე
შენ გათენებავ, სულ რომ გელოდი...

ვერ მოვესწარი მე შენ ცის გახსნას,
შენი ფინიშის ვერ ვნახე ნიში.
ვზივარ და ლექსთან
ცრემლიც თან მახლავს,
მინდა გიმღერო და ცრემლი მიშლის...

ოცდაექვსი მაისი

ყურისწამლებ, სველ სილურჯეში
კვდებოდა საქართველო.
(შვილებისგან)

შემადრწუნებლად ლამაზი.
საკუთარ სისხლში ამოსვრილი,
მაგრამ
შეუვალი...

შველა არსად იყო, —
თუმცა,
ელოდა და...
სულ არ რცხვენოდა
მარტოს,
რომ ეს ასე იყო და არა
სხვანაირად...

ვიღაც, დახეულ დროშის ტარს
უმისამართოთ იქნევდა.

სამუშაოს

რად მოიღრუბლე ასე
რად მოიღრუბლე —
თუმცა სანამლავს მასმევე,
მოყვრად მიგულე...
გძულვარ, ვლოცულობ შენზე
მინყრები, შენით ვხარობ.
ჩემი ტკივილის მზეო
ჩემი ავდარის დარო...

გული გასივდა, — ეე, — აა!
გეძახი და ხმა გამე.
რა უგემური დღეა,
რა უმონყალო ღამე!

* * *

ცხოვრება გავიდა.
სიცოცხლე წავიდა —
შიშითა,
კრძალვითა,

ღირსების კარგვითა,
...დარდითა.
ან მზედავ მდიდარსა
მე, მხოლოდ ამითა.

მინოდე რაც გინდა, —
ავიტან,
გინდა? სულ ღიათ,
თუ გინდა, მალვითა...

ბილწითა გინებით
ავითა — ავითა...
მაინც ყველაფერს
ავიტან,

ოლონდ ეს მოშორდეს,
წავიდეს,
არ მინდა!

თუ დამემხოზა
მაინც კარავი?
მაშინ არ მნახოთ
— არავინ!

რეზო ესაძე ტკივილის პოეტი. ტკივილი წარმოშობს მასში პოეტურ ენერგიას. ტკივილი ქმნის მისი ლექსის ფორმას. განწირული სულის ღალადისი მოისმის ამ პოეტური აღსარებებიდან, პესიმისტურ ტონალობებში სავესებით ქრება იმედისა და პერსპექტივის განცდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება შეგრძნება რაღაც უჩვეულო ნათლისა, რომელიც ალბათ სხვა არა არის რა, თუ არა ტკივილის ნათელი ანუ „ტკივილის მზე“, როგორც პოეტი უწოდებს. ნუთუ ტკივილსაც შეიძლება ჰქონდეს ესთეტიკა? ტკივილს აქვს სიდიდე, სიმწვავე, სიცხადე. ადამიანს ისე არაფერი აკავშირებს რეალობასთან, როგორც ღია ჭრილობა. ისე არაფერი უმწვავებს არსებობის ტრაგიზმს, როგორც დამსხვრეული ოცნებები. არაფერია იმაზე უფრო დიდი, ვიდრე სამშობლოს დამსობით გამოწვეული დარდი. ჯერ კიდევ როდის წერდა გრიგოლ ორბელიანი: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“ თუკი არსებობს ქართული პატრიოტული გონი, მაშინ გრიგოლ ორბელიანი ამ გონის გამომხატველია. თუკი არსებობს ქართული პოეტური ტრადიცია, მაშინ ეროვნული ტკივილი ამ ტრადიციის გამომხატველია. და თუკი არსებობს ტკივილის ესთეტიკა, მაშინ რეზო ესაძე ამ ტკივილის ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველია. ამას შესაბამისი ფორმითაც ახერხებს. მის ლექსებში სიტყვები მარტო იმისთვის კი არ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ გადმოსცენ აზრი, არამედ იმისთვისაც, რომ შექმნან სილბო, ვერბალური ქსოვილის სისათუთე, ფონეტიკური აბრეშუმი, რომელსაც ორმაგი დანიშნულება აქვს: აღძრას ემოცია და გამოკვეთოს აზრი, რომელიც ტკივილების გარსშია მოქცეული.

* * *

უცებ გავქრები თვალიდან
 აღარ ვიქნები არსად,
 არ დავინწყები თავიდან
 ვისი, ანდა რის ფასად?..

ვიყავი ცხოვრება, არ მალვითა
 ხან ერთი, ხანაც ასად...
 მყავდა სამშობლო მკლავითა
 დედად და არა ხასად!..

* * *

მე ვსუნთქავ ზურგით
 და ჩემს თვალებს
 არა აქვს სევდა.
 მე ვსუნთქავ ზურგით
 და ზურგიდან
 ყველაფერს ვხედავ.
 ყველაფერი, ღმერთო ჩემო, ყველაფერია...
 მე ვსუნთქავ ზურგით,
 მკერდი თვლემს და მზე ეფერება.
 შორეულ საყვირს მატარებლის შორდება ექო,
 მე ვსუნთქავ ზურგით
 მეტირება, არ მემღერება
 ღმერთო, ღმერთო, ყველაფერი, ყველაფერია?..
 რა სიჩუმეა.
 გული ითვისებს ნამებს და თითქოს
 თითო-თითოდ დაიშალა ათას ფერებად.
 მწარეც რომ იყოს,
 ნამიერი მოგონება
 მოგონებაა და
 სწორედ იმ დროს,
 ვერ ვხვდები, ღმერთო,
 ზღაპარს ზურგისას მომავალი რად ემტერება?
 ნუთუ ყველაფერი, რაც ყოფილა, არაფერია?
 ვფიქრობ, სიკვდილი ნუგეშია
 ოცნება ლამის.
 დიდი ხანია მერევა და
 ვერ მომერია.
 მელანქოლია ფიქრიან ნამის
 მოფერებაა იქნებ ლამის
 ის ქვეშ მეგება,
 კითხვით:
 — ნუთუ არაფერი ყველაფერია?..
 წლები ჯიუტად
 ცდილობენ რომ გატეხონ ნავსი.
 პასუხს არ მცემენ
 და პირიქით, მეკითხებიან:
 უფლება გაქვს კი
 სისხლში გასვრილს
 კითხვის დასმის,
 თუნდაც, ნება,
 მიამიტურად მისი ხაზგასმის?!

 და ვბლავი უხმოდ, გამაყრუებლად...

პეპლები

უკრავ და ირგვლივ დაჰქრიან ფრთები,
 იბადებიან იქვე მითები
 და როიალზე ნაზი თითები
 იძვრიან სწრაფად ღვთის მითითებით.

არის სიმაღლე სულის და ნელი
 ნარიმართება ჰანგი თანდათან.
 ამოქარგული უნაზეს ხელით
 ფარდაში თეთრი სხივი ატანდა.

უკრავდი. შენი ნაზი თითები
 როგორც პეპლები ჰფრენენ კლავიშებს...
 ვარ ანთებულო, უფრო ვინთები,
 გბარდები ტყვედ და გთხოვ ნუ გამიშვებ.

უბიდან, იმ სახსე მთვარის

ისმოდა შორით ჭოტის ძახილი,
 მდინარის ხმაზე მღეროდა ჭოტი.
 გადმოზნექილი ყორზე ტოტი
 გადახუნძლული უამრავ ხილით
 და მოვიპარეთ, ვიყავით ორნი,
 სიმაღლით ტოლნი, ასაკით ტოლნი,
 და იფრქვეოდა სხივი ყოველგნით
 არეკვლილ მთვარით და შემპარავით...
 გზა იყო სწორი,
 ვიყავით ორნი
 და იქ არ იყო მეტი არავინ.

ღამის მისტერია

ისევ შიშველია ცა —
 [წვიმაა]
 და სველია წვიმიანი ღამე.

ოთახის ჭერში
 კიაფობს ლამფა
 აშლის ქინკლს და
 ინვევს ქავილს...
 მიწის კნავილს
 გამოსცემს კატა,
 ტკივილი ახლავს იმ კატის კნავილს..

ირხევა დაფნა. დანტეს
 მოსავს.
 ეჰ, სურვილი რამდენს
 (გვირგვინი დაფნის) არ ახდენია მგოსანს (?)..

უხმოდ ნავიდნენ.
 ირგვლივ კი დაფნის ტევრი ხარობდა.
 მაგრამ უარობდა...
 და სიზმარი მათთვის ვერ ახდა.

ახლა, თუმცა წვიმს
ცა შიშველია, — სუფთა მთვარით.
სადღაც ჰორიზონტი ისევ აიშალა
ქარით...

კვლავ ძველებურად აბოლებს მიწა,
იგი, ისევ ვრცელია, უთვალავი —
ხან მიმზიდველი, ხან შემზარავი
თუმცა ამ და იმ წამს
ამაზე, როგორც უნინ, და ისე ახლა
არ უფიქრია და არ ფიქრობს არავინ.

მოუსვენარი, ონავარი
წყარო
ბალახებში კვლავ გზას მიიკვლევს.
[კვლავ] ესწრაფვის მიზანს,
ძველებურად ყივის მამალი,
ანვიმს დაფნარს,
მაგრამ,
კითხვა რჩება უპასუხოდ:
— რა ჰქნან?
ჩამოხსნან ქრისტე, თუ
კვლავ ჯვარს აცვან (!?)

შენდობა

გავლიე გზები სიძულვილის და ჩემი სვლა
მზეთა სავალი ბილიკებით
წარემართე მაგრამ
სად წყდება სხივი აღსავალის, ვეღარ გავიგე.
ო, ღმერთო, ღმერთო ვინ მეძახის
სულ დასავალით?

რა შეგცოდნე საოცარო.
რად მინყალობებ მხოლოდ სატკივარს?
რად ჩნდება შუქი სინანულის,
მონანიება რად ესწრაფვის
იქცეს ქრილობად
ღიად. სისხლით გადმომდინარით, —
ღანვს მისველებს და ეკიდება...

ვხედავ, ჩემს ტანჯვას, შუქმოსილო, არა აქვს კიდე,
ვიდრე სულს ვითქვამ, ხელმომკიდე წყალობა შენი
ვალს მდებს:
ცდილობს, ჯოჯოხეთურ ცეცხლს ამარიდოს —
გევედრები, ნუ იზამ ამას!..

ცოდვა ჩემი, უთვალავი, მძიმეა მეტად, —
შედეგია უმეცართა ჩემთა ქცევათა
ნიაღვართა მიმოქცევათა
თავსაყარი სიტყვა და სეტყვა! —
ნუ მომიტევენ...

სავალს ჩემსას ფორმა აქვს მრუდი,
ცდილობს ჯოჯოხეთს ამარიდოს.

დაადოს კლიტე ჩემს საფიქრალს,
თუკი ცოდვილი ვალიარებ საქმეს დასანანს
და თითონ ამით დავიცემ დანას
მაგრამ, ვხედავ, ამაოა ირგვლივ ყველა ცდა
განწმენდისათვის.

ველარაფერი ვერ გავუგე ამ მზიან სავალს! —
ვერ გავუზომე სიგრძე-განი,
„ა“-ნი გამექცა, „შო“-ს შევეჭიდე.
ან ყინულებით შემოწყობილს მეწვის კანი
და თუ მალე ამ სანუთროს უკან მოვიტევ
და ისე წავალ, თან წამყვება მე ჩემი ვალი
ნულარ შემინდობ ჩემო კარგო,
— სასთუმალთან დღედაღამ გიდექ,
მაგრამ, ვერა და
ვერ დაგიდგი ჭიქა წყალი!..

* * *

მოვიდა კაცი და ფული მთხოვა,
არ მქონდა ფული, არც სახლი მქონდა,..
არ იყო სახლი, ვერც სხვა რამ ჰპოვა
ჩამოდგა ბინდი და მან დამტოვა.

არაფრის მქონე, არც რის არ მქონეს
ნელა გამშორდა, ჩქარა წავიდა...
და დავრჩი მარტო მე — სიმარტოვე
სიმარტოვით და სისადავითა.

გზა

ო, ამ ნიშანსვეტზე სანყისს,
მზეა როგორც მნიფე მარწყვი.
დილაუთენია ცისკარს
ანყობს, აგებს მისხალ-მისხალ!

მაღალ ნიშნით იმდაგვართ,
ეს ცა ისე ქართულია:
ქართველთანი, ქართულთანი,
სულის პირჯვრისწერის დარი...

ქრისტეს ამაღლების დარი!..

აი ია, აი ია,
აი ეს მთა, ველი, ველი,
ვარსკვლავ — მთოვარიანია
ათასფერი ცისარტყელით,

ერთი არა, ერთი — სამი,
ერთი არა, არის სამი!..
აკვანივითაა ხიდი.
ეს გზა, ეს გზა ცისკენ მიდის!..





ნუციკო დეკანოზიშვილი

ნამსხვრევეები

ზღაპარს იგონებ. იჯერებ. ჯიუტად.
მერე პერსონაჟები თავის ზღაპრებში გარბიან.
მერე ისევ ბრუნდებიან.
შენ კი უკვე სხვა ზღაპარში ცხოვრობ.
დგანან და გიყურებენ, —
როგორ უშვებ ოქროსფერ ნაწნავს მაღალი კოშკიდან.

გულისდანყვეტა უთუოა, კარს მომდგარი დეკემბერივით,
რჩება პარკუჭი, სარქველები, სისხლის ნაკადი, —
მიდის და მოდის, ასე, შენსავით,
მიდის და მოდის —
უთვალავი უჯრედის გავლით.
ჩვენი ქალაქი კვამლით აივსო,
აივსო კვამლით.

რა იოლია დასასრული, — განზე გადგომა,
ხელის ჩაქნევა, ან ამავე ხელის დაბანა.
ბნელი ბუნაგი, ან ნათელი შენი სადგომი
უმთვარობისას. უადგილო, აქვე, ანბანი,

რომლითაც ველარც სიტყვას ადგენ,
ველარც სიყვარულს.

აი, ეს დილაც...
თუ გააღწევ ღამიდან, ნადი!
მოიშველიე ჩემი სველი, მლაშე ლოყები
და თავს უშველე!
ასე გარბოდნენ უხსოვარი დროიდან და
უნდა განვაგრძოთ.
ან სხვა რა გზა გვაქვს?
გადაგატარებ ჩემს მუცელზე, მკლავებზე, ნელზე და
ჰერიიი!

სხვისი ჰაერი გისუნთქავს და, ამოისუნთქე!
სხვისი წყლები რომ გიყლაპია, — უნდა დაღვარო.
სხვისი თამაში. სხვისი პური, სხვისი სისუსტე
და ჩემი გული, ჩემი სული, ჩვენი საღამო...

ჩატეულიყო ჩემს მუჭაში დედამინა,
ჩატეულიყო.

ეფეთქა სწრაფად, ხელისგულზე — დიდი გულივით,
თან ცისთვის — ჩემი თვალებისთვის — ამოხედა
განვიმებისას.
ცა გახსნილიყო — სვედაგამკრთალი,
ელვის ცეცხლები გაბნეულიყო.
ანთებულიყო,
მზე ეზოში დანთებულიყო, —
ხელისგულების გასათბობად,
გულის საოხად.

თვალს გჭრი, თან გზასაც განგებ გიჭრი, —
ველარ მიპოვი.
ოროფეხებზე დგას ქალაქი, —
ველარ მიპოვი.
ველარ მიპოვი, —
ქილიკობენ ქვრივი ქალები,
და უნაპირო შავი სვედა
ნაპირს სცილდება.

ველარ მიპოვი
მკვლელი სექტემბრის კულისებში. ჭორად დავდივარ
მხოლოდ. გავები
მოყვითალო ობობას ქსელში, —
ართავს და ართავს...
ქორონიკონი —
ქრომატული გამების ტალღა
ანთლებს ფოთლებს.
შენ იცი, —
ჩემი ალისფერი კაბის ქობაა
მზე — ჰორიზონტზე.
სხვა ვერაფერ შემოგენტება,
შემოგანათებს.

აქ ვერ შემოხვალ, —
გვარიანად დახვავდა შიში,
და სარკეებში არეკლილი პარადოქსები ენას მიყოფენ, —
გასაციანებლად, და მეც ვხარხარებ.
არ შემოხვიდე!
ეს ნამსხვრევეები უნდა ვკრიფო მთელი ცხოვრება, —
კარადის თავზე, იატაკზე, მიწაზე, ცაში...
სასწრაფოდ უნდა ყელიდანაც ამოვიყარო
ფერადი ცოცხით,
რომლითაც ვფრენდი
დაისიდან გამთენიამდე.

აქ ვერ შემოხვალ, —
ყველაფერი საბრალოდ ყრია ძირს და მთავრდება.
ფეხს თუ გაიჭრი ლურჯი სასანთლის ნამსხვრევეებზე
ან კიდევ, პაპის ნაჩუქარი პატარა ყუთი წამოგედება,
საიდანაც მოცუკვავე თეთრი ბალერინები
პუანტებიანად ამოფრინდნენ და უკვალოდ გაუჩინარდ-
ნენ.
მხოლოდ გულსაკლავი მუსიკაა, —
ისიც არასოდეს შეწყდება.

ეს ღამეც ისე სათუოა, როგორც

ბალებში ჩურჩული და მკრთალი შეხება,
უცნაურად ბედნიერი თვალები და
ჩემი სახლის ჭრიჭინას მონოსპექტაკლი,
კიბის ქვეშ რბილი ხმით წარმოდგენილი,
მარადიულ სიყვარულზე, —
სადაც კაცები გმირულად იხოცებიან.

მიუხედავად ამისა,
ოქროს თევზი,
ჩემმა კაცმა რომ მომიყვანა,
არ საუბრობს.

არც სურვილების ასრულებას მპირდება.
წყლითა აქვს პირი სავსე და,
ვიდრე მე ბუხრის ალზე თმას ვიშრობ,
ოთახიდან ოთახში უხმოდ დაცურავს, —
სრული სვლით ზამთრისკენ.

თანაც,

ყოველი მორიგი თვითმკვლევლობისას,
როდესაც ჩემი თვალების ლულა

მიმართულია იქით, —

სადაც შენ განისვენებ,
მე გნატრობ.

რადგან,

როდესაც შენ დამემართე,
ჩემი ფანჯრები უჩვენებდნენ ჩრდილოეთს,
თვალები მზეებს.

ახლაც, ყოველ ჯერზე,

როცა მაფრთხილებ, — თავს ვუშველო, —
ვამბობ —

არსაით.



ვლადიმერ კანდელაკი
ფარშეკანგი გალიაში

პირველი შთაბეჭდილება

გამარჯობა, ჩემო მეგობარო, ანუ ნანილ-ნანილ

დიდი ხანია არ მითქვამს: „ვა, რა მაგარი ლექსია!“ დღეს
კი ვთქვი... თანაც ორჯერ. რამდენჯერმე დაეაპირე მინერა
(მიყვარს, როცა შთაბეჭდილებას მივანერ ხოლმე ლექსს),
არაფერი გამოდის, ტკივილივითა... დუმს.

არ ჰგავს ერთ ჯერზე ამოთქმულს, დიდხანს ნაფიქრს
ჰგავს და გაშალაშინებულს. როდენი გამახსენდა. ნაკითხ-
ვისას. პირველივე ჯერზე.

ჰგავს ნანყვეტ-ნანყვეტ ამოთქმულს... ყლუპ-ყლუპად
ჩაფიქრებულს... ზემოდან ქვემოთ წვეთ-წვეთად ჩამონუ-
რულს და მერე ერთ ნაკადად ამოფრქვეულს.

კი ასეა, არ ღირს, თქვა... მძლავრ ნაკადად ამოფრქვე-
ულს. გადაამლაშებს.

სიმლაშე სიზმარივით წყალს დაუფტოვე, შემოდგომა და
საკუთარ ნახატთან ჩამომჯდარი დავით კაკაბაძე გაეხსენ-
ე — რა თქმა უნდა, უფუნჯოდ... და მამა, რომელიც ქუთა-
ისს ხატავს დახუჭული თვალებით.

მეც თვალებს ვხუჭავ და ვამბობ: ღმერთო, გამახსენე,
სად წავიკითხე, ოცნების კოშკს ნანგრევები არ რჩებაო...
და ფანჯარასთან რა უნდოდა მტრედს.

უკვე დაღამდა. სულ სამი მარცვლით, ამოდის მთვარე.
და მე ვივინყებ კუნძსა და კუნთებს... ვეძებ ცისთვალებს,
შემოდგომის მუქყვითელ ფოთლებს... მხატვარი ხატავს...
ცხენებისგან გათელი ბალახს... აჩერებს სუნთქვას სამიოდ
წამით და მე ზუსტად ვიცი: მზის ჩასვლა ჯერ კიდევ არაა
დასასრული.

პირველი, რაც წავიკითხე — იყო და არა იყო. იყო, რაც
დავწერე — აი ია.

არ ვიცი, როდის დავწერე პირველად ასობგერა „კ“, ისე
კი დიდი ხანია ვეძებ კუნძს, გადასახტომად მომზადებულ
კაცს რომ წაავაგას.

ვერ ვპოულობ... და განვაგრძობ ძებნას... წარმოსახვით
ფოტოგალერეაში და ვსწავლობ ინგლისურს, რომელშიც
სიზმარი და ოცნება ერთნაირად იწერება... და მიკვირს...
რატომ არის სიყვარულიდან სიძულვილამდე მხოლოდ ერ-
თი და თანაც ზომიერად გადადგმული ნაბიჯი.

უკვე დაღამდა... სულ სამი მარცვლით, ამოდის მთვარე. და
მე ვივინყებ კუნძსა და კუნთებს... ვეძებ ცისთვალებს, შემოდ-
გომის მუქყვითელ ფოთლებს... მხატვარი ხატავს... ცხენების-
გან გათელი ბალახს... აჩერებს სუნთქვას სამიოდ წამით...

ჭვავის ყანაში... one by one დიურასის გმირები წვანან...
აირბაგებსაც გაუდის ვადა... ანათებს წითლად... ანდროკლე-
სა და ლომის თვალები... ცოტაც მოიცა... გაზაფხულდება...

და მოვა ბუა... ხელში დაიჭერს ჰარმერის სახეს... დააკ-
ვირდება ხელისგულზე ვარდისფერ ლაქას... ეზოში მწვანე
ჰყვავოდა ბაო... და მეტყველებდა ქარი იმგვარად... ბურუ-
ლო ცაო...

თევზიც მეტყველებს თუ მიაგნებ გახელილ თვალებს...
— „ავაზის თვალებს“...

მოვრჩი...

ნანყვეტ-ნანყვეტ მოგიყევი... რაც გამახსენდა...

ანდა ვივინყებ...

ოცნების კოშკებს აშენებამდე აგურ-აგურ ანგრევენ,
ფიქრში...

და აშენებენ...

არ ჰგავს ერთ ჯერზე ამოთქმულს, დიდხანს ნაფიქრს
ჰგავს და გაშალაშინებულს... და ჰგავს ნანყვეტ-ნანყვეტ
ამოთქმულს... ყლუპ-ყლუპად ჩაფიქრებულს...

ჰგავს და თუ გინდა მომკალი...

ემხვარ კახაკი

მზია ბაქრაძე

„პერასოდეს ღაჳიჳინწყუბ მამაჩემის სჳდნიან თჳალუბს ღა ჳერც მის ღანაბარებს“

1995 წლის 28 ოქტომბერს გაზეთში „კავკასიონი“ დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება:

“საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ირენ გედევანიშვილსმიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა” (ედუარდ შევარდნაძე).

საქართველოში ალბათ ბევრმა არ იცის ვინ იყო ირენ გედევანიშვილი და რა განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიაგეს ასეთი დიდი პატივი. ჯერ თვითონ ქალბატონ ირენს მოუსმინოთ... “მამაჩემი 1971 წელს გარდაიცვალა. მძიმე ავადმყოფმა, ხმის ამოღება რომ უჭირდა, ჩურჩულით მითხრა: “ისე ვკვდები, რომ ჩემ მხარეს ვეღარ ვნახავო,” (მამაჩემის თაობას — სამშობლოსაქართველოს მიმართ საოცარი, წარმოუდგენელი ნოსტალგია ჰქონდა) და სიტყვა ჩამომართვა, რომ თუ ერთ დღეს საქართველოში ჩამოსვლა მოხერხდებოდა, ჩამოვსულიყავი და დავხმარებოდი რაიმეთი, რაც მან ვერ გააკეთა. ასეთი დროც დადგა და მე ჩამოვედი.”

ქალბატონი ირენ გედევანიშვილი მეუღლესთან კირილ ავართან ერთად საქართველოს პირველად 1992 წელს ეწვია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტებთან ერთად.

აფხაზეთის ომის დროს, როცა ნათესავებისაგან შეიტყო, რომ საქართველოში მძიმე ვითარება იყო და მას ძალიან უჭირდა, მამის დანაბარები გაახსენდა (თუმცა არც არასოდეს დავინწყებია) და სწორედ მაშინ გადაწყვიტა რაიმე სახის დახმარება გაენია მისთვის; და იმ დროიდან მოყოლებული დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების (ტვირთის) რეგულარულად ჩამოტანა საქართველოში. ამ საქმიანობაში მას ერთგულად ამოუდგა მხარში მეუღლე კირილ ავარი.

საფრანგეთში ქ-ნ ირენს სამეგობროსა და ნაცნობებში ბევრი შეძლებული ოჯახი ეგულუბოდა; მისივე თქმით “ენის წვერზე მომდგარი სიტყვა ყურამდე აღწევსო” და მეგობრები სხვებსაც უყვებოდნენ ირენის წამოწყების შესახებ; ასე შეიკრა ადამიანების საკმაოდ დიდი წრე, რომელთაც ამ წამოწყების დახმარების სურვილი გაუჩნდათ. “მათი მადლიერი დავრჩები მუდამ,” არაერთხელ უთქვამს ირენს. თავდაპირველად მას დიდი დახმარება გაუწია ნათესავმა ქალმა, რომელსაც ამგვარ საქმიანობაში დიდი გამოცდილება ჰქონდა და რომელმაც იგი სხვადასხვა ორ-



ირენ გედევანიშვილი

განიზაცისა დააკავშირა, მაგ. პარიზის მალტის ორდენს, რომელმაც რამდენჯერმე დიდი რაოდენობის ნამლები გადასცა საჩუქრად, ერთხელ 5 ტონა მედიკამენტები ჩამოიტანეს საქართველოში. იქამდე კი ჩამოჰქონდათ ტანსაცმელი, სათამაშოები, წიგნები და სხვა. ჰუმანიტარული ტვირთი მათ 17-ჯერ ჩამოიტანეს საქართველოში.

ტვირთის შეგროვებას, ჩალაგებას, შეფუთვის დიდი მონდომება და ენერჯია სჭირდება, რაც ირენს არ აკლდა; მანქანებისა თუ კონტეინერების შეკვეთას და წამოღებას კი — დიდი თანხები, მაგრამ დასაწყისში მგზავრობა “ეარ ჯორჯიათი” და პრალიდან “ორბით” უფასო იყო. რამდენჯერმე საფრანგეთ-საქართველოს ასოციაციის და საერთაშორისო სამედიცინო ასოციაციების დახმარებით წამოიღეს ტვირთი. შემდგომ

კი თანხას ბ-ნი კირილი იხდიდა. ტვირთის შეგროვებაში ირენს მეგობარი ფრანგები ეხმარებოდნენ, გადარჩევა-შეფუთვაში როგორც ფრანგი, ასევე იქაური ქართველები და საქართველოდან სასწავლებლად და სამუშაოდ წასული ახალგაზრდები. ემიგრანტი ქართველებიდან, რომლებიც მას დახმარებას უწევდნენ, ირენი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს ელიკო წერეთელს, რომელმაც სწორედ ჭუბერში წასაღები ტვირთი შეუგროვა და კიდევ გამოატანა მამის სამშობლო ჭიათურისათვის გასაგზავნი ფუთებიც, რომლებიც ირენმა და კირილმა თვითონ წაიღეს ჭიათურაში. “ჩემი ოცნებაა, ელიკოსავით მოიქცნენ პარიზის ქართველები; კარგი იქნებოდა ყოველმა ქართველმა საფრანგეთში მიიხედ-მოიხედოს, ეძიოს ხალხი, ვისაც რაიმე დახმარება შეუძლია... მე თუ ეს შევძელი, სხვაც შეძლებს; პირადი ურთიერთობებით და კავშირებით ბევრის გაკეთება შეიძლება... შეგროვილ ტვირთს კი ჩვენ წამოვიღებთ.” — ამბობდა ირენი. საქართველოში ტვირთს თვითონ ხვდებოდნენ და სამედიცინო აპარატურას საავადმყოფოებში და სასწრაფო დახმარების ორგანიზაციებში აწვდიდნენ.

აფხაზეთის ომის დროს, იმ უძძიმეს პერიოდში, როცა ლტოლვილები ჭუბერზე გადმოდიდოდნენ, ირენმა და კირილმა მათ გზაში საბნები, ლეიბები და თბილი ტანსაცმელი დაახვედრეს; აი, როგორ იგონებს ამ ეპიზოდს ირენის მეუღლე, რომელსაც დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის მოგონებებში მათი გამგზავრება სვანეთში, რომ ჭუბერის გადასასვლელთან ლტოლვილებს დახვედროდნენ და მათთვის ჩა-

მოტანილი ტვირთი გადაეცათ. “ძალიან ძნელი იყო, მაგრამ როგორღაც მოვახერხე უკრაინული ვერტმფრენით სვანეთში გავმგზავრებულყავით, პასუხისმგებელ პირებთან, ქუთაისის მერთან და ფრანგ ოფიციალურ პირებთან ერთად. როგორც კი მიწაზე დავეშვით, დავინწყეთ საბნების, თბილი ჩასაცმელის და სანოვაგის განაწილება. ირენმა მოინახულა იქ მყოფი საზღვრებს გარეშე კუბელი ექიმები, რომლებიც ბავშვებს უკვე თბილ ტანსაცმელსა და სანოვაგეს ურიგებდნენ... უამრავი ხალხი ირევა ... მე ასევე საფრანგეთის მიერ გამოგზავნილ დახმარებასაც ვანაწილებ... ვკარგავ ირენს... ცოტა ხნის შემდეგ ფრანგი ექიმების გვერდით ვპოულობ; ექიმი ირენს გაყინულ ხელებსა და ფეხებს უზღავს და გაფითრებული სახით მეუბნება: მისი პულსი 27-ია, არასოდეს შევხვედრივარ ასეთი პულსით ვინმე ცოცხალი გადარჩენილიყო. ირენი თავს ცუდად გრძნობს, მაგრამ არ იმჩნევს და ცდილობს თავისი მოვალეობა ბოლომდე შეასრულოს...”

თბილისში ჩამოსვლისთანავე წამლებს, ანტიბიოტიკებს, გამაყურებლებს, შესახვევ მასალას, ყველაფერს, რაც კი შემოგვრჩა ვურიგებთ ექიმებს, რომლებიც ფოთში მიემგზავრებიან, სადაც სოხუმთან გემით ევაკუირებულნი დაჭრილები მოჰყავთ ...”

ქ-ნი ირენის მამა, არჩილ გედევანიშვილის ოჯახი ქართლის სოფელ ქორდიდან იყო. ეს სოფელი ცხინვალთანაა. არჩილ გედევანიშვილი ემიგრაციაში 1927 წ. წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ იქ ფრანგი სამხედროს ქალიშვილი გაიცნო და შეუყვარდა; დაქორწინებაც გადაწყვიტა. მაგრამ იმ ხანებში ფრანგი სამხედროების ოჯახები უცხოელს ქალიშვილს არ ატანდნენ, თანაც თუ მას საფრანგეთისათვის არ უბრძოლია; მთელი რიგი პირობების მიცემის შემდეგ /მაგ. ბავშვები აუცილებლად კათოლიკედ უნდა მოენათლათდა სხვა/ მხოლოდ 10 წლის შემდეგ ქალიშვილს ნება დართეს ემიგრანტს გაყოლოდა ცოლად; თურმე მოგვიანებით მამა ირენს ეუბნებოდა ხოლმე: “ბიჭად რომ დაბადებულყავი, ნახავდნენ რა კათოლიკედაც მოგნათლავდიო.”

“მამა ბევრს მიყვებოდა საქართველოს შესახებ. მესხიერებაში განსაკუთრებით ჩამებეჭდა დედამისის, ჩემი ქართველი დეიდას სახე. 1957 წელს, როცა შესაძლებელი გახდა საქართველოსთან კონტაქტების აღდგენა და პარიზში სუხიშვილების ანსამბლი ჩამოვიდა, თითქმის მთელმა იქაურმა ქართველობამ ახლობლების შესახებ ბევრი რამ გაიგო. მამაჩემმაც შეიტყო, რომ დედამისი ცოცხალი იყო და წერილი გამოუგზავნა. პასუხმა არ დააყოვნა: დედა სწერდა: “შენ უკვე ჩემი შვილი არა ხარ, თუ ჩემი შვილი ხარ, საქართვე-

ლოში უნდა დაბრუნდე. თუ არ ჩამოხვალ, შენი ამბები აღარ მომწერო”. მამამ ეს წერილი შეინახა. ახლა მე ვინახავ. რაც შეეხება დეიდას, როცა ის გარდაიცვალა, მისი კაბის ქობაში უპოვიათ მამაჩემის ეს წერილი.”

ჰუმანიტარული ტვირთის რამდენჯერმე ჩამოტანის შემდეგ ქ-ნი ირენს და ბ-ნი კირილს საქართველო ძალიან მოეწონათ და შეუყვარდათ, იმდენი მეგობარიც გაუჩნდათ, რომ გადანწყიტეს სანახევროდ აქ ეცხოვრათ; ნელ-ნელა საქართველოსაც ეცნობოდნენ. “საქართველო მაგნიტივით გვიზიდავს”, ამბობდა ირენი; “საფრანგეთში ორი თვის ყოფნის შემდეგ, რაღაც გვანუხებს, ვინცებთ შფოთვას, ადგილს ვერ ვპოულობთ, აქეთ მოგვიწევს გული” და ამიტომ ნახევარწლიანად საქართველოში ატარებდნენ; ძველ უბანში დაიდეს ბინა, საიდანაც მშვენიერი ხედი იშლება: გადაჰყურებს მტკვარს, ნარიყალას, მრავალრიცხოვან ეკლესიებსა და მათ გუმბათებს.

ქ-ნი ირენი და ბ-ნი კირილი მშვენივრად გრძნობდნენ თავს საქართველოში. უამრავი მეგობარი ჰყავდათ და მათი სახლის კარი მუდამ ღია იყო. ასევე ღია იყო მათი სახლის კარი პარიზში. ვერ მოითვლით რამდენ ახალგაზრდას დაეხმარნენ და როგორ მოუმართეს ხელი საფრანგეთში ესწავლათ, ემუშავათ თუ ჯანმრთელობა აღედგინათ; საქართველოდან ჩასული არაერთი ახალგაზრდა შეიფარეს თავის ბინაში, ზოგიც მეგობრებთან დაასახლეს. ეს ახალგაზრდები დიდი მადლიერების გრძნობით და სიყვარულით იხსენებენ ქ-ნი ირენის და ბ-ნი კირილის დიდ ამავს. და ამასთან ერთად ყველა აღფრთოვანებით იხსენებს ქ-ნი ირენის ერთ ინიციატივას, რომლის მიზანი იყო საქართველოდან საფრანგეთში ჩასულ ქალიშვილებსა და ვაჟებს ოჯახური და შინაურული ატმოსფერო ეგრძნოთ, ერთმანეთი გაეცნოთ, დაახლოებულყვენ და დამეგობრებულყვენ.

შობა-ახალწელს ირენი და კირილი საფრანგეთში, პარიზში ხვდებოდნენ. იანვრის ბოლოს კი საქართველოდან ჩასულ 100 ახალგაზრდას, /ზოგჯერ მეტსაც/ თავისთან, დიდ ბინაში ეპატიჟებოდნენ a la fourchette-ზე. რამდენიმე ქართველი ქალიშვილის დახმარებით კი ირენი სტუმრებს ქართული კერძებით უმასპინძლებოდა. ახალგაზრდებისათვის ასეთი შეხვედრები ძალიან საინტერესო და საჭირო იყო. ეს შეხვედრები 1996 წლიდან დაიწყო და ყოველ წელს იმართებოდა.

საფრანგეთში ყოფნისას ახალგაზრდებს თუ რაიმე უჭირდათ არ რაიმე უნდა გაერკვიათ თუ დაედგინათ, მათი პირველი და სანდო მრჩეველები და დამხმარენი ქ-ნი ირენი და ბ-ნი კირილი იყვნენ.



მზია ბაქრაძე და ირენ გედევანიშვილი

ქ-ნ ირენს და ბ-ნ კირილს ძალიან მოსწონდათ ქართველებს მიღება, სითბო და სტუმართმოყვარეობა, “ხანდახან მაგიდასთან დიდხანს ჯდომა მოსაბეზრებელია, დაგვიანებებიც ხშირია, მაგრამ ყველაფერი, რაც ვნახეთ მთავარა თუ ბარში, იმდენად ნაღდი და ამაღელვებელია, რომ ზოგიერთი ნაკლი დამავინწყდა კიდეც. თუკი პუშკინი და ლერმონტოვი აღფრთოვანდნენ საქართველოთი, ნეტა მე რატომ არ უნდა ვიყო მოხიბლული” არაერთხელ უთქვამს ქ-ნი ირენის მეუღლეს კირილს.

ქ-ნი ირენი, რომელსაც მამის სიყვარულმა და საქართველოში ცხოვრებამ აქაურობა ძალიან შეაყვარა, ხანდახან მაინც აღნიშნავდა ხოლმე “მართალია საქართველოში ძალიან ბევრი პრობლემაა, მაგრამ ქართველისათვის დრო და საათი არ არსებობს. როცა ერთ დღეს რამდენიმე შეხვედრა დაგეგმილი, დღე აირევა ხოლმე, რადგან სულ იგვიანებენ და საქმეც ვერ გვარდება. ევროპელები ამას მიჩვეულები არ არიან. ბევრი უცხოელი, რომელიც საქმიანი ვიზიტით ყოფილა აქ ჩამოსული, მიუხედავად იმისა, რომ აქაურობა და ხალხი ძალიან მოსწონს, ორ რამეს მაინც აღნიშნავს ხოლმე: სულ ვიგვიანებდით და სულ სუფრასთან ვიჯექით ხოლმე”.

ქ-მა ირენმა და ბ-ნ კირილმა ნელნელა საქართველოს ბევრი კუთხე მოიარეს და კარგად გაიცნეს: “ვიყავით გორში და მის ახლო-მახლო ადგილებში; მოვინახულე მამაჩემის სოფელი ქორდი ცხინვალთან, სადაც ბევრი ნათესავი აღმოვაჩინე და ძალიან შემეყვარდა ისინი; ვიყავი კახეთში, თელავსა და წინანდალში, ყაზბეგში ვნახე საოცარი სამება, ხევსურეთში არხოტი, ბარისახო, შატილი, რომელმაც მომხიბლა, ვიყავი მთა-თუშეთში. ქუთაისი და მისი შემოგარენი დავათვალიერე, ოზურგეთი, ჭიათურა, ვიყავი ჭუბურშიც, როცა ლტოლვილები გადმოდიოდნენ; ახლახან დავბრუნდი ახალციხიდან და ვარძიიდან, რომელმაც გამაოცა, და აღმაფრთოვანა; ვიყავი სვანეთში და უკანა ფშავის ხეობაში, კიდეც რამდენი დამრჩა სანახავი!” თანაც ქ-ნი ირენი არსად ხელცარიელი არ წასულა და ბევრი ახალი მეგობარიც შეიძინა.

არასოდეს დამავინწყებდა ჩვენი ორდღიანი მოგზაურობა უკანა ფშავის ხეობაში, სადაც ასევე ჰუმანიტარული ტვირთი ჩავიტანეთ. კარგად მახსოვს რა დიდი შთაბეჭდილება დარჩათ ირენსა და კირილს უკანა ფშავის ხეობაში სტუმრობისას. გაფრთხილდით ანა კალანდაძის საყვარელ სოფელ თხილიანაში; ტვირთი რამდენიმე სოფელზე განაწილდა. უკანა ფშავის გზები ძალიან ცუდია და სოფელ ხოშარას რომ გავცდით, მანქანა გაფუჭდა და ვაკისოფლამდე ფეხით მოგვიწავდა სიარული. ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, რომ ირენს გული ვერ ჰქონდა კარგად და ვერც წარმოვიდგენდით, ისე მხნედ და მხიარულად მოდიოდა ჩვენთან ერთად. შემდეგ, როცა ეს ამბავი გავიცით და ვკითხეთ როგორ იარა ასე კარგად, მან გვიპასუხა: “ისეთ ლამაზ გარემოში მივდიოდით, ისეთი მშვენიერი ლურჯ-მწვანე მთები მერტყა გარშემო. ისეთი ანკარა წყაროები და თეთრი მოჩუხჩუხე მდინარეები გვხვდებოდა გზაზე, ისეთი თეთრი ჩანჩქერები იფრქვე-

ოდნენ და ზოგიერთი მწვერვალის წვერები ისე თეთრად ბზინავდნენ, ისეთ წმინდა ჰაერს ვისუნთქავდით, რომ ამ საოცრად ლამაზ სამყაროში ზღაპარში მეგონაო თავი. და დაღლას სრულებით ვერ ვგრძნობდიო.” ეს ლამაზი მოგზაურობა ასევე ლამაზად დამთავრდა. ვაკისოფელში სიურპრიზი გველოდა. ჯაბანიშვილების ოჯახის ქალიშვილი ელოს ქორნილი იყო გაჩაღებული; პანკისელ ჭაბუკს ცოლად მიყავდა ფშაველი პატარძალი. სტუმრებისათვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. მათ მშვენივრად მოიხიბნენ და კარგი საჩუქრებიც მიართვეს ახალყოილებსა და ბავშვებს.

ირენ გედევანიშვილი ჩემთვის და ბევრი იმ ადამიანისათვის, ვინც მას კარგად იცნობდა, განსაკუთრებული ქალბატონი იყო. უპირველეს ყოვლისა იგი გამოირჩეოდა მომხიბვლელი გარეგნობით, დახვეწილი იერით, თავდაჭერით, ქცევით და საოცრად კეთილი ღიმილით. ასეთივე ლამაზი და დახვეწილი იყო სულიერად. ირენს ძალიან კეთილი გული ჰქონდა და ადამიანების მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილი იყო. განსაკუთრებულ თანაგრძნობასა და ყურადღებას კი დაჩაგრულების მიმართ იჩენდა.

ირენი იყო მოსიყვარულე, ბუნებრივი, უშუალო, გულწრფელი, ყურადღებიანი და ძალიან ღირსეული. ძალიან უყვარდა ადამიანები და ყოველ ადამიანში ცდილობდა კარგი დაენახა. იგი გულღია და გულითადი მასპინძელი იყო და მზად იყო ყველასათვის ხელი გაეწოდებინა. იგი გამოირჩეოდა ქართული სტუმართმოყვარეობით და ევროპული დახვეწილობითა და ტაქტით. მაგრამ გარეგნულად სუსტი აღნაგობის ეს ქალი შინაგანად ძალიან ძლიერი, გაბედული, მხნე, პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის მქონე იყო. ადამიანებისა და საქმის მიმართ ერთგული და თავდაუზოგავი. შინაგანი სიმტკიცე შესაძლოა მისი ქართველი დიდედისაგან დაჰყვეა, რასაც ასაბუთებს ზემოთმოყვანილი წერილიც, რომელიც ქორდელმა დედამ თავის დიდიხნის უნახავ, მონატრეულ ვაჟს გაუგზავნა ქორდიდან პარიზში. (ირენის ქართველი ნათესავები მის დიდედას წწორედ ამ სიტყვებით ახასიათებენ), ასევე ახასიათებენ ირენს მისი უცხოელი მეგობრები. აი, როგორ ხედავს ირენს მისი დიდიხნის მეგობარი და მისი ვაჟის სტეფანის ნათლია იტალიელი ტიამეტა ლანგი: “პირველი ნახვისთანავე დამატყვევა მისმა ღიმილმა, მისმა უშუალობამ, მისმა გულღია და მოსიყვარულე მიღებამ და გამოხედვამ... ახლაც ხშირად თვალწინ წარმომიდგება პატარ-პატარა, გრაციოზული, მსუბუქი ნაბიჯებით მოსიარულე ირენი... მას არაჩვეულებრივი თვალეები ჰქონდა, ოდნავ წაგრძელებული, რაც მის სახეს დიდ მომხიბლაობას სძენდა, თანაც მისი მოელვარე, გასხივოსნებული თვალებიდან სიკეთე იფრქვეოდა...”

... ირენი სიცოცხლით სავსე იყო, ყველაფერი აინტიერესებდა. თანაც ძალიან ყურადღებიანი და მგრძნობიარე იყო სხვების მიმართ. ცდილობდა ყველას დარდი გაეზიარებინა და ყველას დახმარებოდა. მას ძალიან უყვარდა სიცოცხლე, ადამიანები და ყველა ეს თვისება ერთად აღებული მას ნამდვილ ქალბატონად აქცევდა. “

* * *

ირენს ეტყობა მამა განსაკუთრებით უყვარდა. /მამის უკანასკნელი თხოვნა არასოდეს დავიწყებია და როცა ამის შესაძლებლობა მიეცა 90-იან წლებიდან მოყოლებული, დიდი გაჭირვების ჟამს, დიდი მონდომებით და თავდაუზოგავად მოჰკიდა ხელი ძალიან მძიმე, მაგრამ კეთილშობილურ საქმეს — ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანას საქართველოში — მამის მონატრებულ და სათაყვანებელ სამშობლოში. ეს საქმიანობა რომ წამოიწყო უკვე ხანშიშესული იყო, ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, და

გული ანუხებდა, მაგრამ იგი მთელი არსებით ჩაება ამ საქმიანობაში/ და ნაკლებად ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე, არასოდეს უჩიოდა დაღლას და ვერავინ მიხედვებოდა, რომ გული ანუხებდა. მიუხედავად ექიმების გაფრთხილებისა, თავს არ ზოგავდა და სწორედ აფხაზეთის ომის დროს, როცა თავის მეუღლესთან ერთად ჰუმანიტარული ტვირთით ჭუბერში იმყოფებოდა, მის გადაღლის უკვალოდ არ ჩაუვლია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. საფრანგეთში მას სტიმულიატორი ჩაუდგეს და გააფრთხილეს თავისათვის მიეხედა, მაგრამ ირენი იხტიბარს არ იტყვდა და ხშირად ხუმრობით იტყოდა ხოლმე: “სტიმულიატორი იმიტომ ჩამიდგეს, რომ ჩემი მოვალეობა და დასახული მიზანი ბოლომდე მივიყვანო”.

... და მამის მიმართ მისი დიდი სიყვარულის კიდევ ერთ გამოვლენას გავიხსენებ.

ირენი ხშირად მიყვებოდა მამის შესახებ და ამ საუბრისას მის ხმაში დიდი სიყვარული და სინაზე გამოსჭვიოდა მამის მიმართ. ერთხელ მითხრა “მამაჩემი სიცოცხლის ბოლო წლებში სულ რაღაცას სწერდა, ან დღიურები უნდა იყოს, ანდა მოგონებებიო.” მთხოვა ხელნაწერი ნამეკითხა და მისთვის მომეთხრო რას სწერდა მამამისი. თუ საინტერესო მომეჩვენებოდა, ირენს ძალიან უნდოდა მისი გამოცემა. ნაწერებს სათაურად ჰქონდა “თავგანწირულნი”. (ვფიქრობ უნდა ყოფილიყო “განწირულნი”, რადგან უცხოეთში გადახვეწილი ადამიანის, ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას ეხება).

დიდი ინტერესით და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე ხელნაწერი. ძალიან მომეწონა. ირენმა 300 ეგზემპლარი გამოსცა (გამომცემლობა “ჯი-სი-აი,” 1996 წ. მხატვარი ქ. ნი მაია მანია) და წიგნის პრეზენტაციაც მოეწყო, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო.

დავესესხები უკვე შემდგომ გამოცემული ამ წიგნის შესავლიდან ნაწყვეტს, რომლის ავტორია პოეტი ემზარ კვიციანიშვილი. ეს ნაწყვეტი ძალიან კარგად გამოხატავს წიგნის ღირსებებს: გულწრფელობას, სისადავეს, სევდას

და ასახავს იმდროინდელი ქართლის სოფლის ცხოვრებასა და ძველი ვაკის ატმოსფეროს. “ამ პატარა წიგნს რომ გავეცანი, — წერს ავტორი, — ერთი შემთხვევა გამახსენდა... სოფელ ნინოწმინდაში, გიორგი ლეონიძის დედულეთში ვიმყოფებოდი... პოეტის ბიძაშვილმა, ქ-მა ნინო გულისაშვილმა, მამამისის, მღვდელ ალექსი გულისაშვილისადმი მიწერილი გ. ლეონიძის ბარათი გამომიტანა, რომელიც ახლად დანიშნული იყო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად. იგი ბიძას, როგორც განათლებულ, მწიგნობარ კაცს სთხოვდა — მანდაური ტიპები, სხვადასხვა ხელობისა და ფენათა წარმომადგენლები, მათი ცხოვრება და საქმიანობა კარგად აღწერეთ, ... თორემ მალე ეგ ხალხი გაგიქრებათ და ბევრი საინტერესო რამ ძველი სოფლის ცხოვრებისა აღუნუსხავი დარჩებაო.”

არჩილ გედევანიშვილს თითქოს გიორგი ლეონიძის ეს ბარათი ჰქონდა წაკითხული, ისეთი სიზუსტით, სიყვარულით, და სითბოთი აქვს აღწერილი მონატრებული კუთხის ამბები. “ნაირნაირი ხელობის, გარეგნობისა და ხასიათის ადამიანები, ბუნების ნიაღში წელიწადის დროთა ჰარმონიული მონაცვლეობა. ჭირნახულის ალებისა და დაბინავების ეპიზოდები, ყოველნაირი შრომა, საერო თუ რელიგიური დღესასწაულები, გართობა-თამაშობები, სხვადასხვა საინტერესო ლეგენდები, გადმოცემები. ეთნოგრაფები აქ ნამდვილად იპოვიან მათთვის საჭირო და საინტერესო მასალას...”

მოგონებები შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: ქორდში გატარებული უდარდელი ბავშვობის წლები, ქართლის სოფლის ყოფა-ცხოვრება და არჩილის ოჯახი; მეორე ნაწილი მოგვითხრობს არჩილის ჩასვლას თბილისში და სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლის პერიოდს; მესამე ნაწილში მოთხრობილია ემიგრაციაში, საფრანგეთში წასვლა და იქაური ცხოვრება. მთელ წიგნს თან დაჰყვება სამშობლოზე ფიქრი და დიდი ნოსტალგია.

ისევე, როგორც საინტერესოა იმდროინდელი სოფლის და მისი ცხოვრების სურათები, ასევე საინტერესოა თბილისში, გიმნაზიაში სწავლის პერიოდი. ძალიან კარგად არის გაცოცხლებული ძველი ვარაზის ხევის უბანი, გიმნაზია (ახლანდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი), გიმნაზიაში სწავლის პერიოდი და მეგობარ-ამხანაგების წრე. ამ ნაწილში პირადად მე დიდი სიურპრიზი მელოდა, რადგან ზოგიერთი მოსწავლის შესახებ საუბრისას არჩილ გედევანიშვილი ამხანაგებად ახსენებს მამაჩემსა და ბიძაჩემს, რომლებიც გიმნაზიაში სწავლობდნენ, იქვე უნივერსიტეტის პირდაპირ ცხოვრობდნენ და მასზე ერთი წლით უმცროსები ყოფილან.

ბატონ არჩილს საფრანგეთში გაუგია, რომ ძმები შემდგომ “საპატივსაცემო პროფესორები გამხდარანო”. ეს ადგილი



მამასა — არჩილ გედევანიშვილსა — და დედინაცვალთან ერთად

რომ ვუთარგმნე, ირენმა ჯერ გაკვირვებულმა შემომხედა, მერე თავისი ლამაზი, ალერსიანი ღიმილი შემომანათა და ფრანგულად მითხრა “Tu vois, le monde est petit” (ხედავ, სამყარო პატარა ყოფილა).

საგულისხმო და ახალგაზრდებისათვის ძალიან დამაფიქრებელია წიგნის მიძღვნა:

ვუძღვნი ჩემ საყვარელ დედას ეფემიას, ნებით თუ უნებლიეთ, სამშობლოს მოშორებულთა დედებს ტკბილ მოსაგონრად და ქართველ ახალგაზრდობას ცნობად და შეგონებისათვის.

ა.გ.

ეს მიძღვნა მახსენებს ირენის არაერთხელ ნათქვამ სიტყვებს: “ვცდილობ, და სანამ შემიძლია ვეცდები დავეხმარო ყველა ახალგაზრდას, ვინც მოინდომებს სასწავლებლად ან სამუშაოდ საფრანგეთში წასვლას, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: მერე ის საქართველოში უნდა დაბრუნდეს. კარგ ქართველს უჭირს საქართველოს გარეთ ცხოვრება... მე ეს ძალიან, ძალიან კარგად ვიცი, რადგან მამაჩემისა და ბევრი სხვა ქართველი ემიგრანტის სევდიან თვალებს ვერასოდეს დავივიწყებ.”

ჩვენი ნამდვილი მეგობარი და ახლობელი ადამიანი, უსაყვარლესი ქალბატონი ირენი, რომელსაც მამის დიდმა სიყვარულმა საქართველო გააცნო და შეაყვარა, ბოლო ხანებში დაიჩვილებდა ხოლმე “მათთვის ვეღარაფერს ვაკეთებო”, მაგრამ ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია კეთილი საქმეების კეთება...

ირენის გულის მდგომარეობის გაუარესება დიდმა ტკივილმა და დიდმა მწუხარებამ დააჩქარა. 2010 წელს ტრაგიკულად დაიღუპა მათი ვაჟი სტეფანი.

... და ჩქარა ირენს გულმა უმტყუნა. 2011 წლის 26 მაისს იგი გარდაიცვალა საქართველოში, სოფელ მატანში, სადაც ყვავილებში ჩაფლული პატარა, ლამაზი სახლი შქონდა, რომელიც ძალიან უყვარდა. იგი დასაფლავებულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მამისეული მიწა, მიწა, რომელიც ირენმა ასე ძალიან შეიყვარა და რომლის ნიაღში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

რენე კალანდია

შორეული ოცნების ასდენა და სხვა...

თითქმის ოთხი ათეული წელი (1973 წლიდან) ვარ დაკავშირებული ლატვიასთან, ლატვიელ პოეტებთან, ვთარგმნი და მთარგმნიდნენ, ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება თუ ბედისწერა ისე გადაენა ლატვიურ სიზმარ-ცხადს ამ სახით თითქოსდა მკაცრი, მაგრამ შინაგანად საოცრად თბილი და ტაქტიანი, უაღრესად გამრჯე და პუნქტუალური ხალხის ცნობიერებას, ცხოვრებასა და ბედისწერას, რომელთაც უანგაროდ უყვართ საქართველო და ქართველები, ქართული პოეზია, მუსიკა, ფერწერა, თეატრი და რა თქმა უნდა, ქართული სამზარეულო, ღვინო და ჭაჭა, რომ უამრავი მეგობარი გამიჩნდა ლატვიაში, ჩემი კოლეგები ჩამოდიოდნენ სოსუმსა და ზუგდიდში. მოვლილი გვაქვს აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, თბილისი...

ლატვიაში ჩემთვის ძვირფასი ადამიანების საფლავებიც გაჩნდა. რიგის მთავარ სასაფლაოზე მეგობარი პოეტების ბორცვაკები, რომელთაც ყვავილებით, თვალზე ცრემლით, თაყვანისცემითა და სევდით ვეახლები ცოცხალ მეგობრებთან ერთად და წუთისოვლის ამაოებაზე დაფიქრებული ვმორდები: ოიარს ვაცივტისი, ვიზმა ბელშევიცა, კლავს ელსბერგსი, ემილს პლაუდისი, პეტერის ზირნიტისი, იურის კუნოსი, რომელთაც ახლა, ჩემი ძვირფასი მარის ჩაკლაისიც შემატეზია, რომელიც თავისი ახალი ლექსების გამოცემებს ძალზე მოკლე წარწერებით მწუქნიდა „რენეს — მარისი“ ... ამ წიგნიდან ჩემს ნახანძრალ სახლს მხოლოდ ექვსი, თვეზე-ბივით შებოლილი, (სხვათა შორის მარის ჩაკლაისს ჰქონდა ცნობილი ლექსი „თევზების ენა“, რომელიც ქართულად ვთარგმნი — რ.კ.) წიგნი გადარჩენია, არაფერს ვამბობ სოსუმში ჩარჩენილ მის კრებულებზე და წერილებზე, ჩემი ლექსების მისეულ თარგმანებზე... მახსენდება, რომ სწორედ მარისმა მაჩუქა ამერიკიდან ჩამოტანილი გენიალური პოეტისა და ლოთის დილან ტომასის ფირფიტა, რომელიც მაშინ იშვიათობა იყო და როდესაც ბიჭვინთაში გიორგი ნიშნიანიძეს ვუთხარი, იგი, როგორც დილანის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ისე აღენთო, რომ დავიპირდი, სოსუმში წავედი და ვაჩუქე, როგორც ინგლისური პოეზიის უბადლო მთარგმნელსა და უფროს მეგობარს... (ღმერთმა ნათელში ამყოფოს სული მისი!)

ყოველწლიურად მივფრინავდი რიგაში და ერთი თვე მაინც ვრჩებოდი იურმალაში, მეგობრებთან. შემდეგ ე.წ. „პერესტროიკა“, ეროვნული მოძრაობა, ფრონტები, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დღეები, თვეები და კონტაქტებიც დაიკარგა. ჩემი „მგლოვიარე ჯიბე“ (ილიას ეპითეტია — რ.კ.) საბაზრო ეკონომიკას თუ ბაზრულ ეკონომიკას ვერ შეეჩვია და ჩაკეტილ წრეში აღმოჩნდა: მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი მეგობარი პოეტები ნატოში არიან, მე, როგორც ჩემი საბრალო ქვეყანა, განამებული მწერლები და მკითხველები — ქეთომი...

შარმანდელ გაზაფხულსა და ზაფხულში ზუგდიდში ვიყავი. 16 აგვისტოს საზოგადოება „სამეგრელოს“ წევრებმა აფხაზეთში ძმათამკვლელი ომის საზიზარ დღეებში დაღუპულ ქართველთა და აფხაზთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდა გადაწყვიტეთ: ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ხომ ჩვენი ძვირფასი და დაუფინყარი ძმა ვოვა ვეკუა (უფალო, ნათელში ამყოფე სული მისი!) იყო და დილიდან შევიკრიბენით. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ბიუსტთან გვირგვინი მივიტანეთ და კარის ეკლესიისკენ გავეშურეთ. მამა ფრიდონმა პატივი დაგვლო და პარაკლისი აღასრულა. მოგვიანებით დამითხუქეს, რომ ანაკლიაში ჩამოსულთა ლატვიაში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ერმინე (ერიკ) გრიგოლია და ჩემი გაცნობა სწადია, ჩამოყვანილი ჰყავს ახალგაზრდა ლატვიელი მსახიობები, რომლებიც წარმოადგენენ სცენას გენიალური ლატვიელი პოეტის ალექსანდრს ჩაკსის პოემა-ეპოსიდან „მარადისობით ცხებულნი“.

პიონერთა, „პატრიოტთა“, ბუნებულადის თუ მორდოვის ბანაკებისთვის ძალზე ბებერი ვარ-თქო კი გავიფიქრე, მაგრამ ლატვიასდმი სიყვარულმა და პატივისცემამ გადასძალა და დაეთანხმდი, რომ ანაკლიაში წავყვებოდი. მანქანით მოვიდნენ და წაყვები. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდიდან შორი გზა არაა, ათი-თხუთმეტი წელი არ ვყოფილვარ ანაკლიაში. მივედით. ჩვეულებრივი ბანაკია, მკაცრად

შემოლობილი, დარაჯითურთ და ა.შ. შენობას რომ შევხედო, რატომღაც „რუბიკის კუბიკი“ გამახსენდა: იყო ასეთი სათამაშო ჩემს სიჭაბუკეში.

როგორც იქნა, შეგვიშვეს. გავიცანი ერმინე. საოცრად მოკრძალებული და ზრდილობიანი ახალგაზრდა კაცი. მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ. ერთ-ერთი ჩაკის იმ ნაწყვეტს კითხულობდა, რომელსაც „ქადაგება პინკის ეკლესიაში“ ჰქვია. ეს ნაწყვეტი მეც მქონდა თარგმნილი, მაგრამ ვერ შევძელი დასტამბვა და სადღაც ჩემს საქალაქებში ჩარჩა, თუ არ დაინვა სახლთან ერთად. არ ვიცი. ბულგაკოვის გმირი კი ამბობდა, „ხელნაწერები არ ინვიანო“, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ გმირი არა ვარ: ინვიან და თანაც როგორ, რომ გენახათ, გულს შემოგეყრებოდათ: ურწმუნო მკითხველს ქუთაისის ქუჩაზე ვეპატიუები ფინჯან ყავაზე.



ერმინე ანუ ერიკ გრიგოლია სოხუმელი აღმოჩნდა. თურმე „ჩერნომორეცთან“ ცხოვრობდა. თითქმის 15 წელია ლატივიაშია, ქართული სათვისტომოს მესვეურია და პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. განცვიფრებული დავრჩი, როდესაც ვნახე მის მიერ თარგმნილი ალექსანდრს ჩაკის პოემა-ეპოსის (თითქმის 4.000 სტრიქონი) დიდებული და თანაც ორენოვანი გამოცემა.

მსახიობებმა წარმოადგინეს სცენა „ქადაგება პინკის ეკლესიაში“. მაყურებელი და მსმენელი ახალგაზრდობა აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს ლატიველ ახალგაზრდა მსახიობებს. მათ შორის, მეც მომენონა. გაიმართა წიგნის წარდგინება. ერიკი უშურველად ჩუქნიდა ჩაკის კრებულს. წარწერებს უკეთებდა. ერთი ეგზემპლარი მეც შემეხვდა. ასე შედგა ჩემი მსხვედრა გენიალური ლატიველი პოეტის ალექსანდრს ჩაკის უკვდავ პოემა-ეპოსთან და მის ახალგაზრდა მთარგმნელ ერიკ გრიგოლიასთან ანაკელოში შავი ზღვის ნაპირებთან.

რეტროსპექტული გადახვევა:

როდესაც ლატივიაში ჩავედი ერთი პატარა პოეტური კრებულის („სოვნის ყვავილი“, „ალაპარა“, 1972) ავტორი ვიყავი. ბალტიის ზღვა უფრო რუხი და წყალმარჩხი მეჩვენა, შავ ზღვასთან შედარებით. პირველი ლატიველი, რომელიც გავიცანი მარის ჩაკლაის იყო. ჩემს ლატიველ მეგობრებს ყველას ჩაკის სახელი ეკერა პირზე და მეც დავეძვრებდი. ბუკინისტურ მაღაზიებში სულ ჩაკის წიგნებს დავეძვრებდი, ვყიდულობდი, ვსწავლობდი ლატივიური ლექსის დიდი რეფორმატორის წიგნებს, ვეცნობოდი ლატივიური ვერლიბრის ანაბანას, მხოლოდ ჩაკისათვის დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს და ვთარგმნიდი. რედაქციები მალოდინებდნენ, ჯოუტად ვთარგმნიდი და შემდეგ დაბეჭდვაც დაინიყეს. როდესაც ლატივიელმა კრიტიკოსმა რაინის რემასმა ჩაკის ყვითელი ოთხტომეული მარჩუქა (მიოხრა, რომ ყველგან მერო კომპლექტი აქვს), გახარებულმა მთელი პოეტური საძმო დავპატიჟე რესტორან „ვიცრიგა“-ში („ძველი რიგა“). ის დღე ჩემი და ჩაკის დღესასწაული იყო.

თითქმის ოცდაათი წელიწადი ვთარგმნიდი ჩაკის ლექსებს და იბეჭდებოდა. ერთი პატარა კრებულები („მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკა“) დაისტამბა „მერანში“, რომელიც ჩემმა ქალიშვილმა ნინო კალანდიაშვილმა გააფორმა, ისე, რომ ლატივია მხოლოდ სურათებში აქვს ნანახი და რიგაში ჩასვლის ოცნება ვერ აიხდინა. აკი მხატვრებს და პოეტებს აუხდენელი ოცნებებით ვერავინ გააკვირვებს ამ საწუთროში... ყველა პოეტს-მთარგმნელს აქვს აუხ-



დენელი ოცნება გენიალური ლექსის თუ პოემის თარგმნისა, თუნდაც იგი მრავალგზის იყოს თარგმნილი. ედგარ პოს „ყორანს“ მრავალი ქართველი პოეტი თარგმნიდა დიდი ვაჟადან დაწყებული და იმედი მრჩება, მომავლის პოეტებიც შეეცდებიან ამ გენიალური ლექსის მოხელთებას და თარგმნას. მე რემბოს „მთვრალ ხომალდზე“ ხშირად მიფიქრია, მაგრამ ვერ მოვიცადე თუ ვერ შევძელი, ან მნიშვნელობა არა აქვს. იგი გენიალურად თარგმნა ჩემმა უფროსმა ძმამ დათო ნერედიანმა.

მთარგმნელობით კოლეგიაში ლატივიური ხალხური ეპოსის „ლაჩპლესისის“ თარგმნა შემომთავაზეს, ხელშეკრულებასაც დამიდებდნენ, ავანსსაც მომცემდნენ, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ახალგაზრდადულ წლებსა და პოეტურ ენერჯიას ნაიღებდა... მე მაშინ ჩემს ლექსებზეც ვფიქრობდი და ეპოსის თარგმნა, როგორც პოეტს გამაფუჭებდა...

ჩაკის „მარადისობით ცხებულნი“ ჩემს ახალგაზრდობაში აკრძალული პოემა იყო და 1988 წელს გამოვიდა. ათიოდე წლის წინათ, როდესაც ლატივიაში „ევროპული პოეზიის მრგვალი მაგიდა“ ჩატარდა, რომლის მონაწილე მეც გახლდით, წამოსვლის დღეს ჩემმა დიდმა ძმამ, პოეტმა და პოლიგლოტმა ულდის ბერზინშმა საკუთარი ბიბლიოთეკიდან წამოღებული ჩაკის ორტომეულით გამომაცილა, რადგანაც ნათქვამი მქონდა, რომ ჩაკის ოთხტომეულიც სოხუმში ჩამრჩა. ულდისის ნაჩუქარ ორტომეულში (1961) ჩაკის პოემა არაა შეტანილი, რადგანაც იმ პოემაში ძალიან სუსხიანი, ცხარე-პილილიანი ადგილებია ჩვენს (ლატივიელებისა და ქართველების) საერთო „დიდ ძმაზე“ და დაბეჭდვის უფლებას თავისთავადია, არ იძლეოდნენ. ცენზურა ფხიზლად იყო. აქვე უნდა ვთქვა, რომ ლატივიელებთან მრავალწლიანი ურთიერთობისას ლატიველთაგან გინება ან უხამსი სიტყვა არ მსმენია, ყველაზე უფრო ხშირად (ავტობუსში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში), თუ გამოიგონია: „კრივეუ ცუკა“ („რუსული ღორი“). ამ მცირე მოგონებას რეცენზიის პრეტენზია არცა აქვს. ჩემი მცდელობა იმ სასიხარულო ფაქტს უკავშირდება, რომ, როგორც იქნა, ქართულ ენაზეც გამოვიდა სიცოცხლეგამნარებული ალექსანდრს ჩაკის ტანჯული პოემა-ეპოსი „მარადისობით ცხებულნი“, რომლის თარგმნაზე რამდენიმე წელი ვოცნებობდი. იგი ღირსეულად თარგმნა ახალგაზრდა კოლხმა ერიკ გრიგოლიამ, რომელიც იმედი მაქვს კიდევ მრავალგზის გაახარებს ქართველ და ლატიველ მკითხველს. ამის საწინდარი მისი მაღალი გემოვნება და შრომისუნარიანობა, ლიტერატურული შემართება თუ ოსტატობაა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში აღინიშნება ალექსანდრს ჩაკის 110 წლის იუბილე, რასაც ვულოცავ ლატიველ ხალხს, მკითხველებს, ჩემს ძვირფას მეგობარ პოეტებს კნუტს სკუიენიესს, რომელსაც მიმდინარე წელს 75 წელი შეუსრულდა, ულდის ბერზინშს (ჩემს თანატოლს), იანის როკველინის (ერთი წლით უმცროსს) და ლეონს ბრიედისს — უმრწემეს ძმას — დიდ ლატიველ პოეტებსა და მთარგმნელებს გენიალური ალექსანდრს ჩაკის იუბილეს.

ერიკ გრიგოლიას ვულოცავ ამ გენიალური პოემის გამოცემას, სადაც ვკითხულობთ: **„და მაშინ მე დაფიქრდი, რად ვარ ასე ნაღვლიანი? თუ მე, დრეკადი სამლელო ვარ რეზინისა, რომელსაც წაშლაც არ ძალუძს ლაქის, ქვაფენილზე დაღვრილი ბენზინისა, და მთელი ჩემი პოეზია — სპილოა უხორთუმი“.**

ასე დაფიქრება მხოლოდ ნამდვილ პოეტებს შეუძლიათ.

გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი პირველი მუზეუმი ქალაქ გორში, დაარსდა 1935 წელს და 1937 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება. პროფესორ სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობას უწევდა ივანე ჯავახიშვილი, ამავე დროს აღსანიშნავია გორის საზოგადოების ინიციატივა და თანადგომა. თავდაპირველად მუზეუმს „მხარეთმცოდნეობის“ სახელწოდება ჰქონდა. 1943 წელს შეიცვალა პროფილი და ჩამოყალიბდა როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 70 წლის განმავლობაში იყო დღევანდელი ეპარქიის შენობაში. 2001 წელს კი მუზეუმი გადავიდა დღევანდელ მისამართზე.

შენობა არის ამენებული გერმანელი ტყვეების მიერ, აშენდა როგორც საბავშვო ბაღის შენობა. მრავალი სამუშაოს ჩატარების შემდეგ მუზეუმის სახე მიიღო და დღემდე აქტიურად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო საქმეებს. საგამოფენო სტენდებიდან შესანიშნავად ჩანს, რომ მუზეუმი ძალიან მდიდარ და საინტერესო მასალას ფლობს.

ამჟამად გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ხელმძღვანელობს ქალბატონი **თინა სოსანიძე**.

ჩვენი ვესები

□

თონა ქურთაულს ესაუბრება თინა სოსანიძე

— იყო თუ არა თქვენი მიზანი მუზეუმში მუშაობის დაწყება, რამ განაპირობა ეს და ადვილია თუ არა, იყოთ ასეთი დანებსებულების ხელმძღვანელი?

— ბავშვობიდან მიყვარდა და ვეუფლებოდი ინგლისურ ენას. ამ მიმართულებით მსურდა სწავლის გაგრძელება და შრომითი საქმიანობაც. შემდეგ კი მუზეუმისადმი სიყვარულმა მძლია, რაც უდავოდ დედაჩემის დამსახურებაა. დედა თავდაუზოგავად, მთელი არსებით ემსახურებოდა მუზეუმს. მან შემაყვარა, გამაცნო და დამაკავშირა სამუზეუმო ცხოვრებას. მუზეუმის მართვა ადვილი ნამდვილად არ არის.

— რა პრაქტიკული გამოცდილება მიიღეთ დედათქვენისაგან, როგორც ფონდების მთავარი შემნახველისაგან, და აუცილებელია თუ არა წინასწარ ცოდნა სამუზეუმო საქმის?

— დედა — ნელი ბერიშვილი — წლების მანძილზე მუზეუმის ფონდების მთავარი შემნახველი, მუდმივად ცდილობდა ახალგაზრდა მუშაკებისთვის (მათ შორის ჩემთვისაც) შეესწავლებინა სამუზეუმო საქმე. ჩვენც არ გამოვდექით ცუდი მოსწავლეები. გაინტერესებთ — აუცილებელია თუ არა წინასწარ სამუზეუმო საქმის ცოდნა? ჭეშმარიტება ერთია — მუზეუმის გარეთ სამუზეუმო საქმეს ვერავინ შეისწავლის, მუზეუმში კი ვერ იმუშავენ ის, ვინც მთელი გულით არ შეიყვარებს ამ გარემოს.

— რამდენი წელია მუშაობთ და რომელ წლებს მიიჩნევთ ყველაზე ნაყოფიერად თქვენს საქმიანობაში?

— ორმოცი წელია ვემსახურები მუზეუმს, როგორც ექსკურსიამძღვარი, მეცნიერ-მუშაკი, ძვირფასეულის სექტორის გამგე, დირექტორი. ყველაზე ნაყოფიერად კი ის წლები მიმაჩნია, როდესაც მრავალწლიანი თხოვნისა და ბრძოლის შემდეგ, 2002 წელს, მუზეუმი ახალ შენობაში დაბინავდა.



— რას ითვალისწინებთ თანამშრომლებთან ურთიერთობაში?

— ვითვალისწინებ თითოეული მუშაკის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ამის მიხედვით ვანაწილებ შესასრულებელ სამუშაოებს. ვარ მომთხოვნი, თუმცა ზომიერად.

— რა უფლებები შეგმატათ დირექტრობამ?

— გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ზემდგომი ხელმძღვანელობის მიმართ და არანაკლები პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის წინაშე.

— რა პრინციპები მოქმედებდა ძველად მუზეუმში და რა ახალი მიმართულებანი დაისახა?

— მუზეუმის მუშაობის ძირითადი პრინციპები (ანუ საძირკველი) არ შეცვლილა, თუმცა აუცილებელია ახალ, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინება. ამაში გვეხმარება საქართველოს კულტურის სამინისტროსა და იკომის მიერ დაგეგმილი თრენინგები მუზეუმმცოდნეობის საკითხებზე, მათ მიერვე გამოცემული მეთოდური ლიტერატურა, განსაკუთრებით აღვნიშნავ ბარი ლორდის ნაშრომს „სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო“ (2009).

— როგორ ახერხებთ დამოვალიერებელთა მოზიდვას?

— ვაფორმებთ მემორანდუმს საჯარო და კერძო სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. გვაქვს

შელავათიანი მომსახურების ტარიფიკაცია ტურისტული ჯგუფების და სხვადასხვა კატეგორიის დაინტერესებული პირთათვის. ვბეჭდავთ და გამოვცემთ კატალოგებს, სამეცნიერო თემებს, ბუკლეტებს, ვანყობით მოძრავ გამოფენებს და სხვადასხვა ღონისძიებებს.

— რა კავშირი გაქვთ მასმედიის საშუალებებთან მუზეუმის რეკლამირებისათვის?

— ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება განცხადებები სამეცნიერო სესიებისა თუ კონფერენციების ჩატარებასა და ახალ გამოფენათა გახსნის შესახებ. პერიოდულად იბეჭდება წერილები მუზეუმში მიმდინარე საქმიანობის, პრობლემების, სამეცნიერო კვლევების საკითხებზე და ა.შ.

— როგორ ივსება თქვენი ფონდები?

— მუზეუმის ფონდები ივსება ექსპედიციების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით, ჩვენი მუშაკების მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებითა და ჩანაწერებით, შექმნილი ან შემოწირული სამუზეუმო ნივთებით. დღეისათვის მუზეუმის ფონდებში 100 ათასი ექსპონატია დაცული.

— რომელ საგრანტო პროექტში მიიღო მონაწილეობა მუზეუმმა და რა შედეგით დასრულდა?

— საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ საქართველოს მუზეუმებში დაცულ ექსპონატთა საერთო ელექტრონული ბაზის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში წარვადგინეთ პროექტი: „განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატთა ფოტოფიქსაცია ციფრული ფორმატითა და მოკლე ანოტაციებით“. პროექტმა მონონება დაიმსახურა და მის საფუძველზე დაიბეჭდა მუზეუმის კატალოგი.

— რამდენი ადამიანი შედის სამუზეუმო საბჭოში, როგორ კომპლექტდება და რა საკითხებს წყვეტს?

— სამუზეუმო საბჭო დაკომპლექტებულია მუზეუმში მომუშავე ყველა პასუხისმგებელი პირით. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ძველი გორელები, მუზეუმის მეგობრები და გულშემატკივრები, ისტორიკოსები კი საბჭოს საპატიო წევრები არიან. საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე მათთან ერთად განვიხილავთ და ვწყვეტთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რაც კი უკავშირდება ჩვენს მიმდინარე და შემდგომ საქმიანობას.

— ოქონის ხატთან დაკავშირებული პრობლემები თქვენი მუზეუმის ობიექტებში აღმოჩნდა და რა კეთდება ამ მიმართულებით?

— ჩვენს მუზეუმში გამოფენილი ოქონის ხატი დაზიანებული იყო და მოითხოვდა გადაუდებელ რესტავრაციას, თუმცა ჩვენი მცირე ბიუჯეტის გამო ვერ ხერხდებოდა. საქართველოს მართლმადიდებელ ქალთა გორის საზოგადოებამ შემოგვთავაზა თანადგომა და ხატის აღდგენა. რესტავრაციისთვის ფინანსური დახმარება გაგვიწიეს.

— როგორ ივსება სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნივნადი ფონდი და რა უფლება-მოვალეობანი ეკისრებათ მეცნიერებსა თუ თქვენი ფონდით დაინტერესებულ პირებს?

— მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება ხდება შეძენილი და შემონიშნული ნივნებითა და პერიოდიკით. ბიბლიოთეკა დახურულია ანუ ყველას შეუძლია ისარგებლოს იქ არსებული მასალით, მაგრამ მხოლოდ ადგილზევე მუშაობით, გატანის გარეშე. მომსახურება ფასიანია. ტარიფი კაციაში გათვალისწინებულია სარგებლობის წესები და მნიშვნელოვანი შეღავათები.

— რა სამეცნიერო ნაშრომები გამოვიდა თქვენი მუზეუმის ეგიდით?

— ჩვენს მუზეუმში დაცული მასალებით სისტემატურად სარგებლობენ მკვლევარები, მეცნიერები, მწერლები, სტუდენტები და დიპლომატები, მოსწავლეები. მუზეუმის ეგიდით კი რამდენჯერმე გამოიცა სამეცნიერო სესიათა თეზისები, არქეოლოგიური კრებული, გზამკვლევი, კატალოგი, ფოტოალბომი, სამახსოვრო ბუკლეტები და სხვა. გამოსაცემად მზადდება არქეოლოგიური კრებულის II ნაწილი. დარგობრივი კატალოგები, კვლევები ოქონის ხატის ირგვლივ და სხვა.

— რაა საჭირო მუზეუმისათვის სადღეისოდ?

— აუცილებელია მუზეუმის გაფართოება, ექსპოზიციის გაშლა, მუზეუმის ეზოს გამოყენება საექსპოზიციოდ. მუზეუმის ძირითადი დამფინანსებელი სახელმწიფოა...

— როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გორელებისა და არამარტო გორელებისათვის, და რით გამოარჩევიდა სხვა მუზეუმებისაგან?

— რა თქმა უნდა გორელებისა და არამარტო მათთვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ძალზე მნიშვნელოვანია. ის ინახავს ჩვენი წარსული ისტორიისა და ყოფის ფესვებს. გორის მუზეუმი სათაო მუზეუმია შიდა ქართლში. აქვს თავისი ფილიალ-განყოფილებანი. აგროვებს, სწავლობს, ინახავს, იცავს და პოპულარიზაციასაც უწევს მსოფლიო მნიშვნელობის არა ერთ სამუზეუმო (ეროვნულ) მასალას.

ნონა კუპრეიშვილი

„სიყვარულის გზაწილი“ – უადრესათო?!

(„ქართულ-აფხაზური ალბომის“ გამოცემის გამო)

ჩვიდმეტ ივლისს თბილისი ბანკის საგამოფენო დარბაზში უნიკალური ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ბატონი პაატა ქურდოვანიძის თაოსნობით ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულმა „ქართულ-აფხაზურმა ალბომმა“ XIX-XX სს. ქართველთა და აფხაზთა კულტურის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი პლასტი წარმოგვიდგინა. თავიდან ამ ინიციატივას, რბილად რომ ვთქვა, სათანადო განწყობით ვერც შევხვდი. დიდი ხანია აფხაზეთის პრობლემის შესახებ კლიშირებული შეფასებები, მონობორიგნობასა თუ საბჭოურ ძმობაზე უპერსპექტივო საუბრები მესმის, რამაც ორივე ერის თვითშეფასების უნარზე, უკაცრავად არ ვიყო, საკმაოდ სკეპტიკური შეხედულება შემიქმნა. ამ საუბრების ინტონაციაც ძველებურად პათო-

სურია. ალბათ, ამიტომაც მეგონა, რომ ქართულ-აფხაზური არისტოკრატიის გარდასული ბრწყინვალეობაც (მითუმეტეს, 1999 წ. უკვე ნანახი მქონდა ლიტერატურულ მუზეუმში გამართული ქ-ნ ბაბო დადიანის საოჯახო არქივის გამოფენა* (* გამომცემლობა „პეგასმა“ ნინო ხოფერიას რედაქტორობით 2008 წელს გამოსცა საყურადღებო ნიგნი ბაბო დადიანის „მოგონებათა დღიური“, სპეციალური დისკით, რომელსაც „არისტოკრატიული საგა“ ეწოდება)). ამ თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. თუმცა ხმაურიანი პრეზენტაციის შემდეგ, ალბომთან მარტოდ დარჩენილ სწორედ ის ფიქრები მომქადა, რომელთაც უსარგებლოს ნამდვილად ვერ ვუნდებ. აღმოჩნდა, რომ ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, მნიშვნელოვანი იყო

არა ისტორიის უბრალოდ ლამაზი მულიაჟი, არამედ ამ არაჩვეულებრივი ფოტოებით დადასტურებული ქართულ-აფხაზური ბუნებრივი ურთიერთობების ქრონიკა გამყარებული ქართულ-აფხაზურივე წარმომავლობის მქონე სრულიად კონკრეტული ადამიანების რეალური ცხოვრებისეული ისტორიებით. ისიც კი მომეჩვენა, რომ დღევანდელ ვითარებაში ამ მრავლისმეტყველ „დოკუმენტაციას“ „შაჯი მურატში“ ოსტატურად გამოყენებული ბირკალას ყვავილის სიმბოლური სახის სიჯიუტე და გამძლეობა ჰქონდა, რადგან გარეშე თუ შინაური მტრების მიერ ათასჯერ გათელილი, ტალახსა თუ მტვერში ჩატკეპნილი, იგი, როგორც ეს ბევრს სურდა, ვერც ამოიძირკვა და ვერც გაქრა. გარდა ამისა, ალბომის წარმმართველ სარედაქციო სტრატეგიად ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების პრინციპის აქცენტირება დავინახე, რაც თუნდაც იმიტომაც ღირებული, რომ აფხაზებთან ენის მოჩლექით საუბარს გამორიცხავს და თანაბარუფლებიანობას ეფუძნება. თანაცხოვრების პრინციპი, დარწმუნებული ვარ, ის ერთადერთი ალტერნატივაა, რომელიც საკმაოდ ვერაგულად მოფიქრებულ ხალხთა მეგობრობის საბჭოურ იდეას უნდა დაეუპირისპიროთ, რათა თავი დავაღწიოთ გზას, რომელსაც არსაით მივყავართ.


ყოველივე ზემოთქმული რომ ფუჭსიტყვაობა არ გახლავთ, ამას ალბომის ლაიტმოტივად ქცეული თაობათა ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხიც გვიდასტურებს. წინაპრები (მაგალითად თავად რედაქტორის, პაატა ქურდოვანიძის ბებია ელისაბედ (მემე) გიდის ასული ჯაიანი-დადიანისა, დედით ანჩაბაძე) თავიანთი არსებობით ავალდებულებდნენ საკუთარ შთამომავლობას მეხსიერების, ხსოვნის განსაკუთრებულ სიმყარეს, გადამრჩენ ტრადიციათა ერთგულებას, აფხაზების განსაკუთრებულ პატივისცემას, მათთან ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით თანაცხოვრების შენარჩუნებას. ამ წინაპართაგან განსაკუთრებით შორსმჭვრეტელნი კი (როგორც ქ-ნი ელისაბედი აღმოჩნდა) ყოველივე ამის გაკეთებას ისტორიის მისტიფიცირების, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თვითმიზნური ესთეტიზაციის გარეშე ამჯობინებდნენ. აი, როგორ ახასიათებს შვილიშვილი თავისი წინაპარ ქალბატონს: „...ბრძენი, მართალი, მტკიცე – არ ვიცი კიდევ რა ეპითეტებით შეიძლება მისი შემკობა... ტრადიციების ერთგული ქალი გახლდათ, სიტყვაძვირი, მაგრამ გულღია მასპინძელი. ყველაფრის ყადრი და ფასი იცოდა. ამაყი იყო, შვილებთან – მკაცრი. სოფლის კომუნისტი თავკაცები პატივს სცემდნენ, ერიდებოდნენ მისი... მიუხედავად იმისა, რომ მემეს საკოლმეურნეო ყანებში არასოდეს უთოხნია, შრომადღე ყოველთვის ეწერებოდა. მეზობელი ახალგაზრდობა ყველაფერს აკეთებდა, რათა კოკი დადიანის ქვრივს თოხი ხელში არ აეღო. სამაგიეროდ, ბებია მთელ სოფელს უკერავდა. მისი განთქმული „ზინგერი“ მათ სამსახურში იდგა“... „ზინგერთან“ მიმჯდარი დადიანის ქვრივი კომუნისტური ეპოქის ნიშანია. იმ ეპოქისა, რომელმაც თვით სოციალისტური იდეალების საპირისპიროდ ბრწყინვალედ შეძლო რუსული იმპერიული ჩანაფიქრის გასრულება და აფხაზეთში „ანტირუსული განწყობილების ანტიქართულ კალაპოტში გადატანა“. არსებობს ასეთი მოსაზრებაც: რომ არა კომუნისტური რეპრე-

სიები, იძულებითი ემიგრაცია, გადასახლებები და ა.შ. როგორც ქართული, ასევე აფხაზური თავადაზნაურობა ურთიერთობის ასეთ გამწვავებას არ დაუშვებდა. ილიასა და მიხეილ ჯავახიშვილის უკომპრომისო ანალიზის შემდეგ თავადაზნაურობის დიდი ნაწილისა და მისი წიაღიდან გამოსული ინტელიგენციის როლის უკრიტიკოდ მიღება პირადად მე გამიჭირდება. ცხადია, იმ საბედისწერო შეცდომებისაგან, პირველ რიგში, დროის შესაფერისი საქმიანობისადმი დამოკიდებულებას, ალლოიანობას ვგულისხმობ* დაზღვეული ვერც აფხაზი თავადაზნაურობა იქნებოდა (სხვათა შორის, ალბომში ერთი უცნაური უსათაურო ფოტოა, რომელზეც ძილსმიცემული, თვალმდებარე უჭული შარვაშიძეები და მათი ნათესავები არიან წარმოდგენილი. ცხადია, ხუმრობაა, მაგრამ მასში გარკვეული მინიშნებაც შეიძლება დავინახოთ). ამიტომაც უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: რომ არა ის ტრაგიკული ისტორიულ-კულტურული წყვეტა, რომელიც რუსულ რევოლუციებს მოჰყვა, ურთიერთგაუცხოების ასეთი ხარისხის მოწმენი, შესაძლოა, არც გავმხდარიყავით. უთანხმოებები თუ წინააღმდეგობები კი, რომლებიც ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერ და სტაბილურ ქვეყნებშიც შეინიშნება, ტრადიციულ ურთიერთობათა პატივისცემაზე აგებულ სრულიად სხვა განზომილებების კონტექსტში გადაწყვეტოდა.

დღევანდელი მთლიანი ცნობიერების შენარჩუნებაა. კომუნისტური ინფანტილიზმის დროს, რომელსაც ხშირად „საყოველთაო ჰიპნოზის“ ხანასაც უწოდებენ, ქართულ-აფხაზურ ალბომში წარმოდგენილმა ადამიანებმა „უისტორიობაში ისტორიის გადარჩენას“ მიუძღვნეს თავი. ისინი, როგორც უკვე აღვნიშნე, პიროვნულადაც განსახიერებდნენ იმ მჭიდრო ნათესაურ კავშირებს, რაც აფხაზებსა და ქართველებს შორის არსებობდა და რომლის წაშლა, საკმაოდ მარტივად და სწორხაზოვნად რომ ვთქვათ, მცხუნვარე მზესა და თბილ ზღვას დახარბებულებს ძალიან უნდოდათ. ყველასათვის კარგად ცნობილი ბაბო დადიანი, გიორგი შარვაშიძის დისშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ ძვირფასი ფოტომატიანის გადარჩენა გაიხადა; აფხაზ-ქართველები, გრიგოლ ალი-ბეის ძე შარვაშიძის შვილთაშვილები: მარინა მხეიძე-დადიანისა, თინა მხეიძე-ჩაჩავა და ალექსანდრე (საშურა) შენგელაია-ნადარეიშვილი; ქალბატონები ნუნუ ქიქოძე, ნინო შარვაშიძე, ბელა თოფურია; ბატონები: ზურაბ ჩიქოვანი, გიორგი ბრაილოვსკი, გენეალოგი იური ჩიქოვანი და სხვა. ალბომის შემდგენელებმა საჭიროდ მიიჩნიეს არა მარტო მათი ოჯახური რელიკვიების – წინაპართა ფოტოსურათების გამოყენება, არამედ ამ ფოტოსურათებისათვის ავტორიზებული მოგონებების, კომენტარების დართვა, რამაც წიგნს შინაგანი დინამიკა, რეალობის ადეკვატურობის განცდა, ანტიბუტაფორულობა შესძინა. უყურებ ამ ნელში გამართულ (უნებლიეთ, გილიოტინაზე

* ალბომის ერთ-ერთი პერსონაჟი თავადი ამ მხრივ ძალიან სახასიათო შეფასებებითაა წარმოდგენილი: „...გულია, ნადირობის ტრფიალი, უზადლო მეგობარი, ძველი თაობის რაინდი, რომელსაც ახალი დროების ეკონომიკის არაფერი გაეგებოდა და არც გასჩენია მასში ჩანწდომის სურვილი“ (გვ. 157)

მიმავალი მარია-ანტუანეტას გრაფიკული პორტრეტი გაგონდება), პიროვნული სისავსისა და სრულყოფილების განცდის მქონე ადამიანებს, რომლებსაც მოხდენილად მოუხვევიათ ერთმანეთისთვის ხელი ან გვერდიგვერდ მსხდარნი სრული სიმშვიდით მინდობიან ერთმანეთს და კვლავ იმ ძველ, ჩვენ რომ ასე თამამად უსარგებლოდ მივიჩნიეთ, ფიქრს ვფიქრობ; სად გაქრა, დროის რომელ ნაპრაღში ჩაიფშვნა და ჩაიკარგა ამ ადამიანთა მსგავსად მათი თანამემამულეების ერთად ყოფნის სურვილი, რომელიც, როგორც ეს ფოტოსურათები ადასტურებენ, არა გამოგონილია, არამედ ფაქტია.



ფაქტთან დაკავშირებით აქვე თანამედროვე კონფლიქტოლოგთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი უნდა გავისხენო: ტენდენციურობის საყრდენი, ყველაზე ნაკლებად სანდო, რადგანაც ობიექტურობის დეფიციტის პირობებში ცოტაა მათი მიუკერძოებლად განმლაგებელ-ინტერპრეტატორი. სამაგიეროდ ბევრია ფაქტის მანიპულატორი. ამიტომ, მოსალოდნელია „ქართულ-აფხაზურ ალბომსაც“, თუკი მოისურვეს მსგავსი ლიტერატურის გაცნობა, მათ ეჭვის თვალით შეხედონ. პარალელურად კი კვლავ აქტუალიზებული იქნება... თემაზე: როგორ დაუპირისპირდა აფხაზთა ნაციონალურ პროექტს XX ს. 80-90-იან წლებში ქართული ნაციონალიზმის პოლიტიზირების პროცესი; როგორი საფრთხე ემუქრება (შაფსულიებისა და უბიხების მსგავსად) აფხაზთა იდენტურობას ამჯერად ქართული იმპერიალიზმის სახით; როგორ სირთულეებს უკავშირდება ისეთი „მცირე იმპერიის“ უშუალო მეზობლობა, როგორც საქართველოა, რომელსაც სხვა ქვეყნების დაპყრობა სურს და ა.შ. ვერაფერს იტყვი, ოსტატურად ნართავი კვანძია, რომელსაც ამგვარ საქმიანობაში ნანართობის ხელი ატყვია. მაგრამ ასე რომ ვერ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო პრაქტიკულად უუფლებო საბჭოთა რესპუბლიკა იყო (მე ეთნოსის გულისხმობ და არა გადაავარებულ ქართველ მენშევიკ-ბოლშევიკებს) და არა საკუთარი ეროვნული პროექტის მქონე კლასიკური ეროვნული სახელმწიფო და რომ დღეს ის ვერანაირად ვერ აგებს პასუხს ვალიკო ჯუღელიდან, სტალინ-ბერიას ჩათვლით, პარტიული ფუნქციონერების ანტიეროვნულ ქმედებებზე – ამის გაგონება არავის სურს. დიდი თამაში, რომელიც ჯერ კიდევ ერეკლე მეფისთვის მიჩენილი უცხოელი დასტაქრებით დაიწყო და ევგენი ევტუშენკოს მსგავსი „დანიშნული მეგობრებით“ გაგრძელდა, დასასრულს უახლოვდება. სანუკვარი მიზანი თითქმის მიღწეულია, ტრიუმფი ხელისგანვადენაზე... ამასობაში ქართველთაგან დაცლილი მშობლიური ქალაქები და სოფლები მოგვტირიან, ბიჭვინთიდან კინდლამდე კი ზღვაზე გარუჯვის მსურველთათვის, ყველასათვის, გარდა ქართველებისა, გზა ხსნილია და ეს ხდება კომპიუტერისა და სხვა უმაღლესი ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში, როდესაც, საბედნიეროდ, გერმანიაში დამკვიდრებულ თურქულ

ოჯახსა თუ ინგლისში საცხოვრებლად ჩასულ ირანელს ხელს ვაგლახად ვერავინ ახლებს.

ისტორიული ფაქტები კონფლიქტოლოგიისათვის უსარგებლოა... მართლაც, კონკურენციაზე დამყარებულ და როგორც ამბობენ, მომავალზე ორიენტირებულ საზოგადოებას, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე მექანიზმებს იგი ნაკლებად მიესადაგება, მაგრამ რა ქნას ისტორიულად მრავალენიკურად ჩამოყალიბებულმა ქვეყანამ, რომელიც დიდი და გოროზი იმპერიის დამლის შემდეგ „ისტორიაში დაბრუნებას“ ლამობს. ეს დაბრუნება კი, ადვილი მისახვედრია, არა მარტო დროსა და სივრცეში, არა-

მედ უპირველესად ცნობიერებაში უნდა მოხდეს, საბჭოურისაგან რადიკალურად განსხვავებული თვითაღქმის, თვითშემეცნების აქტუალიზებით. ამ გზის საწყისი მონაკვეთი ქართველებმა როგორღაც გავიარეთ. იგი წარმოუდგენლად ძძიმე და მტკივნეული გამოდგა. თუმცა როგორც კრიტიკოსი სოსო ტაბუცაძე კრებულში „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“ წერს, სასარგებლო დასკვნების გამოტანას გადაჩვეულებმა ერთი გაკვეთილი მაინც გავითავისეთ: „კრიტიკული პატრიოტიზმი ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც ერთადერთი ხსნაა“, ხოლო მტრებისთვის, როგორც აკაკი იტყოდა, ნამდვილი სახრჩობელა. იქნებ იქ, სოხუმში, არ უნდათ გაიგონ, რომ დადგა პიროვნული ინიციატივების დრო, იდეოლოგიებისთვის თავშეფარება კი უკვე იყო. ასეა თუ ისე, ენგურს გაღმელებისთვის დიდ იმპერიულ „სათბურში“ ერთადერთობისა და განუმეორებლობის სპეკულირებით, დიდი ძმის მიერ გადარჩენილი ერის კვარცხლბეკზე დგომა, მრავლისმეტყველი არგუმენტაციით: მდინარეში დახრჩობას, ზღვაში დანთქმა გვირჩევენიაო (ესეც ხომ უინიციატივო ალიარებაა), უსაფრთხო არ უნდა იყოს. არა იმიტომ, რომ ჩვენ, მათ დაუძინებელ მტრებად მურაცხულ ქართველებს, ასე გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთია თანამედროვე ცხოვრების რეალობა.

ზემოსხენებული კრებულის ერთ-ერთ ავტორს (ამჯერად იხილეთ მისი წიგნი: ს. ტაბუცაძე „უბრალო დამატება“, „იდეოლოგიური კატაკომბების აჩრდილები“, 2009) გულწრფელად არ სურს „ქართული თვითცნობიერება კვლავ მითოლოგიზირებითა და მითოსის წარმოქმნით იყოს დაკავებული“ (ასეთია ზოგადად კრებულის პათოსიც). მეტიც, ქართულ მწერლობას იგი ტაქტიანად საყვედურობს „ეთნიკური აფხაზების ნაციონალური თავმოყვარეობის გაღვივებას“ და ამ მოვლენის, ცნობილ გარემო მიზეზებთან ერთად, ჩვენი კატასტროფული ურთიერთგაუცხოების ერთ-ერთ კატალიზატორად მიიჩნევს. აი, რას წერს იგი: „...ვხვდები, რომ უტრირებას ვახდენ, მაგრამ იდეოლოგიის ამ კატაკომბებში ქართული ლიტერატურის აფხაზი გმირები მკითხველის ცნობიერებაში აფხაზის ზოგად მოდელს ხომ აყალიბებდა, მაგრამ მერე ამ გავრცელებულ კლიშეს თავად სტატისტიკური აფხაზიც ეტოლებოდა, მოირგებდა,

ექსტრაპოლირებას ახდენდა მთელ ერზე და საკუთარ სიამაყეში განმტკიცებული, აქეთ გვეყოფოჩებოდა“. ესეც შენი წინდაუხედაობით, მოუზომავე საქციელით გამოწვეული სინანული. გამოდის, რომ დიდი სიყვარულით ჩვენ მიერვე გამოგონილი აფხაზი გვიყვარდა და სინამდვილეს დიდად არ დაგიდევდით? დიახ, უტყობობა, მაგრამ იმგვარი, რომელიც ჩვენი თვითშეფასების ხარისხის ამალღებას ემსახურება. ამიტომაც ძნელია ს. ტაბუცაძის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების იგნორირება, რადგან, ჩემი ღრმად რწმენით, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა სამომავლოდ აფხაზ-ქართველთა „თვალახელილი ცხოვრების“ (ილია) საძირკველად თუ არა, პრიორიტეტად იქცევა. თუმცა, მეორე მხრივ, ძნელია არ აღგაფრთოვანოს თარამ ემზვარის პროტოტიპმა არზაყან ყაზილბაქის-ძე ემზვარმა, არა პროქართულმა (როგორც ხშირად უწოდებენ ასეთ ადამიანებს), არამედ სწორედ რომ პროაფხაზურმა მოღვაწემ, რადგანაც იმპერიის მიღმა, თავისუფლებისაკენ საქართველოსთან ერთად სწრაფვა მას ისევე ბუნებრივად ესახებოდა, როგორც საკუთარი ოჯახის ეთნიკური შემადგენლობა: თვითონ აფხაზი, მეუღლე კი – ქართველი. იგივე ითქმის ლეო ქიჩაძის „ჰაკი აძბასა“ და „თავადის ქალი მაიას“ პროტოტიპებზე: ნიკოლოზ მელიტონის ძე ემზვარსა და კონსტანტინე მურზაყანის ძე ლაკერბაიაზე; ასტამურ საათ-ბეის ძე ინალ-იფას ერთგულ მეუღლეზე ნუცა გიორგის ასულ ჩიჩუა-ინალ-იფაზე. ერთეული აფხაზები (ისევე როგორც ერთეული ქართველები თუ ერთეული ინგლისელები) – (რად ღირს თუნდაც ბოდლე ემზვარის მიერ 1917 წლით დათარიღებული წერილი „მიხედეთ აფხაზებს!“), რომელიც არა მარტო ქართული, არამედ უმეტესად აფხაზური საზოგადოების უმკაცრეს კრიტიკას შეიცავს. ამ წერილს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა – იხ. გვ. 219) – მართლაც იმსახურებდნენ მწერალთა ყურადღებას. თუმცა ხელოვანის რეალობისადმი დამოკიდებულების ფაქიზი თემაც ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული, მართლაც რომ „სტატისტიკური ადამიანების“ მიერ ზემოქმედების ახალ იარაღად იქნა გამოყენებული.

ამ ალბომში თურქულ სასიამოვნო სიურპრიზებიც მელოდა: სოხუმელთათვის უაღრესად პატივსაცემი პიროვნების პროფ. ოთარ ჭურღულიას მრავალწლიანი სამეცნიერო ნაშრომიდან ყველაზე ღირებულის, მეცნიერულად დამუშავებული საარქივო მასალების, ახლებურად წარმოჩენა; აქამდე მხოლოდ ამბად გაგონილი თამაზ ნადარეიშვილის დიდი ბეზის, მერი ივანეს ასული შარვაშიძისა, და მისი მეუღლის, ვარლამ ანდრიას ძე შენგელაიას, შთამბეჭდავი ფოტოების ხილვა; განსაკუთრებით გამოცა ჩემი მშობლიური სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, კიკი ძიძავას, მოგონებებმა. იგი აფხაზებთან დაახლოებული გრიგოლ დადიანის მრავალშვილიანი და ტრაგიკული ბედის მქონე ოჯახის შთამომავალი ყოფილა. ქალბატონი კიკის დედა, თამარ (ძალუ) დადიანი და მამა, გაგი ხარიტონის ძე ძიძავა, ირკუტსკის, ულიანოვსკის, ვოლგისპირეთის თუ კოკანდის გადასახლებებში მხოლოდ იმიტომ გაუმწესებიათ, რომ სამა გეგეჭორის მიერ ბეზისთან მიყვანილ გაგი ძიძავას ემიგრაციაში მყოფი მეგობრების საგინებელ ტექსტზე ხელი არ მოუწერია. ვუყურებ ქალბატონ კიკის დედ-მამის ფო-

ტოს და ახალა ვხედები, საიდან მოდიოდა ეს გამორჩეული თვითფლობა, თვალმისაცემი თვითდისციპლინა, ჩაცმის ინგლისური სტილი; სამურზაყანული თავადის გედი ემზვარის ფათერაკიანი თავგადასავალი გვანსენებს გვანჯი ჩიქოვანის კოლორიტულ ფიგურას (საინტერესო მოგონებები გვანჯი ჩიქოვანის შესახებ გამოაქვეყნა ემზვარ კვიტიანიშვილმა). არ გეგონოთ კონსტანტინე გამსახურდიას ტექსტის უნიჭო პერიფრაზირებას ვახდენდე, მაგრამ ჩემს გამზრდელებთან ზუგდიდში ყოფნის დროს, როდესაც სანოემბრო-საპირველმაისო სავალდებულო დემონსტრაციისა და ჩემივე დაუინებელი თხოვნის შემდეგ სტადიონზე გამართულ მარულაზე წამიყვანდნენ, სწორედ იქ ვხედავდი ახოვან მოხუცს, ყველასაგან გამორჩეულად ისტორიულ-პეროიკული დრამის გმირივით ჩოხა-ახალუხით მორთულს, რომელსაც ყველა დიდი პატივით ესალმებოდა. ეს გვანჯი ჩიქოვანი ყოფილა, და ბოლოს ბ-ნი აღექსანდრე გრიგოლია და მისი მეუღლე, დადიანის ქალი, განუმეორებელი სახელით მენიკი. სოხუმში, კალინინის ქუჩაზე, პროფესორ გრიგოლიას მყუდრო სახლში პირველად ვნახე მერი შარვაშიძის სურათი...

მარკესს თავის მოგონებებში ადრეული ბავშვობის მაგისტრალად ბოგოტასკენ და ბოგოტიდან მდინარე მაგდალენაზე მოგზაურობა დაუსახავს, რომლის დროსაც, როგორც თვითონ წერს, ცხოვრებას ეცნობოდა. ჩვენი ბოგოტა, ცხადია, სოხუმში იყო, ხოლო მაგდალენა, რომელზეც ასევე შესაძლებელი იყო ცხოვრების გაცნობა, ერთი მხრივ, სოხუმსა და სოჭს შორის, მეორე მხრივ კი, სოხუმსა და ზუგდიდს შორის საავტომობილო თუ სარკინიგზო გზა, რომლის თითოეული მონაკვეთი, განსაკუთრებით კი რუხის ციხესთან თავმიდებული ენგურის ხიდი, ზეპირად ვიცოდი. დღეს იგი ვახუმტი კოტეტიშვილის „ტირილის ხის“ არ იყოს, „ტირილის ხიდადა“ ქცეული და უფრო მძიმე დღეშია, ვიდრე „ეკოლოგიურად დამძიმებული“ მაგდალენას მკვდარი წყალი. აქ, ჩვენს ენგურზე, სახეზეა პოლიტიკოსთა „ეკოლოგიური“ დაბინძურების შედეგები, რომლის აღმოფხვრა არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) ძნელია, ვიდრე ერთი მრავალჭირსახული მდინარის გადარჩენა.

„ქართულ-აფხაზური ალბომის“ პრეზენტაციაზე ითქვა იმ ქართველთა ღვანლის შესახებაც, რომლებსაც კარგად ესმოდათ ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების მნიშვნელობა. ილიადან (იგი, როგორც მოგეხსენებათ 1903 წელს ეწვია გაგრასა და სოხუმს) გიორგი შარვაშიძის არზაყან ემზვარის, თედო სახოკიას, ნიკო ჯანაშიას, ანთიმოზ ჯუღელის, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ჩათვლით ვიანორ და ზურაბ ანჩაბაძემდე. ისინი ალბომში სათანადოდ არიან კიდევ წარმოდგენილი. იმავე პრეზენტაციაზე ბნმა გია გვაზავამ (მწარედ დამამახსოვრდა მის მიერ მშობლიური ქალაქის გარეშე დარჩენილი სოხუმელების ბითურებად, ქალაქურ სლენგზე კი „ფრაერებად“ მოხსენიება) ამ შესანიშნავ წიგნს „სიყვარულის გზავნილი“ უწოდა. მინდა ვუთხრა იმათ, ვინც აფხაზეთში მისი გაცნობით დაინტერესდებიან: ეს არ არის ილუზორულ სამყაროში მორიგი მიპატიჟება, არამედ ერთ-ერთი საშუალებაა იმ მოტივაციის აღდგენისა, რომელმაც ქართველებიც და აფხაზებიც თავიანთი მშობლიური მიწის კანონიერი მეპატრონენი უნდა გახადოს.

ეკა ბუჯიაშვილი

მისიონერი

(ნანა დემეტრაშვილი
და
მისხეთის თეატრი)

კითხვა: — რა არის უმაღლესი ბედნიერება?
პასუხი: — ვიღაცას რომ სჭირდები და შეგიძლია თა-
ნადგომა.

ეს სიტყვები, მარსელ პრუსტის ანკეტის რუბრიკით რომ გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, **ნანა დემეტრაშვილს** ეკუთვნის და დევიზად გასდევს მთელ მის ცხოვრებას. ჟურნალის სალონში გამართულ ხსოვნის სა-
ლამოზე კი **როსტომ ჩხეიძე** ასე შეაფასებს ამ ადამიანის შემოქმედებასაც და ღვაწლსაც:

— როდესაც ქალბატონმა ნანამ დააარსა ახალციხის თეატრი, ეს იყო მოვლენა არა მხოლოდ თეატრალურ და კულტურულ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებრივ-პო-
ლიტიკურშიც. ამ დიდ ეროვნულ საქმეს მხოლოდ ახალგაზ-
რდები თუ მოაბამდნენ თავს.

ძალიან მალე ერთ-ერთი სპექტაკლი — ოთარ ჩხეიძის პიესის მიხედვით დადგმული „თედორე“ რომ ჩამოიტანეს თბილისში და არაერთი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის იყო რევან ჯაფარიძის ალტაცებული წერილი, გულიდან აღმოჩნდა ლაღადისი: ვინ თქვა, რომ შეროიკული თეატ-
რი მოკვდა, აი, გმირული თეატრი, ყველას გირჩევთ მოხვი-
დეთ და ეს სპექტაკლი ნახოთ.

ასე რომ, ნანა დემეტრაშვილი, შეიძლება ითქვას, თავი-
სი პირველივე ნაბიჯებით ქართული საზოგადოებრივ-
კულტურული ცხოვრების ისტორიაში შევიდა და შეუპოვა-
რი ხასიათით შეძლო ის, რომ სპექტაკლი, ჩეკას ნების სანი-
ნალმდეგოდ, ისე ეთამაშათ, როგორც დაიდგა.

როცა ვასილ კიკნაძემ პავლე ინგოროყვას ამცნო, რომ მესხეთის თეატრის სცენაზე „თედორე“ იდგებოდა, ის გა-
ოგნებულა. 1967 წელია.

— როგორ, მღვდელზე სპექტაკლი იდგება? ე.ი. რაღაც სასიკეთოს უნდა ველოდოთ.

მოგეხსენებათ, როგორ იდევნებოდა იმ დროს სამღვდე-
ლოება, ეკლესია... პირდაპირ ავალებდნენ მწერლობას, კი-
ნემატოგრაფიას, თეატრს, რომ გაემასხრებინათ სასულიე-
რო პირი, რაც შეიძლება კომიკურად და დაკნინებულად წარმოეჩინათ... და უცებ ჩნდება შეროიკული სახე სასული-
ერო პირისა, რომელიც იმავდროულად ეროვნული გმირიც არის და სცენიდან თავისუფლების იდეას ქადაგებს.

ძალიან საჭირო საქმეს აკეთებს ნინო ჩხიკვიშვილი, რო-
ცა ინიშნავს ხოლმე საუბრებს რეჟისორებთან, მსახიობებ-
თან... ჩვენ ბევრ რამეს არ ვაფასებთ, დღესდღეობით წერილმანი გვგონია, მაგრამ გაივლის დრო და აღმოჩნდე-
ბა, რომ ეს ერთი შეხედვით წერილმანები სულ სხვაგვარად აღაგებს ლიტერატურისა და თეატრის ისტორიას, საერ-
თოდ, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ნანა დემეტრაშვილს სიცოცხლეში არ ჰქონია ის დაფა-
სება, მისი რანგის რეჟისორებს რომ ეკადრებათ, მაგრამ გადალაგდება ბევრი რამ და მისი სახელიც სხვანაირად წარმოჩნდება, სახელი, რომლის გარეშეც წარმოუდგენე-
ლია XX საუკუნის თეატრის ისტორია.

თეთრინყაროში გაიზარდა.
1939 წელს დაიბადა და, როგორც თვითონ ამბობდა, ომამდელი ბავშვი იყო.

გაჭირვებაში იზრდებოდა ძმასთან ერთად. წლების მე-
რე ასე იხსენებდა პირველ შეხვედრას მამასთან:

— 1945 წელი იყო. ქუჩაში მოვდიოდით, როცა დედას უთხრეს: ალიოშა ჩამოვიდაო. დედა გაიქცა. მეც გავეკიდე. დავინახე ძალიან სიმპათიური კაცი, კიტელში გამოწყობი-
ლი, ისეთი ვარცხნილობით, პირველად სტალინი მეგონა, მამაჩემი კი აღმოჩნდა.

ბავშვობა ხშირად განსაზღვრავს ხოლმე თითოეული ჩვენგანის მომავალს. და **ელისო თვალაშვილის** თქმით, თეთრინყაროში ცხოვრებამ თავისი კვალი დააჩნია ნანა დემეტრაშვილის ხასიათსაც და შემოქმედებით გზასაც.

დაუცხრომელი და მოუსვენარი პატარაობიდანვე იყო. შეუპოვარმა ხასიათმაც ბავშვობიდანვე იჩინა თავი. ქართ-
ველები იქ არ ცხოვრობდნენ და მერვე კლასამდე რუსულ სკოლაში სწავლობდა. მერე მაშინდელ რაიკომის მდივანს მოუხერხებია ქართული სკოლის გახსნა. ქართულის მას-
წავლებელს უმადლიან სამშობლოს განცდის პირველ იმ-
პულსებსაც და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასაც.

პირველი შეუღლება — თორნიკე ლოლობერიძესთან — ასე მოხდა:

ფალაშვილის ქუჩაზე პატარა ოთახი უქირავებიათ, თვითონვე შეულამაზებიათ და ნასულან ხელის მოსაწე-
რად. ქალბატონი ელისო მაშინ სტუდენტულ ცხოვრობდა. ხინკალი მოუხვევია ახალდაქორწინებულთათვის და ეზო-
ში სახელდახლოდ გაშლილ სუფრასთან, სკამების ნაცვ-
ლად გადმობრუნებულ ყუთებზე დამსხდართ აღუნიშნავთ მათი გაბედნიერება.

ეს — პირველად!

მეორედ ხინკალიც არ ჰქონიაო.

მაგრამ გაჭირვებას ხელი არ შეუშლია ოჯახური მთლი-
ანობისათვის. და **ვაჟა ნიკოლაშვილი** მეკრებაზე ნაწყვეტს რომ წაიკითხავს სპექტაკლიდან „აქედან იწყება საქართვე-
ლო“, მეუღლის ხსოვნას სიმღერასაც უძღვნის და შვილ-
თან, ანასთან ერთად შეასრულებს.

არც იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს შეეპუება, წინ რომ ელოდა — ყოფაშიც და შემოქმედებაშიც.

ბევრჯერ ატყენს ცხოვრება გულს, განსაკუთრებულ იარად კი მესხეთის თეატრიდან წამოსვლა და ახალციხის მიტოვება დააჩნდება მის სულს. ერთხანს სწორედ ქალბა-
ტონ ელისოსთან იპოვის თავშესაფარს.

— ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად. საღამოობით აბიტუ-
რინტები მყავდა და ელოდებოდა, იმ ერთ ოთახში როდის დავამთავრებდით მეცადინეობას, რომ მოსულიყო. ისეთი მოკრძალებული იყო, მესხეთში დატოვებულ შვილთან და-
რეკვაც ვრიდებოდა.

ასე წვალებაში გაივლის ცხოვრება.

მაგრამ ეს — მერე.

ჯერ კი...

თეთრინყაროში იზრდება არაქართველი ბავშვების გვერდით, ბევრს კითხულობს და ხანდახან, მოცალებობისას, იქაურ კულტურის სახლში განმარტოვდება ხოლმე (მამამისი ამ სახლის დირექტორი იყო) რომელიმე ფილმის სანახავად.

ამიტომაც **ნინო ჩხიკვიშვილი** თავის მოხსენებას ასე დაიწყებს:

— როცა ქალბატონ ნანა დემეტრაშვილზე ვფიქრობ, ვხედავ 12-14 წლის გოგონას, დედის თბილი, ნაქსოვი შარფი მხრებზე მოუსხამს. ცარიელ, გაყინულ, პანანინა კინოდარბაზში (თუ იმას დარბაზი ეთქმის) მარტოდმარტო მოკალათებულა და გაფაციცებული შეჰყურებს ეკრანს.

შუქი ხშირად ქრება. ეს მაინც მოთმინებით ელის, როდის გაგრძელდება ჩვენება.

საქართველოს ისტორიული წარსულითა და წიგნების გავლენით გამოუწონორებელ მეოცნებედ, მეოცნებე ქართველად იქცა.

ყველაფერს, რაც გულში ოცნებად ამოიჭრა — მიაღწია. მიაღწია!

ოღონდაც...

სხვებისგან განსხვავებით, გადამეტებული ძალისხმევა დასჭირდა — ის, რაც სხვასთან იოლად, მარტივად „მიდიოდა“, მასთან წარმოუდგენლად ძნელად აღწევდა.

* * *

უნივერსიტეტამდე მისულა ხმა:

ვილაც ნანნავიანმა გოგონამ, თეთრინყაროდან, თეატრალურში ჩააბარაო.

ეს ვარცხნილობა სიცოცხლის ბოლომდე მის სავიზიტო ბარათად იქცა და თავისი მძიმე სენის შესახებ რომ შეიტყო, პირველი რაც გაიფიქრა, შვილებს რა ეშველებათო... და იქვე ალბათ ნანნავზეც შეივლო ხელი, რაკი იცოდა, რომ ეს ავადმყოფობა მის თმასაც შეინირავდა.

აი, რას წერს ამის შესახებ **ნათელა არველაძე**:

— თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის იმ ჯგუფში, 1958 წელს რომ გახდნენ სტუდენტები, ერთი მანდილოსანი აღმოჩნდა. ათი ვაჟი და ერთი ასტაჯანა გოგო. ბიჭები ამ დაუდგომელ გოგონას ქალადაც არ ალიქვამდნენ, ისე ექცეოდნენ, როგორც ძმაცაცს.

გამორჩეული გახლდათ გარეგნობითაც: უძველესი ხელოვნების წარმომადგენელი ძველმოდური ვარცხნილობითაც იპყრობდა ყურადღებას. თითქმის თავისივე სიგრძის მაჯისსიმსხო ნანნავი თავზე ჰქონდა შემოხვეული. ასე განვლო ცხოვრებამ — ულტრათანამედროვე სპეციალობითა და ძველმოდური გარეგნობით. ასე განვლო ცხოვრებამ, ვიდრე უკურნებელმა სენმა არ შეინირა მისი დაუდგომელი ხასიათიც და მაჯისსიმსხო გრძელი ნანნავიც.

ასეთსავე გრძელ ნანნავს ატარებდა მისი ქალიშვილიც, რომელსაც ბავშვობაში სულ უკვირდა: რატომ ადარებდა დედა საკუთარ თავს — ნაცნობებსა და მეგობრებს სულ ეკითხებოდა: მე უფრო ლამაზი ვარ თუ ანა?

ერთხელ, უნივერსიტეტიდან მომავალ ანას მიხეილ თუმანიშვილი შეხვედრია.

— აბა, ცოტა უკან დაინიე, გენაცვალე, — უთქვამს, — სარკეში ჩაიხედე, აი, სწორედ ასეთი მოვიდა ნანა დემეტრაშვილი თეატრალურ ინსტიტუტში.

მე უფრო ლამაზი ვარ თუ ანაო...

თვითონ ანას რომ ჰკითხოთ, დედა უფრო ლამაზი იყო, ლამაზიც, ნიჭირიც და ძლიერიც... და ნანნავიც მას და მხოლოდ მას უხდებოდა ყველაზე ძალიან. ახლაც ახსოვს დედის მძაფრი რეაქცია — ლამის წინასაინფარქტო მდგომარეობა — როცა ერთ დღეს, მოულოდნელად, თმამეჭრილი შევიდა შინ.

ესეც წლების შემდეგ მოხდება.

ჯერ კი... თეთრინყაროდან ჩამოსული ნანნავიანი გოგონა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე ირიცხება იმ ათ სტუდენტთან ერთად, რომლებსაც ოჯახურ ტრადიციათა გრძელი შლიეფი მოსდევთ და მათი მოხვედრაც ასეთ პრესტიჟულ ფაკულტეტზე არავის აკვირვებს.

აი, ნანა დემეტრაშვილი კი სულ სხვა საქმეა და... უნივერსიტეტამდე უნდა მიაღწიოს ხმამ:

ვილაც ნანნავიანი გოგონაო...

თეთრინყაროდან ჩამოსულიო...

მერე დადგება 1967 წელი.

ვასილ კიკნაძის ინიციატივით, ახალციხეში უნდა გაემგზავროს სამუშაოდ მსახიობთა ჯგუფი.

შეიკრიბებიან.

როცა პირველად შეხვდა ნანა დემეტრაშვილი იმ ცხრა-მეტ ახალგაზრდას, უთქვამს:

— ჩვენ ახლა მივდივართ იქ, სადაც ძალიან გაგვიჭირდება; სადაც უნდა დავივინყოთ ოჯახი და ახლობლები და ბევრი სირთულის გადალახვა მოგვინევს.

მოგვიანებით **ვასილ კიკნაძე** იხსენებდა:

— ეს რომ მოვისმინე, შემეშინდა. ვიფიქრე: დაფრთხილებდნენ ახალგაზრდები და გაიქცეოდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გამორჩეული ენთუზიაზმით ჩაებნენ ამ საქმეში.

21 აპრილი იყო.

ზარზეიმით გაცილებენ თეატრალური ინსტიტუტიდან, ახალციხეში კი თოვლი დახვდებათ.

ქალბატონი ნანა ასე იგონებდა ხოლმე ამ ამბავს:

— ავტობუსიდან რომ გადმოვედით და შევცვივდით თეატრის შენობაში, ერთი შემის „ფეჩი“ იდგა. მის ირგვლივ რომ დაესხედით და ერთმანეთს გადახვდით, სწორედ მაშინ გავაცნობიერეთ, რომ ძალიან, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

პირველმა სპექტაკლმა — „თედორე“ — ოთარ ჩხეიძის პიესის მიხედვით რომ დადგა, განსაკუთრებული კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. **ნინო ჩხიკვიშვილი** თავის მოხსენებაში სწორედ ამ სპექტაკლზე გაამახვილებს ყურადღებას.

„თედორეთი“ დაიწყო არსებობა მესხეთის თეატრმა, იმ სცენიდან გაისმოდა გაბედული და მადლიანი სიტყვა მწერლისა, რომელიც თვითონაც იდევნებოდა. არამარტო ახალციხეში გაისმოდა — მესხეთის თეატრის დასმა სწორედ ამ სპექტაკლით მოიარა სრულიად საქართველო და როცა თბილისში ჩამოიტანეს, სწორედ მაშინ ამტყდარა დიდი ამბები.

— მარჯანიშვილის თეატრში უნდა ეთამაშათ სპექტაკლი, წარმოდგენის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე რეჟისორს სამთავრობო ტელეფონთან უხმეს და უთხრეს: აუცილებლად ამოიღებთ სპექტაკლიდან მითითებულ ეპიზოდებს.

ის კი თამამად განუცხადებთ:

— არ ამოვიღებ არცერთ სიტყვას. წინააღმდეგ შემთხვევაში სპექტაკლს არ ვითამაშებთ!

და შეუსრულებია დანაქადნები.

მერე ამტყდარა ამბები.

ამბობენ, ცუკას მაშინდელ მდივან ვასილ მჟავანაძესაც კი ასჩუყებია გული.

იყო არაერთი გამომხაურება, სტატია, რეცენზია... და მოგვიანებით ქალბატონი ნანა ალბომსაც რომ შეადგენს და რამდენიმე სპექტაკლის ისტორიას გააერთიანებს თავთავისი ფოტომატიანით, გამორჩეულ ადგილს დაუთმობს „თედორეს“ მისი აფიშით, მოსანვევი ბარათით, სპექტაკლს მოყოლილი გამომხაურებებითა თუ ფოტოსურათებით.

მერე ბევრ რამეს ჩაინიშნავს ამ ალბომში.

იმასაც კი, ვინ ვისზე დააქორწინა თავის დასში, ვის რამდენი შვილი ეყოლა და ა.შ.

მერე არაერთხელ ეტკინება გული, არაერთხელ მოუწევს შეუპოვარი ხასიათის გამოვლენა და წლები გაგრძელდება ასე, ურთულესი, უმძიმესი წლები, რომელთა შესახებაც დანერს:

— მესხეთში გატარებულ წლები იყო ზღაპარი...
ეს იყო ჯოჯოხეთი...
სამოთხე...
და ყველაფერი ერთად.

— ყველგან შეიძლება მოხდეს ასეთი რამ — რეჟისორი თეატრიდან გაუშვა, მაგრამ როცა ამას აკეთებ მესხეთის თეატრში, ე.ი. შენ საქართველოს მტერიც ხარ

და საკუთარი თავისაც, — ამას ქეთი დოლიძე იტყვის შეკრებაზე, იტყვის მას მერე, რაც ქალბატონ ნანასთან ერთად გატარებულ დღეებს გაიხსენებს — როცა აფხაზეთის ომის დროს, „თეთრი მანდილის“ ინიციატივით, სოხუმისაკენ დაიძრა ის ცნობილი მატარებელი.

— გადის წლები, ათეული წლები და ადამიანები ხვდებიან, როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ მოვლენას. იმ ტრაგიკულ მატარებელს ზოგიერთმა დააბრალა, რომ შევარდნაძესთან გავრბოდი სოხუმში, ნაწილმა კი თქვა, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მივდიოდით, სამეგრელოში არეულობის შესატანად.

ეს იყო სრული აბსურდი.

ჩვენ ვიყავით საქართველოს შვილები, ქალები, რომლებიც გავერთიანდით იმისთვის, რომ საზოგადოება შეგვეჯანჯლარებინა.

როცა ამ ინიციატივით გამოვედი, ერთ-ერთი პირველი, ვინც მოვიდა, ნანა დემეტრაშვილი იყო. მთელი გზა მას ეცვა შვილის, მამუკას სამხედრო მაისური. იგი იმ დროს სოხუმში იყო.

ორამჩირეში ისტერიკა დაგვხვდა: სამიზნედ დგას ეს თქვენი მატარებელი და უკან უნდა დაბრუნდეთო.

18 საათი არ გამოგვატარეს უკან.

ეს იყო დღეები, რომლებმაც შეცვალა და ორად გაყო ჩვენი ცხოვრება — მატარებლამდე და მატარებლის შემდეგ.

მიმაჩნია, რომ ისევე, როგორც ნანა დემეტრაშვილი, ეს მატარებელიც ერის ღირსება იყო და ოდესმე საქართველოში ამას დაინახავენ.

გული მწყდება, რომ როცა ჩვენს თეატრში მიხილ თუმანიშვილის მონაფეები მოვიწვიე თითო სპექტაკლის დასადგმელად, ნანა დემეტრაშვილმა ვერ მოასწრო. ეს იყო ქალი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გაუკეთა ქართულ თეატრს და, საერთოდ, საქართველოს. რეზო ჩხეიძის ფილმში „მშობლიური ჩემო მიწავ“ მე სწორედ ნანა განვასახიერე და როცა მესხეთის ახალი თეატრის სცენაზე ვიდექი, სრულად ვიგრძენი მისი როლი.

მჯერა, ოდესმე იგი სათანოდ დაფასდება, პირადად მე კი ჩემს თავზე ვიღებ ვალდებულებას, დოკუმენტური ფილმი გადავიღო ნანა დემეტრაშვილის შესახებ.

მისი სხვა კინოროლიც ახსოვს საზოგადოებას — „დონ კიხოტში“ — გულდანყვეტილი ამბობდა თურმე:

— დედოფლის როლი უნდა შემესრულებინა, მაგრამ მერე ვირზე შემსვა ბატონმა რეზომ.

— ნანამ კიდევ ერთ სპექტაკლში ითამაშა, — საუბარში დარბაზიდან ჩაერთვება **გალინა პატარიძე**, — მიზეზთა გამო მას ჩემ მაგივრად მოუწია სცენაზე დადგომა და ყველაზე მეტად ის უხაროდა, გალინას კაბა ჩამეტიო.

ის ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო, ნიჭიერი, ძლიერი, ლამაზი და, რაც მთავარია, ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ედგა სათავეში.

— მამულიშვილურ საქმესო, — ამას ანა ნიკოლაშვილი იტყვის და დასძინს, — ასე თქმის უფლებას მაძლევს წლები, დღევანდელი შეხვედრა და ბატონი როსტომის წერილი, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა.

დედამ იცოდა, რას ნიშნავს არაქართული მოსახლეობა ქართულ ტერიტორიაზე, ათასკაციანი რუსული სკოლა, რომლის გვერდითაც ქართული სკოლა არ არის. „მშობლიურ სალიტერატურო ენას საჯარო სამოქმედო ასპარეზი უნდა შექმნოდა. ეს იყო უპირველესი მისია ახალშექმნილი დასისა“.

...და დედამ ამ მისიის სიმძიმეც გამოსცადა საკუთარ მხრებზე.

თითოეული ჩვენგანის მესხიერებაში ბავშვობა უკავშირდება სახლს, რომლის კედლებიც გამორჩეულად გიცავს; ჭერს, რომელიც სხვანაირად გიფარავს და საწოლს, დედასავით რომ გათბობს.

აი, ანას ბავშვობის მესხიერებაც, დედის ხატიც, სანუკვარი სახლის ჭერიცა და კედლებიც თეატრს უკავშირდება. საწოლის ნაცვლად ორი შეტყუებულ სკამი ჰქონდა, საბნის ნაცვლად — ვინმე მაღლიანი ადამიანის ქურთუკი.



ანა ნიკოლაშვილი და ნინო ჩხიკვიშვილი

ასე გაიარა ბავშვობამ — სოფელ-სოფელ გასტროლობში. მესხეთის სახელმწიფო თეატრი იყო კულტურის კერა და ყველას მასპინძელი.

ვინ არ სტუმრობდა მათთან. ახსოვს ოჯახში გაშლილი სუფრებიც — ხან სტუდენტურად, ხან ხვავრიელად — და ქეიფში დათენებული ღამეებიც.

ამიტომაც იყო თბილისში ყოფნისას ხან ვინ გაუჩერებდათ მანქანას და ხან — ვინ.

— დაბრძანდით, ქალბატონო ნანა, თქვენთან ნამყოფი ვარ და დღესაც მახსოვს, როგორი პატივი გვეცითო.

თუ ვინაობით დაინტერესდებოდით, ვერ გიპასუხებდათ. არ მკითხოვო, — დაირცხვენდა. არ ახსოვდა, იმდენი სტუმრის მიღება და მასპინძლობა გაუწევია. თეატრის გარდა ხომ არაერთი სახალხო დღესასწაულის ორგანიზებაც უწევდა: „ზარზმობა“, „საფარობა“, „შოთაობა“...

ერთ-ერთი „შოთაობისას“, ვარძიაში რომ გაიმართა, მსახიობებს ნაწყვეტი შეუსრულებიათ სპექტაკლიდან. არარესტავრირებულ ვარძიაში ერთადერთი მოედანი იყო, სადაც საერთოდ დგომა შეიძლებოდა. საშიში იყო თამაში, მაგრამ იმდენად იცოდა იქიდან წამოსული ქართული სიტყვის ძალაცა და მნიშვნელობაც, ამ საფრთხის მიუხედავად, მსახიობები მაინც ათამაშა.

თვითონ გამორჩეულად უყვარდა იქაურობა და ცდილობდა, სხვისთვისაც ასე შეეყვარებინა. აკი ანას ახლობლებს, თანაკურსელებსა და მეგობრებს კიდეც ეგონათ, რომ იქ მათი წინაპრების საფლავები იყო და სხვანაირი მშობლიური განცდაც ამიტომ აკავშირებდა მესხეთთან.

გულნატკენი კი წამოვიდა ნანა დემეტრაშვილი ახალციხიდან.

— ჩემი ახლობელი ადამიანების ინტრიგების მსხვერპლი აღმოვჩნდი, — წერდა იგი წლების შემდეგ, — ახალციხეში 20 წელი და 14 დღე გავატარე. ერთხელ, თეატრიდან წამოსვლის შემდეგ, ავტობუსით მივდიოდი იქ დატოვებულ მძევალ ქმართან. ერთი მგზავრი დაჟინებით მიყურებდა. მერე მოვიდა და მითხრა:

— ქალბატონო ნანა, თქვენზე გაბრაზებული ვარ, ძალიან ნაწყენიც; დანახვა არ მინდა თქვენი. ჩვენ თქვენს ხელში გავიზარდეთ, ჩვენმა შვილებმა კი რა ქნან?

სადაც, გულში, მესიამოვნა ეს სიტყვები...

მერე იყო რუსთავი და პედაგოგიური მოღვაწეობა ამ ქალაქში.

1989 წელს — ეროვნული მღელვარების ხანა — რუსთავის თეატრის სცენაზე დგამს „ოთარაანთ ქვრივს“, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაესწრება.

მერე იყო მძიმე წლები, რომლებსაც ანა ასე იხსენებს:

— პირად ცხოვრებაში ყველას უჭირდა, ჩვენ — განსაკუთრებით.

დედა ამბობდა: ლტოლვილის ლტოლვილი ვარო.

ათი წელი ვცხოვრობდით სასტუმროში, დევნილებთან ერთად. ისინი ლუკმას გვიყოფდნენ და დახმარების სახით შემონოვრებული ნახევარ-ნახევარი პურებით ჩვენ ხან უფრო მეტიც გვიგროვებდებოდა.

და როცა ახალი სახლიც, ნაოცნებარი სახლიც ეღირსა, მისი მოწესრიგებაც მოახერხა კეთილ ადამიანთა დახმარებით და თავისი ახალი ხედვით მოხიბლული ოცნების ასრულებით ტკბებოდა, ავადმყოფობამ დარია ხელი.

არ შეეძლო, მაგრამ მაინც აკეთებდა;

ვერ დგებოდა, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა.

მაინც ხელმძღვანელობდა ოჯახს, სადაც მისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი გვექონდა და დედა იყო ის ადამიანი, ვინც ამ ყველაფერს მართავდა და ერთ მთლიანობად კრავდა.

* * *

არ დაურეკავს.

არ უკითხავს: სად ხარ აქამდეო. ამიტომ თვითონ შეეხიანება.

— რალაც არ ვარ კარგად და არ მინდოდა მეთქვა, — უპასუხებენ იქიდან.

გულიკო ჯავაშვილს დღესაც ახსოვს ამ სიტყვებს მოყოლილი ელდა.

ნანა დემეტრაშვილი გამოცდებიდან დაამახსოვრდა და მას შემდეგ ერთად მოუყვებიან გზას, ერთად გამოიარეს სტუდენტობის წლებიც და ბევრი ტკივილიცა და სიხარულიც.

— ლიდერის თვისებები ჰქონდა და ორგანიზაციული საკითხები ეხერხებოდა ძალიან. ახლაც მახსოვს მისი სადიპლომო სპექტაკლი გრიბოედოვის თეატრში — შვარცის „ჩვეულებრივი სასწაული“. არ დარჩენილა გაზეთი, ამ სპექტაკლზე რეცენზია არ გამოექვეყნებინა. ნანას შემოქმედებითი გზა, მისი გამოსვლა ასპარეზზე ტრიუმფით დაიწყო.

მერე კი... სად არ მოღვაწეობდა — ახალციხე, გორი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი... ყველგან ასწრებდა მუშაობას. მთანმინდაზე, მის პატარა ოთახში ვიკრიბებოდით ყველანი. სხვანაირი მაღლი ჰქონდა ამ შეკრებებს და ამის მიზეზიც ნანა იყო.

უცხოელი დრამატურგების პიესებიც აქვს დადგმული, მაგრამ მისი მიზანი მაინც ქართული დრამატურგია გახლდათ, ქართული გენით, ქართული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული მისი სპექტაკლები.

გულდნაყვეტილი რომ წამოვიდა ახალციხიდან, ალბათ ესეც ჩვენი თვისებაა, ჩვენი ხასიათია — ადამიანს, რომელიც რალაც კარგს აკეთებს ერისა და ქვეყნისათვის, გული ვატკინოთ ხოლმე.

არადა, რაც გაუკეთა ამ რეგიონს, შეუფასებელია (და დღესდღეობით დაუფასებელიც) — მან ახალციხე შემოაბრუნა ჩვენკენ... თანაც რის ფასად, რისი გადატანა მოუწია. სოფელ-სოფელ უწევდა სიარული პატარა ბავშვებით. საკუთარი შვილების გარდა მსახიობებიც ჰყავდა საზრუნავი, მათი ჭერიც და საარსებო პურიც, რათა მხოლოდ სცენაზე ეფიქრათ და მთელი თავიანთი ძალისხმევა ამ ეროვნული საქმისათვის მოეხმარათ.

სწორედ ამიტომ მისი ერთ-ერთი სტუდენტი **ევა ბაკურაძე** „ჩვენი მწერლობის“ სალონში იმ დაუფინყარ ერთ თვეს გაიხსენებს, ნანა დემეტრაშვილმა თავისი 12 სტუდენტი მესხეთში რომ ჩაიყვანა, იქაურობა გააცნო და შეაყვარა, და ახლაც ახსოვს ის მაღლიანი დღეებიც, ტყეში დაკრეფილი ახალი სოკოს წვნიანის გემოც, სამშობლოს სხვანაირი განცდაც და ერთმანეთთან სიხალისის უჩვეულო შეგრძნებაც.

— ისე შეგვაკავშირა პირველივე კურსზე, რომ სპექტაკლების დადგმისას ჩვენ უკვე საუკეთესო პარტნიორები ვი-

ყავით ერთმანეთისათვის... და, რაც მთავარია, მან დაგვაფიქრა იმაზე, რომ დიდ მსახიობობაზე მეტად მნიშვნელოვანია ერთმანეთის სიყვარული.

ძლიერი ადამიანი იყო.

ძლიერი იყო თავისი გადაწყვეტილების მიღებისას.

ძლიერი იყო მაშინ, როცა უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა სჭირდებოდა.

ძლიერი იყო, სხვისთვის რომ ცდილობდა ყოფის გაადვილებას.

ძლიერი იყო მაშინაც, როცა უკურნებელი სენი შეეყარა.

და მე თითქოს გავუფრთხილდი მას — არ ვნახე ისეთი, როგორიც თვითონ არ უნდოდა სხვებს ენახათ.

გავუფრთხილდი საკუთარ თავსაც, რადგან მინდოდა ისეთი დამემახსოვრებინა, როგორსაც ვიცნობდი.

კითხვა: — თქვენი საყვარელი საქმიანობა.

პასუხი: — თანამზრახველთა პოვნა და მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება.
ამას საქმით ამტკიცებდა.

თანამზრახველები კი, ღვთის წყალობით, შეხვდა — დასის და იმ ადამიანების სახით, რომლებიც გვერდით ედგნენ. მათ შორის იყო ოთარ ჩხეიძეც. სწორედ ამიტომ ანა ნიკოლაშვილი სალამოს დასასრულს ნანა დემეტრაშვილისა და ოთარ ჩხეიძის სამახსოვრო ფოტოს გადასცემს ბატონ როსტომს.

ამონაწერი რეჟისორის ალბომიდან:

„როდესაც თეატრი კარგავს მაცურებელს, ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრს უჭირს, მაგრამ თუ მაცურებელი კარგავს თეატრს, ერი კვდება“.

ერთ-ერთ ფურცელზე ჩანიშნულ ამ სიტყვებს ანა შეხვედრის ბოლოს წაგვიკითხავს და ასე დაასრულებს შეკრებას:

— ამ ქვეყანას ჰყავდა დიდი მოღვაწეები, რომლებიც თავიანთი მოწოდების სიმძლავრეზე იყვნენ, თეატრს მაცურებელს უნარჩუნებდნენ, მაცურებელს კი — თეატრს, და საბოლოოდ საერო საქმეს აკეთებდნენ.

...და მე მიხარია, რომ დედაჩემი — ნანა დემეტრაშვილი — ამ დიდი ისტორიის ნაწილია.

მარადი ხელოვნება

მარინა ხონელიძე

ღვანელი ქორეოგრაფისა

(რეზო ჭოხონელიძე)

„ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე — IV საუკუნეში ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე წერდა, რომ ადრეულ წარმართობის ხანაში ქართველ ტომებში გავრცელებული ყოფილა საერო მუსიკა, სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ჭანები — ქართველთა მამაცი წინაპრები ფიცხელ ომშიც კი საომარი ცეკვა-სიმღერით გადაეშვებოდნენ. თურმე ეს ტრადიცია სიმღერით ბრძოლისა, სიკვდილისა თუ გამარჯვებისა ბოლომდე შემორჩათ ქართველ ვაჟკაცებს.“

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე სასიმღერო შემოქმედებასთან ერთად შექმნა მდიდარი ხალხური ქორეოგრაფია, რომელიც თაობიდან თაობაში გადაეცემოდა. ქართული ცეკვა იხვენებოდა, იძენდა დასრულებულ ფორმებს, რომელიც გვატყვევებს ქორეოგრაფიული ნახაზის სირთულით, მოძრაობის მკაფიოობით, სიმწიფრით, მოქნილობითა და მრავალფეროვნებით, ქართულ ხალხურ ცეკვას აქვს ნათლად გამოხატული შინაარსი და სწორედ ამიტომ აღიქმება იგი, როგორც ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში“ („ერისიონი“ — ვახტანგ გოგოლაშვილი).

შეუძლებელია, ემოციებისა და აღფრთოვანების გარეშე ისაუბრო საზღვარგარეთის პრესის მიერ ქორეოგრაფიის მავსტროდ მონათლული, ფრანგების მიერ XX საუკუნის

მეტრად აღიარებული, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მრავალი ფესტივალისა და ოქროს მედლის, ჯილდოსა და ღირსების ორდენის კავალერზე — უაღრესად თავმდაბალ პროფესიონალ შემოქმედ ადამიანზე, როგორც რეზო ჭოხონელიძეა. ასეთი აღიარება მხოლოდ დიდი პროფესიონალიზმით, საქმისადმი უზომო სიყვარულით, ნიჭითა და შრომით თუ მიიღწევა.

ულამაზესი რაჭის, ჭოროხს გადასული ხონელიძეების გვარი სოფელ ტბეთს უკავშირდება. ბატონები: რეზო, კუკური, ქ-ნი თამრიკო და კიდევ ალბათ ბევრი ჩემთვის უცნობი ხონელიძეები ჭოხონელიძეები გამხდარან. ბ-ნი რეზო ამბობს: რატომ ვიტყვი უარს ჩემს გვარზე, ბევრ ხონელიძეს ვიცნობ და ძალიან კარგი ხალხია. ეს კიდევ უფრო მეტად მახარებს. ახლა ორი გვარი ვამაყობთ ყველასათვის საყვარელი და უნიჭიერესი ხელოვანი ადამიანებით.

ჩემთვის ისიც აღმოჩენა იყო, როდესაც შევიტყვე, რომ 1975-77 წწ. ანსამბლ „ბაგრატი“ შემდეგ „ერისიონის“ მთავარი ქორეოგრაფი კიდევ ერთი რეზო ხონელიძე ყოფილა, რომლის მოღვაწეობისასაც ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა აშშ-ში. ასე რომ, „ერისიონის“ შემოქმედებითი გზა, სახელი და დიდება სხვადასხვა დროს ორი უდიდესი ქორეოგრაფის — რეზო ხონელიძისა და რეზო ჭოხონელიძის სახელებთანაა დაკავშირებული. ამ მცირე გადახვევის შემდეგ მინდა ისევ რეზო ჭოხონელიძის შემოქმედებით მოღვაწეობის გზას დავუბრუნდე.

დაიბადა თბილისში, 1938 წლის 11 თებერვალს, დაამთავრა მე-3 საშუალო სკოლა, 1956 წელს ჩაირიცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ჰყავს მეუღლე — ყოფილი მოცეკვავე ნანა კალაძე და ორი შვილი. ვაჟიშვილი კახა პროფესიით მხატვარია და მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი საცეკვაო კოსტუმების ხელოვნების გზის გამგრძელებელია. ქალიშვილი ანა ქიმიკო-



რეზო ჭოხონელიძე

სია, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი — სტუდენტები, თან სპორტსმენები — გეგი და ჯაბა ჯაკობიძე.

რევაზ ჭოხონელიძის დიდ ოჯახს შეემატა კახას და ეკას ქალიშვილი, ნინოობა დღეს დაბადებული — ნინო...

ვულოცავთ სრულიად საქართველოს კიდევ ერთი ქართველის და შესაძლოა მომავალი შესანიშნავი მოცეკვავის დაბადებას.

სკოლაში სწავლის დამთავრების პარალელურად ბ-ნი რეზო ცეკვავდა ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქორეოგრაფი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ ბახტაძე. ამ ანსამბლში მან 11 წელი დაჰყო, როგორც წამყვანმა სოლისტი-მა. 1950 წელს საბავშვო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად იცეკვა მოსკოვში, გორკის სახელობის პარკის მწვანე თეატრის სცენაზე, რომელსაც სტალინი და მთელი პოლიტიბიურო ესწრებოდა. პირველი სიგელიც სწორედ სსრ კავშირის რკინიგზის მინისტრის ხელმოწერით გადაეცა.

1956 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარების თანადროულად ცეკვას აგრძელებდა ახალგაზრდულ ანსამბლში, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტი ბუხუტი (გიორგი) დარახველიძე ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ ადამიანთან არის დაკავშირებული ბატონი რეზოს, როგორც პროფესიონალი ქორეოგრაფის ჩამოყალიბება. 1959 წელს ვენა, 1962 წ. — ჰელსინკი, 1967 წ. — სოფია — მსოფლიოს ახალგაზრდული ფესტივალის ოქროს მედალი და ლაურეატის წოდებაც მის სახელს უკავშირდება.

რეზო ჭოხონელიძის, როგორც დამოუკიდებელი ხელმძღვანელის ქორეოგრაფიული კარიერა რუსთავის ანსამბლ „სალხინოდან“ იწყება, სადაც მინვეული ჰყავდათ მთავარ ქორეოგრაფად, რომელსაც მოგვიანებით უერთდება ვოკალური ჯგუფი ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. მის ბაზაზე კი 1965 წელს იქმნება „რუსთავის“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი ქორეოგრაფიც თავადაა. იმ დროს მიანიჭებენ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებას. იქ დგამს ახალ ცეკვებს: „ზეიმი მთაში“, „ფრესკა“,

„განდაგანა“. იმპროვიზირებულად გარდასახა „გრძელი ფერხული“ და „ხევსურული სუიტა“. მან ანსამბლთან ერთად იმოგზაურა მსოფლიოს საერთაშორისო ფესტივალზე, საიდანაც გრან-პრით და ოქროს მედალით ხელდამშვენებული დაბრუნდა. მოვლილი აქვს ყოფილი სსრ კავშირი, ვარშავა და ევროპის ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყანა.

1975 წელს „რუსთავს“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის წოდება. ისევე გასტროლები: ესპანეთი, საფრანგეთი, რომი, მილანი, ალექსანდრია, ვენა, შვეიცარია, დანია, ლუქსემბურგი, გდრ, გფრ, სირია... ოთხჯერ მოიარეს იტალია, იორდანია, ავსტრალია, ინგლისი, შვედეთი...

1986 წელს ბ-ნი რეზო მიიწვიეს ხალხური ფოლკლორისა და სახელმწიფო ანსამბლ „თბილისელის“ მთავარ ქორეოგრაფად, რომლის სახელწოდებაც მის მიერაა შერჩეული. მან იქაც ჩვეული შემართებით დაიწყო მუშაობა ცეკვებზე: „ცანგალა და გოგონა“ სიმღერის თანხლებით, „ზეიმი მთაში“ — სოლისტი გოგონასა და ხალხური საკრავის ორკესტრის კულტურული ჯგუფის თანხლებით. სრულიად პირველად იცეკვება „შატილის ასულო“ სიმღერასთან ერთად. იდგმება ქალთა ცეკვა — ასევე ფოლკლორისა და ორკესტრის თანხლებით. ანსამბლი წარმატებით მოგზაურობს როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ყველგან დიდი მოწონება და აღიარება სდევდა თან. უამრავი აღფრთოვანებული რეცენზია იყო პრესასა თუ ტელევიზიაში.

1986 წლიდან დღემდე ბატონი რეზო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის „ერისიონი“ მთავარი ქორეოგრაფია. განუზომლად დიდია მისი დამსახურება ანსამბლის ქორეოგრაფიული სახის დახვეწაში. აქაც ჩვეული შემართებით მუშაობს სხვადასხვა ცეკვების დახვეწასა და იმპროვიზირებულად წარმოჩენაში, დადგმული აქვს მრავალი სახელმწიფო კონცერტი. იმუშავა ფილმებზე: „საქართველო სიმღერასა და ცეკვაში“ — რეჟისორი დევი აბაშიძე, „ჩვენ რუსეთიდან ვართ“, რეჟისორი ირაკლი ონოფრიშვილი, „ბა პაპებო“ — ჩეხოსლოვაკია-საქართველოს ერთობლივი მხატვრული ფილმი — რეჟისორი ლანა ლოლობერიძე.

— „საოცარი ქართველები“ — ასეთი სათაურით იბეჭდებოდა რეცენზიები კუნძულ კვიპროსზე ლიმასოლის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისას — ხმამაღლა ფიქრობს მოგონებებში ჩაძირული მაცხტრო. წარმატებებს წარმატებები ენაცვლებოდა პერუში, სინგაპურში, აშშ-ში, მექსიკაში, ვიეტნამსა და სად აღარ! განსაკუთრებით აღსანიშნავია 1989 წელს აშშ ქალაქ სან-დიეგოში ჩატარებულ ფესტივალში მონაწილეობა, როცა საქართველოს 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის სისხლი სდიოდა და კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის განწყობა გამძაფრებული იყო. იმ დროს ჯერ კიდევ არ გახლდათ არჩეული პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია, რომელმაც იმდროინდელი კულტურის მინისტრის — ვალერი ასათიანის თანდასწრებით მოიწვია საგანგებო კრება და გვიტხრა, რომ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა ჩვენ გასტროლებს, თუ ყველას ვეტყვოდათ, რომ ქართველები ვიყავით და რა თქმა უნდა ბ-ნი ჯემალ ჭკუასელი ასეც მოიქცა. მან უარი განაცხადა სსრ კავშირის წითელი დროშის ქვეშ გამოსვლაზე.

სან-დიეგოში მოგზაურობისას მოხდა ერთი ასეთი საინტერესო დამთხვევა: იქ დაგვხვდა ემიგრანტი შოთა დუმბაძე, რომელიც სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი დარჩენილა და „ბერგმანის“ შენაერთში მსახურობდა. იგი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ჩამოსულა კალიფორნიის შტატიდან სანდიეგოში, თან ჩაუყვანია ოჯახის ყველა წევრი: მეუღლე (გერმანელი), ორი ვაჟი — ყარამანი და როსტომი. ერთ-ერთი ვაჟი ქართველ მოცეკვავე გოგონაზე იყო დაქორწინებული, რამაც აუხდინა ოცნება — ჰყოლოდა ქართველი რძალი. ბატონი შოთა მოვიდა და მითხრა, რომ უნდოდა ჩემთვის რაიმეს ჩუქება. მე ვუთხარი, თქვენს ოჯახთან ერთად ჩვენს კონცერტზე დასწრება, როცა ამდენი წლის მერე ჩვენი სიმღერა და ცეკვა ცრემლს გადენტ, უკვე საჩუქარია ჩემთვის-მეთქი. მაგრამ ის მაინც არ იშლიდა თავისას. ვინაიდან ჰონორარი აღებული არ გვქონდა, ვთხოვე სამფეროვანი დროშის შეკერვაში დაგვხმარებოდა. სამფეროვანი ქართული დროშა ჯერ კიდევ არ ყოფილა გატანილი მსოფლიოში. ვაციდინე ნაჭერი და დროშა ჩვენ მოცეკვავე გოგონებს — ნაირა ნებიერიძეს და ეკა ნონიკაშვილს — შევაკერინე, რომელიც სანდიეგოს ერთ-ერთი დიდი თეატრიდან ჩამოხსნილი რუსული დროშის ნაცვლად გამოვფინეთ. ამ რელიკვიას ხელს ყველა ჩვენი მოცეკვავე აწერდა და ის შემდეგ საქართველოში ჩამოვიტანეთ, სადაც ცეკვაში „ხორუმი“ გამოვიყენეთ. როდესაც სამშობლოში დავბრუნ-

დით, ამ ამბით გახარებულმა ზვიად გამსახურდიამ შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყო. ასე რომ, ჩვენი ეროვნული სამფერი დროშა პირველად „ერისიონმა“ ააფრიალა ამერიკაში. შემოქმედება მარტო სიმღერა და ცეკვა კი არ არის, მას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, ის თავისი ქვეყნის დესპანია და აცნობს მსოფლიოს თავისი ერის კულტურას.

ჩვენს ანსამბლს სცნობდნენ ამერიკაში გერშვინთან შესრულებული „ჩაკრულოთი“. იქ დიდი ქომაგები გვყავდნენ ჩვენამდე კავსადისა და ბაქრადის ანსამბლის სახით. ვფიქრობ, არც ჩვენ შევარცხვინეთ ჩვენი წინაპრები, როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

2000-2 წლებში შოუ პროგრამა „ჯორჯიან ლეგენდით“ „ერისიონი“ მთელმა მსოფლიომ გაიცნო და შეიყვარა. გადაღებული და ჩანერჩილია ესოდენ გახმაურებული, ქართული სულიერებით გაულენთილი კლიპი, სადაც ანსამბლის მოცეკვავეები 30-გრადუსიან ყინვაში კასკადიორთა ნაცვლად ასრულებენ ტრიუკებს. ეს კი ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო. ქართული კულტურის უპრეცედენტო შემთხვევაა ოქროს დისკის გამოცემა — პარიზში ორი თვის განმავლობაში ასიათასი ცალი ვიდეო კასეტა და DVD დისკი გაიყიდა. ერთ-ერთ უცხოურ გაზეთში



რეზო ქობონელიძე ოჯახთან ერთად

გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ქართულმა ტორნადომ გაარღვია გალაქტიკა“. საფრანგეთის ტელევიზიაში ყოველდღე 25 წუთი ეთმობოდა „ქართულ ლეგენდას“. მილიონობით თაყვანისმცემელი ელოდებოდა ანსამბლის გამოსვლას მთელ მსოფლიოში. პლანეტაზე უანალოგო ქართული ხალხური კულტურის წარმოდგენამ დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა.

2000 წელს „ერისიონი“ კვლავ ეწვია აშშ-ს უდიდეს ქალაქებს: პორტლენდს, სიეტლს, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელესს, პასადენას, სან-დიეგოს, ჩიკაგოს, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს. კონცერტებს ესწრებოდნენ პოლიტიკური ისტებლიშმენტის, ამერიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, კონგრესის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ხელოვნების სფეროსა და საქმიანი წრეების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ალტაცებული რეცენზიები იბეჭდებოდა გაზეთებში: „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ჩიკაგო ტრიბუნა“, „ვაშინგტონ პოსტი“, „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ და მრავალი სხვა.

„ერისიონის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ჯორჯიან ლეგენდ“ მაყურებელს საშუალებას აძლევს, საფუძვლიანად გაეცნოს საქართველოს, მის გმირულ წარსულს.

„ერისიონის“ ანსამბლის ორგანყოფილებიანი პროგრამა განსხვავებულია ყველასაგან, თუ რამე გამიკეთებია

სხვაგან — ამბობს ბატონი რეზო.

მერე დიდ წარმატებებს კვლავ წარმატებები მოჰყვება: ინდოეთში, სინგაპურში, ჰოლანდიაში, კვიპროსზე, ესპანეთში, პერუში, საფრანგეთში, ჩინეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში. მაგალითად, ჩინეთში გასტროლების დროს ჩვენი გამოსვლებით გაცემული საზოგადოება ფეხზე დგომითა და ფეხების ბაკუნით გამოხატავდა თავის ემოციას. კულისებში მდგარი მომსახურე პერსონალი, როდესაც დარბაზიდან მქუხარე ტამის ხმა ესმოდათ, გაკვირვებული ეკითხებოდა ერთმანეთს — თუ რა ხდებოდა. ასევე გაკვირვებული იყო ჩინელი იმპრესარიოც.

ასეთი დიდი წარმატება კიდევ უფრო მეტს გვაპყვავებდა, უფრო სიამაყით ივსებოდა, რომ ქართველი ხარ, და ვიტყვი, რომ მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე ჩემი ერის წინაშე. თუნდაც ის, რომ გახეთქებმა „ლემონდი“ და „ფიგარო“ მსოფლიო მეტრი მიწოდა. კი არ ვტრიაბახობ, სიამაყით ვამბობ, რომ ეს მარტო ჩემი გამარჯვება კი არა, ჩემი ერის ქორეოგრაფიის გამარჯვებაა. ჩვენ ხომ ჩემი ჯანო ბაგრატიონის, დავეთ ჯავრიშვილის, ბუხუტი დარახველიძის, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ნაკვალევზე ვაგრძელებთ ამ საქმეს. საქართველოში ვთქვი კიდევ, რომ ეს ჯილდოები რეზო ჭოხონელიძემ და ჯემალ ჭკუასელმა კი არ დაიმსახურეს, არამედ ქართულმა ქორეოგრაფიამ, ქართულმა სიმღერამ, რომელიც გალაქტიკაში გავიდა. ჩვენ ვართ უბრალო დესპანები ჩვენი კულტურისა.

საერთოდ, საზღვარგარეთ მოგზაურობებს ყოველთვის თან ახლავს სხვადასხვა თავგადასავლები თუ კურორტები, რის გარეშეც გასტროლები წარმოუდგენელია. 1978-79 წწ. პარიზში ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად გამოვდივართ ძალიან ავტორიტეტულ დარბაზში „ოლიმპია“, სადაც მსოფლიო ვარსკვლავები გამოდიან. მე და ანზორ ერქომაიშვილს მოსანწევნი მოგვცეს და გვითხრეს, ხელმძღვანელები დარბაზში დავმსხდარიყავით, მათ გვერდით, სადაც სხვადასხვა ქვეყნის იმპრესარიოები ისხდნენ. ამ კონცერტზე გამოტანილი მქონდა ცეკვა „საქორნილო“. იმ დროს სუხიშვილთა ანსამბლიდან ჩვენთან გადმოსული იყო ფრიდონ სულაბერიძე. ანსამბლი ასრულებდა ცეკვას „ქართული“. შემოვიდა სცენაზე ფრიდონი და არ ჩანს იამზე... ფრიდონმა შემოიარა ერთი წრე, მეორე, მესამე და... იამზე მიინც არ ჩანს. გადავირიო... გაცემული იყო ფრიდონი... მერე როგორც იქნა გამოჩნდა თინა გურამიშვილი, რომელმაც იცეკვა და ვითარება განმუხტა. თურმე რა მომხდარა: უკან, კულისებში მომღერლები მღეროდნენ და ერთ-ერთი შესანიშნავი მომღერალი რამინ მიქაბერიძე, რომელსაც მხედველობა ცოტა უჭირს, სიბნელებაში მოდიოდა. იამზე, ასეთივე მხედველობით, სცენაზე გამოსასვლელად მორბოდა. ერთმანეთი ვერ შეუმჩნევიათ და ისეთი ძალით დაჯახებულან, ორივე ძირს დაცემულა. გულწასული იამზე ძლივს მოუსულიერებიათ. ჩვენს ცნობილ ომარ კელაპტრიშვილს, რომელსაც კვიმატი ენა ჰქონდა, ანზორ ერქომაიშვილისათვის უთქვამს: რა არის, ეს ანსამბლია თუ „სობესიო“ (როდესაც ფრიდონს ვახსენებ ამ ამბავს, სულ მეუბნება, სადმე თქვიო, და აი, მეც ვიამბობთ).

ახლა, რაც შეეხება ჩემი და ბატონი ჯემალ ჭკუასელის ურთიერთობას. სანამ ბატონი ჯემალი ანსამბლის ხელმძღვანელი გახდებოდა, მე უკვე ვიყავი ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი. მაშინ მისი გოგონა ეკა ჩემი მოსწავლე იყო, ჩემთან ცეკვავდა და მე მყავდა წაყვანილი დიდი მოგზაუ-

რობისას არგენტინასა და იტალიაში.

ჯემალს ვიცნობდი როგორც მომღერალს და ხელოვან კაცს, ჩვენ საერთო მეგობრებიც გყავდა: ოთარ შენგელია, ელდარ მეგრელიძე, შოთა ხოფერია. ერთად გვინევდა მხიარულება, ცეკვა... ორივეს დიდი სკოლა გვექონდა გამოვლილი და გვინდოდა ჩვენი შემოქმედება შეგვეერთებინა, რაღაც უკეთესი და მრავალფეროვანი გაგვეკეთებინა. მოხდა ჩემი და ჯემალის შეხედულებათა თანხვედრა, რომელიც დღემდის მომდინარეობს და უთქმელად გვესმის კიდევ ერთმანეთის.

რაც შეეხება ჩემს შეხედულებებს ახალგაზრდებზე, მინდა გავიხსენო ერთი ასეთი შემთხვევა: ქუთაისში, სადაც „ერისიონს“ დიდი ქომაგები ჰყავს, ღია ცის ქვეშ ვატარებდით კონცერტს. იქ დიდი სცენა იყო მოწყობილი, ალბათ 50 ათასი კაცი მაინც მოვიდა საყურებლად. მართალი გითხრათ, არც მეგონა იმდენი ხალხი კიდევ თუ იყო დარჩენილი ქუთაისში. ახალგაზრდობით იყო მოფენილი გორაკები, ფერდობები. ისეთი დიდი იყო ინტერესი, რომ დარწმუნებული ვარ ქართული ცეკვის სიყვარული ქართველი კაცის ცხოვრებაში არასოდეს განელდება, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში. თელავსა და გურჯაანში არის კარგი ქორეოგრაფიული ანსამბლები, რაც მაიმედებს, რომ ცეკვის სიყვარული ყოველთვის დიდი იქნება. ჩვენს განძს გადაშენება არ უნერია იმ შემთხვევაშიც კი, როცა ასეთი დიდი დატვირთვის ფონზე (ფაქტობრივად, შაბათ-კვირაც კი არ არსებობს ჩვენთვის, რადგან ყოველი კვირის ბოლოს საანგარიშო ჩვენება გვინევს). ანაზღაურება, რა თქმა უნდა, დაბალია. ისე არ გამიგოთ, თითქოს ხელფასის სიმცირეზე ვწუწუნებდე... სწორედ რომ ცეკვის სიყვარულით, ჩვენი შემოქმედებით ხალხის ასეთი აღტაცება გვაძლევს ძალას, ისევე შემართებით ვიმუშაოთ.

ვინ გააგრძელებს ჩემს ტრადიციებს?! — ვფიქრობ, ჩემი მოსწავლეები გააგრძელებენ, ვცდილობ მათ გადაიღონ ჩემი ხელწერა; და ის, რომ „ერისიონთან“ არსებობს მრავალი საბავშვო ცეკვის ანსამბლი, რომელსაც „ერისიონის“ ნიჭიერი ყოფილი მოცეკვავეები: ეკა ჭკუასელი, რობინზონ კიკნაველიძე, ზაალ ჭუმბურიძე და სხვები უდგანან სათავეში. ისინი არ იშურებენ ნიჭსა და ენერჯიას მომავალი მოცეკვავეების აღსაზრდელად. ძალიან მაიმედებს და მახარებს მათი ყოველი წარმატება, რადგან ეს ჩემი წარმატებაცაა. არ შეიძლება ქართველმა არ იმდენი, არ იცეკვოს — ეს მისთვის სიცოცხლეა, ჰაერია და წყალი.

2010 წლის ნოემბერში ანსამბლის „ერისიონი“ დაარსებიდან 125 წელი შესრულდა, რომელიც მათი ვარსკვლავის გახსნით აღინიშნა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ. სხვა უკეთესი რა უნდა ინატროს ადამიანმა, როცა შენივე სიცოცხლეში ამდენ ტრიუმფს, დიდებას, სიხარულსა თუ ბედნიერებას მოესწრები.

125 წლის საიუბილეოდ დავდგი ახალი ცეკვა, რომელსაც პატრიარქის საპატივცემულოდ დავარქვი „სნოური“. ცეკვა პირწმინდად მოხეურია. უწმინდესმა ეს ცეკვა სნოში, თავისი სახლის ეზოში ნახა. ეკლესიის გვერდით იცეკვა ანსამბლმა და პატრიარქს ისე მოეწონა, გვთხოვა, ხალხის შეკრების დროსაც გაგვემეორებინა. ცეკვამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

მრავალჯამიერ, ბატონო რეზო! დიდხანს სიცოცხლე, ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება და ჭაბუკური შემართება არ მოგკლებოდეთ ქართველი ერის საიმე-

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

საოცარია სიტყვის ბედი: ის თავისთავადი არასოდეს არაა: ის არის მავანის დამხმარე, ის არის იარაღი, ის არის ყავარჯენი, ის არის...

დიდი, ისტორიული ოცნება: ჩვენი წარსული გაჟღერებულია ამ ოცნებით: მას მოჰყვება მშობლიური სურნელი და ის ყოველი ქართველის გულს ებღაუჭება ჟამის კვალდაკვალ... ასე იყო. ახლაც ასე... და მომავალსაც ასე მისწვდება!.. ასე იფრიალებს, როგორც ქართველობის მარადიული დროშა: დიდი ოცნება: საქართველო!

აი, ესეც მომავლის პოეტი: თავისთავში ჩაძირული განდევნილი, სისხლისაგან დაცლილი ლანდის!..

ხელების ხელობა: მოძრაობა იდუმალი, რომ დაფარონ მოკვდავის ხელობა!..

ასე იტყოდა არავინაი: მოდი, ისე ვიცხოვროთ, ერთმანერით რომ გვეამაყებოდეს!..

მაინცდამაინც მწერალს ეუფლება ყოვლისწარმდგენელი ნიჰილიზმი: ამას ადამიანის ბოლომდე შემცნობი სულის მდგომარეობა რომ არ ესაძირკვლება?

ღმერთო მიშველე, მაპატიე ეს შემზარავი მხილება სწეული საზოგადოებისა:

1. ახალგაზრდობა: ყოველდღე და ყოველწამიერ თავის დედას და მამას რომ აგინებს ამაზრუნე სიტყვებით: ათი მცნების უარყოფელი, სიტყვით ინცესტის პატიმარი!.. 2. ქალები: დღეს ცივილიზებულ საქართველოში ამგვარი რამ თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც სცადე და ნებისმიერ ქართველ ქალს (როგორც ამბობენ, ისინი აქ თვით ნაზარეთის ქალებზეც ულამაზესნი არიან!) უთხარი „მიყვარხარო“... უმაღლესი ხანჯარს მიიღებ შიგ გულში!.. რატომ? იმიტომ, რომ ამ ღვთაებრივ სიტყვას დღეს ქალები გინებად აღიქვამენ!.. ამის მიზეზიც რომ ვეძებოთ, მაშინ ხომ მთელი საქალეთი შეგვიძულეებს გადაჭრით და საბოლოოდ!.. არ გვინდა, არა!.. მოდი ახლა კაცებზე გადავიდეთ: 3. კაცები, შეიარაღებული ნიჰილისტები, საკუთარ ჯიბეს ჩაცვიებული გამოყვებულ ბრბო! ყველა არაო, შენ მპასუხობ. გეთანხმები!.. მაგრამ რა ვუყოთ, სად გადავმალეთ სულით თათქარიძეები, არაკაცები, მგელტაცები, ერიყლაპიები!

ოჰ! რა მტკივნეულია! ჰო: მანქურთები! სერვანტისის უკვდავი რომანის სქოლიოების პერსონაჟები! სქოლიო კარგი რამ არის! როგორც ჩანს, მარტო დიდ შოთა ჩანტლაძეს არ ჰყვარებია სქოლიო!

კაცი, ვისაც მუდამ რაღაცის ეშინოდა: ეშინოდა ადამიანების, ეშინოდა სიტუაციების, ეშინოდა მეგობრების, ეშინოდა მტრების, ეშინოდა სიტყვების... და სიტყვის ეს მოშიში კაცი, სამწუხაროდ, მწერალი იყო!.. ასე იყო: სიტყვის ყოველი გაფაჩუნება მას მომაკვდინებელ შიშში აგებდა!

და იტყოდა არავინაი: ეჰ, რა გითხრა, ბიძიკო, ესლა ქალს სექსისათვის აღარა სცალია: სამსახური, სახლი, სამზარეულო, დიდი სარეცხი, ბავშვების დაკვლიანება და სხვა კიდევ ბევრი რამ, რაც ქალს საბოლოო ძალას აცლის და საბოლოოდ ამით მთავრდება ყველაფერი!.. ჰოდა: სექსით გაუძღომელი კაცი ან საყვარელს ეძებს, ან ბორდელის კედლებს ამავრებს... ანაც შუა ქალაქში დგას და ყმუის!.. და შენც, ამ ყმუილს ყურს თუ მოკრავ, იცოდე, ეს ის კაცი ყმუის, ვინც გადაჭრით და დაბეჯითებით არ იცის, რატომ ყმუის! ხოლო ქალს რაც შეეხება: სექსუალურად მშვიერი ქალი პირდაპირ ეროვნული უბედურებაა!

აი, კიდევ ერთი ანომალია: ვითომთავადი... შეხედულე-ბა, ფსიქოლოგია, მდგომარეობა, მეტყველება ჰაბიტუსი გლეხისა!..

იმის ცეცხლნასვამ ბაგეებზე სტრიქონები შეისვენებენ!..

საქმე ცუდადაა, ვამბობთ და ვგრძნობთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, საქმე მართლაც ცუდად იქნება!.. თანაც ეს სიტყვები ხელის ჩაქნევასავითაა: ვგრძნობთ, მაგრამ ბედისწერას ვემორჩილებით და ბედისწერა იმიტომაც, ხანდახან იმასაც რო დაემორჩილო: არ გაუძალიანდე, არ შეენინაალმდეგო, ხელი არ შეუბრუნო!

ნაკომუნისტარ-ნახიშტარ შაირებს შავ ლექსებს ეძახდა არავინაი. მეტყოდა: იმიტომ მიყვარხარ, შავ ლექსებს რომ არა წერო... თეთრი ლექსის და ვერლიბრის გამართლებაც ასე იცოდა: თეთრად წერს იმიტომ, რომ შავად არ წერსო! ეს იყო მისი გლუხური, ალალი ლოგიკა, ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგომი!

ქართულმა უკიდურესმა ამბიციურობამ პარტიებად დაგლიჯა საქართველო: განა ორი-სამი პარტია არ ეყოფოდა?! ამბიციით ატანილ ყოველ ქართველს უკან პარტია მოსდევსო, გულწამჯიღვით იტყოდა არავინაი... თანამოაზრეთა გუნდს ეძახიან, მაგრამ უფრო შეიარაღებული ძალა არის და, საბოლოოდ, ეს დალუპავს და დააქცევს ჩვენს

ბედკრულ ქვეყანას, როგორც ოდესღაც ფეოდალების თავ-გასულობამ დააქციო... მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო, რო ეკითხებოდნენ, უმაღლეს ნარსულს გახედავდა და ამოიკვნესებდა: რა ვქნათ და ხრმალი გვჭირდებაო, დავითის ხრმალი, ვეჟო!..

მიყვარს საქართველოს ჰაერი: ძალიან, ძალიან!.. თანაც, არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა! — მეუბნება რუსი... ვეუბნები: წაიღეთ ჰაერი, ოღონდ მინას თავი დაანებეთ!.. მაგრამ ჭკვიანია ჩემი რუსი: იცის, რომ მინის გარეშე ჰაერი არ იქნება ისეთი, როგორიც არის! მაშ, რა გინდა, მინაც და ჰაერიც, ორივე ერთად?! ასე ხომ პირნავარდნილი ოკუპანტები იქცეოდნენ! მაგრამ, რა!.. შენ ხომ?!

პოეტის სიკვდილი: ის იყო, როგორც წმინდა ფოთოლი, ჩამოვარდნილი შემოდგომის ფერმიხდილ ტყეში... და დამარხეს ის ფოთლების სასაფლაოზე!

კიდევ ტიროდა არავინაი, მაგრამ არავის ახსოვს, ასე გულდაგულ რას ჩასტიროდა!

არავინაის ცოდვა: შუაგულ ტყეში წნელი გაგრიხა და იმით მიაბა ხეზე ბოშების ლამაზმანი!.. ამ ცოდვას ხო არავინ მაპატიებსო, ფიქრობდა არავინაი, და არც აპატიეს: ბოშათა წინამძღოლმა საშინელი წყევლით დანყველა: თანაც წინააღმდეგობა თავზე გადაუტეხა: ეგეთი მწარე ცხოვრება მოგერგოსო და ქადის ნატეხები მიწაზე მიმოაბნია!.. აუხდა კიდევ!..

დაცინვას ხო ისევ ჩხუბი და აყალმაყალი სჯობიაო, — იტყოდა არავინაი, — დაცინვა მორიდან გამცირებს, ხოლო ჩხუბში თანასწორნი ხართ: შენც გაილახები, მაგრამ ისიც გაილახება, თუ მარჯვედ შეხვდებიო!

ამბობდა არავინაი: სიკვდილზე სიცილი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც კვდება. ეს ეკზიუპერია, თუ არ ვცდები... მაგრამ მე არ ვიცი: რატომ უნდა ვიცინო ჩემს სიკვდილზე, რომელიც სასაცილო სულაც არ არის!.. უფრო მისაღები და კაცურია ვახუშტი კოტეტიშვილის ლექსი სიკვდილზე, განსაკუთრებით ეს სტრიქონები: „ბარემ სამზეოს გამოდი, გნახო, როგორი ბიჭი ხარ!“ ნეტავ, თუ ნახა? ალბათ ნახა, მაგრამ ბედისწერის სიმუხთლე ესაა, ამ ნანახის ეფექტს ვერავის გაუმხელ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რადგან სიკვდილის ხილვა, სიკვდილთან შეხვედრა გამუნჯებს: თანაც გამუნჯებს სამუდამოდ!

არავინა დღეს იშვიათად დაენახებოდა და გზად შემხვედრი ვინმე რომ ეტყოდა, საით გაგინევია დღისით-მზისით შე უმთვარო ღამის მგელო, საით მიეშურებო... მიუგებდა არავინაი: ცოლობა მივიღვარო... ღამეში ხო გარეთ არ გამოდიან ეგ

გასანყვეტლები და რალა დამრჩენია: საცოლე დღისით უნდა ვეძებო... თანაც დასძენდა: ცოლის მოყვანას უპირველესად თვალის დახუჭვა უნდა, ძველებისაგან ეს გამიგონიაო... ჰოდა, ამსიდიდე საქმეზე ხარ გამოსული და თვალის დახუჭვა განა რალა საძინელო საქმეაო... თვალს დახუჭავ და ქალის ნაკლიც დაიმალუბაო... უცოლო ბერბიჭებზე კი ასე იცინოდა არავინაი: მაგ ოხრებმა თვალის დახუჭვა არ იცინაო!..

არავინას ფშავლები არ მოსწონდა: მომაკვდინებელი დაცინვა იცინაო; ნეტავი ფშაველად არ გააჩენილიყავ, მაშინ ხო აქეთ საერთოდ არ გამოვიხედავდიო... გზად გაცივებულ ხალხს რო დაინახავდა, ასე ფიქრობდა: ეგენი უეჭველად მე დამცინიანო... მაიცა, თქვენთვისაც მოიცლის არავინაიო... ხალხს ზურგს შეაქცევდა და კვლავ უმთვარო ღამეში შედიოდა: იქ ვერავინ დაინახავდა, ვერავინ დასცინებდა, ვერავინ...

არავინამ ჩხუბიც თავისებური იცოდა. მუშტებით ნუ ჩხუბობთ, ერთურთს ნუ იმეტებთო, იტყოდა არავინაი, როცა საჩხუბრად აჯაგრულ ახალუხლებში გაეროდა... ფართოდ გაშლიდა სილას და ხან ერთს მოუღერებდა, ხანაც — მეორეს.. სილით ჩხუბსაც ცოდნა და მოხერხება უნდაო, ასე იტყოდა, შეკრული სილა საზინაო და მარტო მტერს უნდა გაანწაო... თქვენ გაშლილი სილით ჩხუბი უნდა ისწავლოთ, ერთურთს მოუფრთხილდით ამოო ჩხუბში და აყალმაყალში... აი, ასეო და გაანწავდა გაშლილ სილას... მერე ნაქციულს ისევ თვითონ წამოაყენებდა: აი, რა მაგარი ყოფილა გაშლილი სილა, ვეჟო, მუშტაობას თავი გაანებეთო... და ასეც ხდებოდა, ახალუხლები ლხინში არავინას რო დაინახავდნენ, იტყოდნენ: მოვიდა უმთვარო ღამის მგელი, მტერს მოხვდეს მაგისი გაშლილი სილაო...

არავინას ღამე უყვარდა: უფრო უმთვარო ღამე. თუ ღამეა ნამდვილი ღამე იყოსო, იტყოდა არავინაი; ეს მთვარე რალას გამოეჩხირება, განა ვინმე ეხვენება, რო ამოვიდესო! და სწყველიდა მთვარიან ღამეს: ეგ ხომ პოეტების და, განსაკუთრებით, ქალების გულზეს ალაღებსო; მგელს კი რად უნდა მთვარის ნათება, ავაზაკსაც გულზე არ ეხატება ეგ მთვარე და მთვარის ნათელიო!.. უმთვარობას ნუ ეტანები, სადმე უფსკრულში არ გადავარდე, შე უმთვარო ღამის მგელო, ეუბნებოდნენ, მაგრამ არ იშლიდა არავინაი: უმთვარო ღამეში ისე ვარ, თითქოს დევის შედედებულ სისხლს მივკვალავო, მივკვალავ და დევის სისხლს გულზე ვიშხეფებო!.. ესეც იტყოდა: ღამე დევის სისხლისგან გაჩნდაო, დღე კი ანგელოზის თვალის ნათებაა და კაცნიც ამ ნათებას მისდევენ დასაბამიდან მოაქჟამამდეო... უმთვარო ღამეში სამყარო მე მეკუთვნის და მაგითა ვარ მდიდარიო!..

არავინაის რვეულები... არავინაის გარდაცვალებამ რო მთელი სოფელი მწარედ ჩააფიქრა, ამაზე უკვე დავნერეთ, ეს ყველამ კარგად იცის: ჯერ ეპიტაფიის გამო ატყდა ერთი ამბავი, მერე ქელების თამადაობის გამო, რადგან, როგორც გაირკვა, არავინას დაუბარებია, ჩემ ქელებში თხუთმეტი

ჭიქა მაინც უნდა დაილიოსო... მონვეულმა თამადებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: თხუთმეტი ჭიქა რა ამბავიაო, კი დაიბარა, მაგრამ ცოტა მოვაკლოთ, ქელესს ღრეობად ნუ გადავაქცევთო... ასეც მოიქცნენ: ოთხი-ხუთი ჭიქის მეორე სუფრა აიშალა და თამადამაც შვებით ამოისუნთქა... მაგრამ, რაც შემდეგ მოხდა, ეს უკვე თამადას აღარ ეხებოდა: ეს მე შემეხო და საფიქრალიც გამიჩინა: საქმე ასე იყო: არავინაის მგლოვიარე ცოლმა მაშინ გადმომცა რამდენიმე საერთო რვეული, თან რომ მოჰყვა სკივრის სიძველის სუნი და, მგლოვიარე ქალმა, თუმცა ვერ მითხრა, რვეულებში რა ეწერა, მაგრამ გულჩამჯიღვით ეს დაამატა: ამ ეშმაკსა და ქაჯს ჩაჰყურებდა მთელი სიცოცხლეო... შენ მეტი ამას ვერავინ გაიგებს და ვერც მოუვლისო... ასე აღმოჩნდა ჩემს ხელში არავინაის რვეულები... ეს მისტიფიკაცია არავის ეგონოს, თუმცა მისტიფიკაცია და მიმალვისადმი ჩემი მიდრეკილება ცნობილია!

ეს ესეისტური ჩანაწერები პოეზიის და პროზის საზღვარზეა: ხან ერთი მხარე სჭარბობს და ხან მეორე: უფრო პოეტური მხარე სჭარბობს, მაგრამ ეს არ არის ლექსი პროზად. ამ ჟანრს მე დავარქვი მეტაპოეზია, თუმცა ჩვენი კრიტიკოსების ნაზრევში ეს ტერმინი არ შემხვედრია: როგორც ჩანს, ეს ერთგვარი სიახლე ჩვენმა ლიტერატურამ არ გაიზიარა, არ მიიღო! ვნახოთ, მომავალში რა მოხდება. ნუ ვიჩქარებთ. ლიტერატურული ცხოვრება ხომ არა მთავრდება და თავის გრძელ გზაზე ის ბევრ რამეს შეიძენს, იგუებს და კიდევ უარყოფს!.. არავინაის რვეულებშიც ეს აღმოჩნდა: მეტაპოეზია... ტერმინი რა მოსატანია, მაგრამ ფაქტი ასეთია და ფაქტია მთავარი!

შაშვების ბენდი. შაშვების გალობა საოცარი... და შაშვებმა კარგად რომ გამოიზამთრონ, ჩემს ვენახში უხვად დავტოვე ნამცვრევი: შავმა ფრთოსნებმა ყელი ჩაისველონ და ოსტატურად წარმართონ ბენდის გალობა!.. საოცარი კიდევ ის არის, რომ შაშვები ერთად არა გროვებდნენ: სხვადასხვა ფერდობიდან, სხვადასხვა კორომიდან ეხმანებიან ერთიმეორეს!..

რანინერ მარია რილკეს რჩევა, მოულოდნელი, უშეღავათო: „არავის არ შეუძლია, რომ დაგეხმაროს, ან რამე გირჩიოს; გრჩება მხოლოდ ერთი გზა: ჩალრმავდი თავის თავში; გაარკვიე მიზეზი, რაც წერას გაიძულეს; გაიგე, უდევს თუ არა მას სათავე თქვენი გულის ყველაზე წმინდათაწმინდა და იდუმალ კუნჭულში; შეიტყვე ერთი რამ: აღესრულები თუ არა, რომ არ წერო!“

აი, კვლავ რილკე, გერმანული ენის წიაღში მოთამაშე, ბრძენი: „იყო მხატვარი, ეს იმას ნიშნავს, რომ უარი თქვა ყოველგვარ ანგარიშიანობაზე: იზარდე, როგორც იზრდება ხე, რომელიც არ ჩქარობს და გაზაფხულის გრიგალებს აუღელვებლად და უშიშრად ხვდება, რადგან იცის, მათ კვალდაკვალ ზაფხული მოსდევს: ის მოვა, მაგრამ ის მოვა მხოლოდ დამთენთათვის!..“

ქართული კლასიკა: „რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“... და იქვე ოტტო ვაინინგერი: „ქალი — არარაა!“

რევოლუციები, საზოგადოებრივი კონფულსიები არა იმდენად გემოვნებას ცვლიან, რამდენადაც აღვიძებენ და აქეზებენ უარყოფის წყურვილს, რომ თავისი ნება დაამკვიდრონ ცარილ ადგილზე!..

გავიხსენოთ ხანა ძველი რევოლუციის: რუსი ფუტურისტები და ლეფელეები ქუჩაში უსტვენდნენ, ძაღლებს უქსევდნენ და საღამოებს უშლიდნენ დიდ ალექსანდრ ბლოკს!.. ამგვარი რამ ხდებოდა ჩვენშიც: ფუტურიზმისა და დეკადენტობის ნაგვიანევი ქართული ინერცია შემადრწუნებელი თავხედობით გამოირჩეოდა: მათი იერიში მრავალმა ქართველმა მწერალმა გამოსცადა თავის ზურგზე!.. რალაც ამის მაგვარი იგრძნობა დღესაც: კარზე გვადგას ჩვენი გამოჩენილი მწერლების სრული და უპირობო იგნორირების ხანა: „მამათა ცოცხლად დასაფლავების ჟამი“...

ლალატის ეჭვი, რამაც შესძრა და გადარია ადამი... ვისთან ულალატა ევამ? ამას ნუ ვიკითხავთ! ეჭვი ხომ ფაქტს არ ეყრდნობა... ის უფრო ამაზრუნენი და ძლიერია მაშინ, როცა მისი საფუძველი არსად არაა!

ესეც სარწმუნოა: ის, ვინც თავისთავს სხვებზე აღმატებულად მიიჩნევს, უდავოდ ოდიოზურობის ჭაობში ვარდება და სიძულვილს მოიმკის!.. გამოსავალი სადღაა, იკითხავ შენ, რადგან იცი, რომ აღმატებული ადამიანები მართლაც არიან... მე კი გეტყვი: ამის გამო ნუ იხმამალღებ. შეირგე ქრისტიანული თავმდაბლობა: მწირი სალოსის უკვდავი ნიღაბი!

პოეზიის ვითარება ამგვარია: რომელიმე სხვა პოეტთან „შეჯიბრი“ ინვესს პოეტურ პლაგიატს, ზერელობას, პროვინციალიზმს... ხოლო თავისთავთან შეჯიბრს პოეტური ინდივიდუალიზმი და თვითმყოფადობა მოაქვს... მაშ, ასე, რალას უცდი: შეეჯიბრე თავისთავს, დაამარცხე თავისთავი!

მარტოობის ბატონი, მარტოობის ხელმწიფე... მარტოობის ძალაუფლება!

ნათქვამია: თეორიები ფაქტების წინაშე უძლურნი არიანო... ასეც ვთქვათ: თეორიას ფაქტი განაპირობებს... თეორიის საფუძველია ფაქტის შესაძლებლობა, ან თვით რეალიზებული ფაქტი...

ესეც ვთქვათ: სხვის ბუდეებში ნაზარდო გუგულებო, ირწმუნეთ: ლექსები არ იქმნება უგულებლოდ!

ესეც უეჭვო რამ: სიყვარული ხომ მარტოობიდან თავისდაღწევის მცდელობაა!

პოეზიის მკითხველის პრობლემა: ეს ყოველთვის იყო და ახლაც არის! რაღა არ სცადეს ჩვენმა პოეტებმა: თვით სკაბრეზულ ლიბრეტო-შაირებამდეც კი დაეშვნენ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ეს იყო გაუმართლებელი ექსპერიმენტები: პოეზიის უკუსვლა, უკან დაბრუნება, მკითხველის მოტყუება... მტკიცედ მჯერა, წინსვლით მიღწეული და ახლის მაძიებელი პოეზია უფრო იოლად იპოვის თავის მკითხველს!.. თანაც, უნდა შევეგუოთ მკითხველის სიმცირეს: პოეზია ერთეულებისთვის იქმნება და მკითხველებიც ერთეულები არიან... თუმცა საქართველოში ლექსის მკითხველის პრეტენზია რომ არა ჰქონდეს, ამგვარ ვინმეს ძნელად თუ იპოვი!

უთქმელი სიტყვის მწუხარება: შემოქმედებითი დარდი, იდუმალი რამ, რასაც საწერ მაგიდასთან მიყავხარ... უცნაურია ისიც, ეს დარდი, ჟამიჟამ, სიზმარშიც რომ შემოგანვება და ემორჩილები კიდევ, მაგრამ სიზმრიდან ერთი სტრიქონიც ვერ გამოგაქვს, რადგან ცხადისკენ მიმავალი გზა ძალზე გრძელია და ამ გზაზე დაგინწყება მეუფებს... გავიხსენოთ უღრან ტყეში ჩამონათალ ხეებზე ქიმიური ფანქრით აღბეჭდილი ლექსები; ვიტყვი ასე: პოეტს ეს დარდი უღრან ტყეში წამოენია, სადაც არც საწერი მაგიდა, არც ფურცელია და არც კალამი, მაგრამ გამოსავალი აქაც არის!

მომენატრა ჯაბუშანური!.. და აი, ახლახან „საოჯახო ბიბლიოთეკის“ სერიით გამოვიდა პოეტის რჩეული ლექსების კრებული... შესანიშნავი გამოცემაა, კარგი ფაქტი... ოღონდ ერთი რამ უნდა ვთქვა: წიგნს უდავოდ მოუხდებოდა ამ მრავალტანჯული პოეტის ბიოგრაფია, ასევე ლექსთა შექმნის თარიღები... დასანანია: ამ წიგნში არა ჩანს „აბრაგის ნატვრა“, შედეგრი ჯაბუშანურისა!

საკუთარი ლექსებით გულანთებული, თავის შესაძლებლობაში დარწმუნებული, ერთ დღეს იტყვის: „მადლობელი ვარ დამბადებელი, ჩემგან შეჰქმენი ისეთი გუნდა, როგორიც ამ დღეს საჭირო არი, სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა!“ აქ წმინდა ვაჟა-ფშაველამ თავისთავი შეიცნო საბოლოოდ, ყოველი ეჭვი გაფანტა; თავისი ფასი გაიგო, ირწმუნა!

ქალაქი იცვლება უსწრაფეს გულისა! — ბოდლერის ამ სტრიქონს ხელახლა შემონიშნა აღარ სჭირდება!.. ორი მარად ცვალებადი რამ: გული და ქალაქი. მათი მუდმივი თვითგანახლება ის, რაც ორივეს საინტერესოს ხდის... გული, ცხადია, ყველგან არის, ხოლო თუ მასთან ქალაქიც არის: აქ უნდა ველოდოთ მარადიულ განახლებას, ისე, როგორც დიდი მდინარე განახლდება და განიწმინდება თანდათან, შეუმჩნევლად...

ქეთევან ტომარაძე

ჩემი ენა ჩემი მხატვრობაა

□

ვლადიმერ კანდელაკი

„მაი ფეინტინგ მაი ლენგვიჯ“, ამ სიტყვებით გაისტუმრა მხატვარმა ვლადიმერ კანდელაკმა აშშ-ში, ფილადელფიაში წარმატებული გამოფენის შემდეგ ერთ-ერთი კეთილმოსურნე, სამხატვრო აკადემიაში პედაგოგობა რომ შესთავაზა. პედაგოგობისთვის ინგლისური ენის ცოდნა იყო აუცილებელი, რასაც იმხანად მხატვარი ვერ ფლობდა.

„პედაგოგად მუშაობა შემოქმედებით მუშაობაში ხელს შემიშლიდა, თანაც სხვა ჩანაფიქრი მქონდა: მინდოდა თბილისში შემექმნა ბაზა, ამერიკაში კი გამოფენებისთვის ჩავსულიყავი და ფილადელფიაში ასე მარტოდმარტოს არ მეშუშავა“... შენიშნავს მოგვიანებით მხატვარი.

ვ. კანდელაკი მუშაობის ნორმალურ პირობებზე ოცნებობდა. მან მრავალი ბარიერი გადალახა, ბევრ წინააღმდეგობას ნააწყდა, ყველაფერს ვაჟაკურად გაუძლო და, თავის ქვეყანაში უკვე აღიარებული მხატვარი, ამერიკაში გაემგზავრა, სადაც სულ სხვა პრობლემები ელოდა. „შუშის ჯუნგლებში“ ფეხზე დადგომას წლები დასჭირდა, მაგრამ უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდა, მერე კი... „რა თქმა უნდა, ამერიკაში ცხოვრების მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ფულით სულ ადვილად შემიძლო არხეინად მეცხოვრა, მაგრამ მინდოდა რაღაც შემექმნა, ბაზა მქონოდა თბილისში. საკუთარ კეთილდღეობასა და დაღვინებულ ცხოვრებაზე არასოდეს მიზრუნია, არც სხვებს შეუწუხებიათ დიდად ჩემთვის თავი. შეიქმნა ფონდი...“ თბილისში ვ. კანდელაკის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი ბაზად უნდა ქცეულიყო, რომლის მეშვეობით ამერიკაში მცხოვრები ხელოვანი მრავალ საინტერესო ჩანაფიქრს, თავისი ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო იდეას განახორციელებდა.

ერთი კაცისთვის თითქმის შეუძლებელი, მასშტაბური შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობის გეგმებით აღსავსე მხატვარმა ვერ შეძლო ორი საქმის თანაბარი წარმატებით გაძლო. ფორტუნამაც არ დაინდო და ლალატისა და გაუტანლობის, თაღლითობისა და უზნეობის ჭაობში ხელახლა აღმოჩნდა. განუკითხაობისა და დაუსჯელობის სინდრომმა თავი იჩინა, ფონდის ხელმძღვანელობას მსუნაგობამ სძლია. კეთილდღეობის სურვილით ალტყინებულებმა მხატვრის მიერ სიმწრით ნაგროვები თანხები მიითვისეს და გააკოტრეს. უცხო ქვეყანაში გატარებული წარმატებისა და მარტოობის წლები, ნოსტალგია და სამშობლოში დაბრუნების იმედი, ყველაფერი კატასტროფით დამთავრდებოდა, რომ არა ძლიერი ნებისყოფა და პროფესიისადმი უსაზღვრო ერთგულება. ვ. კან-

დელაკი განაგრძობს ამერიკაში მუშაობას, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისა და ახალი ენერგიით საქველმოქმედო მოღვაწეობის შანსი საგრძნობლად შემცირდა.

ვლადიმერ კანდელაკი უკანასკნელი მოპიკანია, ერთ-ერთი ბოლო რომანტიკოსი ქართულ მხატვრობაში, უზარმაზარი შემოქმედება რომ წამოუკიდებია ზურგზე და, უცხოეთში გადახვეწილი, თავისი ქვეყნის გულისკენ მიმავალ ბილიკს დაექვს. მხატვარმა სახელი და დიდება მოიხვეჭა, მისმა ნამუშევრებმა მრავალი უცხოელის ყურადღება მიიპყრო, ბევრს კავკასიის ერთი პატარა ქვეყანა აპოვინინა, სადაც ვლადიმერ კანდელაკის მსგავსი, ნიჭითა და საოცარი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ადამიანები სულიერების სამყაროში თამამად მიუძღვებიან საზოგადოებას.

ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებაზე ზოგადი მსჯელობისა თუ შედარებით მასშტაბური, მრავალმხრივი კვლევის დროს უმთავრესად მისი ნამუშევრების „ნონკონფორმისტულ“ ხასიათზე ამახვილებენ ყურადღებას. ამგვარი დეფინიცია არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან მრავალ ნამუშევარში აშკარად იგრძნობა აღნიშნულ მიმდინარეობასთან შინაგანი კავშირი და ნათესაობა. თუმცა „ნონკონფორმისტული“ მსოფლგანცდა, თავისთავად უაღრესად საინტერესო მოვლენა XX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ მხატვრობაში, სრულად ვერ ფარავს მხატვრის ძიებათა ფართო სპექტრს, ინტერესთა მრავალფეროვნებას და სხვა არაერთ მიმდინარეობასთანაც ასოცირდება.

საგულისხმოა, რომ ვლადიმერ კანდელაკის ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, ექსპერიმენტები პოპარტის ხელოვნებაში ბოლო ხანებში მწერლობითაც შეივსო და გამდიდრდა. ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტურ ნიგნში „ყვავის დამა“ – ავტობიოგრაფიული მონათხრობი — გამოიკვეთა შემოქმედებითი ტალანტით დაჯილდოებული კაცის თვისებანი: ამბის სხარტად გამოცემის მანერა; გულწრფელობა და უკომპრომისობა, ექსცენტრული პიროვნების მიერ გარესამყაროს ხედვის თავისებურება, ტანჯვისა და გამძლეობის, თანადგომისა და ღალატის, თაღლითობისა და დანდობის დუალისტური სურათები...

„ჯერ კიდევ თბილისში, ერთ წვეულებაზე შემომთავაზეს, გიმკითხავებო. მე ვუპასუხე: „პიკის ქალი არ ამცდება, ყველგან თან მდევს-მეთქი“. ჩემ წინ კარტის დასტა დადეს, მთხოვეს, ამეჭრა. დასტის ნაწილი ავიღე, გამმოვაბრუნე... ყველას გასაოცრად დასტაზე ზემოდან პიკის ქალი იდო...ყველა სახტად დარჩა: „რა ინტუიცია გაქვსო!...“

„ყვავის დამა“, მხატვარს ბედი მდევარივით რომ თან სდევს, 2003 წელს გამოცემული ნიგნის სახელწოდებადაც აღიბეჭდა.

შეულამაზებლად, ობიექტური თვლით დანახული, ქართველი კაცისთვის უცხო, ძნელად მისაღები სამყარო, ქალაქები და ქვეყნები, თავბრუდამხვევი წარმატებისა და უიმედობის წლები, გაუგებრობის გამო ლონდონის ციხეში მოხვედრილი მხატვრის მიერ გატარებული უმძიმესი დღეები, იუმორისტული შტრიხებით სავსე ფსიქოლოგიური პორტრეტები, საინტერესო ფაქტები და დაკვირვებანი ვლადიმერ კანდელაკის მოგონებათა ნიგნში დოკუმენტური პროზისთვის ნიშანდობლივი უშუალოდ აისახა. მემუარული ფაქტით დაინტერესებულმა მკითხველმა კარგად მიიღო ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული „ყვავის დამა“, რომელიც მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. როგორც ჩხეიძე საინტერესო წერილით გამოეხმაურა ნიგნის გამოქვეყნებას.



ვლადიმერ კანდელაკი და ნორტონ დოჯი

ცნობილი კარიკატურისტის, მხატვარ-გრაფიკოსის ანდრო კანდელაკის ვაჟმა, ვლადიმერ კანდელაკმა, კალანდარიშვილების, კალაჩოვების, იაგვეეების, ქარაგოზოვ-ქელივიძეების, ვინიცკებისა და ივოვების სახელოვან გვართა, თავისი ქვეყნის ღირსეული

შვილების მრავალი სიკეთე მიიღო ესტაფეტად: დახვეწილი გემოვნება, მახვილი თვალი, სიზუსტე და რაციონალიზმი, მშვენიერების გრძნობა, უსამართლობასა და განუკითხაობასთან შეურიგებლობა და სხვ. ვლადიმერ კანდელაკის მხატვრულ-ესთეტიკური კრედიო ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული გამოცდილების შეჯერებით, გათავისებითა და ეპოქის შესაბამის გამომსახველობით საშუალებათა მრავალწლიანი ძიების შედეგად ჩამოყალიბდა.

მხატვრის ნამუშევრები ტექნიკურ შესაძლებლობათა სიუხვით, მტკიცე ხელწერით, ყოფითისა და ჩვეულებრივის პოეტური გააზრებით, მასშტაბური ხედვით, ფორმისა და ფერის მთლიანობით, უკიდევანო ფანტაზიით გზიბლავთ და გამახსოვრდებოთ. კანდელაკი საკუთარი მხატვრული ინტერპრეტაციით გვთავაზობს წარსულის სურათებსა თუ დღევანდელობას. იგი მეთაფორული ენით ასახავს ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას, უტყუარი ინტუიციით გრძნობს და წინა პლანზე წამოწევს ზოგადსა და არსებითს, რაც ადამიანის ღირსეულ არსებობას უშლის ხელს. მხატვარი ხან რელიგიურ, ხან ისტორიულ ქრილში გადმოსცემს, ხანაც ლირიკული განწყობით აღბეჭდავს ტილოზე საზოგადოებრივი ყოფის სირთულეებსა და ძიებათა მრავალფეროვნებას; ხშირად დაუნდობლად აშიშვლებს უსამართლობასა და ძალმომრეო-

ბას, ხან დასცინის, ხანაც გაყვარებთ, მთლიანობაში კი თანაგრძნობას აღვიძებს ადამიანის მიმართ.

საბჭოთა ეპოქის შინაგანი რღვევის ამსახველი ნამუშევრებით ვლადიმერ კანდელაკი ძლიერ ოპონირებას უწევს რეჟიმს და პირდაპირ, ხისტიად წარმოაჩენს სისტემის სიმახინჯეს. იგი შეუწყნარებელია როგორც რეჟიმის სულისჩამდგმელთა, ისე საზოგადოების მიმართ, რომელიც საკუთარი გულგრილობითა და მოქალაქეობრივი ინერტულობით გზას უხსნის ძალმომრეობას. მხატვარი ვერ ეგუება სიჩლუნგესა და უტიფრობას, განუითხაობასა და დაუდევრობას — ადამიანური დრამის გამომწვევ მიზეზებს. იგი ხედავს, მმართველი ძალა რომ ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ, ცივილიზებულ საარსებო გარემოს, უგულვებლყოფს ფუნდამენტურ უფლებებს, უხეშად ხელყოფს უმთავრეს ღირებულებებს, რაც ზნეობრივად ხრწნის საზოგადოებას, ღირსეული ცხოვრების, ნორმალური განვითარების არსს უხშობს ადამიანს და ყოველივეს გროტესკის ფორმით ხატავს.

ვ. კანდელაკი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევს საზოგადოების გამოყვანას საღათას ძილიდან, გამოფხიზლებას. ემოციური ზემოქმედების მოსახდენად იმგვარ მხატვრულ მოდელებს ქმნის, რომელიც შეძრავს და დააფიქრებს, საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებაში დაეხმარება ადამიანს. თავის ჩანაფიქრს მხატვარი ორიგინალური რაკურსით გვანვდის, რისთვისაც სხვადასხვა მხატვრულ ხერხს მიმართავს — ხან მითოლოგიზებულ სამყაროს ხატავს, ქმნის ეფექტურ, დასამახსოვრებელ ხატ-სიმბოლოებს, იყენებს გაპროვენების მეთოდს; ხშირად ნონკონფორმისტული განწყობით, კონცეპტუალიზმის ქრილში გვიზიარებს დაგროვილ სათქმელს. მდიდარი ფანტაზიით შექმნილი კომპოზიციები მხატვრისეული მიგნებებით გამოირჩევა. ისინი ორიგინალურ სააზროვნის სისტემაზეა ორიენტირებული და ვ. კანდელაკის შემოქმედებას მკვეთრი ინდივიდუალობით გამოარჩევს.

მხატვარი ყოველდღიურობის დინებიდან მიჯნავს, ზედაპირზე ამოაქვს და სრულყოფს მთავარსა და არსებითს, რასაც გრძნობს და რისი გაზიარებაც სწადია. გასაკვირი არ არის, რომ ცხოვრების დიდ ნაწილს ის მოღბერტთან, სხვა განზომილებაში, სხვა სივრცეში, საკუთარი წარმოსახვით შექმნილ მიკროსამყაროში ატარებს, წლობით დაგროვილ შთაბეჭდილებებს ხვეწს და ავითარებს. ეს დამოუკიდებელი ფუნქციონირებისკენ სწრაფვის გზაა, შემოქმედებითი განსხვავებულობა, თვითდამკვიდრების ფორმა, ალტერნატიული ხელოვნების იმანენტური თვისება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მეორე ავანგარდად წოდებულმა მიმდინარეობამ, რომელსაც საფუძველი მოსკოვში, „მალია გრუზინსკაიაზე“, 28-ში მდებარე პატარა გალერეაში ჩაეყარა, განსაკუთრებული პოპულარობა რუსეთის წამყვან ქალაქებში — მოსკოვსა და ლენინგრადში — მოიპოვა. იდეურ-ესთეტიკური მიზანდასახულობით ნონკონფორმიზმი დიდად არის დავალებული XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდული მხატვრობისგან. მაგ. იური უარკისის ნამუშევრებში, რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული და ძვირადღირებული მხატვარია, პავლე ფილონოვის ანალიტიკური რეალიზმისა და გერმანული ექსპრესიონიზმის გავლენა იგრძნობა. მეორე ავანგარდის წარმომადგენლები მკვეთრად დაუპირისპირდნენ სოცია-

ლისტური რეალიზმის პრინციპებს, დაბრუნდნენ ავანგარდული ხელოვნების წიაღში და საბჭოთა სისტემისთვის მიუღებელი იდეების რეინკარნაცია მოახდინეს. თავდაპირველად ყოველივე თემით სპეკულაციის ელფერს ატარებდა, თუმცა აქა-იქ გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდებიც, რომლებმაც პოლიტიკურ ეპატაჟს თავი დააღწიეს და ქვემარტივად მაღალმხატვრული ნაწარმოებები შექმნეს.

XX საუკუნის სამოციან წლებში მხატვართა მიერ შემოქმედებითი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ახალგაზრდების სითამამეს, საკუთარი შეხედულებების საჯაროდ, უშიშრად გამოხატვის მცდელობას ძლიერი ბიძგი მისცა სტალინიზმის ეპოქის დასასრულმა, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ პიროვნების კულტის კრიტიკამ. თავდაპირველად ეს ფაქტი საზოგადოების მიერ აღქმულ იქნა როგორც სისტემის ლიბერალიზაციის დასაწყისი. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ რისხვა მხოლოდ ერთი პიროვნებისკენ იყო მიმართული და არა მთელი სისტემისკენ. სტალინი განტყვევის ვაცო აღმოჩნდა, რომლის კრიტიკა ხრუშჩოვმა პირადი ანგარიშსწორების მიზნით დაიწყო და არა სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად — ერთ პიროვნებას დანაშაულებრივი პოლიტიკური სისტემის მთელი ცოდვები უნდა ეტვირთა.

ცალკეულმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა, სოციალისტური იდეოლოგიის, ზოგადად რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა და უკომპრომისო ბრძოლა წამოიწყეს. ბევრმა შეგნებულად თქვა უარი აკადემიურ განათლებაზე, რადგან ფიქრობდა, რომ სტუდენტებს თავს ახვევდნენ სწავლების დახავსებულ მეთოდებსა და იდეოლოგიას. ისინი არც სამხატვრო კავშირის წევრები იყვნენ, ამიტომ „არაოფიციალურ მხატვრობის“ წარმომადგენლებად იგულისხმებოდნენ. დასავლეთისადმი გამორჩეული პიეტეტითა და ფართო განათლებით აღჭურვილი ეს მხატვრები იმხანად რუსეთის ინტელექტუალურ ელიტად ითვლებოდნენ.

ნონკონფორმისტთა პირველივე განაცხადი ხელისუფლებამ „ბურჟუაზიულ მემჩანობად“ მონათლა. 1962 წელს, არაოფიციალური მხატვრობის გამოფენაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა მწვავედ გააკრიტიკა და შეურაცხველი იარღიეი მიაკერა ზოგიერთ ნამუშევარსა და მათ ავტორს. ამ და მსგავსმა ფაქტებმა რეფორმების რეალური არსი და „პოლიტიკური დათბობის“ მიზნები ლაკმუსივით გაამჟღავნა. მეორე მხრივ, დოზირებული თავისუფლება ახალი, მძლავრი იმპულსი აღმოჩნდა რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასპარეზზე გამოჩნდნენ ნიჭიერი მწერლები და მხატვრები, თავიანთი პროგრამებითა თუ ქარტიებით, რეალური შემოქმედებითი თავისუფლების მოთხოვნით.

1978 წლის 3 მარტს, მხატვართა ოცკაციაანმა ჯგუფმა მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში, ლია ცის ქვეშ გამართა ექსპოზიცია, რომელიც ხელოვნების ისტორიაში „ბულდოზერული გამოფენის“ სახელწოდებით შევიდა, რადგან გამოფენა ბულდოზერით დაარბია მილიციამ. ამ ვანდალურ აქტს საერთაშორისო საზოგადოებრიობის უმწვავესი რეაქცია მოჰყვა, რამაც შემდგომ ნაწილობრივ შეარბილა „არაოფიციალური მხატვრობისადმი“ ხელისუფლების დამოკიდებულება. თუმცა რეპრესიები, სხვადასხვა ფორმით, მაინც გაგრძელდა.

ნონკონფორმიზმის იდეამ მალე მხატვართა რამდენიმე შემოქმედებითი ჯგუფი გააერთიანა. გაჩნდა ავანგარ-

დისტანტა ახალი ტალღა, რომელიც რუსეთში დისიდენტური მოძრაობის წარმმართველად ძალად იქცა.

ნონკონფორმისტებს ვლადიმერ კანდელაკი თავიანთ თანამოაზრედ მიაჩნდათ ამიტომ: „მემარცხენე“ მოსკოველმა მხატვრებმა არაერთხელ შემომთავაზეს მათ გამოფენებში მონაწილეობის მიღება, მე ყოველთვის უარზე ვიყავი. მიმაჩნდა, რომ ჩვენ განსხვავებული მიზნები გვქონდა“, — იხსენებს მხატვარი.

ვლადიმერ კანდელაკისთვის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, მაღალი პროფესიონალიზმის, ეროვნული სულის, ტრადიციების ერთგულების გამოხატულებაა. კოსმოპოლიტიზმის ადებტობა, ეპიგონობა უცხო და მიუღებელია მხატვრისთვის. მისთვის მთავარია მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრა, მის წინაშე დასახული მიზნების განხორციელება, საკუთარი მრწამსის ჩამოყალიბება და სათქმელის ჩვენამდე ისე მოტანა, რომ სიცოცხლის მშვენიერება და სიხარული განგვაცდევინოს.

სამოციანი წლებიდან, ჩვენს ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდის, დემონსტრაციების, სოციალიზმის მიღწევების, ბელადებისა თუ ეპოქალური გმირებისა და სხვ. ამსახველი ტილოების, პლაკატების პარალელურად ჩნდება რელიგიური თემატიკის, ჩვეულებრივი, ცხოვრების ყოფითი სურათების, ლირიკული განწყობის, ადამიანის სულიერი მდგომარეობის, თამამი კოლორისტული და ფორმალური ძიებების ამსახველი ტილოები. უკვე სამოციან წლებში, რუსეთის ხელისუფლების ხისტი პოლიტიკისგან რამდენადმე განსხვავებული, შედარებით რბილი პოზიცია ჩვენში მეტ შინაგან თავისუფლებას ანიჭებდა მხატვრებს და ნაღდი ადამიანური განცდების, სულიერ მოთხოვნილებათა შესაბამისი ესთეტიკური კატეგორიებით აზროვნების, კლიშეებზე უარის თქმის საშუალებას აძლევდა.

ამ პერიოდში ვლადიმერ კანდელაკის მიერ რელიგიურ თემებზე შექმნილ ზოგიერთ ნამუშევარს, მართალია, ოფიციალური მხარე რეაქცია მოჰყვა, მაგრამ სიტუაცია მალე მოგვარდა. საერთოდ, იმგვარ ტერორს, ზოგჯერ ფიზიკური განადგურებითაც რომ მთავრდებოდა, რუსეთისგან განსხვავებით, იმხანად საქართველოში ადგილი არ ჰქონია. სამოციანი წლებიდან იმპერიის სამხრეთით მდებარე პროვინციისადმი ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება საგრძნობლად შესუსტდა. ამ გარემოებამ ქართული კულტურის საოცარი აღმავლობა გამოიწვია.

რუსული ავანგარდის მეორე ტალღა, დისიდენტური საქმიანობისა და განსხვავებული შემოქმედებითი მრწამსის გამო, დასავლეთის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამიტომ მხატვრები თავიანთ ნამუშევრებს ძალზე სარფიანად ყიდდნენ, ძირითადად უცხოელებზე. ვლადიმერ კანდელაკი მოგვითხრობს: „რუსი ნონკონფორმისტები, რომლებიც არ იყვნენ მხატვართა კავშირის წევრები და უფლებად არ ჰქონდათ ოფიციალური სახელოსნოები ჰქონოდათ, მშვენივრად ცხოვრობდნენ კეთილმოწყობილ ბინებში კარგად გარემონტებული სარდაფებით, ბარებით, ანტიკვარიათა და საუკეთესო, ძვირად ღირებული აპარატურით, რაც იმ დროს იშვიათობას წარმოადგენდა. მე ბევრჯერ ვყოფილვარ მათ მოსკოვურ სახლებსა და სახელოსნოებში, აგარაკებზე, მდიდრულად მოწყობილ სარდაფებში, რის გამოც მათ სარდაფის მხატვრებსაც უწოდებდნენ“.

წლების განმავლობაში ბევრი მხატვარი უცხოეთში გადაიხვეწა, ანდა ხელისუფლებამ გააძევა ქვეყნიდან, ბევრი რუსეთში დარჩა, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნა. დრომ ყველას და ყველაფერს კუთვნილი ადგილი მიუჩინა. შემოქმედებით პროცესს კი, ბუნებრივია, ვერაფერი შეაჩერებდა. ამ პერიოდის მხატვრობამ ახალგაზრდობის შემოქმედებით ზრდას შეუნყო ხელი, გეზი მისცა ახალ აზროვნებას. წამოვიდა საინტერესო, ნიჭიერი, შინაგანი თავისუფლებით აღსავსე თაობა.

ანდრო კანდელაკის, ცნობილი კარიკატურისტის, ტალანტი, ლაკონიურ, ძუნწ შტრიხებში სათქმელის გამოხატვის უნარი შეიღმაც მალე გამოჩნდა. ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციების გაგრძელებამ, ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, ბიუროკრატიული აპარატის ლპობამ, სიყალბემ და განუკითხაობამ ვლადიმერ კანდელაკში პროტესტის გრძნობა გაამძაფრა. პოლიტიკური თემების სერიამ, ლენინის ფენომენისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, გაუფასურებული და გასაცოდავებული საბჭოთა მანეთისა თუ სისტემის სხვა ატრიბუტთა ტილოსა თუ ფანქარში ოსტატურად ასახვამ, მასის უსახურობის მარადიული თემის ეფექტური გამომსახველობითი საშუალებებით გადმოცემამ ვ.კანდელაკს სერიოზული წარმატება მოუტანა. მან შექმნა მხატვრული ტექსტები, რომლებზეც საბჭოთა სისტემის შინაგანი არსი, ხალხის უაზრო და ფუჭი ერთუზიანობა თუ მასის შემაშფოთებელი ფსიქოლოგიაა დაუნდობლად გაკრიტიკებული. ვ. კანდელაკმა ურთულესი ამოცანა დაისახა, როდესაც შეეცადა, ბელადომანიის სენით შეპყრობილი ადამიანები, სისტემის უზნეობის მთავარი წყარო წარმოეჩინა. ამ ნამუშევრებში შესაძლოა ცნობილ ავანგარდისტთა ცალკეული სტილისტური თავისებურებანი შენიშნოთ. მაგ. „კარტის სახლებად“ წოდებული სერიალი ზოგჯერ ელლისიციკის სუპრემატისტულ ძიებებს გვახსენებს. თუმცა ნამუშევრების მთლიანობაში გააზრებისას, მხატვრის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა კიდევ უფრო საცნაური ხდება. ცნობილი მეტაფორის ტრანსფორმირება მხატვრობაში ხიფათსაც შეიცავდა, რადგანაც იოლი მოსალოდნელი იყო საზოგადოების იმედგაცრუება, მხატვრული ჩანაფიქრის მიუღებლობა. მაგრამ დროის ადეკვატური ხატისა და ფონის შექმნამ, მთლიანობაში კარგად მოფიქრებულმა კომპოზიციამ დამაჯერებლობა შემატა ვლადიმერ კანდელაკის ჩანაფიქრს და „კარტის სახლები“ მხატვრის შემოქმედების აპოთეოზად იქცა.

მწერლობასა და ყოფით საუბრებში კარგად აპრობირებული მეტაფორა — „კარტის სახლი“ — უსაძირკველობის, წარმავლობის სიმბოლოდ მოაზრებული, ინდუსტრიული პეიზაჟისა და მასის რევოლუციური შემართების ფონზე, ტილოზე ჭქმმარიტი ოსტატის ხელით აღბეჭდილი, დამოკიდებული პირამდე მისული სისტემის აღეგრობაა. ამ სისტემაში დამოწყლებილ ქართველობას, ორმაგ ჩაგვრას რომ განიცდიდა, ეროვნულობის განცდა ზედმინეწით გამძაფრებული ჰქონდა. ვ. კანდელაკის შემოქმედების ეროვნული ხასიათიც აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა.

სისტემის მანკიერების მხატვრული განზოგადების უნარით ქართველ მხატვრებს რუს ნონკონფორმისტთაგან ბევრი რამ განასხვავებდა, თუმცა მათ საერთოდ

ჰქონდათ. მაგ. მშვენიერების, ღირსებისა და თავისუფლების სიმბოლო — ფარშავანგი — მოსკოველ ნონკონფორმისტ მხატვართა პირველი ოცეულის წევრის, ა. ტუმანოვის ერთ-ერთ ტილოზეც გვხვდება. მაგრამ ვ.კანდელაკი ფრინველს გაცილებით დიდ აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს. ფარშავანგით მხატვარი მშვენიერებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს და თავისუფლების იდეას იმგვარად აკავშირებს, რომ ამაღლებული განწყობით გავსებთ. ფარშავანგი ვ. კანდელაკისთვის მიმზიდველია იმდენად, რამდენადაც მისი ტილოზე აღბეჭდვა ფერწერულ შესაძლებლობათა სრულყოფილი გამოვლენის საშუალებას აძლევს. ფრინველის სტატიკური თუ დინამიკური მდგომარეობის, თითოეული მოძრაობის ფერებითა და ხაზებით გადმოსაცემად მას ცოტა რამ შეეძრება. ფარშავანგი სამყაროს გვირგვინია. ფერთა მდიდარი გამა, დიდებულება და არისტოკრატიზმი, არაჩვეულებრივი სხეული, რომელსაც ზღაპრული კუდი აგვირგვინებს, ამშვენებს და კიდევ ცუპავს, მხატვარს აღლევებს და კოლორიტული ძიებისკენ უბიძგებს. ფრინველი ვერ აცნობიერებს საკუთარი კუდის სიგრძეს: „ჩვენც ხომ ასე ვართ, ჩვენც არ ვაცნობიერებთ საკუთარი „უჩინარი კუდის“ სიგრძეს, კუდისა, რომელიც იქნებ არც კი არსებობს და, ცხადია, არც ასეთი ბუმბულით არის შემოსილი, მაგრამ მტაცებელთა ყურადღებას მაინც იპყრობს“, საყვარელ მოდელზე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მხატვარი.

დამფრთხალი ფარშავანგი საშიშროების მოახლოებისას ზემოთ ახტება, მაგრამ ამაყი და თვითდაჯერებული ქვემოთ გადმოფენს თავის ულამაზეს კუდს. ჩასაფრებული ცხოველი სარგებლობს ფრინველის წინდაუხედაობითა და სიბრყვიით, იოლად წვდება მას, იჭერს და გემრიელად შეექცევა.

„ამბობენ, სახლში ფარშავანგის ბუმბული უბედურების მომტანიანო, მე კი ყოველთვის მაქვს ფარშავანგის ბუმბული, ვუყურებ ხოლმე მას და ვტკბები, განწყობილებას მიქმნის. ამას წინათ კიდევ ერთხელ შემახსენეს, ფარშავანგის ფრთა ცუდის ნიშანიაო, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემ მიერ დახატულს ცუდი არაფერი მოაქვს, ალბათ ფარშავანგთა მთელი უბედურება ჩვენწაირებმა იტვირთეს“, წერს მხატვარი.

ვ. კანდელაკმა ფარშავანგების მთელი სერია შექმნა. ფერმწერის გემოვნება, ნიჭი და ცოდნა ბუნების სიყვარული ფრინველში ჩააქსოვა. მას საკუთარი, განუმეორებელი ფარშავანგი ჰყავს, რომელიც ხშირად თავის ქვეყანას აგონებს, თვისივე უმეცრებით ზოგჯერ გალიაში, სისტემის აბსურდულობის სიმბოლოში, გამომწყვედველი; ზოგჯერ გალიიდან თავდახსნილი, ფრენისა და სხვა სივრცეებისკენ თავბრულდამხვევი სწრაფის ჟინით შეპყრობილი. ღირსებისა და საკუთარი უპირატესობის განცდა ფარშავანგს არასოდეს სტოვებს. იგი სხვა სიმალეებს შესტრფის, სხვა სამყაროს ფრინველია ბუნების თავისუფალი, მშვენიერი, ამაყი შვილი.

ვლადიმერ კანდელაკის ფერწერული სერიალები უკიდევანო ფანტაზიით, ფერისა და პლასტიკურ ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ვაჟა-ფშაველას მინდისავით ღრმად წვდება მხატვარი ბუნების საიდუმლოს მისი ყველა ტკივილისა და სიხარულის მოჭირნახულე.

ვლადიმერ კანდელაკი საგულდაგულოდ არჩევს და მოიძიებს ეთნოგრაფიის ნიმუშებს, რომლებიც მისსავე სახელოსნოშია თავმოყრილი. ბევრი მხატვრის ჯადოსნური ხელით ხელახალ სიცოცხლეს უკვე ეზიარა და ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშად იქცა, ზოგი ჯერ კიდევ ელის ოსტატის შემოქმედებითი ფანტაზიის გაელვებას. სახელოსნოში, ამგვარ საარსებო ველში მოქცეული მხატვარი ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს, რაც მის მიერ შექმნილი პოპარტებიდანაც იგრძნობა. ყოველ ნივთთან, საგანთან იგი უხილავ კავშირს ამყარებს, სისხლხორცეულად განიცდის, ინტუიციით წვდება თითოეულის ბუნებას. ხშირად მხატვარი ხელახლა შთაბერავს მათ სულს, ხვეწს ყოველივეს, რასაც მისი მადლიანი ხელი შეეხება. ეს არ არის საგნებით ჩვეულებრივი, უბრალო გატაცება, წარსულთან რომ გვაახლოებს და ნოსტალგიურ სიცარიელეს გვივსებს. საგნებთან ურთიერთობის შინაგანი მოთხოვნით მხატვარი არსებობას უხანგრძლივებს, მარადისობაში დამკვიდრების შანსს აძლევს თითოეულ მათგანს.

ვლადიმერ კანდელაკი ასე აღწერს საგნებისადმი დამოკიდებულებას: „ჩემი რელიკვიებია: ხატები, ოჯახური ფოტოები, კოჭები, შურდულები, ნალები, მანდილოსანთა ქუდები და მარაოები, ძველებური ხანჯლები, ხმლები... მე მათ მთელი ცხოვრების მანძილზე ვაგროვებდი, ვხატავდი, ჩემ კოლაჟებსა და პოპარტებში ვიყენებდი, ვეფერებოდი, ველოლიავებოდი; ისინიც სიყვარულით მპასუხობდნენ, მუშაობის სტიმულსა და აღმაფრენას მმატებდნენ.

ქართული ყოფაცხოვრების საგნები მუდამ იყვნენ, მუდამ იქნებიან ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების თანამდევნი“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებში მხატვარმა ზედმინეგნით კარგად შეისწავლა კლასიკური მხატვრობა, დაეუფლა ფერწერის მრავალ საიდუმლოს და ჭეშმარიტ ოსტატად ჩამოყალიბდა. საკუთარი სტილი და გემოვნება მან ხანგრძლივი შრომისა და ძიებების შედეგად შეიმუშავა. იგი თავისუფლად ფლობს მასალას, შემოქმედებითი აქტის განხორცილებისას დაუბრკოლებლად ჭრის მის წინაშე დასმულ ნებისმიერ რთულ ამოცანას. მხატვარმა კარგად იცის, თუკი საკუთარი სათქმელი გაქვს, რაოდენ დიდ ინფორმაციასაც უნდა ფლობდეს, ეპიგონობის ტყვეობაში ვერ მოექცევი, საკუთარ გზას არ გადაუხვევ.

ბებერი მუხის ხე მხატვრის შემოქმედების ნიშანსვეტია. ძლიერებისა და მარადისობის ხატ-სახე ხან ძველ, ბრძოლებში გამობრძმედილ რაინდად გვევლინება, ხანაც, გაბარჯლული და დატოტვილი, საშველად გვიწვდის ხელებს. თვალეზად ქცეული კოჭრები, ზოგჯერ სხვადასხვა ფრინველით გარშემორტყმული ხე ფანტასმაგორიულ სანახაობას ქმნის. მიმზიდველი არსებანი ზღაპრის გმირებს გვაგონებს და აღმაფრენის ზეიმს გვაზიარებს. მითოლოგიზებული აზროვნებისკენ ლტოლვითა და ძლიერი წარმოსახვით მხატვრის ნამუშევრები ზოგჯერ ვაჟას ასოციაციას ბადებს. თავისებური ხე-სიმბოლოები, მოძრაობის, სიცოცხლის მარადისობის, ბუნების ერთიანობისა და განუყოფელობის მშვენიერი სურათები ვ.კანდელაკის მხატვრული აზროვნების ურთულეს ნახნაგებში გვახედებს. მადლიან ქართულ მინაში ფესვებგადგმული მცენარეები სამშობლოსადმი შემოქმედი კაცის დამოკიდებულების, მხატვრის ფიქრებისა და განცდების მშვენიერი ანაბეჭდებია.

უაღრესად შთამბეჭდავი და ეფექტურია ვლადიმერ კანდელაკის მიერ ისტორიულ-რელიგიურ თემებზე შექმნილი ტილოები. ამ ნამუშევრებით იგი ემიჯნება სოციალისტურ რეალიზმს და თავისუფალი შემოქმედებითი ეგოს სრულ რეალიზებას ახდენს. აღნიშნული ხანის ნამუშევრებში ქართული მანუსკრიპტებით, შუა საუკუნეთა მონუმენტური ფერწერით, უბადლო არქიტექტურული ძეგლებით მიღებული შთაბეჭდილებებია გადმოცემული. პერსპექტივის აგების უძველეს ტრადიციასთან, სიბრტყეზე ცალკეული ფიგურებისა თუ ადამიანთა ჯგუფების განლაგებით, მსხვილი კონტურებითა და სათუთი მონასმებით, კლასიკური ფერწერული გამითა და ხაზების ურთიერთმიმართებით ვ. კანდელაკი ტილოზე სრულ წესრიგსა და ჰარმონიას აღწევს. ეს ნამუშევრები ეპოქათა თავისებური სარკეებია, დროსა და ადამიანთა სულიერ მდგომარეობას რომ აირეკლავენ. ამ პერიოდის სურათები ვ. კანდელაკის მიერ ძველი მხატვრობის, ტრადიციული ფერწერის თანამედროვე ჭრილში გააზრების წარმატებული ექსპერიმენტია, დეკორატიული ელფერით გაჯერებული. მხატვარმა შეავსო და გაამდიდრა შემოქმედებით ძიებათა არსენალი და საკუთარი დამოკიდებულება გვიჩვენა ისტორიული გმირებისა თუ უბრალო ადამიანების მიმართ.

სივრცული ამოცანების გადაჭრისას ვ. კანდელაკმა თამამად გაუსწორა თვალი ქართული სახვითი ხელოვნების კორიფებს: ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანს, დავით კაკაბაძეს, შემდგომი პერიოდის სახელოვან მხატვრებს. ფერმწერი და გრაფიკოსი ამას არ დასჯერდა და კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც პერსპექტივის აგების საკუთარი ვერსიები შემოგვთავაზა. სივრცული აზროვნების უნარით დაჯილდოებული ოსტატი ისე აღიქვამს პეიზაჟს, იმგვარად აგებს კომპოზიციას, რომ სრული შთაბეჭდილება იქმნება, ერთ პანია მონაკვეთში მთელ სამყაროს ხედავს. ეს რომანტიკოსის თვალთ დანახული სამყაროა, პერსპექტივით რომ აძლიერებს მშვენიერებისა და მარადისობის გაცდას. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხატვარს დიდი სიმაღლე დაუპყრია და სადაც ზემოდან აკვირდება მოვლენებს, მათაა წვეროების, ფერდობებისა და სახლების სახურავთა მიღმა მიმდინარე ცხოვრებას, პლენერსა და ურბანისტული ყოფის სურათებს მათში განფენილი საიდუმლოს ამოცნობის სურვილით ანთებული. ტილოზე მოხელთებული უზარმაზარი სივრცე, უმცირესი საგნები თუ შთამბეჭდავი მოდელები გრანდიოზულ თეატრალურ სანახაობას რომ გაგონებთ, დამთვალეირებელს სპექტაკლში მონაწილეობის ილუზიას უქმნის. ზუსტად გამოსახული დეტალები, ფერწერის ტექნიკის სრულყოფილი ფლობა ვ. კანდელაკის უსაზღვრო შემოქმედებით შესაძლებლობებზე მეტყველებს: „ტილოზე ყოველთვის წარმოუდგენელი სიზუსტით გადამქონდა უმცირეს დეტალებში შესრულებუ-

ლი ფაქტები, სადაც ყველაზე პატარა, თითქოსდა მეორეხარისხოვან დეტალს თუ საგანს, როგორც უმთავრესს, ისე გამოკვეთილად გამოვსახავდი“, შენიშნავს მხატვარი.


ძიების პროცესში გაჩენილი სიურრეალისტური ჩანართები, ისევე როგორც უაღრესად ექსპრესიული აბსტრაქტული განზოგადებანი, მშვენიერად ენერება ვ. კანდელაკის მხატვრობაში, ამდიდრებს და მიმზიდველობას მატებს ფაქტურას, შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევს ფერმწერს.

პოსტმოდერნული ეპოქის ადამიანის მიერ ეკლექტური აზროვნებისკენ სწრაფვა, ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედების ერთი წახნაგი, სინამდვილის ასახვისა და სხვადასხვა მხატვრული ამოცანის გადაჭრის თავისებურებას განსაზღვრავს. ვლადიმერ კანდელაკის ტილოებზე ასახული, მთის სოფლებისა თუ ძველი ქალაქის პეიზაჟების სილამაზით შთაგონებული ესოდენ ნაცნობი და ახლობელი გარემო, გულწრფელად გაცხებთ და მრავალჯერ ნანახის ხელახლა აღმოჩენის სიხარულით გავსებთ.

ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები დღეს მსოფლიოს მრავალ მუზეუმსა და კერძო კოლექციას ამშვენებს. საერთაშორისო აღიარება მას ნონკონფორმისტ მხატვართა უდიდესი კოლექციის მფლობელის, ცნობილი ამერიკელი მეცენატის, ნორტონ დოჯის მხატვრობისადმი საქმიანმა, გააზრებულმა პოლიტიკამ მოუტანა. მან ქართველი მხატვრის შემოქმედება შეისწავლა, ნამუშევრები შეისყიდა, გამოფინა, დააფინანსა შესანიშნავი ალბომის — „ორ სამყაროს შორის“ — გამოცემა და დიდ ასპარეზზე გაიყვანა, სანიმუშო ადამიანური თანადგომა გამოიჩინა მის მიმართ. ნორტონ დოჯის დამსახურებაა, რომ დღეს ქართველი მხატვრის ნამუშევრები ცნობილი ნონკონფორმისტების: ანატოლი ზვერევის, ილია კაბაკოვის, მიხეილ შემიაკინისა და სხვათა — გვერდით მოიხსენიება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ კანდელაკმა მეორე ავანგარდად წოდებულ მიმდინარეობას საკუთარი მტკიცე ხელი დააჩნია და დამოუკიდებელი მხატვრული სამყარო შექმნა — ორ სამყაროს შორის მოქცეული ვლადიმერ კანდელაკის კუნძული, რომელსაც ყველასგან გამოარჩევთ.

ახლახან ამერიკიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა, ცნობილი მეცენატი, კოლექციონერი, მკვლევარი და მრავალი კეთილი საქმის წამომწყები ნორტონ დოჯი გარდაიცვალა. ქართულმა კულტურამ დიდი ქომაგი დაკარგა.

ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედება, მის მიერ წლობით ნაგროვები სხვადასხვა უნიკალური კოლექცია ყურადღებას ითხოვს. ერთადერთ შემკვიდრებად მას მშობელი ქვეყანა ეგულება. შესანიშნავი ფერმწერისა და მოღვაწის ხმა აუცილებლად გაგონილ უნდა იქნას, რათა მომავალში, კიდევ ერთხელ, დედასამშობლო მხატვარს დედინაცვლის როლში არ მოველინოს.



ნინო დეკანოიძე

ნამდვილი ლიტერატურის მადლი

19 აპრილს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური აღზრდის ცენტრში გაიმართა **ვახტანგ ჭელიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

კიდევ რომ მოინადინო და ბეჯითად ამოკრიბო თითოეული გამომსვლელის სიტყვა, ამ დიდი მოღვაწის მოსაგონებლად თქმული, მაინც გაძნელება იმ საერთო განწყობისა და სულისკვეთების გადმოცემა, რითაც მთლიანობდა დარბაზი.

გრანდიოზული თუმცა არაფერი გახლდათ. საღამო წარმართა სადად, გულითადობითა და სასიამოვნო გულახდილობით, კიდევ იმ ნოსტალგიით, რომ ვახტანგ ჭელიძისნაირი დიდი ადამიანები სანთლით საძებნელი გახდნენ. ყველაფერი ითქვა მოზომილად, ისე როგორც შეეფერებოდა მწერლის ძვირფას სახელს და შეგეცოდებოდათ ახალგაზრდობის ის მცირე შემადგენლობა, სულმოკლეობამ რომ სძლიათ და ერთიმეორის მიყოლებით კარში გაილაღნენ, ალბათ უკეთესი სიტყვის გასაგონად...

ლონისძიებს უძღვებოდა ერეკლე სალიანი, ერთი კონკრეტული პროფესიით ამ ადამიანის წარმოჩენა გაძნელებულია ყოველთვის, სარედაქციო მასალის მომზადებისას, თუმცა რაც არაა სიმართლეს მოკლებული, შეიძლება აღინიშნოს თამამად, მისდამი კეთილგანწყობილია ყველა — დედაქალაქის ელიტარულ-ეგზალტირებული ძლიერი ფრთა თუ სოფლელობამოუშუშებელი სენტიმენტალური მოქალაქენი.

ასევე სიტყვა ტრადიციულად ლონისძიების წარმართველმა ირგუნა. ისაუბრა, ამღვრეული დროის დინებისას — როცა იკარგება ყველაფერი: საკუთარი ეზო, სახლი, კარ-მიდამო, განყდომანება კავშირი ფესვებთან — ნამდვილი მწერლის, ნამდვილი ლიტერატურის მიერ მონიჭებულ მადლზე. აღნიშნა, რომ ამ მადლსა და სიბრძნეს მკითხველი ვახტანგ ჭელიძის დიდებულ შემოქმედებასთან გამუდმებით ეზიარება.

ორატორს მოუხსენებელი არ დარჩენია დიდი მწერლის მოღვაწეობის არცერთი მხარე — ვახტანგ ჭელიძე ჩინებული ესეისტი, უბადლო „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ავ-



ვახტანგ ჭელიძე

ტორი, მაჩაბლის ტრადიციების გამგრძელებელი და ინგლისურენოვანი კლასიკის ქართულად ამმეტყველებელი; აგრეთვე უაღრესი განსწავლულობით რჩეული, მაღალი რანგის რედაქტორი. თავის დროზე ჟურნალ „ცისკარსა“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას ასპარეზი რომ გაუშალა და ამნაირად შექმნა უდიდესი სკოლა, ნებისმიერი პრესტიჟული სასწავლებელი მიმსგავსებასაც რომ იოცნებებდაო — დასძინა ერეკლე სალიანი და მიკროფონთან მიიპატიჟა **როსტომ ჩხეიძე**, როგორც დიდი მასწავლებლის კვალში მდგომი და როგორც რე-

დაქტორი, მისი ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი. ჩვეულებისამებრ, მრავლის მიქმელი და ლაკონური სიტყვა გამომსვლელმა ერთი ლიტერატურული ფორმულით სრულყო — ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა; და აგრეთვე მოიხილა ვახტანგ ჭელიძის მრავალფეროვანი შემოქმედება — ამოუწურავი ნაღვანი. რასაც კი ხელი მოჰკიდა, მხოლოდ კვალი კი არ დაატყო, შედეგებად დაგვიტოვა, როგორც ქრესტომათიული ნიმუშები. როსტომ ჩხეიძემ შეწყვეტილი ნაწარმოები, ავტობიოგრაფიული რომანიც ახსენა ვახტანგ ჭელიძისა, სადაც ბავშვობის ხანაა გაცოცხლებული და გამოთქვა სინანული, შემდგომი ფიქრების ფურცლებზე გადანა რომ ვეღარ მოასწრო ავტორმა.

ამ ბოლო დროს ხმაში შეპარული, თუმცა მისთვის შეუფერებელი პესიმიზმით ნაიცდინა სიტყვა **ჯანსუღ ჩარკვიანი**. ხოლო, როცა დარბაზმა ნაუყრუა და არ დაუჯერა, კვლავ ჩვეული რიხი დაიბრუნა. საგანგებოდ გა-

იხსენა სადღეგრძელო, თამაღობისას ასე ვამბობდი: „იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ჩვენთან იყო და სიცოცხლე გვიადვილებდა, ნავიდა და სიკვდილს გვიადვილებსო“. მოგონება კი დაამშვენა ერთიერთმანეთზე უკეთესი ეპითეტებით: ჭეშმარიტი, მართალი, უტყუარი, ძლიერი და გმირულად პირქუში — ასეთი რომ არ ყოფილიყო, არც ჩვენი თაობა იქნებოდა და თავისი პიროვნული ხასიათით ვახტანგ ჭელიძე აფერადებდა 60-იანელთა ლიტერატურულ ცხოვრებასო.

გენო კალანდია სიტყვით გამოსვლისას ძმას, ზაურს მოისაკლისებს, ბოლო ორი ათეული წელიწადი ვინც ურედაქტორა „ცისკარს“, დახურვასაც ბევრჯერ გადაარჩინა და კვლავ იტყვის ვახტანგ ჭელიძისეულ ჟურნალზე, როგორც საყდარში, ისე შევდიოდით „ცისკრის“ რედაქციაში.

უსაზღვრო მადლიერება ათქმევინებს **მაკა ჯოსაძეს** — დიდი მავსტროსადმი დიდი სიყვარული მთელი ცხოვრება არ გამინელდებაო. საკუთარ ბიოგრაფიულ ეპიზოდებზე რომ ააგებს სიტყვას, მხოლოდ იმიტომ უკეთ გამოკვეთოს, თუ როგორი უხმაურო თანადგომა და გაფრთხილება იცოდა მავანთაგან უსამართლოდ შერისხული ნიჭიერი ახალგაზრდებისა. თუ შეგიყვარებდა, აბსოლუტურად გენდობოდაო. ტკბილად მოსაგონარი მრავლადაც

შემორჩენია. განსაკუთრებით, ბიჭვინთური საღამოები მწერალთა დასასვენებელ სახლში. ვახტანგ ჭელიძე და მისი სათნო, მშვენიერი მეუღლე ვალია ტატიშვილი, თვითონაც რომ იყო შესანიშნავი მთარგმნელი და ავტორი საბავშვო მოთხრობებისა.

ტარიელ ხარხელაური — სანდო და ვაჟკაცურად ახმიანებული საკუთარი ლექსით შეუერთდა ღონისძიებას. მოგონებები არც **თამაზ ხმალაძისათვის** იყო ძნელად გასახსენებელი. წლების წინათ, ეროვნული სულისკვეთებით ნასაზრდოებ საავტორო გადაცემაში „ენაი შემკული და კურთხეული“, ბევრჯერ უმასპინძლა ვახტანგ ჭელიძეს „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ გამო. **რუსუდან ბურჯანაძე** ფასეულობათა გადაფასების უმკაცრესი ეპოქიდან ვახტანგ ჭელიძის პროფესიონალიზმს და განსაკუთრებულ სულიერების სიღრმეზე იტყვის ნოსტალგიურად და ემოციურად, **ნანა ტონიამ** — ანტიკური ლი-

ტერატურის აღიარებულმა მთარგმნელმა, პროფესიული ჭრილიდან ისაუბრა ვახტანგ ჭელიძის მდიდარ მთარგმნელობით მოღვაწეობაზე.

უშუალობით გამორჩეული **თამუნა მარგიანის** (რევაზ მარგიანის ქალიშვილის) სიტყვა განსაკუთრებულად სასიამოვნო მოსასმენი გახლდათ. აღსანიშნავია ამთავითვე, ცოტაც რომ მოინადინოს და მოგონება წერილობით გააფორმოს, შემატებს სხივს ვახტანგ ჭელიძის მდიდარ ბიოგრაფიას.

დასასრულ, საამბობლად დარჩა ის, რითაც დრო და დრო ღონისძიება მშვენდებოდა. მსახიობი **გია ჯაფარიძე** შეეცადა ავტორისეული თვალთა და განცდით წაეკითხა ლიტერატურული პორტრეტები, რის გამოც, აუდიტორიის აღფრთოვანება მოიპოვა. ხოლო ანსამბლების „კვირისასა“ და „თამარიონის“ მიერ დაგუგუნებულმა ხალხურმა სიმღერებმა ჩვეული სიყვარულით გათბარი საღამო, დიდი კაცის სახელზე გამართული, იმედიანად დაასრულა.

სალალოპო

მურმან ბულათურქია

ტკბილი და საამური კვამლი

ვაკის პარკთან სიყრმის მეგობარი შემოეყარა დემეტრეს. გადაეხვია, გადაკოცნა დიდი ხნის უნახავი ძმა და ღვიძლ ძმაზე უფრო ძვირფასი. რას შერეები, როგორა ხარ, რასა იქმო, — ნრფელი გულით ჩაეკითხა. ღვიძლს ვუჩივიო, მიუგო სიყრმის მეგობარმა, ნაღვლის ბუშტმაც შემანუხაო. დემეტრემ არც კი იცოდა, საერთოდ ჰქონდა თუ არა ნაღვლის ბუშტი ანდა ღვიძლი. არასოდეს შენუხებულა მათგან და საიდან ეცოდინებოდა?!

გაუკვირდა თავისი სიყრმის მეგობრის ნუნუნი. დაჯექი, ჭამე, სვი და იმხიარულე, მეტი რაღა გინდა, უფალმა ასეთი ზღაპრული სამშობლო გინყალობა, ყველაზე ლამაზი, ყველაზე მაგარი, ყველაზე უნიჭიერესი შვილებით დასახლებული სამშობლო და ნეტავი რა განუწუნებს, დალოცვილო?! ვუძლებო, რომ უბნობ, რას უძლებ დალოცვილიშვილო, ამ სილამაზეს და ამ ნიჭიერებას უძლებ? ღმერთს რატომ სცოდავ, როცა ამბობ, ღვიძლს ვუჩივი და ნაღვლის ბუშტი მანუხებსო. რა დროს ღვიძლი და ნაღვლის ბუშტია, ამქვეყნად ძლივს ერთხელ მოსულხარ და დატკბი ძღომამდე, ისიამოვნე, გაიხარე და სხვაც გაახარე — გინდ ქალი, გინდ კაცი, შენი ნებაა! რატომ არ გეამაყება, რომ მილიონი ვარიანტიდან მანცდამანც ქართველად გაგაჩინა განგებამ? ხო შეიძლება, ფინელად ან დანიელად დაბადებულიყავი, მაშინ რაღა გეშველებოდა, მაშინ ნახავდი ნაღვლის ბუშტსაც და ღვიძლსაც — როგორ აგტკივდებოდნენ! იმას უძლებ შე კაი დედამამიშვილო, რომ ულამაზესი სამშობლო მხარე გერგო წილად, ედემის დარი? რას უძლებ, თრავგის ჭალებს და ალაზნის ველს უძლებ? კავკასიონის თოვლისქუდა მწვერვალებს უძლებ? სიმღერად ქცეულ ქვეყანას უძლებ? თერგის სირბილსა და ღრიალს, მტკვრის იდუმალ ჩურჩულს და ენგურის მრისხანებას უძლებ? ერთი მითხარი, სად არის სხვაგან ასეთი თერგი და ასე-

თი მტკვარი?! რას უძლებ, ლექსებად ამოხეთქილ ქართულ ზმანებებს უძლებ? მსოფლიოში ულამაზეს ბანოვანთა თვალების ბრიალს უძლებ თუ გულადი, პურადი, შავი ბედის მორკინალი ხალხის შვილობას?!

ცხადმიც და ძილშიც იმეორებდა დემეტრე ოდისევსის მხურვალე სიტყვებს: „არსად მინახავს და არც მეგულება ჩემს მამულზე უფრო ტკბილი ქვეყანა“ და იმავე გმირის წარმოთქმულთაგან ისიც მშვენიერად ახსოვდა, რომ მამულზე ძვირფასი არა არის რა ამქვეყნად კაცისათვის, თუნდაც სვინანად და უზრუნველად ატარებდეს ნუთისოფელს სამშობლოდან დაშორებით. და სანატრელად ისლა რჩება უბედურს, რომ ერთხელ მაინც მოჰკრას თვალი მშობელი მინიდან ცაში ავარდნილ კვამლს და მერე გინდაც მოკვდეს...

ჩვენში გავრცელებული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს ჩვენი დემეტრე მართლაც რომ გიჟი იყო „ოდისეასი“. დღენიდაგ ოცნებობდა, რომ დამსგავსებოდა ჰომეროსის მრავალჭირნახულ და მძლეთამძლე გმირს, ერთი ყლუპი იმისი წყალი გადასხდომა, მაგრამ სადა ხარ, ვის დაკარგვიხარ, ოდისევსობა ეგრე იოლი რომ იყოს, ყოველი კვაჭი კვაჭანტირადე იოდისევსებადა.

რას არ უძლებდა ის გმირთაგმირი, არც ღვიძლს უჩიოდა და არც ნაღვლის ბუშტს შეუნუხებია ხიფათითა თუ ცდუნებებით გადაჭედულ გზაზე. გულმხეცი პოლიფემე, გრძნეული ცირცე, სცილა და ქარიბდა, ციკლოპები, ლესტრიგონები... მაგრამ ყველაზე საზარელი, ალბათ, ლოტოფაგების ქვეყანა იყო. ოდისევსის მხლებლებმაც, იქაურობის დასაზვერად რომ გაგზავნა, იგემეს თაფლზე უტკბესი ლოტოსი და მისივე ყველაფერი დაავინყდათ, უკან მობრუნება აღარ ინებეს, დაავინყდათ, ვინ იყვნენ და რომელ გზას ადგნენ, ოდისევსიც დაავინყდათ და სამშობლოც. ერთადერთი ისლა სურდათ, რომ ლოტოფაგებთან დარჩენილიყვნენ და დაუსრულებლივ ეჭამათ, ეჭამათ და ეჭამათ ლოტოსი. თუკი ერთხელ მაინც იგემებდი ლოტოსს, სამშობლოს კვამლი, ტკბილი და საამური კვამლი აღარ მოგენატრებოდა.

დაიხ, გიჟივით უყვარდა „ოდისეა“. პოეზიის უზომოდ ტრფივალს გულით ენადა, რომ ლექსად გარდაეთქვა იგი საუნჯე. პოეზიას სხვა მადლი აქვსო. აბა ვეფხისტყაოსნისი პროზად რომ თარგმნონ, ვთქვათ, ამერიკულ ენაზე, იქიდან რაღა დარჩებაო? რა და ესე ამბავი სპარსული, ამერიკულად ნათარგმანებო.

ყველანი პროზად თარგმნიანო, თავს იმართლებდნენ ღვანღოსილი ქართველი მთარგმნელები ჰომეროსისა. ფრანგები და იტალიელები, ინგლისელები და გერმანელები — ჩვენი ხორციელი და სულიერი ძმანი ევროპელები. მეტი ვინლა დაემონებინათ? დემეტრე ცხარობდა: ეგ რა თავის მართლებასა, მთარგმნელთა მაგალითადა ფრანგებს და იტალიელთ რომ დამისახავთო. ჩვენ კი არ უნდა მივბაძოთ ვინმეს, იმათ უნდა თქვან, აგერ ქართველები ლექსად თარგმნიან და ჩვენც მაგათ უნდა მივბაძოთო. უნიჭოებმა — ნიჭიერებსო!

დიახ, დიდი სიყვარული აიძულებდა, რომ ქართულ ლექსად აემეტყველებინა ჰომეროსის „ოდისეა“. წვალობდა და ჯახირობდა: კვამლი, მშობლიურ მიწას რომ სწყედება, რა ტკბილი არის და საამური... ანდა: კვამლი, მშობლიურ ზეცას რომ სწყედება, რა ტკბილი არის და საამური.

გონების ძალა ვერა სძლევდა თითქოსდა მარტივ არჩევანს — რომელი ვარიანტი სჯობდა, პირველი თუ მეორე. მთელ პოემად უღირდა ტკბილი და საამური კვამლი მამულისა. გიჟივით უყვარდა ჰომეროსი, პირველი პოეტი, რომელმაც იგრძნო სიტყბო მამულის კვამლში. გიჟდებოდა ოვიდიუსზე, რომელმაც ეშხინანად გაიმეორა, ტკბილია კვამლი მამულისაო. ოკუპანტ გრიბოედოვის მიხედვით როგორ დაიმონებდა მამულის კვამლის სიტყბობას?! და თუკი მტერი აიძულებდა, მაინცდამაინც რუსულად რატომ დაიმონებდა? სხვას რომ თავი დაეანებოთ, აიღებდა და ე. წინამძღვაროვის ქართულ თარგმანს (1853 წ.) დაიმონებდა: ოდისევს მამულის კვამლიც ეტკბილება და ეამებო.

ანკი იმას როგორ ირწმუნებდა, თითქოს მამულის კვამლი, ტკბილზე ტკბილი და სასიამოვნო, ისე აუხვევდა თავლებს, რომ დააბრმავებდა და თავისი ქვეყნის არნახულ ბედნიერებას ველარ დაანახებდა.

სძულდა, ჭირის დღესავით სძულდა დემეტრეს ეს გარყვნილი ლოტოფაგები და მათი თაფლზე უტკბესი ლოტოსი. მამულის კვამლით მთვრალი დემეტრე აღარავის და აღარაფერს ეპუებოდა. იცოდა, მშვენივრად იცოდა, რომ ზურგსუკან სამშობლო ედგა, ერთადერთი და განუმეორებელი!

დიახ, დემეტრე ერქვა და არა მოსკოვურ-მოსკვითურ „დიმიტრი“. მისთვის დიმა ან ძიმა რომ დაეძახათ, ხელ-ფეხს დაგამტრევდათ, აღშფოთებითა და მრისხანებით პირთამდე აღვსილი.

იმ დღეს, სიყრმის მეგობარი რომ შემოეყარა, სასტიკად ცხელოდა. იდგა თბილისური საზიზღარი ზაფხული. ვერც ტკბილს დაარქმევდი და ვერც საამურს, მაგრამ დემეტრეს ერთი ბენოზეც არ ანუხებდა. წვიმაში, ქარში, ყინვაში მარად-ყამს ეამებოდა სამშობლო. არ არსებობდა ავდარი, თუკი სამშობლოში ეგულებოდა თავი.

ახლა სიყრმის მეგობართან ერთად იდგა ვაკის პარკის გაჩერებაზე და ავტობუსს ელოდა. არც ნაყინი ჩანდა ახლომანლო, არც ლუდი. დნებოდა ასფალტი. შრებოდა ხახა. ოფლად იღვრებოდა პირველი სატახტო ქალაქი.

ავტობუსი რატომღაც იგვიანებდა. ბოლოს და ბოლოს მოვიდა უსაშველოდ გაჭედილი. დემეტრეს სიყრმის მეგობარმა ამ უსაშველო ჭედვაში ასვლა არ ინება. სული შეგვეხუთება, ამოვიხრჩობითო. ახლა არომატი თქვი ასეთ პაპანაქებაში, თუკი მავას არომატი ეთქმისო. დემეტრე უსაზღვრო გაცივებამ შეიპყრო. ძლივს ამოიღულულა: რა მოხდა მერე, ავტობუსში ხომ ქართველები სხედანო!

ფიქრით ისევ იქ იყო — ჰომეროსის სამყაროში და თავი ოდისევსი ეგონა. ენატრებოდა მშობლიური ითაკის ტკბილი და საამური კვამლი. იმ გადაჭედილ ავტობუსში დატრიალებული არომატი კი არ აშინებდა. საქმე საქმეზე რომ წასულიყო, ყველა შანელსა და დიორს ერჩივნა.



შირი ჯეკსონი

ორი ნოველა

ნამო, მცეკვე ირლანდიაში*

ზარმა რომ დარეკა, ახალგაზრდა მისის არჩერი საწოლზე იჯდა ქეით ვალენტინისა და მისის ქორნისთან ერთად, ჭორაობდა და თან ზავშეს ეთამაშებოდა.

„ოჰ, ღმერთო ჩემო“, — ნამოიძახა მისის არჩერმა. ნავიდა და თითი გარეთა კარების ღილაკს დააჭირა. „მაინცდამაინც მიწისპირა სართულზე უნდა გვეცხოვრა!“ — გასძახა ქეითის და მისის ქორნს. „ვისაც გაეხარდება, ყველა ჩვენს ზარს რეკავს“.

როცა შიდაკარის ზარმა დარეკა, მისის არჩერმა კარი გააღო და დაინახა პოლში მდგარი ბერიკაცი. გრძელი, გაქუცული შავი ლაბადითა და ოთხკუთხედად შეჭრილი თეთრი წვერით. ხელში ერთი ასხმა ფეხსაცმლის თასმა ეკავა.

„ოჰ“, — თქვა მისის არჩერმა. „ოჰ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ...“

„მადამ“, — თქვა კაცმა. „გამოიჩინეთ გულმონყალება, ერთი წყვილი ერთ ნიკელად“.

მისის არჩერმა თავი გაიქნია და უკან დაიხია. „ვშიშობ, რომ ვერ შევძლებ“, — თქვა მან.

„რა გაეწყობა, მაინც გამდლობთ, მადამ, რომ ასე თავაზიანად მელაპარაკეთ. პირველი ადამიანი ხართ მთელ ამ კვარტალში, რომელიც ასე გულლიად თავაზიანი იყო საბრალო ბერიკაცის მიმართ“, — თქვა მან.

მისის არჩერი კარის ღილაკს ნერვიულად ატრიალებდა. „საშინლად ვწუხვარ“, — თქვა მან. შემდეგ, როცა ბერიკაცი წასასვლელად შებრუნდა, მისის არჩერმა თქვა, „ერთი წუთით მოიცადეთ“, და საწოლი ოთახისკენ გაეშურა. „ფეხსაცმლის თასების გამყიდველი მოხუცი კაცია“, ნაიჩურჩულა მან. კომოდის ზედა უჯრა გამოსწია, ამოიღო საფულე და ხურდა ფულის ქისაში ხელი მოაფათურა.

„თხუთმეტინია“, თქვა მან. „როგორ ფიქრობ, საკმარისია?“

„რა თქმა უნდა“, — თქვა ქეითი. „ალბათ იმაზე მეტიცაა, რასაც მთელი დღის განმავლობაში შოულობს“. ქეითი და მისის არჩერი ერთი ხნისა იყვნენ და თან გაუთხო-

* სათაური აღებულია უ.პ. იეიტსის სასიმღერო ლექსების ციკლიდან. ლექსი XX „მე ირლანდიიდან ვარ“.

ვარნიც. მისის ქორნი ტანსრული ორმოცდახუთს მიტანებული ქალი იყო. ორივე ამ სახლში ცხოვრობდა და ჩვილი ბავშვის გამო დროის უმეტეს ნაწილს მისის არჩერთან ატარებდა.

მისის არჩერი წინაკართან დაბრუნდა. „ინებეთ“, თქვა და ფული გაუწოდა. „ჩემი აზრით, სამარცხვინოა, რომ სხვები ასე უხეშად მოგექცნენ“.

ბერიკაცს უნდოდა ფეხსაცმლის თასმების შეთავაზება, მაგრამ ხელები უკანკალეზდა და თასმები ძირს დაეყარა. კედელს მძიმედ მიეყრდნო. მისის არჩერი თავზარდაცემული უყურებდა.

„ღმერთო ჩემო“, წამოიძახა და ხელი გაიწვინა... როცა თითებით ჭუჭყიან, ძველ ლაბადას შეეხო, შეეყოყმანდა. მერე კი ტუჩები მჭიდროდ მოკუმა, მკლავი მკლავში გაუყარა და შეეცადა კარში გასასვლელად დახმარებოდა. „გოგოებო“, დაიძახა მან. „მოდი, ჩქარა, მომეხმარეთ!“

ქეთი სირბილით გამოვიდა საწოლი ოთახიდან და თან ეკითხებოდა, „შენ დაიძახე, ჯინ?“ მერე კი ადგილზე გაქვავდა თვალგამტერებული.

„ახლა რა ვქნა?“ იკითხა მისის არჩერმა. იდგა და თან ბერიკაცის მკლავში მკლავი ჰქონდა გაყრილი. მოხუცს თვალები დაეხუჭა და ჩანდა, რომ მისის არჩერის დახმარებით ფეხზე წამოდგომას ვერ შეძლებდა. „ღვთის გულისათვის, მეორე მხრიდან დაიჭირეთ“.

„სკამთან ან რამესთან მიიყვანეთ“, თქვა ქეთიმ. ჰოლი იმდენად ვიწრო იყო, რომ სამივე გვერდიგვერდ სიარულს ვერ შეძლებდა. ასე რომ, ქეთიმ მეორე მკლავში ჩაკიდა ხელი ბერიკაცს და მისის არჩერი და ბერიკაცი სასტუმრო ოთახში გვერდულად შეიყვანა. „კარგ სკამზე არ დასვა“, წამოიძახა მისის არჩერმა. „ძველ ტყავის სკამზე დასვით“. ბერიკაცი ტყავის სკამზე დასვეს და უკან გადაგნენ. „ახლა რა ჯანდაბა ვიღონოთ?“ თქვა მისის არჩერმა.

„ვისკი გაქვს?“ — ჰკითხა ქეთიმ. მისის არჩერმა თავი გაიქინა. „ცოტა ღვინო მაქვს“, — თქვა ყოყმანით.

ოთახში მისის ქორნი შემოვიდა, ხელში ჩვილით. „ღმერთო დიდებული“, თქვა მან, „მთვრალია!“

„რა სისულელეა“, თქვა ქეთიმ. „ჯინი რომ ყოფილიყო, უფლებას არ მივცემდი, რომ აქ მოეყვანა“.

„ბლანშე, ბავშვს მიხედე“, თქვა მისის არჩერმა. „რა თქმა უნდა“, თქვა მისის ქორნმა. „ჩვენ ისევ სა-

წოლ ოთახში მივდივართ, ჩემო ტკბილო“, უთხრა ბავშვს. „მერე ჩავწვებით ჩვენს საყვარელ, პანანინა საწოლში და ნანას გავაკეთებთ“.

ბერიკაცი შეირხა და თვალები გაახილა. წამოდგომას შეეცადა.

„დარჩით, სადაც ხართ“, უბრძანა ქეთიმ. „მისის არჩერი ცოტაოდენი ღვინის მოტანას აპირებს. ხომ გნებავთ, არა?“ ბერიკაცმა ქეთის ასხედა. „გმადლობთ“, თქვა მან.

მისის არჩერი სამზარეულოში გავიდა. ერთი წუთის ფიქრის შემდეგ ნიჟარის ზემოთ მდგარი ჭიქა აიღო, წყალი გამოავლო და ხერესი ჩაასხა. ხერესიანი ჭიქა სასტუმრო ოთახში წაიღო და ქეთის მიანდოდა.

„მოგეშველოთ თუ თქვენ თვითონ დალევთ?“ ჰკითხა ქეთიმ ბერიკაცს.

„უალრესად კეთილი ბრძანდებით“, თქვა ბერიკაცმა და ხელი ჭიქისკენ გაიწვინა. ქეთის მყარად ეჭირა ჭიქა, ბერიკაცმა მონრუპა და შემდეგ ხელის კვრით მოიცილა.

„საკმარისია, გმადლობთ“, თქვა მან. „საკმარისია ჩემს გამოსაცოცხლებლად“. წამოდგომა სცადა. „გმადლობთ“, უთხრა მისის არჩერს „და თქვენც გმადლობთ“,

მიმართა ქეთის. „სჯობს გზას გავუდგე“.

„სანამ არ მოლონიერდებით და ფეხზე არ დადგებით, ვერსად ვერ წახვალთ“, თქვა ქეთიმ. „თავს ძალას ნუ დაატანთ“.

ბერიკაცმა გაიღიმა. „შემიძლია თავს ძალა დავატანო“, თქვა მან.

მისის ქორნი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. „ბავშვი დავანვინე“, თქვა მან. „და ეს-ესაა ჩაეძინა კიდევ. ახლა თავს უკეთესად გრძნობს? დაგენაძლევებით, რომ უბრალოდ მთვრალი იყო ან მშიერი, ან მსგავსი რამ“.

„რა თქმა უნდა“, თქვა ქეთიმ, რომელსაც ამ იდეამ გონება გაუწათა. „მშიერი იყო, ჯინ, აი ამაში ვცდებოდით მთელი ამ დროის განმავლობაში. რა სულელურად მოვიქეცი. საბრალო მოხუცი ჯენტლმენი!“ მერე ბერიკაცს მიმართა. „რა თქმა უნდა, მისის არჩერი ისე არ გაგიმკვებოთ, თუ კარგად არ გაგიმასპინძლდათ“.

მისის არჩერი საკმაოდ დაეჭვებული ჩანდა. „რამდენიმე კვერცხი მაქვს“, თქვა მან.

„მშვენიერია“, თქვა ქეთიმ. „სწორედ ეგ არის საჭირო. კუჭზე მძიმედ არ დავანვებთ“, უთხრა ბერიკაცს. „და განსაკუთრებით მაშინ არის კარგი თუ არაფერი გიჭამიათ“, აქ შეეყოყმანდა, „კარგა ხანს“.



მხატვარი ნინო ხურცილავა

„მე თუ მკითხავთ“, თქვა მისის ქორნმა, „შავი ყავა არ-გებს. შეხედეთ, როგორ უკანკალებს ხელები“.

„ნერვიული გამოფიტვა“, თქვა ქეითიმ თავდაჯერებულად, „ერთი მშვენიერი ცხელი ბულონი ზედგამოჭრილი იქნება, რომ სული მოითქვას და თანაც ნელ-ნელა უნდა შესრუბოს, ვიდრე კუჭი ხელახლა შეეჩვეოდეს საკვებს, კუჭი“, უთხრა მან მისის არჩერს და მისის ქორნს, „იკუმშება, როცა დიდი ხნით ცარიელი რჩება“.

„მიჯობს არ შეგანუხოთ“, უთხრა ბერიკაცმა მისის არჩერს.

„რა სისულელეა“, თქვა ქეითიმ. „უნდა დავრწმუნდეთ, რომ, ვიდრე გზას განაგრძობდეთ, ცხელი საჭმლით კარგად დანაყრდებით“. ქეითიმ მისის არჩერი ხელკავით გაიყვანა სამზარეულოდან. „რამდენიმე კვერცხი“, თქვა მან. „ოთხი ან ხუთი კვერცხის ტაფამწვარი. მერე მე მოვიტან ნახევარ დუჟინს. არა მგონია, ბეკონი გქონდეს. იცი რას გეტყვი, რამდენიმე კარტოფილიც შენვი. გინდ ნახევრად უმიც იყოს, მისთვის სულერთი იქნება. ასეთი ხალხი კარგა ბლომად კარტოფილს და კვერცხს ერევა და“.

„ლანჩიდან რამდენიმე დაკონსერვებული ლეღვი მოგვრჩა“, თქვა მისის არჩერმა. „ვფიქრობდი, ნეტავ რა მოვუხერხობ-მეთქი“.

„უნდა გავიქცე და თვალი მივადევნო“, თქვა ქეითიმ.

„შეიძლება ისევ გული ნაუვიდეს ან სხვა რაღაც დაემართოს. შენ შეეცადე კვერცხი და კარტოფილი შენვა. მე კი ბლანშეს გავგზავნი, თუ მოვა“.

მისის არჩერმა თვალთ მოზომა ყავა ორი ფინჯნისათვის და ყავადანი ქურაზე დადგა. მერე ტაფა აიღო. „ქეითი“, თქვა მან. „ცოტა არ იყოს და შენუხებული ვარ. ვაითუ მართლაც ნასვამია. იმას ვგულისხმობ, რომ ვაითუ ჯიშმა შეიტყოს ამის შესახებ, თან ბავშვიც აქ არის და ყველაფერი ერთად...“

„ასე რატომ ამბობ, ჯინ“, თქვა ქეითიმ. „მგონი, ცოტა ხნით სოფელში ცხოვრება არ განყენდა. ქალები ყოველთვის აპურებენ მშიერ ადამიანებს. და სულაც არ არის აუცილებელი ჯიშს გავაგებინოთ. მე და ბლანშე ნამდვილად არაფერს ვეტყვი“.

„კეთილი“, თქვა მისის არჩერმა. „დარწმუნებული ხარ, რომ ნასვამი არ არის?“

„შეგხედავ თუ არა, მაშინვე ვცნობ მშიერ კაცს“, თქვა ქეითიმ. „როცა ასეთი ბერიკაცი ფეხზე ვერ დგება, ხელები უკანკალებს და ასე უცნაურად გამოიყურება, ეს ნიშნავს, რომ შიმშილით კვდება. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — შიმშილით კვდება“.

„ოჰ, ღმერთო ჩემო“, — თქვა მისის არჩერმა. ნიჟარის ქვეშ მდგარ ჭურჭლის კარადისკენ გაეშურა და ორი კარტოფილი გამოიღო.

„როგორ ფიქრობ, ორი საკმარისია? ვფიქრობ, მართლაც კეთილ საქმეს ვაკეთებთ“.

ქეითიმ ჩაიხიბოთია. „ნამდვილი გოგო სკაუტების გუნდი ვართ“, სამზარეულოდან გასასვლელად გაემართა, მერე შედგა და შემობრუნდა, „ღვეზელი გაქვს? ისინი ყოველთვის ღვეზელს ჭამენ“.

„გვაქვს, სადილისთვის“, თქვა მისის არჩერმა.

„აჰ, ბერიკაცს აჭამე“, თქვა ქეითიმ. „ჩვენ უიმისოდაც იოლად გავალთ და მერე, როცა ის წავა, ვიყიდი“.

კარტოფილის შეწვამდე მისის არჩერმა სამზარეულოს

კუთხეში მდგომ მაგიდაზე დადო თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, დანა, ჩანგალი და კოვზი. შემდეგ, თითქოს თავში ახალმა აზრმა გაუელვავა, ჭურჭელი მაგიდიდან ააღაგა, კარადიდან ქალაღის პარკი გამოიღო, შუაზე გახია, მაგიდაზე დააფინა და ჭურჭელი ხელახლა დაანყო. ჭიქა მოიტანა და მაცივრიდან გამოღებული ბოთლის წყლით აავსო, სამი ნაჭერი პური ჩამოჭრა, თეფშზე დადო, მერე პურის თეფშს კარაქის პატარა ოთხკუთხედი ნაჭერი მიუდო. კარადის უჯრიდან ქალაღის ხელსაწმენდი ამოიღო და თეფშთან დადო. ერთი ნუთის შემდეგ ისევ აიღო ხელსაწმენდი, სამკუთხედად გაკეცა და ისევ უკან დადო. ბოლოს საპილპილე და სამარილე დადგა მაგიდაზე და ყუთიდან კვერცხები ამოალაგა. კართან მივიდა და გასძახა, „ქეითი! ჰკითხე როგორ უნდა რომ კვერცხი შევუნვა?“

სასტუმროდან ჩურჩული გაისმა და ქეითიმ გამოსძახა, „მხოლოდ ცალ მხარეს შენვი!“

მისის არჩერმა აიღო ოთხი კვერცხი, მერე კიდევ ერთი დაამატა და სათითაოდ დაახალა ტაფაზე. როცა კვერცხი მზად იყო, გამოსძახა, „კარგით, გოგოებო! შემოიყვანეთ!“

მისის ქორნი სამზარეულოში შემოვიდა, შეამონმა თეფში, რომელზეც კარტოფილი და კვერცხი იდო, და მისის არჩერს უსიტყვოდ შეხედა. მერე ქეითიც შემოვიდა, ბერიკაცი ხელკავით შემოიყვანა. მაგიდასთან მიიყვანა და სკამზე დასვა. „ესეც ასე“, თქვა მან. „აი, მისის არჩერმა რა მადისაღმძვრელი ცხელი კერძი მოგიმზადათ“.

ბერიკაცმა შეხედა მისის არჩერს. „დიდად მაღლობელი ვარ“, თქვა მან.

„განა მშვენიერი არ არის!“ თქვა ქეითიმ. თავი მონონების ნიშნად დაუქნია მისის არჩერს. ბერიკაცმა შეათვალიერა ომლეთიანი და კარტოფილიანი თეფში.

„ახლა ენერგიულად შეუდექით ჭამას“, უთხრა ქეითიმ.

„გოგოებო, თქვენც დასხედით. სკამს სანოლი ოთახიდან გამოვიტან“.

ბერიკაცმა ამოიღო მარილი და კვერცხს ფრთხილად მოაყარა. ბოლოს დასძინა, „მართლაც მადისაღმძვრელად გამოიყურება“.

„ბა, შეუდექით, მიირთვით“, თქვა ქეითიმ, რომელიც სამზარეულოში ხელახლა გამოჩნდა სკამით ხელში. „ჩვენი სურვილია, რომ კარგად დანაყრდეთ. ჯინ, ყავა დაუსხი“.

მისის არჩერი ქურასთან მივიდა და ყავადანი აიღო.

„ნუ შენუხდებით, გეთაყვა“, თქვა ბერიკაცმა.

„სულაც არ ვნუხდები“, თქვა მისის არჩერმა, ფინჯანი ყავით აუვსო და მერე მაგიდას მიუჯდა. ბერიკაცმა აიღო ჩანგალი და ისევ დადო. გაშალა ქალაღის ხელსაწმენდი და ფრთხილად დაიფინა მუხლებზე.

„რა გქვიათ?“ ჰკითხა ქეითიმ.

„ო'ფლეერტი, მადამ. ჯონ ო'ფლეერტი“.

„კეთილი, ჯონ“, თქვა ქეითიმ. „მე მისს ვალენტაინი ვარ, ეს ქალბატონი მისის არჩერია და ის კი მისის ქორნი“.

„მოგესალმებით“, თქვა ბერიკაცმა.

„თუ არა ვცდები, თქვენ ძველი ქვეყნიდან ხართ“, თქვა ქეითიმ.

„რა ბრძანეთ?“

„ირლანდიელი ბრძანდებით, არა?“ ჰკითხა ქეითიმ.

„დიახ, მადამ“. მოხუცმა ღრმად ჩაასო ჩანგალი ერთ-ერთ კვერცხში და აკვირდებოდა, კვერცხის გული როგორ

გადმოედინებოდა თევზზე. „მე იეიტსს ვიცნობდი“, თქვა მან მოულოდნელად.

„მართლა?“ თქვა ქეითიმ და წინ გადაიხარა.

„მოიცათ, ვგონებ მწერალი იყო, არა?“

„იყავ მონყალე, წამო, მეცეკვე ირლანდიაში“, თქვა ბერიკაცმა. მერე წამოდგა, სკამის ზურგს დაეყრდნო და მისის არჩერს პათეტიკურად დაუკრა თავი. „მადამ, ისევ და ისევ უღრმეს მადლობას გიხდით გულუხვობისათვის“.

მერე შებრუნდა და გასასვლელი კარისაკენ გაემართა. სამივე ქალბატონი წამოდგა და უკან გაჰყვა.

„მაგრამ ჯერ ხომ ჭამა არ დაგიმთავრებიათ“, თქვა მისის ქორნიმ.

„კუჭი“, თქვა ბერიკაცმა, „როგორც ამ ქალბატონმა ბრძანა, იკუმშება. დიახ, წამდვილად ასეა“. და მერე, თითქოს მოგონებებში წასულმა, გაიმეორა, „მე იეიტსს ვიცნობდი“.

როცა წინაკარს მიადგინა, შემობრუნდა და მისის არჩერს უთხრა: „თქვენი გულკეთილობა ამოდ არ ჩაივლის“. ბერიკაცმა ხელით ანიშნა იატაკზე დაცვენილ თასებზე. „ესენი“, თქვა მან, „თქვენი, თქვენი გულკეთილობისათვის გაუყავით ისინი ამ ორ ქალბატონს“.

„მაგრამ სიზმრადაც კი ვერ წარმოვიდგენდი...“ წამოიწყო მისის არჩერმა.

„დაჟინებით მოვიტხოვ“, თქვა ბერიკაცმა და თან კარი გააღო.

„ეს ის მცირე საზღაურია, რისი შემოთავაზებაც შემიძლია. თქვენ თვითონ აკრიფეთ“, დაუმატა მოულოდნელად. მერე შემობრუნდა, ცხვირზე ცერა თითი მიიღო და მისის ქორნს დაეჯღანა. „მძულს ბებრუხანები“, თქვა მან.

„კეთილი, მაგრამ!“ თქვა მისის ქორნმა მიწვევით ხმით.

„შესაძლოა თავს სმის ზედმეტ უფლებას ვაძლევდი“, უთხრა ბერიკაცმა მისის არჩერს, „მაგრამ სტუმრისათვის დამყაყბული ხერესი არასოდეს შემითავაზებია. ჩვენ სამყაროს ორ სხვადასხვა მხარეს ვეკუთვნით, მადამ“.

„ხომ ვითხარით“, ამბობდა მისის ქორნი, „ხომ სულ გამეორებდით?“

მისის არჩერი თვალს არ აშორებდა ქეითის და თან ხელის ბიძგებით ცდილობდა ბერიკაცი კარებისკენ წაეყვანა, მაგრამ ბერიკაცმა მისი არჩერი თავიდან მოიცილა.

„წამო, მეცეკვე ირლანდიაში“. თქვა მან. მერე კედელ-კედელ გაუყვა, კარი გააღო და თქვა: „და დრო კი გარბის“.*

* ეს სტრიქონიც გამოყენებულია იეიტსის ლექსიდან „წამო, მეცეკვე ირლანდიაში“.

ორაზროვნების შვილი სახეობა*

ოთახი, ნახევრად სარდაფის სართულზე, სადაც წიგნების მალაზია იყო განთავსებული, უსაშველოდ დიდი ჩანდა თაროების გრძელი მწკრივებით, რომლებიც ოთახის ორივე ბოლოში ბინდში იკარგებოდნენ; კედლების გაყოლებაზე, მაღალ კარადებზე წიგნები იყო ჩამწკრივებული და იატაკზეც გროვებდა ენყო. გვერდითა პატარა სანყობიდან ხვეული კიბე მორე სართულზე აღიოდა, სადაც მალაზიის მფლობელს და იმავდროულად გამყიდველს, — მისტერ ჰარისს პატარა სანური მაგიდა ედგა, ზედ უწესრიგოდ დაყრილი კატალოგებით, ზემოთ კი ერთი მტკრით დაბინდული ნათურა ეკიდა, რომელიც მისტერ ჰარისის მაგიდის ირგვლივ თავმოყრილ თაროებსაც ანათებდა. მოშორებით, წიგნებით სავსე მაგიდების გასწვრივ სხვა დამტვერილი ზედა ნათურები ეკიდა, რომლებიც ზონრის ჩამონევით ინთებოდა და მყიდველი თვითონვე აქრობდა, როცა გზას მისტერ ჰარისის სანური მაგიდისკენ იკვლევდა ფულის გადასახდელად და წიგნების შესაფუთად. მისტერ ჰარისს, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ნებისმიერი ავტორის თუ სათაურის მიხედვით წიგნების განლაგება გადატვირთულ თაროებზე, იმჟამად ერთადერთი მყიდველი ჰყავდა, დაახლოებით თვრამეტი წლის ყმაწვილი, რომელიც გრძელი ოთახის შორეულ ნაწილში იდგა, სწორედ ერთ-ერთი ნათურის ქვეშ და თაროზე შერჩეულ წიგნს ფურცლავდა. სარდაფის დიდ ოთახში ცოცხალი და ორივეს, მისტერ ჰარისსაც და ყმაწვილსაც, ქურთუკები ეცვათ. დროდადრო მისტერ ჰარისი მაგიდიდან წამოდგებოდა, რომ კიბის მოსახვევთან მდგარ რკინის პატარა ლუმელში ნიჩბით ცოტაოდენი ქვანახშირი შეემატებინა. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისტერ ჰარისი დგებოდა ან ყმაწვილი შებრუნდებოდა თაროზე წიგნის დასაბრუნებლად და ახლის ასაღებად, ოთახში დუმილი სუფევდა, წიგნებიც დუმდნენ დაბინდულ თაროებზე.

მერე სიჩუმე ზედა პატარა მალაზიის კარის გაღების ხმამ დაარღვია, იმ მალაზიისა, სადაც მისტერ ჰარისს გამოფენილი ჰქონდა ბესტსელერები და წიგნები ხელოვნებაზე. შემდეგ, როცა მისტერ ჰარისმა და ყმაწვილმა მიაყურადეს, ხმებიც გაისმა და გოგომ, რომელიც ზედასართულის მალაზიას ზედამხედველობდა, თქვა, „პირდაპირ კიბით ჩადით, მისტერ ჰარისი მოგემსახურებათ“.

მისტერ ჰარისი ადგა და კიბესთან მივიდა, ზემოთა ნათურა აანთო, რომ ახალ მყიდველს შეძლებოდა ქვემოთ ჩამოსასვლელი კიბის დანახვა. ყმაწვილმა წიგნი თაროზე დააბრუნა, თუმცა სმენად ქცეულს ხელი ჯერ კიდევ წიგნზე ედო.

როცა მისტერ ჰარისმა დაინახა, რომ კიბეზე ჩამომავალი ქალი იყო, თავაზიანად უკან გადგა და უთხრა: „ქვედა საფეხურთან ფრთხილად იყავით. ერთით უფრო მეტია, ვიდრე კაცს ეგონება“. ქალმა ფრთხილად ჩამოაბიჯა და ირგვლივ მიმოიხედა. ვიდრე ქალი ასე იდგა, კიბის მოსახვევთან კაციც გამოჩნდა, ფრთხილობდა, თავი დაეხარა, ქუდი დაბალ ჭერს არ გავუხახუნო. „ბოლო საფეხურს გაუფრთხილდი“ — უთხრა ქალმა წყნარი, ნკრიალა ხმით. კაცი ქალის გვერდით დადგა, თავი ასწია, რომ მასაც ირგვლივ მიმოეხედა.

„საკმაოდ ბევრი წიგნები გაქვთ“, თქვა მან.

მისტერ ჰარისმა გაიღიმა პროფესიონალის ღიმილით, „რით გემსახუროთ?“

ქალმა შეხედა კაცს, კაცი წამით შეეყუყმანდა და მერე თქვა, „საკმაო რაოდენობის წიგნების შეძენა გვინდა“. კაცმა ხელი მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია. „ტომეულების“.

„კეთილი, თუ წიგნები გნებავთ“, თქვა მისტერ ჰარისმა და ისევ გაიღიმა. „იქნებ ქალბატონმა დაბრძანება ისურვოს?“ მისტერ ჰარისი ქალს თავისი მაგიდისკენ გაუძღვა, კაცი კი უხერხულად იკვლევდა გზას წიგნებით

* უილიამ ემპსონის წიგნის სათაური.

დახუნძლულ მაგიდებს შორის, ხელები გვერდებზე მიეკრა, თითქოს უშინოდა რაიმე არ გავტყუხო. მისტერ ჰარისმა ქალს თავისი მაგიდის სკამი შესთავაზა და თვითონ კატალოგების გროვა მისნი-მოსნია და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა.

„ძალიან საინტერესო ადგილია“, თქვა ქალბატონმა ნინანდებურად წყნარი ხმით. შუახნის, სასიამოვნოდ ჩაცმული ქალი იყო; ყველაფერი ახალთახალი ეცვა, მაგრამ მისი ასაკისთვის სადად და კარგად შერჩეული და ყველაფერს მოკრძალებულობის იერი დაჰკრავდა. კაცი ზორბა და კეთილი გულის ჩანდა, სუსხიანი ჰაერისგან სახე აწითლებოდა და დიდრონ ხელებში შალის ხელთათმანები უხერხულად ეკავა.

„თქვენი ნიგნების შექმნა გვსურს“. თქვა კაცმა. „კარგი ნიგნების“.

„რაიმე განსაკუთრებულის?“ ჰკითხა მისტერ ჰარისმა. „მაინც, კერძოდ რას ინებებდით?“

კაცმა ხმამაღლა, მაგრამ შეცბუნებით გაიცინა.

„მართალი რომ გითხრათ“, თქვა მან. „ცოტა სულელურად ჟღერს, მაგრამ ნიგნებისა ბევრი არაფერი გამეგება“.

ვრცელ, სიჩუმით მოცულ მაღაზიაში, მისტერ ჰარისისა და მისი ცოლის წყნარი ხმის შემდეგ კაცის ხმა ექოსავით გაისმა.

„ჩვენ ერთგვარად იმედი გვქონდა, რომ თქვენ გვირჩევდით“, თქვა მან. „ისეთი მაკულატურა არ გვინდა, დღეს რომ გამოდის“, ყელი ჩაიწმინდა. „რაიმე, დიკენსის მსგავსი“, თქვა მან.

„დიკენსი“, ჩაილაპარაკა მისტერ ჰარისმა.

„ბავშვობაში ვკითხულობდი ხოლმე დიკენსს“, თქვა კაცმა. „ისეთი ნიგნები გვინდა, კარგი ნიგნები“.

როცა ყმანვილი, რომელიც მოშორებით, ნიგნებს შორის იდგა, მათ მიუახლოვდა, კაცმა აიხედა. „დიკენსს ხელახლა სიამოვნებით წავიკითხავდი“. თქვა ზორბა კაცმა.

„მისტერ ჰარის?“ წყნარად იკითხა ყმანვილმა. მისტერ ჰარისმა აიხედა. „დიახ, მისტერ კლარკ?“ თქვა მან.

ბიჭი მაგიდას მიუახლოვდა. „მინდა კიდე ერთხელ გავაგვიხადო ემპსონს“, თქვა მან.

მისტერ ჰარისი შემინული კარადისკენ შებრუნდა და ნიგნი მოქებნა. „აი, აიღე“, თქვა მან. „იმ დროისათვის, როცა ამ ნიგნს იყიდი, უკვე თავიდან ბოლომდე გექნება ნაკითხული“, მისტერ ჰარისმა შეკლიმა ზორბა კაცს და მის ცოლს. „აპირებს, რომ ერთ დღესაც მოვიდეს და ეს ნიგნი იყიდოს“, თქვა მან. „მაშინ ვაკვირვებისაგან ალბათ ამ საქმეს თავს დავანებებ“.

ყმანვილი შებრუნდა ნიგნით ხელში, ზორბა კაცი კი მისტერ ჰარისისკენ დაიხარა. „ვფიქრობ, ორ კარგ ტომეულს შევიძენდი, სქელტანიანს, ისეთს, როგორიც დიკენსია“, თქვა მან. „და მეერე კი ერთ ან ორ უფრო მომცრო ტომეულს“.

„და ჯეინ ეარს“, თქვა მისმა ცოლმა თავისი წყნარი ხმით. „ძალიან მიყვარდა ეს ნიგნი“, უთხრა ქალმა მისტერ ჰარისს.

„მე შემძლია ბრონტეების მშვენიერი კრებული შემოგთავაზოთ“, თქვა მისტერ ჰარისმა. „ლამაზყედიანი“.

„მინდა, რომ ლამაზად გამოიყურებოდნენ“, თქვა კაცმა. „მაგრამ სოლიდურად. მთელი დიკენსის ხელახლა ნაკითხვას ვაპირებ“.

ყმანვილი მაგიდასთან დაბრუნდა, მისტერ ჰარისს ნიგნი გაუწოდა და დასძინა: „ძალიან კარგი ნიგნი ჩანს“.

„როცა კი დაგჭირდება, ისევ იმავე ადგილას იდება“, უთხრა მისტერ ჰარისმა და კარადისკენ შებრუნდა ნიგნით ხელში. „ეს ნიგნი დიდი იშვიათობაა“.

„ვფიქრობ, აქ კარგა ხანს იქნება“, თქვა ყმანვილმა.

„მაგ ნიგნს რა ჰქვია?“ დაინტერესდა ზორბა კაცი.

„ორაზროვნების შვიდი სახეობა“, თქვა ყმანვილმა. „ნამდვილად კარგი ნიგნია“.

„ნიგნისთვის მშვენიერი სათაურია“, უთხრა ზორბა კაცმა მისტერ ჰარისს. „საკმაოდ გონიერი ბიჭი ჩანს, ასეთი დასახელების ნიგნებს რომ კითხულობს“.

„კარგი ნიგნია“, გაიმეორა ყმანვილმა.

„ნიგნების შექმნას მეც ვცდილობ“, უთხრა ზორბა კაცმა. „მინდა რომ ავინაზღაურო რაც დამაკლდა. დიკენსი ყოველთვის მომწონდა“.

„მერედითია კარგი“, თქვა ბიჭმა. „ოდესმე გიცდიათ მისი ნაკითხვა?“

„მერედითი“, გაიმეორა ზორბა კაცმა. „მოდი, დავათვალიეროთ თქვენი ნიგნები“, უთხრა მისტერ ჰარისს. „მინდა, რამდენიმე კრებული ჩემი სურვილის მიხედვით შევარჩიო“.

„შეიძლება ჯენტლმენი ქვევით ჩავიყვანო?“ ჰკითხა ყმანვილმა მისტერ ჰარისს. „მაინც უნდა დავბრუნდე ჩემი ქულისთვის“.

„ამ ახალგაზრდას წაყვები და ნიგნებს დავათვალიერებ, დედი“. უთხრა თავის ცოლს ზორბა კაცმა. „შენ აქ დარჩი და გათბი“.

„მშვენიერია“, თქვა მისტერ ჰარისმა და ზორბა კაცს მიუბრუნდა. „მან ჩემსავით კარგად იცის, სად რა ნიგნი დევს“.

ბიჭი მაგიდებს შორის გზას მიიკვლევდა. ზორბა კაცი უკან დიდი სიფრთხილით მისდევდა, რამეს არ გამოველო. ქვევით ჩავიდნენ, ჯერ კიდევე ანთებულ ნათურას და იმ ადგილსაც გასცდნენ, სადაც ბიჭმა ქუდი და ხელთათმანები დატოვა. ბიჭმა ცოტა მოშორებით მეორე ნათურა აანთო. „მისტერ ჰარისი ტომეულთა უმეტესობას აქ ინახავს“, თქვა მან. „ვნახოთ, რას შევარჩევთ“. ბიჭი ნიგნის კარადების წინ ჩაიციუცქებდა და თითებით ოდნავ ეხებოდა ჩამწკრივებულ ნიგნებს. „მაინც რამდენის გადახდა გაქვთ განზრახული?“ იკითხა მან.

„საკმაო თანხა მაქვს გამოყოფილი ნიგნებისათვის“, თქვა ზორბა კაცმა, თან თითით ეხებოდა მის წინ მდებარე ნიგნს, თითქოს რალაცას ამოწმებო. „ასორმოცდაათი, სულ ორასი დოლარი“.

ბიჭმა ახედა და გაიცინა. „მაგ თანხით კარგი ნიგნების შექმნას შეძლებთ“, თქვა მან.

„ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამდენი ნიგნი“, თქვა ზორბა კაცმა. „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ისეთი დღე დადგებოდა, როცა ნიგნების მაღაზიაში შევიდოდი და ყველა იმ ნიგნს ვიყიდი, რომლის ნაკითხვაც ყოველთვის მინდოდა“.

„კარგი გრძნობაა“.

„ბევრის ნაკითხვის შესაძლებლობა არასოდეს მქონია“, თქვა კაცმა. „შენზე უმცროსი ვიყავი, როცა პირველად შევაბიჯე ავტომაღაზიაში, სადაც მამაჩემი მუშაობდა და მას შემდეგ მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. ახლა, როცა მოულოდნელად ადრინდელზე ცოტა მეტი ფული გამიჩნდა, დედიმ და მე გადავწყვიტეთ ყოველივე ის შეგვიძინა, რაც ყოველთვის გვსურდა“.

„თქვენი მეუღლე ბრონტეებით იყო დაინტერესებული“, თქვა ბიჭმა. „აქ ძალიან კარგი ტომეულებია“.

კაცი დაიხარა, რომ ბიჭის მიერ მითითებული ნიგნები დაეთვალიერებინა. „ასეთი რამეებისა ბევრი არაფერი გა-

მეგება“, თქვა მან. „ისე კი კარგად გამოიყურებიან. თანაც ყველა ერთნაირია. შემდეგი ტომეული რა არი?“

„კარლაილია“*, თქვა ბიჭმა. „შეგიძლიათ ეგ გამოტოვოთ. ეგ მაინცდამაინც ის არ არის, რასაც ეძებთ. მერე დი-თი კარგია და თეკერეიც. ვფიქრობ, თეკერეი მოგეწონებათ. კარგი მწერალია“.

კაცმა ბიჭის მოწონებულ ნიგნი აიღო და დიდი ხელე-ბის ორი თითით ფრთხილად გადაშალა. „კარგი ნიგნი ჩანს“, თქვა მან.

„ჩაზინერ“, თქვა ბიჭმა. აიღო კალამი და ქურთუკის ჯი-ბიდან პატარა უბის ნიგნაკი ამოიღო.

„ბრონტე“, თქვა მან. „დიკენსი, მერე დი-თი, თეკერეი“. ავტორების ნაკითხვისას თითოეულ ტომს ხელს აყოლებდა.

ზორბა კაცმა თვალები მოჭყუტა. „კიდევ ერთი ტომეუ-ლი მინდა“, თქვა მან: „ესენი ბოლომდე ვერ შეავსებენ იმ ნიგნის კარადას, რომელიც მათთვის ვიყიდე“.

„ჯეინ ოსტინი“, თქვა ბიჭმა. „თქვენი მეუღლე ერთობ ნასიამოვნები დარჩება“.

„ყველა ეს ნიგნები ნაკითხული გაქვთ?“ ჰკითხა კაცმა.

„უმეტესობა“, თქვა ბიჭმა.

კაცი ერთხანს მდუმარედ იდგა და შემდეგ განაგრძო. „სამუშაოდ დილაუთენია მივდიოდი და კითხვის დრო აღარ მრჩებოდა. ბევრი რამის ანაზღაურება მომიწევს“.

„დიდი სიამოვნება გელით“, თქვა ბიჭმა.

„ის ნიგნი, ახლახან რომ დააბრუნეთ“, თქვა კაცმა, „რა ნიგნი იყო?“

„ესთეტიკას ხეება“, თქვა ბიჭმა. „ლიტერატურის შესა-ხებაა. დიდი იშვიათობაა. საკმაოდ დიდი ხანია ვცდილობ მის შეძენას. მაგრამ ფული არ მყოფნის“.

„კოლეჯში დადიხართ?“ ჰკითხა კაცმა.

„დიახ“.

„აი კიდევ, რაც ხელახლა უნდა ნავიკითხო“, თქვა კაც-მა. „მარკ ტვენი. მისი ერთი-ორი ნიგნი მაქვს ნაკითხული ბავშვობაში, მაგრამ, ვფიქრობ, თავიდან უნდა დავიწყო“. კაცი წამოდგა.

ყმანვილიც ადგა და ღიმილიანი სახით უთხრა: „ბევრის ნაკითხვა მოგინევთ“.

„მიყვარს კითხვა“, თქვა კაცმა. „ნამდვილად მიყვარს კითხვა“.

კაცი მაგიდებს შორის გასასვლელთან დაბრუნდა და მისტერ ჰარისისკენ გაემართა. ყმანვილმა ნათურები ჩააქ-რო და უკან გაჰყვა, მხოლოდ ქუდის და ხელთათმანების ასაღებად შეჩერდა. როცა ზორბა კაცმა მისტერ ჰარისის მაგიდამდე მიაღწია, ცოლს უთხრა: „ნამდვილად სხარტი გონების ბიჭია. ამ ნიგნებს ძირფესვიანად იცნობს“.

„შეარჩიე, რაც გინდოდა?“ — ჰკითხა ცოლმა.

„ყმანვილს მშვენიერი სია აქვს ჩემთვის“. კაცი მისტერ ჰარისს მიუბრუნდა და განაგრძო: „ასეთი ყმანვილის გაც-ნობა, რომელსაც ასე უყვარს ნიგნები, მეტად საინტერესო გამოცდილებაა. როცა მისი ხნისა ვიყავი, უკვე ოთხი თუ ხუთი წლის ნამუშევარი მქონდა“.

ბიჭი ფურცლით ხელში მივიდა მათთან. „ამ ნიგნების ნაკითხვას კარგა ხანს მოანდომებს“, უთხრა მან მისტერ ჰარისს.

მისტერ ჰარისმა დახედა სიას და თავი დაიქნია. „თეკე-რეი მართლაც მშვენიერი ტომეულია“, თქვა მან.

ყმანვილმა ქუდი დაიხურა და ერთხანს კიბის ძირას შე-ჩერდა. „იმედია, ამ ნიგნების ნაკითხვით დიდ სიამოვნებას მიიღებთ“, თქვა მან. „მე კი ისევ დავბრუნდები, რომ ემპ-სონს გადავხედო, მისტერ ჰარის“.

„ვეცდები შეგინახო“, თქვა მისტერ ჰარისმა. „თუმცა, ხომ იცი, ვერ შეგპირდები“.

„იმედი მაქვს, ისევ აქ დამხვდება“, თქვა ყმანვილმა.

„გმაღლობ, შვილო“, გასძახა ზორბა კაცმა კიბეზე ამა-ვალ ყმანვილს. „შენს დახმარებას ვაფასებ“.

„კეთილი“, თქვა ბიჭმა.

„ნამდვილად გონიერი ბიჭია“, უთხრა კაცმა მისტერ ჰარისს. „ასეთი განათლებით ბევრს მიაღწევს“.

„მშვენიერი ყმანვილია“, თქვა მისტერ ჰარისმა. „ეს ნიგნი კი ნამდვილად სჭირდება“.

„როგორ ფიქრობთ, ოდესმე შეძლებს ყიდვას?“ ჰკითხა კაცმა.

„რალაც მეეჭვება“, თქვა მისტერ ჰარისმა. „თუ თქვენს სახელსა და მისამართს დამინერო, ფასებს შევაჯამებ“.

მისტერ ჰარისი ბიჭის მიერ აკურატულად შედგენილი სიის მიხედვით ნიგნების საფასურის დადგენას შეუდგა.

სახელისა და მისამართის ჩანერის შემდეგ, ზორბა კა-ცი ერთხანს იდგა და თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა. მერე კი თქვა: „შეგიძლიათ იმ ნიგნს შემახედოთ?“

„ემპსონს?“ ჰკითხა მისტერ ჰარისმა და ახედა.

„აი, იმ ნიგნს, ბიჭს რომ ასე აინტერესებდა“. მისტერ ჰარი-სი მის უკან მდგომი კარადისკენ შეტრიალდა, მისწვდა ნიგნს და გამოიღო. ზორბა კაცმა დელიკატურად დაიჭრა ნიგნი, ისევე როგორც სხვა ნიგნები ეკავა. გადაფურცვლისას შუბლი შეიჭმუნხა და მერე ნიგნი მისტერ ჰარისის მაგიდაზე დადო.

„თუ ამ ნიგნის ყიდვას ვერ შესწვდება, უხერხული ხომ არ იქნება, რომ დანარჩენ ნიგნებს ესეც დაუმატოთ?“ იკითხა მან.

მისტერ ჰარისმა ერთი წუთით თავი ასწია ციფრებიდან და მერე რალაც ჩაუმატა სიას. სწრაფად შეაჯამა, საბო-ლოო ფასი დანერა და ფურცელი ზორბა კაცისკენ გასწია. ვიდრე კაცი ნაანგარიშებს ამოწმებდა, მისტერ ჰარისი ქალს მიუბრუნდა და უთხრა: „თქვენმა ქმარმა ბევრი სასი-ამოვნო საკითხავი შეიძინა“.

„მოხარული ვარ“, თქვა ქალმა. „ამას დიდი ხანია ველო-დით“.

ზორბა კაცმა ფული ყურადღებით გადათვალა და მის-ტერ ჰარისს მიაწოდა. მისტერ ჰარისმა ფული მაგიდის ზე-და უჯრაში ჩადო და თქვა: „თუ თქვენთვის მოსახერხებელი იქნება, ყველაფერს კვირის ბოლოსთვის გამოგიგზავნი“.

„მშვენიერია“, თქვა ზორბა კაცმა. „მზად ხარ, დედი?“

ქალი წამოდგა, კაცი განზე გადაგა, რომ გზა დაეთმო. მის-ტერ ჰარისი უკან გაჰყვა, კიბესთან შეჩერდა და ქალს უთხრა: „ფრთხილად ბოლო კიბესთან“.

ქალი და კაცი კიბეს აუყვანენ, მისტერ ჰარისი კი იდგა და უყურებდა, ვიდრე კიბის მოსახვევს მიაღწევდნენ. მერე მტვრით დაბინდული ნათურა ჩააქრო და თავისი მაგიდის-კენ გაეშურა.

* ტომას კარლაილი (1795-1881) ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. მის კალამს ეკუთვნის: „სარტორ რეზარტიუსი“, „ნარსული და ანჰო“, „თანამედროვე პამფლეტები“ და სხვა.

ეს ნიგნი მუსიკის თანხლებით უნდა წაიკითხოთ ბავშვებმა, არც დიდებს აწყენდათ.

რა ნიგნია, ან რომელ მუსიკას ვგულისხმობთ?

ნიგნი მოცარტის ცხოვრებაზეა და მუსიკაც, რაღა თქმა უნდა, მისია.

მოცარტი — ეს არის ახლახან ნათარგმნი მუსიკალური, დასურათებული, ორენოვანი (ქართული და გერმანული) საბავშვო გამოცემა.

ავტორები ცნობილი თანამედროვე მწერლები: ერნსტ ა. ეკერი და დორის აიზენბერგერი არიან. თან მუსიკალური დისკიც ახლავს, რომელზეც მოცარტის შედევრებია ჩანერილი.

„და ნავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“, — გალაკტიონის ეს სტრიქონები დიდებს გაახსენდებათ.

პატარები კი, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება პირველადაც შეხვდეს მოცარტის მუსიკას, აუცილებლად მოიხიბლებიან და მეხსიერებაში სამუდამოდ აღებუქდებათ ჯადოსნური ჰანგები.

ლვთაებრივი ჰანგების მოსმენაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს?!

სიტყვა და მუსიკა.

პოეზიაში ისინი მაგიურად წყვილდებიან. ამ ნიგნის წაკითხვისას სიტყვასა და მუსიკას ემატება ფერი. ნიგნი შესანიშნავი ნახატებითაა გაფორმებული. ავტორთა რჩევის მიხედვით, ჯერ უნდა წაიკითხო ნიგნი, შემდეგ სწორედ ამ ნახატთა თვალიერებისას მოუსმინო ცალკეულ კომპოზიციას და წარმოსახვაში გაჩნდებიან საოცარი სანახები.

ნიგნში ლალად, მსუბუქად, ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე მოთხრობილია დიდებული მუსიკოსის ამბავი.

ეს მუსიკოსი ვუნდერკინდი გახლდათ, ისე, სხვაფრივ, თავისი 4-5 წლის თანატოლებისაგან არ გამოირჩეოდა.

და როცა სულ პატარამ, სამიოდე წლისამ, ერთხელ მოსმენილ ნაწარმოებთა გამეორება და, უფრო მეტი, არსად გაგონილ, საკუთარ ნაწარმოებთა შეთხზვა დაიწყო, მამამისმა, ლეოპოლდმა, ბიჭუნა ღვთის საჩუქრად მიიჩნია.

ღმერთი გულმონყალეა..

მან არა მხოლოდ ერთი ოჯახი, მთელი კაცობრიობა დაასაჩუქრა ამ მუსიკოსით, რომელმაც ჯერ არმოსმენილი უჩვეულო ჰანგებს აზიარა კაცობრიობა.

როგორც გითხარით, ნიგნი ორენოვანია, ასე რომ, პატარებს იგი დაეხმარება გერმანულ ენაში გასაწაფავადაც.

ავტორები მოცარტის ბავშვობის წლებს აცოცხლებენ, ისე, რომ მკითხველი იოლად წარმოიდგენს სხარტ, მოუსვენარ, მუდამ სიმღერისა და ცეკვის გუნებაზე მყოფ ბიჭუნას, ვოლფერლს რომ ეძახდნენ სიყვარულით. გავეცნობით მის მშვენიერ და ჭკვიან დასაც, ნანერლის (მარია ანას), რომელიც ძმასთან ერთად მართავდა კონცერტებს ევროპაში.

ნიჭიერი და-ძმა მალე ეზიარა ოჯახური ტვირთის სიმძიმეს. მამამ, თვითონაც მუსიკოსმა, გადაწყვიტა შვილების უჩვეული ნიჭი სხვა ქვეყნებისთვისაც ემცნო და თან ოჯახისთვის ასე საჭირო შემოსავლებიც ემოვა.

პატარა მოცარტს აღტაცებული ეგებებოდა მთელი ევროპა.

ნიგნში გაცოცხლებულია ეპიზოდები მისი ბავშვობიდან.



მკითხველიც მოცარტების ოჯახთან ერთად იმოგზაურებს სხვადასხვა ქალაქში: მიუნხენი, აუგსბურგი, ლუდვიგსბურგი, ჰაიდელბერგი, ფრანკფურტი, კიოლნი, ბრიუსელი, პარიზი, ვერსალი, ლონდონი, ამსტერდამი, ლიონი, ჟენევა, ბერნი, ციურიხი... შეხვდება ათასგვარ ხიფათს და თანამონაწილე გახდება ჯადოსნური ჰანგების შექმნისა, გაიზიარებს გენიოსი შემოქმედის ტკივილსა და სიხარულს.

„მუსიკა ჩემი თავშესაფარია“, — უთქვამს მოცარტს და მკითხველიც ხვდება, მართლაც, რა საიმედო თავშესაფარია იგი სასონარკვეთილებისა და მარტოსულობის განცდისას.

მოცარტის ცხოვრების გზა სულ იაზარდით როდი იყო მოფენილი.

ერთხელ პარიზელი გრაფის სახლში მიიწვიეს კონცერტის გასამართავად. იქ მისულს დიდხანს აცდევენეს, როგორც ვილაც ბოგანოს. სალონში გათბობა არ იყო, პიანინოც აშლილი დახვდა. როგორც იქნა, გამოჩნდა მასპინძელი ქალბატონი, კონცერტიც დაიწყო და, როცა მუსიკით გატაცებულმა მოცარტმა თავი ასწია და იქ მყოფთ შეხედა, გაოგნდა. არავინ უსმენდა, ყველა თავისი საქმით გართულიყო, ზოგი ხატავდა, ზოგი გვერდით მჯდომს ესაუბრებოდა. „მგონი, სავარძლებისა და კედლებისთვის ვუკრავ“, — გაუელვა გულდანყვეტილ და სიამაყემლახულ მუსიკოსს.

თავდაპირველად გაქცევა გადაწყვიტა, მერე განრისხება მოთოკა... საბრალო ადამიანები, რა შორს იყვნენ ისინი ამ ღვთაებრივი ჰანგებისაგან... და მისმა თითებმა გამაოგნებელი ვირტუოზულობით განაგრძეს თეორი და შავი კლავიშებიდან ჯადოსნური ჰანგების აღმოცენება.

მოცარტი ამ ნიგნში ჰგავს პატარა უფლისწულს, შორეული ვარსკვლავიდან დროებით ჩამოსულს, რათა დედამინელები კოსმოსური მუსიკის, უცნაური და უცხო ჰანგებისთვის ეზიარებინა. ახლა, ღამით, უამრავი ვარსკვლავით მოჭვდილ ცას რომ ავხედავთ, ვიგრძნობთ, რომ სიცოცხლე დიდი საიდუმლოა, მოცარტის წკრილა სიცილის ხმასაც გავიგონებთ და მივხვდებით, სიცოცხლე მარადიული და განუშეორებელი ზეიმია, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება...

„ჩვენ დროს ვეჯიბრებით“, — უთქვამს მოცარტის მამას. ამ შეჯიბრებაში მოცარტმა გაიმარჯვა.

რაც მთავარია, ნიგნი პატარა მკითხველს გაუჩენს სურვილს, უფრო ახლოს გაეცნოს მოცარტის მუსიკას, მოისმინოს მისი არაჩვეულებრივი ოპერები, რომლებიც არაერთხელ დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზეც: „დონ ჟუანი“ (პირველად 1867) და „ფიგაროს ქორწინება“ (პირველად 1888). „ბასტიენ და ბასტიენა“ (1912), „ჯადოსნური ფლეიტა“ (1974, ქართულ ენაზე).

ეს მშვენიერი ნიგნი გერმანული ენიდან მაია მირიანაშვილმა თარგმნა, რომელსაც თანამედროვე გერმანელ მწერალთა არაერთი საბავშვო ნაწარმოები აქვს შესანიშნავად ნათარგმნი.

ასე რომ, ამ ნიგნით პატარა მკითხველი ეზიარება მოცარტის ზღაპრულ სამყაროს და ცხოვრების რთულ გზაზე ეს მუსიკა შემწედ და მფარველად მოველინება.

მოსწავლეობის საჩუქარი

ასა იყოფდნენ ეპროპას

ის ოქტომბრის დღეები, შუა ოქტომბრისა, სამუდამოდ დაამახსოვრებოდათ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც.

არაფერი ამის მსგავსი არავის არ ახსოვდა. კრემლის მბრძანებელს არასოდეს დაეგია ფეხი რომელიმე ქვეყნის საელჩოში. და აი, 1944 წლის 11 ოქტომბერს ენია დიდი ბრიტანეთის საელჩოს. და სანამ იქაურობას ეწვეოდა, ჩეკისტებმა გულდასმით გაჩხრიკეს შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული, მერე შესასვლელში ჩამსკრივდნენ და ასი თვალი-ასი ყური გამოიბეს. ოცდაათიანი წლების პოლიტიკურ სასამართლო პროცესთა მრისხანე პროკურორმა ანდრეი იანუაროვიჩი (მოფერებით იაგუაროვიჩს რომ ეძახდნენ) ვიშინსკიმ, უმაღლესი რანგის დიპლომატად ქცეულმა, იარაღში ჩამჯდარ დაცვას ჩაუარა და ტკბილად იხუმრა: ნითელმა არმიამ, ჩანს, მორიგი გამარჯვება მოიხვეჭა — ინგლისის საელჩო აულიაო!

14 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი დიდ თეატრს ეწვია. უჩვეულო ზარ-ზეიმით შეხვდნენ. სასულე ორკესტრმა დასცხო მოკავშირე იმპერიის ჰიმნი „მართე, ბრიტანეთო!“ როდესაც ჩერჩილი გამოჩნდა ე.წ. „სამეფო“ ლოჯაში, იქუხა დამსწრეთა ოვაციამ, გაისმა მისასალმებელი შეძახილები. სტალინი ჩრდილში ანუ ლოჯის სიღრმეში რჩებოდა, რათა ოვაცია მხოლოდ საბატიო სტუმარს რეგებოდა. ჩერჩილს ეს არ გამოჰპარვია, დიდსულოვნად ანიშნა მასპინძელს, მხარი დამიმშვენიო. მაშინ სტალინიც მიუახლოვდა ლოჯის მოაჯირს და ოვაცია, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. საზეიმო კონცერტის პირველ განყოფილებაში ნარმოდგენილ იქნა ბალეტ „ფიზელის“ პირველი აქტი. მეორე განყოფილება დაეთმო ნითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. ანტრაქტში ლოჯის უკან მდებარე სასტუმრო ოთახში სახელდახელო სუფრა გაიშალა, რომელსაც ამშვენებდა რუსული ხიზილადა და ქართული საცივი. ჩერჩილმა და იდენმა ითხოვეს, ხელის დასაბანად ტუალეტში წავალთო. მეორე განყოფილების პირველი ზარი რომ ანკრიალდა, ისინი ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. სტალინმა თავისი თარჯიმანი ბერეჟკოვი გაგზავნა მაცნედ. იდენმა მოიბოდიშა: პრემიერ-მინისტრს რალაც ახალი იდეები გაუჩნდა პოლონეთის საკითხზე, საუბარში გავერთეთ და ზარი გამოვგრჩაო.

პოლონეთის ბედი წყდებოდა დიდი თეატრის ტუალეტში!

20 ოქტომბერს აეროდრომზე თვით სტალინი მიბრძანდა ჩერჩილის გასაცილებლად. ესეც უპრეცედენტო ფაქტი გახლდათ. ყოველივე ზემოთქმულის ასახსნელად უკან უნდა დაგვრუნდეთ. 9 ოქტომბერი — ჩერჩილის ვიზიტის პირველი დღე.

სტალინი და ჩერჩილი, მარტოოდენ თარჯიმანთა თანხლებით, შეხვდნენ ერთმანეთს.

ჯერ იმსჯელეს რუმინეთისა და საბერძნეთის ბედზე. ჩერჩილს რუმინეთი არ ენალვებოდა, მაგრამ საბერძნეთს ვერ შეელოდა, ბრიტანეთი წამყვანი სახელმწიფო უნდა იყოს ხმელთაშუაზღვეთშიო.

ჩერჩილმა ურჩია სტალინს, რომ დიპლომატიური ტერმინებით ესარგებლათ და მორიდებოდნენ ფორმულებს „გავლენის სფეროთა განაწილების“ შესახებ, ვინაიდან ეს შოკში ჩააგდებს ამერიკელებსო (მაშინდელი აშშ — დღევანდელი არ გეგოროთ! „დემოკრატია“ ვაშინგტონისათვის რეალურ ცნებასა და მცნებასაც წარმოადგენდა).

საუბარი ქვეტექსტებით იყო აღსავსე და აგერ კულმინაციას მიაღწია.

ჩერჩილმა ასე მიმართა მასპინძელს:

— ერთი ბინძური დოკუმენტი უნდა გაჩვენოთ, ლონდონში მყოფი ზოგიერთი პიროვნების თვალსაზრისს რომ შეიცავს, — გულის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და სტალინისკენ გააჩოჩა.

ტექსტი თარგმანს არ მოითხოვდა. ფურცელზე სულ რამდენიმე სტრიქონი ეწერა: „რუმინეთში: რუსეთი — 90 პროცენტი, სხვები — 10 პროცენტი; საბერძნეთში: დიდი ბრიტანეთი — 90 პროცენტი, რუსეთი — 10 პროცენტი; იუგოსლავიაში: 50-50 პროცენტი; უნგრეთში: 50-50 პროცენტი; ბულგარეთში: რუსეთი

— 75 პროცენტი, სხვები — 25 პროცენტი“. ვალენტინ ბერეჟკოვის სიტყვით, სტალინმა დაკვირვებით შეათვალიერა ციფრები, მერე ბრნიჯაოს ჭიქიდან ერთ-ერთი თავისი საყვარელი ორფერა მსხვილი ფანქარი ამოიღო და ფურცლის ზედა კუთხეში პანია ლურჯი ფერის „ჩიტუნა“ დაუსვა.

ჩამოვარდა არცთუ ხანმოკლე პაუზა.

ბოლოს ჩერჩილმა დაარღვია დუმილი:

— ძალზე ცინიკურად ხომ არ ჩაითვლება, რომ ჩვენ, თითქოსდა ექსპრომტად, გადავჭერთ საკითხები, მილიონობით ადამიანის ხვედრს რომ უკავშირდება? ეგებ აჯობებდა, დაგვეწვა ეს ქალაქი?

— არა, სჯობს შეინახოთ, — თქვა სტალინმა.

ჩერჩილმა ფურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩამალა.

თავის მემუარებში ჩერჩილიც გადმოგვცემს ამ ეპიზოდს. ერთადერთი განსხვავება ბერეჟკოვის მონათხრობისგან ის გახლავთ, რომ ბრიტანეთის პრემიერი იქ, სტალინის კაბინეტში, წერს ზემოხსენებულ ტექსტს და გვაუწყებს: „ამ საკითხის მოგვარებას იმაზე მეტი დრო არ დასჭირდება, ვიდრე მის დასაწერად იყო საჭირო“.

აი ასე, ელვისებური სისწრაფით, მიღწეულ იქნა შეთანხმება გავლენის სფეროთა თაობაზე აღმოსავლეთ ევროპაში.

მაგრამ ბრძნული ქართული ანდაზა გვამცნობს, მადა ჭამაში მოდისო. მეორე დღეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი შეხვდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ენტონი იდენს და კორექტივების შეტანა განიზრახა წინა დღეს მიღწეულ ჩერჩილ-სტალინის შეთანხმებაში.

მოლოტოვი: ეგებ შეეთანხმდეთ, რომ შეფარდება 75-25 შეეხოს არა მარტო ბულგარეთს, არამედ უნგრეთსა და იუგოსლავიასაც.

იდენი: მაგრამ ეს გაცილებით უარესია იმაზე, რაზედაც გუშინ შეთანხმდნენ.

მოლოტოვი: მაშინ იყოს 90-10 ბულგარეთისთვის, 50-50 იუგოსლავიისთვის, ხოლო უნგრეთზე დამატებით შეეთანხმდებითო.

იდენი: ჩვენ მზად ვართ დავეთანხმეთ თქვენს წინადადებას უნგრეთის შესახებ, მაგრამ მეტი გავლენის მოპოვება გვწადია ბულგარეთში.

მოლოტოვი: თუკი უნგრეთისთვის შეფარდება იქნება 75-25, იგივე შეფარდება დარჩეს ბულგარეთისთვისაც. მაგრამ მაშინ იუგოსლავიაში უნდა იყოს 60-40. ამაზე შორს ჩვენ არ წავალთ.

იდენმა შესთავაზა 80-20 ბულგარეთისთვის, მაგრამ დაჟინებით ეწადა 50-50 იუგოსლავიისთვის. მოლოტოვმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ თუკი ინგლისის პოზიციას მივიღებთ იუგოსლავიისთვის, მაშინ ბულგარეთისთვის უნდა იყოს 90-10...

აღმოსავლური ბაზარი (და დასავლურიც) არ გეგონებათ?

ბერეჟკოვი შენიშნავს, რომ იდენი დაილაღა ვაჭრობით და მოკლედ მოსჭრა, ციფრები ნაკლებად მალეღვებსო (?!). შემდგომში ჩერჩილისთვის მოუხსენებია, რომ საუბარი მოლოტოვთან „ნამდვილი ომი“ იყო და ბრიტანეთის ინტერესებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიცავდითო.

ბერეჟკოვის აზრით, სტალინს ძალიანაც მოსწონდა მიღწეული შეთანხმება და ამას მეტყველებს ჩერჩილისათვის მოსკოვში მიგებული პატივი.

დასავლეთში გადახვენილი საბჭოთა ისტორიკოსი ალექსანდრ ნეკორჩი აღნიშნავს, რომ „დიდი სამეულის“ კონფერენციაზე იალტაში (1945 წლის თებერვალი) მოხდა საბჭოთა იმპერიის ნათლობა, ხოლო ნათლიები ბრძანდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი.

ბერეჟკოვისა და თავადვე ჩერჩილის მონათხრობიდან კი უნდა დავასკვნათ, რომ ნათლობის გენერალური რეპეტიცია ჩატარებულა ბრიტანეთის პრემიერის მოსკოვური ვიზიტისას 1944 წლის ოქტომბერში.

თვითგვემა მოურავისა

ლევან გოთუა ჭეშმარიტი მწერალი იყო და საისტორიო წყაროში მოთხრობილი ამბავი მისთვის მხოლოდ თიხას ნიმ- ნავდა, საიდანაც უნდა გამოეძერწა ქანდაკება, ოღონდ სხვა კომ- პონენტებსაც იხმობდა და, ვაჟასი არ იყოს, გადაადნობდა, გადა- ადუღებდა თავის სულიერ ქურაში. მწერალს არ სურდა ისტორი- ული სინამდვილის ტყვეობა, მიისწრაფოდა, რომ გამხდარიყო მი- სი ბატონი და თავისი მრწამსის, სულისკვეთებისა და ცხოვრები- სეული გამოცდილების ელემენტებით გაერღვია ერთხელ უკვე შექმნილი სამყაროს ჩარჩოები, რათა დაეხატა მხატვრული სი- ნამდვილის ზუსტი სურათი, რომელსაც ხელენიფება სული შთა- ბეროს გარდასულ ჟამთა აჩრდილებს.

როგორც ცნობილია, აღსრულისას ადამიანი იხსენებს მთელ თავის ცხოვრებას და გაცილებით მკაცრია ჩადენილი შეც- დომებისა თუ ცოდვების მიმართ. ადრე თვალს რომ მოუხუჭავდა საკუთარ ბრალეულობას და სულისმიერ ჩხრეკას თავს არიდებ- და, იმქვეყნად მიმავალი უღმობელი მზერით აფასებს ამქვეყნი- ურ ამაოებას.

ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა ნასატანისა...

ლევან გოთუას სახელგანთქმულ მოთხრობაში „უგზო ქარა- ვანი“ დიდ მოურავს ვხედავთ მისი ერთგული ყმისა და თანამებრ- ძოლის — გორგასალ ნასყიდაშვილის თვალთ. მწერლის სიტყ- ვით, გორგასალი მახვილი თვალის პატრონი იყო და მისთვის შე- უმწინველი არ დარჩენილა ის უსიამო მეტამორფოზა, მისმა ბა- ტონმა რომ განიცადა ამ ბოლო დღეებში, როდესაც კვლავ წილად ერგო სამშობლოდან დევნილის ხვედრი. რამდენი ომი გადაუხდი- ათ, რამდენჯერ ჩავარდნილან ხიფათსა და გასაჭირში, მაგრამ ასე სასწრაფოთი არასოდეს უნახავს გორგაზი მოურავი. გორგასალს ყურში ჩაესმის მისი გაბზარული ხმა, სანუკვარ ხვა- შიადს რომ უმულავნებს: „ეჰ, გორგასალ, ერთი საქართველო მაჩ- ვენა კიდე და მერმე... თუნდაც...“ და სიტყვა ველარ ამოსდის ყე- ლიდან. გორგასალის მახვილი თვალი კი ამჩნევს გიორგი სააკა- ძის მოდუნებულ ვეება ზურგს და უძლურად ჩამოშვებულ ვეება ხელებს. ფიზიკური პორტრეტი სარდლისა მიგვანიშნებს სულიერ დაძაბუნებას. გორგასალი გრძნობს, რომ აბჯარში უდრეკი მებრ- ძოლი კი აღარ იჯდა, არამედ გათელილი და გზადანშეული ტყვე ამ აბჯრისა, რომელსაც მკვდრის მზე უნათებდა უკანასკნელ გზას.

მახლოებული აღსასრულით აფორიაქებულ მოურავს ვე- ლარ დაუმალავს მწარე გულისნადები. მხოლოდ საკუთარ თავ- თან საუბარი უჭირს, მსმენელი სჭირდება, ვინმეს უნდა გაავები- ნოს თავისი სატყვიარი. ეგებ ანუგეგმონ, მაგრამ მისი ერთგული ყმა მორჩილად ისმენს ბატონის აღსარებათა ნაკადს და ჯერჯე- რობით ვერაფერს ხვედა.

კარავს დაუდგამენ, წყალს მიართმევენ და მომცრო ხალიჩას გაუშლიან — იქნებ ნამაზის შესრულება სწადიაო (ოსმალეთში იმყოფებიან). გორგასალი პირჯვარს გადინერს და განზე გადგე- ბა. მოურავი ფეხს გაჰკრავს ხალიჩას და თავდაუზოგავად წარ-

მოთქვამს: „ჩემი გაჭედილი ხა- ტი ვერ ვინამე და სხვისას რარი- გად ვინამებ, მოხუცო?!“

მოურავი თვითგვემის გზას

მიჰყვება: „კაცად კაცმა ისე უნდა გავლო სავალი, ბოლოს არსად შეგრცხვებ, და თავიდან რომ მოგიხდეს დანყება, ისევე ის გზა ირ- ჩიო, ისევე ის!“

ორი ქართველი კაცი — სახელმთხვეტილი სარდალი და მისი ერ- თგული ყმა თითქოს სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, თითქოსდა აღარ ესმით ერთიმეორის ქართული. გორგასალს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით ანუხებს „გზა“ და ოსმალეთში გადახვეწილ ბა- ტონს ამშვიდებს, ბოლოს ხომ საქართველოსკენ შემოვბრუნდებიოთ.

მოურავი ისევე ხმამაღლა ფიქრობს: „ჩემი გზა ინდოეთიდან სტამბოლამდე გადასერილა, მაგრამ ვაითუ მისი ნამჯა და ხვაივ ერთ ქართულ კალოსაც არ ეყოს სალენად!“

თვითგვემის მომწესხველ წადილს იმდენად დაუთრგუნავს მოურავის სული, რომ თავისი ბოზოქარი ცხოვრებიდან ავის მეტი აღარაფერი ახსენდება. გორგასალსაც ახსენდება გონებაში და- ლად დასმული ეპიზოდები წარსულისა, მაგრამ სინათლედ ხომ ბევრჯერ უხილავთ! ნუთუ დაავიწყდა მოურავს ტამისკარი, მარ- ტყოფი, მარაბდა — მისი ცხოვრების კაჰკაჰა ნიშანსებები, სა- დაც გორგასალი „გიორგის დიდი საქმეების გულდაგული მონა- ნილე იყო“. არა, არ დავიწყებია და ისევე აღმოვხედავს გულისტ- კივილი: „ერთხელ უკულმა მოქნეულ ხმალს — ათჯერ წაღმა მოქნეული ხმალი ველარ გამოასწორებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული კი გაბზარული მქონია. რაღაც ვერ დავთმე, მომერია; ჩანს, დამძალა. ხმლის მარჯვედ ქნევა კი რა ბედენაა?!“

გიორგი სააკაძე თვითგანსჯის სიღრმეში ჩაფლულა. გორგა- სალის გამჭრიახი თვალთ დანახული სურათი მოურავის გულახ- დილმა მონოლოგმა შეავსო. ყმას ყოველთვის აკვირვებდა ბატო- ნის ორმოლტიანი მათრახი: „ერთი სამტრო იყო, მაგრამ მეორე?“ შეჰყურებს გამრთავმირის ვეება ხელებს და ფიქრობს: „ერთი მტრის შემქმნეველი იყო, მაგრამ მეორე?“

ორმოლტიანი მათრახი გაორებული სულის სიმბოლოდ წარ- მოგვესახება და მისი პატრონიც უკვე სიკვდილით დასჯის წინ წარმოთქვამს: „არც ხმალი ვარგა ორპირი, არც მათრახი ორ- შოლტიანი. დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს“.

ლევან გოთუა მკვეთრი და შთამბეჭდავი შტრიხებით ხატავს დიდი მოურავის ბუნებაში წარმოქმნილ ფერისცვალებას. ყო- ველთვის ფრთხილი და ეჭვიანი იოლად მიენდობა ოსმალთ ფაშას მოციქულებს, რომლებიც ალუპოში ინვევენ კონიდან გაქცეულ ქართველებს. მიენდობა, ვინაიდან საბრძოლო ხმალიც და სული- ერი ხერხემალიც გადატეხილი აქვს. მწერალი ლაკონიურად და ნალვლიანად შენიშნავს: „სდუმდა საქართველოს მოურავ-მეფე, შაჰ-აბასის უპირველესი სარდალი, ყაჰრამან-კონიის ბეგლარბე- გი, კრიჭა შეეკრა — რადგან უგზოდ ვიდოდა მისი ქარავანი“.

მკითხველისათვის, ცხადია, ნათელი უნდა იყოს „უგზოდ მა- ვალი ქარავნის“ სიმბოლური მნიშვნელობა.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდე- ბულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა **ეთერ და ლელა თათარაიძეების** შემოქმედებითი საღამო.

საღამო უნივერსიტეტის რექტორმა **სერგო ვარდოსანიძემ** გახსნა, მიესალმა საზოგადოებას და რამდენიმე მოვლენაც გაა- ცოცხლა ქალბატონი ეთერის შემოქმედებითი გზის დასაწყისის შესახებ; მოიგონა, როგორ გამოჩნდა პირველად ახალგაზრდა გოგონა ფილარმონიის სცენაზე, სადაც ხალხური პოეზიის საღა- მო იმართებოდა, როგორ აღმოაჩინეს ის **ვახუშტი კოტეტიშ- ვილმა**, **თენგიზ მირზაშვილმა** და **ალექსი ჭინჭარაულმა**.

ეთერ თათარაიძემ წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას საკუთარ- ი შემოქმედების ნიმუშები; მოხიბლა სტუდენტები უშუალოდ და

„მთის რომანტიკის“ შესახებ მოთხრობილი ამბებით. მოიგონა საკუ- თარი ცხოვრებიდან საინტერესო და სახალისო ეპიზოდებიც. პოეტი პასუხობდა დარბაზიდან დასმულ შეკითხვებზე, ამას თან ერთვოდა ლელა თათარაიძის მიერ შესრულებული სიმღერები. ტექსტები და- ნერული იყო სხვადასხვა სახალხო მთქმელებისა და პოეტების: **ანა კალანდაძის**, **მანანა ჩიტიშვილისა**, **ეთერ თათარაიძის** მიერ.

საღამოს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავ- ლებლები, სტუდენტები და მონვეული სტუმრები. უნივერსიტე- ტის რექტორის გადაწყვეტილებით, სტუმრები დაასაჩუქრეს.

ლექსისა და სიმღერის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ქარ- თული ყოფა. საღამოს დასასრულს სტუდენტებმა და სტუმრებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს.